



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) at New York University.

- Creator: Ramishvili, R. / რამიშვილი, რ. / Рамишвили, Р. М.
- Title: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ტომი IV / Археологические памятники Феодалной Грузии том IV
- Publication Date: 1982
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dsc_78ebc81ab7

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/dsc/takedown-notice>.

ქეოდალური
საქართველოს
არქეოლოგიური
ძეგლები

IV

IVE
2667

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

არქეოლოგიური კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები

IV


19932

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა

ლევან მუსხელიშვილის ხსოვნას, მისი დაბადებიდან
80 წლისთავზე



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982



902.6 (C 41)
63.4 (2 Г)
902.6 (47.922)
ფ 426

კრებული ეძღვნება შუა საუკუნეების საქართველოს ისტორი-
ისა და არქეოლოგიის გამოჩენილი მკვლევრის ლევან ვახტანგის ძე
მუსხელიშვილის ხსენას, დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულებას
გამო.

კრებულს წამდვარებული აქვს წერილი ლ. მუსხელიშვილას
ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასში შეტანილია გამოკ-
ვლევები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების (ვარდციხე,
დმანისი, ეინვალი), საწარმოო კერების (თბილისის კერამიკული სა-
ხელოსნო) და ხელოსნური ნაწარმის შესახებ.

ნაშრომებს ახლავს ილუსტრაციები.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტი ისტ. მეცნ. კანდ. ო. ტყეშელაშვილი

ИБ 1670

*

რედაქტორი	გ. ცქიტიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი	ე. ფარქოსაძე
ტექნორედაქტორი	ც. ქამუშაძე
მხატვარი	ი. სიხარულიძე
კორექტორი	ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 21.4.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.03. 1981;
ქალაქის ზომა 60×90^{1/16}; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15.4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.3;

უე 04419;

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 1497;

ფასი 1 მან. 45 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



ლ. 3. მუსხელიშვილი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

1980 წელს შესრულდა 80 წელი ცნობილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის ლევან ვახტანგის ძე მუსხელიშვილის დაბადებიდან¹.

ლ. მუსხელიშვილის ცხოვრება მეტად ხანმოკლე იყო; იგი გარდაიცვალა 42 წლისა, 1942 წლის 16 ივლისს, სწორედ მაშინ, როცა სავსებით მომზადებული იყო ფართო სამეცნიერო სარბიელზე მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, ის ნაშრომები, რომელთა გამოქვეყნება მან მოასწრო, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას გვერდს ვერ აუქცევს შუა საუკუნეების ვერც ერთი სპეციალისტი — არქეოლოგი იქნება იგი, ისტორიკოსი თუ ხელოვნებათმცოდნე.

ლევან მუსხელიშვილი დაიბადა 1900 წ. 8 აპრილს (ძვ. სტილით) ცნობილი ოკულისტის ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილისა და ნატალია ნიკოლოზის ასული მირზაშვილის ოჯახში. 1917 წ. ლ. მუსხელიშვილმა თბილისში დაასრულა ლევანდოვსკის გიმნაზია და უმაღლესი ცოდნის მისაღებად 1918 წ. გაემგზავრა გერმანიაში. იქ ლ. მუსხელიშვილი სწავლობდა ფილოსოფიასა და შუა საუკუნეების ისტორიას. იგი ლექციებს ისმენდა ბერლინის, ფრაიბურგის, გეტინგენის, ჰალესა და მიუნხენის უნივერსიტეტებში, მაგრამ, ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო უმაღლესი განათლების დასრულება და 1923 წ. იძულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1924 წლიდან ლ. მუსხელიშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. ლ. მუსხელიშვილმა სტუდენტობის დროსვე მიიქცია ივ. ჯავახიშვილის ყურადღება და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი დატოვეს ასპირანტად საქართველოს ისტორიის კათედრასთან. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1931 წლიდან ლ. მუსხელიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ჯერ ასისტენტად, ხოლო შემდეგ ინიშნება უფრ. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. როგორც ცნობილია, ამავე წლიდან ივ. ჯავახიშვილი ჩამოშორებული იყო უნივერსიტეტს და მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-კონსულტანტად.

¹ მოხსენება, წაკითხული ლ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის აუდიტორიაში 1980 წ. 13 მაისს.

ივ. ჯავახიშვილმა, მუზეუმშიც თავიდანვე დიდი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა როგორც ისტორიის, ისე არქეოლოგიის დარგში². სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით ურთიერთობის დამყარება გერმანიის სამეცნიერო წრეებთან, რასაც შედეგად მოჰყვა არქეოლოგიური გათხრის დაწყება ნოქალაქევიში³. ნოქალაქევის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი არქეოლოგი ა. მ. შნაიდერი, ჩაირიცხნენ ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი. ექსპედიციამ იმუშავა 1930 და 1931 წლებში და, მიუხედავად იმისა, რომ ნოქალაქევის გათხრა მოულოდნელად და ნაადრევად შეწყდა, მან მაინც გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. ამავე დროს, ლ. მუსხელიშვილისათვის ეს იყო პირველი სავალე არქეოლოგიური „ნათლობა“.

მიუხედავად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, 1931—34 წლებში, ლ. მუსხელიშვილი მაინც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ამზადებს ნაშრომებს გამოსაქვეყნებლად, კითხულობს მოხსენებებს, ამზადებს საკვალედიკაციო ნაშრომს, მონაწილეობას ღებულობს არქეოლოგიურ ექსპედიციებში და სხვ.⁴

ამ პერიოდში ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას იჩენს ლ. მუსხელიშვილის მეცნიერული მუშაობისადმი, აძლევს სათანადო რჩევა-დარიგებას და, საზოგადოდ, წარმართავს მის მეცნიერულ მუშაობას. მკურნალობის შედეგად ლ. მუსხელიშვილის ჯანმრთელობა რამდენადმე უმჯობესდება და იგი უფრო აქტიურად ებმება გაცხოველებულ მეცნიერულ მუშაობაში.

✓ 1936 წელს, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც აღნიშნული მუზეუმის დირექტორად დაინიშნა, ლ. მუსხელიშვილი მიიწვია ჯერ ამ მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრომლად, ხოლო შემდეგ, 1937 წ. იგი დაინიშნა მუზეუმის სწავლულ მდივნად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებამდე — 1940 წ. 18 ნოემბრამდე, ამავე დროს იგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახლად დაარსებული ისტორიის განყოფილების გამგედ.

✓ აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან სულ მალე (4 თვის შემდეგ), სრულიად მოულოდნელად, უქმდება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი და მის ბაზაზე იქმნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, რომელსაც უერთდება შოთა რუსთაველის მუზეუმი, როგორც მისი მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება. ლ. მუსხელიშვილი ინიშნება აღნიშნული განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი სიცოცხლის ბოლომდე.

ლ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მუშაობის დასაწყისისათვის აღსანიშნავია მისი დაინტერესება ბრინჯაოს ხანის ძეგლებით. იგი საგანგებოდ სწავლობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული ბრინჯაოს ცულების მდიდარ კოლექციას და ამის საფუძველზე, პირ-

² ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „მრავალთავე“, V, თბ., 1975, წ., გვ. 5—22.

³ ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I, დამატება, თბ., 1948.

⁴ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ურნალი „მნათობი“, 1975 წ., № 6, წერილი 7; № 7, წერილები 10, 11, 12.

ველად, გამოჰყოფს დას. საქართველოს არქეოლოგიური კულტურის წრის ძეგლებს აღმ. საქართველოს არქეოლოგიური კულტურის წრის ძეგლებისაგან, აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ცულების თავისებურებებს და ამ ცულებს უწოდებს კოლხურს.

1932 წლისათვის ლ. მუსხელიშვილს უკვე მზადა აქვს მონოგრაფია ბრინჯაოს ცულების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს ლ. მუსხელიშვილის მეცნიერულ მუშაობას, შესაძლებლად მიიჩნევს ნაშრომის სადისერტაციოდ წარდგენას. ეს კარგად ჩანს ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიწერ-მოწერიდან, რომელიც ქალბატონმა ნ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა 1975 წელს⁵. სამწუხაროდ, ლ. მუსხელიშვილს ეს ნაშრომი არ გამოუქვეყნებია და მეცნიერებისათვის იგი უცნობია დღემდე.

ამავე წლებში ლ. მუსხელიშვილი ამზადებს ნაშრომს „ძველევგვიპტური სამართლო ეტიკის კავკასიური პარალელი“, რომელსაც იგი გერმანულ ენაზე აქვეყნებს საქართველოს მუზეუმის მოამბეში⁶.

მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც ამ ნაშრომებს და მათში აღძრულ საკითხებს ჰქონდათ მათი ავტორის სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის და საერთოდ, მეცნიერებისათვის, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ლ. მუსხელიშვილის სახელი, უპირველეს ყოვლისა, მტკიცედ არის დაკავშირებული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიასა და ისტორიასთან.

იგი პირველი არქეოლოგი იყო, რომელსაც შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილისათვის მზადების პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით, მიენდო ფეოდალური საქართველოს გარკვეული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების გამოვლინება-შესწავლა და, ამასთანავე, სათანადო არქეოლოგიური მასალების შეგროვება საიუბილეო გამოფენისათვის. ამ ამოცანის შესრულებისათვის ლ. მუსხელიშვილი უკვე მაშინ სავსებით მომზადებული იყო; საფუძვლიანად იცნობდა საქართველოს ისტორიას, მის წყაროებს, პალეოგრაფიას, ქართული არქიტექტურისა და, საზოგადოდ, ხელოვნების ძეგლებს და მათ ისტორიას, მომზადებული იყო არქეოლოგიაში, ჰქონდა სავსე მუშაობის გამოცდილება, იცოდა უცხო ენები, აგრეთვე კლასიკური ენა — ლათინური, იცოდა სომხური, გააჩნდა ცოდნის დიდი მარაგი.

ლ. მუსხელიშვილმა, როგორც ხელმძღვანელმა, პირველად მიიღო მონაწილეობა ბოლნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში 1936 წელს. ამ ექსპედიციის კონსულტანტი იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ტერიტორია ბოლნისის სიონის გარშემო და თვით სიონშიც, რომელიც მაშინ მიწის სქელი ფენით იყო დაფარული, დააზუსტა ქართული ხუროთმოძღვრების ამ ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის გეგმა, აღმოაჩინა და გაშიფრა ბოლნისის ქართული უძველესი წარწერები, უპირველეს ყოვლისა, ბოლნისის ცნობილი სააღმშენებლო წარწერა (რომელიც ამ ექსპედიციის მუშაობის შედეგად აღმოჩნდა), აღმოაჩინა უძველესი სტელები და ჯვრები, შეისწავლა ბოლნისის მიდამოების უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, სა-

⁵ იხ. ეურნ. „მნათობი“. 1975 წ. № 6, 7 და 9.

⁶ L. M u s k e l i, Kaukasische parallele zu einem, altgyptischen Ronnwagen. სმ მოამბე, ტ. VIII, თბ., 1933—1934, გვ. 143—148.

მარხები. ამასთანავე, მთელი ხეობის მოსახლეობის ისტორია, შემადგენლობა და სხვ.⁷

რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერის აღმოჩენას და მის დათარიღებას. ეს წარწერა (ბოლნისის სიონის სხვა წარწერებთან ერთად) ჯერჯერობით რჩება ქართულ უძველეს წარწერად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ წარწერებს შორის, საზოგადოდ.

ღანსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ვრცელი და თავისი დროისათვის მდიდარი ქალაქის — დმანისის არქეოლოგიურ გათხრას ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით.

დმანისის ნაქალაქარის გათხრის დაწყება წარმოადგენს ნიშანსვეტს ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიაში; აქედან იწყება ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი მეცნიერული შესწავლა, მათ შორის ნაქალაქარების შესწავლა.

დმანისში სულ ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა 1936 და 1937 წლებში და გათხრები გაგრძელდა სულ სამ თვეს: ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად მცირე დრო იყო ისეთი დიდი მასშტაბისა და რთული ძეგლის შესწავლისათვის, როგორცაა დმანისის ნაქალაქარი, რომელსაც გარეუბნებითურთ 30 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს.

ძიუხედავად ამისა, ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებას მიაღწია, მან აღმოაჩინა და გამოამზეურა იმ დროისათვის სრულიად უცნობი ძეგლები და მასალები (საეკლესიო და საერო ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები, კერამიკა, ლითონის, მინის, ძვლისა და ქვის ნივთები და სხვ.), ამასთანავე ნაქალაქარისა და მისი გარეუბნების ტერიტორიაზე შერჩენილი საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრული ძეგლები დეტალურად აღნუსხა (აღწერა, აზომვა, ფოტოგადაღება, ტოპოგრაფიული აგეგმვა და სხვ.). ექსპედიციის შედეგებისა და მოპოვებული მასალების საფუძველზე საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგინა შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი⁸, ამასთან მოპოვებული მასალები იმდენად მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ დიდი და განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის საიუბილეო გამოფენაზე 1937 წ. ეს იყო აპ საინტერესო მასალის პირველი თავისებური პუბლიკაცია⁹.

დმანისის ნაქალაქარის გათხრის პარალელურად, ექსპედიციამ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, ჩატარა არქეოლოგიური ექსკურსიები დმანისის მიდამოებში მდინარეების ისპიანისა და მაშავრის ხეობებში, ნაქალაქარს ზემოთ მდინარეების ფინეზაურის, ლოქისწყლის ხეობებში, აქედან ბაშქიჩეთში (დღევანდელი რაიონული ცენტრი — დმანისი) და მის მახლობლად სოფლებში, მაშავრის ხეობის დაყოლებაზე ჩრდილოეთით — ვიდრე სოფ. ქვეშამდე, ლუკუნის მთაში, ბოლნისის ხეობაში და სხვ.

⁷ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიშვის მოამბე III, თბ., 1938.

⁸ ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერ. კულტურა“, თბ., 1938.

⁹ ავტორთა კოლექტივი, XI XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა, გამოფენის გზამკვლევი, თბ., 1953, გვ. 39—51.

ამ ექსპედიციების შედეგად აზომილი, აღწერილი და შესწავლილი იყო ზოგიერთი ტაძარი, ეკლესიები (მაგ., ბოსლების ხევში — სამების ტაძარი XIII—XIV სს.), ჰამამლუს ეკლესია და მისი წარწერები (XII ს.), უჯანგორის ეკლესია (V საუკ.) და სხვ.¹⁰.

სამი თვის განმავლობაში დმანისის ნაქალაქარის ინტენსიური გათხრისა და შესწავლის პარალელურად ასეთი დიდი მუშაობის ჩატარება, მრავალ ხეობაში არსებული სულ სხვადასხვა ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლების ფიქსაცია და შესწავლა, შესაძლებელი იყო ექსპედიციის ხელმძღვანელის თავდადებული მუშაობისა და საქმის დიდი სიყვარულის შედეგად. ეს ყოველივე მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ დიდ მუშაობაში მთავარი სიმძიმე ლ. მუსხელიშვილს აწვა.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ექსპედიციას არ გააჩნდა მანქანა და ზემოჩამოთვლილი მრავალი არქეოლოგიური ექსკურსიის დროს ექსპედიციის წევრები ცხენებით ან ფეხით მოგზაურობდნენ.

სწორედ 1937 წ. ლ. მუსხელიშვილი ერთ თავის წერილში, დმანისიდან წერდა ივ. ჯავახიშვილს: „მე ისე ვარ დატვირთული გათხრებით, რომ არამც თუ ვერ ვასწრებ შრომის წერას, რისი დიდი იმედიც მქონდა, არამედ აქამდის ვერ მომისწვრია მრავალი ადგილობრივ შესრულებული და აუცილებელი საქმის გაკეთება, როგორცაა მაგ., სომხური წარწერების წაკითხვა და სხვ. ისე, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში გახლავართ და მერწმუნეთ, რომ სავსებით განვიცდი ჩემ ხვედრ პასუხისმგებლობას“¹¹.

ასეთი დაძაბული მუშაობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ექსპედიციის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა მცირე დროში აღმოეჩინა და შეეგროვებინა სათანადო მასალები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების დახასიათებისათვის. ეს მასალები ექსპონირებული უნდა ყოფილიყო საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც 1937 წ. ბოლოს უნდა გახსნილიყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1937 წ. 3 ოქტომბერს, არქეოლოგიური ექსპედიცია დმანისში მუშაობის დამთავრებისთანავე შეუსვენებლივ გაემგზავრა გეგუთში იქ არსებული ციხე-დარბაზის გათხრა-შესწავლისათვის. გეგუთის ციხე-დარბაზის გათხრისათვის დრო მეტად მცირე იყო და, ამიტომ, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, შეძლო მხოლოდ რამდენადმე დაეზუსტებინა ქართული საერო ხუროთმოძღვრების ამ უნიკალური ძეგლის გეგმა და აშენების თარიღი.

მას შემდეგ, რაც დმანისის, აგრეთვე გეგუთის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მდიდარი მასალა დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის საიუბილეო გამოფენაზე, რომლის ერთ-ერთი სექტორის — „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (XI—XIII სს.)“, ორგანიზაციაში ივ. ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო ლ. მუსხელიშვილი, 1938 წ. მას დაეკისრა ახალი ექსპედიციის, გუდარეხის არქეოლო-

¹⁰ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგ. ექსპედიციები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 8—24.

¹¹ ნ. ჯავახიშვილი, ივ. ჯავახიშვილის ეპისტ. მეგ-დან, ეურ. „მნათობი“, № 9, 1975, წ., გვ. 169, წერილი № 26.

გიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა. ამჯერად შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა არა ნაქალაქარი, არამედ შუა საუკუნეების ნამოსახლარი — გუდარების არქიტექტურული კომპლექსი. 1938 და 1939 წწ. ოთხი თვის განმავლობაში, ჩვეული გატაცებით და ენერგიით ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი გუდარების ნამოსახლარის გათხრას. ექსპედიციამ გამოავლინა საეკლესიო და საერო ნაგებობათა მთელი კომპლექსი, აზომა და აღწერა გუდარების ეკლესია, სამრეკლო, სასახლე, საყამნოები, საჯინიბო და სხვ., გაშიფრა გუდარების წარწერები. ტოპოგრაფიულად აგეგმა მთელი ნამოსახლარი (მისი შესანიშნავი ბურჯებიანი გალავნითურთ), დაადგინა ძეგლის სტრატეგრაფია, აღმოაჩინა მეტად საინტერესო მასალები (მონეტები, კერამიკა, სამკაულები, XIII საუკ. სამეურნეო იარაღები — სანხისი, ცული და სხვ.)¹².

დასასრულად, ლ. მუსხელიშვილი უშუალოდ მონაწილე იყო არმაზისხევის ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებისა. საველე-არქეოლოგიური მუშაობის დარგში ლ. მუსხელიშვილმა მეტის გაკეთება ველარ მოასწრო, მაგრამ გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების მეცნიერულ შესწავლას.

მაგრამ ლ. მუსხელიშვილის დამსახურება საქართველოს არქეოლოგიაში ამით არ ამოიწურება. მის, როგორც არქეოლოგის, ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ისიც წარმოადგენდა, რომ მან დაგვიტოვა ვრცელი მეცნიერული ანგარიშები იმ დიდი და რთული არქეოლოგიური მუშაობისა, რომელიც მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა. მისი ანგარიშები ძველი ქართული კულტურისა და არქეოლოგიის მნიშვნელოვანი ძეგლების კერძოდ, ბოლნისის, დმანისის ნაქალაქარის, გუდარების ნასახლარის გათხრის შესახებ, პირველხარისხოვანი, მრავალპროფილიანი გამოკვლევებია. ამ ძეგლების სკრუპულოზურ არქეოლოგიურ აღწერასა და შესწავლასთან ერთად, ლ. მუსხელიშვილის ანგარიშებისათვის დამახასიათებელია ამ ძეგლებთან დაკავშირებული ისტორიული წყაროების, მათ შორის საბუთების შესწავლა, შესაბამისი მხარის ისტორიის შესწავლა და ძეგლის ისტორიული სურათის აღდგენა.

ამავე თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მისი ცნობილი ნაშრომი — „არქეოლოგიური ექსპედიციები მდ. მაშავრის ხეობაში“, რომელიც დაწერილია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1936 და 1937 წწ. დმანისისა და ნაწილობრივ ბოლნისის რაიონების სხვადასხვა ხეობაში განხორციელებული სამეცნიერო არქეოლოგიური ექსკურსიების მიერ მოპოვებული მასალებისა და გამოვლენილი ძეგლების შესწავლის საფუძველზე. ამ ექსკურსიების შედეგად მან აღმოაჩინა ადრე შუა საუკუნეების მანამდე უცნობი არქიტექტურული ძეგლები (სოფ. უკანგორის ეკლესია), V საუკ. ასომთავრული წარწერები, მათ შორის თათვარაზის ხანშეტი წარწერა სტელის ბაზაზე. სოფ. უკანგორში, იქვე V—VI სს. ქვის სტელების ფრაგმენტები, აგრეთვე სოფ. ზემო ოროზმანში, თეკენებში და სხვ. საინტერესო გამოკვლევა უძღვნა სოფ. ჰამამლუს XII საუკ. მცირე ეკლესიის წარწერებს, რომელშიაც მოხსენებულნი არიან მეფეთა მეფე

¹² ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარები, თბ., 1954, ნაშრომი თუმცა ლ. მუსხელიშვილის სიცოცხლეში მზად იყო. მაგრამ მისი გამოცემა მხოლოდ აღნაშნულ წელს განხორციელდა.

თამარი, ერისთავი კახა, ბელელაისძე ოქროპირ და კრავაი¹³. ლ. მუსხელიშვილს ქართული და სომხური ისტორიული წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე დადგენილი აქვს ზემოხსენებულ წარწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ვინაობა, აგრეთვე ეკლესიის აშენების თარიღი. იგი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ერისთავი კახა უნდა იყოს თამარ მეფის ანონიმურ ისტორიკოსთან მოხსენიებული კახა სამძივარი, რომელიც თამარმა ტაოში გაგზავნა 1190/91 წ. სარგის თმოგველთან ერთად, განდგომილი გუზანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე წარწერაში მოხსენიებული კრავაი უნდა იყოს კახა სამძივარის დედა, ზემოხსენებულ ისტორიკოსთანვე მოხსენიებული კრავაი ჯაყელი, რომელიც თამარმა 1186/7 წ. წარავლინა მეორე დიოფალ ხოშაქ ცოქალთან ერთად ყუთლუ არსლანის მომხრე დიდებულებთან მოსალაპარაკებლად და მათ დასაშოშმინებლად¹⁴.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების საკითხების შესწავლის თვალსაზრისით ლ. მუსხელიშვილის ნაშრომები „სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი“¹⁵ და „მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მეღქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან“¹⁶, რომლებშიც, ავტორი, სხვადასხვა წყაროების ანალიზის საფუძველზე, ადგენს ძეგლების აშენების თარიღს, ისტორიულ პირთა ვინაობას, აზუსტებს წარწერების წაკითხვას, გამოთქვამს ახალ მოსაზრებებს მშენებლობის ვითარებისა და ვადების შესახებ. ავტორს სამშვილდის ტაძარი დათარიღებული აქვს 759—777 წლებით, ხოლო რაც შეეხება სვეტიცხოველს, ლ. მუსხელიშვილს განსაზღვრული აქვს არა მარტო ტაძრის მშენებლობის პერიოდი 1010—1029 წ. წ., არამედ დადგენილი აქვს, რომ ტაძარი აშენებულია ხუროთმოძღვარ არსტუკიძის მიერ და უძველესი წარწერები, რომელიც ამოჭრილია 1029 წ., ეკუთვნის მეღქისედეკ კათალიკოსს. ლ. მუსხელიშვილის ზემოხსენებული დასკვნები აღიარებულია მეცნიერების მიერ.

ლ. მუსხელიშვილმა, როგორც ისტორიკოსმა, მნიშვნელოვანი კვალი გააღწია ფეოდალური საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემებისა და წყაროების შესწავლა-პუბლიკაციის დარგშიც.

XVI—XVII სს. დას. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებს ლ. მუსხელიშვილმა მიუძღვნა ორი ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს.“¹⁷. ეს პრობლემა მაშინ, 30—40-იან წლებში, სრულიად შეუსწავლელი იყო. თვით ავტორი აღნიშნავს თავის ნაშრომის მოკლე წინასიტყვაობაში, რომ „ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში თითქმის არა მოგვეპოვება რა დას. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის აღ-

¹³ ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, სსმ მოამბე X—B, 1940 წ., გვ. 23—41. აგრეთვე მისივე არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941, VI—ჰამამლუ, გვ. 52—75.

¹⁴ ლ. მუსხელიშვილი, აფ, VI—ჰამამლუ, თბ., 1941 წ., გვ. 56—8, აგრეთვე გვ. 58—75.

¹⁵ ენიშის მოამბე, XIII, 1940, გვ. 85—103.

¹⁶ ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942.

¹⁷ ენიშის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 2

ნიშნულ ხანაში¹⁸. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლ. მუსხელიშვილმა პირველმა შეისწავლა სპეციალურად დას. საქართველოს მრავალრიცხოვანი საისტორიო საბუთები და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად განსაზღვრა დას. საქართველოს გლეხთა სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები და ქვეკატეგორიები, მათი ხასიათი, მებატონესთან დამოკიდებულების ფორმები და სხვ. ავტორს იმდენად საფუძვლიანად აქვს განხილული და განსაზღვრული ზემოხსენებული საუკუნეების გლეხობის სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები, რომ მისი ძირითადი დებულებები აღნიშნულ საკითხზე გაზიარებულია ჩვენი მეცნიერების მიერ. მისი მეორე ნაშრომი შეეხება XVI—XVIII სს. დას. საქართველოში გავრცელებულ ზოგიერთ საწყაოთა ოდენობას¹⁹. ნაშრომში განხილულია დას. საქართველოში აღნიშნულ საუკუნეებში გავრცელებულ ისეთ საწყაოთა ტევადობა, როგორცაა ფოხალი, მენახევრე, მახათელა, მთელი კოკა და საპალნე. ისტორიული საბუთების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დადგენილია ამ საწყაოთა ოდენობა.

✓ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ლ. მუსხელიშვილს ქართული ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის საქმეში; მან მოამზადა და გამოსცა შუა საუკუნეების ორი ისტორიული ძეგლი — „ვაჰანის ქვაბთა განგება“ (VIII საუკ.)²⁰, რომელიც წარმოადგენს ქართული საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლს და XIII საუკ. ავტორის — აბუსერისძე ტბელის „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატრიანე“ (1233 წ. ტექსტი)²¹. ძეგლის ავტორი გვაწვდის XIII საუკ. საქართველოს შინაური ყოფა-ცხოვრების ხორცშესხმულ სურათს. ორივე ისტორიული წყარო გამოცემულია სანიმუშოდ ლექსიკონებითა და საძიებლებით.

დასასრულ, აღსანიშნავია რომ მან გერმანულიდან თარგმნა ერნსტ ჰერცფელდის პატარა ნაშრომი „კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში“²².

ლ. მუსხელიშვილი, ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, სამუზეუმო საქმის საუკეთესო მცოდნეც იყო. იგი, როგორც სწავლული მდივანი, არა მარტო ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მუშაობას, არამედ მისი ყურადღების შედეგად მრავალრიცხოვანი სამუზეუმო კოლექციები და ექსპონატები ყოველთვის სახიმუშოდ იყო მოწესრიგებული, თავის დროზე აღრიცხულია და დაცული.

მისი ხანმოკლე ცხოვრება განსაკუთრებით შინაარსიანი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. იგი ყურადღებას იპყრობდა თავისი ნიჭით, ფართო და ღრმა ცოდნით, მაღალი კულტურით, დიდი ენერგიით და გასაოცარი შრომისმოყვარეობით. მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, არქეოლოგიური მუშაობის დროს, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო დაღლილი, მაინც შეუსვენებლივ განაგრძობდა

¹⁸ იქვე, გვ. 267.

¹⁹ ლ. მუსხელიშვილი, ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დას. საქართველოში XVI—XVIII სს. სმ მოამბე, ტ. 11—B, 1941, გვ. 20—24.

²⁰ ლ. მუსხელიშვილი, „ვაჰანის ქვაბთა განგება“, თბ., 1939.

²¹ აბუსერისძე ტბელი, დასახ. ნაშრომი, ლ. მუსხელიშვილის გამოც., თბ., 1941.

²² ე. ჰერცფელდი, დასახ. ნაშრ., გერმანულიდან გადმოთარგმნილი ლ. მუსხელიშვილის მიერ, თბ., 1931.

და მუშაობას ამა თუ იმ ძეგლის შესწავლისათვის, არქეოლოგიური გათხრის პროცესში ერთი წუთითაც არ სტოვებდა საველე მუშაობას (ამასვე მკაცრად მოითხოვდა თავისი თანამშრომლებისაგან), დაუღალავად იწერდა, იხაზავდა, იხატავდა ყოველივე მნიშვნელოვანს. იგი თავს დასტრიალებდა თავის ახალგაზრდა თანამშრომლებს. წვრთნიდა და ასწავლიდა მათ საველე არქეოლოგიურ მუშაობას. ასევე დაუღალავი იყო დაწესებულებაშიც; როცა ლ. მუსხელიშვილი, თავის საწერ მაგიდასთან მჯდომი, მუშაობდა საერთო ოთახში, იგი მთელი თავისი არსებით იყო ჩაღრმავებული მუშაობაში და ამ დროს სხვა არაფერი იპყრობდა მის ყურადღებას.

ლ. მუსხელიშვილი თანამშრომლების უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი ყოველთვის სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, მზრუნველი და კეთილი იყო. ჩვენ, მის უმცროს, ახალგაზრდა თანამშრომლებს. ყოველთვის უშუალო და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა მასთან.

ლ. მუსხელიშვილი ღირსეული მოწაფე იყო ჩვენი დიდი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილისა, რომელსაც დიდად უყვარდა თავისი მოწაფე, ეს კარგად იგრძნობა ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის ზემოხსენებულ მიწერმოწერითაც.

ლ. მუსხელიშვილის პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შეხამებული ქართველი მეცნიერის, პატრიოტის, იშვიათი ადამიანისა და მოქალაქის მაღალი ღირსებები. რა გულსატკენია, რომ ასე ნაადრევად შეწყდა ამ დიდად ნიჭიერი მეცნიერის სიცოცხლე, რომელსაც ძალი შესწევდა, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა ქართული ისტორიული მეცნიერება.

3. ბერიძე

ლევან მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში

როგორც ცნობილია, ლევან მუსხელიშვილი ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო და არა ხელოვნების ისტორიკოსი, მაგრამ მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე იგი მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული ხუროთმოძღვრების მიმართ. ეს სრულიად ბუნებრივია: მისი არქეოლოგიური კვლევის საგანი ხომ სწორედ შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურის, უპირველეს ყოვლისა, მშენებლობის ძეგლები იყო. მაგრამ მაშინაც, როცა ძეგლებს გათხრა არ ესაჭიროებოდა, ლ. მუსხელიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა მათ ისტორიულ ხედვრს, მით უფრო, თუ საამისოდ შესაფერისი წარწერებიც მოიძებნებოდა. თავისი სიცოცხლის ბოლო წელს, 1941 წლის აპრილიდან 1942 წლის ზაფხულამდე, ლ. მუსხელიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორში (შემდეგდროინდელ ინსტიტუტში) განაგებდა მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებას. ასე რომ, იგი „ორგანიზაციულადაც“ დაკავშირებული იყო ჩვენი ეროვნული ხელოვნების შესწავლის საქმესთან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლევან მუსხელიშვილის ნაშრომების მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში არსებითია: მათ გარეშე დღეს შეუძლებელია ზოგი უმნიშვნელოვანესი იეგლისა და ანსამბლის ისტორიული თავგადასავლისა და მშენებლობის ცალკეულ საკითხთა გაშუქება.

ეს ნაშრომები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა. გამოკვლევები, დაკავშირებული შუა საუკუნეების ნაქალაქართა, ნამონასტრალთა და ცალკეულ ძეგლთა გათხრასთან, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით წარმოებდა. საკმარისია ამ ობიექტთა დასახელება, რომ ნათელი გახდეს ჩატარებული მუშაობის მასშტაბი და ადგილი ჩვენი ისტორიული წარსულის მეცნიერული კვლევის საქმეში: ნაქალაქარი დმანისი, ნამოსახლარ-ნამონასტრალი გუდარეხი; ბოლნისის სიონი და მისი მიდამოები; გეგუთის „ციხე-დარბაზი“ — ყველაზე მნიშვნელოვანი ძველი ქართული სამეფო სასახლეების დღემდის გადარჩენილ ნიმუშთა შორის. სამწუხაროდ, თვით ავტორი ვერ მოესწრო ყველა თავისი გამოკვლევის გამოქვეყნებას.

„გათხრები გუდარეხში განხორციელებული იყო მკაცრი მეცნიერული მოთხოვნილებების დაცვით და იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებული იყო დიდ არქეოლოგიურ წამოწყებათა, მათ შორის, წინა აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტში ჩატარებული გათხრების შედეგად, — წერდა ამ გათხრებისადმი მიძღვნილი წიგნის წინასიტყვაობაში გიორგი ჩუბინაშვილი, — საქართველოში ეს იყო პირველი ცდა შუა საუკუნეების ნაქალაქართა სისტემატური შესწავლისა“.

გუდარეხში ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა — 1938 და 1939 წლებში. განზრახული მესამე კამპანია ველარ განხორციელდა. ამიტომ ნამოსახლარის ტერიტორიის ნაწილი გაუთხრელი დარჩა. მაგრამ რაც გაითხარა, ისიც დიდად საყურადღებო იყო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლენილი იქნა საერო ნაგებობათა ნაშთები—გალაენი, საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ეს უკვე საგრძნობი შენამატი იყო შუა საუკუნეების ქართული საერო ხუროთმოძღვრების შესასწავლად — ცნობილია, რომ ამ მხრივ ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ. ამ ნაგებობათა ნაწილი თვით გუდარეხის ტაძრის თანამედროვე, ე. ი. XIII საუკუნისა, უნდა იყოს წიგნი „გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში“ გამოვიდა 1954 წელს. მისი თანაავტორები არიან ლ. მუსხელიშვილის უახლოესი თანამშრომლები გათხრების დროს შალვა ხიდაშელი და ვახტანგ ჯაფარიძე. „ანგარიში“ შეიცავს გამოვლენილ ძეგლთა დაწვრილებით აღწერას, ნახაზებს, ფოტოსურათებს (დასანანია, რომ წიგნის ფრიად მდარე პოლიგრაფიული ხარისხის გამო, ამ ფოტოსურათებს თითქმის აღარავითარი ღირებულება არ გააჩნია).

ბოლნისის სიონისა და მისი მიდამოების გათხრა-გაწმენდა დაკავშირებული იყო ფართო მასშტაბის საკვლევადობო საქმიანობასთან, რომელიც ოცდაათიან წლებში გაიშალა რუსთაველის პირველი იუბილეს მომზადებასთან დაკავშირებით. ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია 1936 წლის ზაფხულში მუშაობდა, სულ თვენახევრის განმავლობაში, შემდეგ, 1937-ში, მუშაობა გავრძელდა საკუთრივ სიონის სარესტავრაციოდ. შენობის გაწმენდის დროს აღმოჩნდა ქართული ეპიგრაფიკის უმნიშვნელოვანესი ძეგლი — სიონის სამშენებლო წარწერა, რომლის შინაარსმაც შესაძლებელი გახდა ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ძეგლის ზუსტად დათარიღება (იმავე დროს, სიონის სხვა წარწერებთან ერთად, ეს არის ყველაზე ძველი ნიმუში ქართული დამწერლობისა საქართველოს მიწა-წყალზე გადარჩენილთა შორის, იგი V ს-ის ბოლო ათეულ წლებს მიეკუთვნება). თავისთავად ცხადია, რომ ეს დიდი შენაძენი იყო ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის, მით უფრო საინტერესო, რომ მან დაადასტურა გ. ჩუბინაშვილის ნიერ მანამდე გამოთქმული მოსაზრება ბოლნისის სიონის თარიღის შესახებ, დამყარებული, ძირითადად, ძეგლის ხუროთმოძღვრულ მონაცემთა ანალიზზე.

ამ ექსპედიციის ანგარიში, რომელიც ლ. მუსხელიშვილმა 1938 წელს გამოაქვეყნა (ენიძიკის შოამბე, ტ. III, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი, გვ. 311—382), არ იფარგლება მხოლოდ ამ წარწერისა და თვით სიონის დაწვრილებითი განხილვით. მასში ძალიან ბევრი ახალი ფაქტია გამომხეურებული ბოლნისის რაიონის ნივთიერი კულტურის შესახებ: აღწერა ძველი

ხიდებისა (მაშავერის ხიდი გოჩულუსთან, ე. წ. „იდ-კერპი“ ფოლადაურზე, „ახ-კერპი“), ეკლესიებისა, განათხარი ნივთებისა, ცნობები იმ კუთხის მოსახლეობის შესახებ და სხვა. რუსთაველის იუბილეს სამზადისთან იყო დაკავშირებული დ მ ა ნ ის ის ნაქალაქარის გათხრაც 1936 და 1937 წლებში (მაშინ გათხრა არ დამთავრებულა, იგი უფრო გვიან ვაგრძელდა). ექსპედიციაში არქეოლოგების, სუროთმოდვრების, ფოტოგრაფების, ტოპოგრაფების დიდი ჯგუფი მონაწილეობდა. საერთო ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი იყო, კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი, ხოლო უშუალოდ გათხრებს ადგილზე წარმართავდა ლ. მუსხელიშვილი, რომელმაც 1938 წელს გამოაქვეყნა კიდევ ვრცელი და შინაარსიანი ნაშრომი, მიძღვნილი გათხრების შედეგებისადმი: „დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა“ (კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 319—448). აქ მკითხველი უამრავ საინტერესო ცნობას ნახავს შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მოზრდილი, აქტიური ქალაქის ისტორიული ბედ-იღბლის შესახებ, მის ცალკეულ საერო და საეკლესიო ძეგლთა, წარწერათა, განათხარ ნივთთა შესახებ. ნარკვევი ცოცხლად წარმოგვიდგენს ჩვენი ეროვნული წარსულის ერთ საყურადღებო მონაკვეთს და მრავალი ახალი ფაქტობრივი მონაცემით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ხუროთმოდვრების შესახებ. ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ცდა (ისევე, როგორც გუდარებში) შუა საუკუნეების ქართული ქალაქის (აწ უკვე მკვდარის, ნანგრევებად ქცეულის) მზის სინათლეზე ამოტანისა, ცდა, რომელმაც, უეჭველია, ბიძგი მისცა შემდგომ მუშაობას ამ მიმართულებით. ბ. გა მო კ ვ ლ ე ვ ე ბ ი ხ უ რ თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს ძ ე გ ლ თ ა ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო წ ა რ წ ე რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ლევან მუსხელიშვილმა საბოლოოდ დაათარიდა ქართული ხუროთმოდვრების ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — სამშვილდის სიონი და მცხეთის სვეტიცხოველი.

ს ა მ შ ვ ი ლ დ ის სიონი ქართული ხუროთმოდვრების ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ერთი უმთავრესი ძეგლთაგანია. თუმცა დროთა განმავლობაში იგი ძლიერ დაზიანდა (დარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის კედელი და მისი მიმდებარე ზოგი ნაწილი), მაინც აშკარაა, რომ ეს გრანდიოზული, მხატვრულად გააზრებული და თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ძეგლია. მაგრამ ლ. მუსხელიშვილამდე მისი თარიღი, არსებითად, მაინც „ჰაერში ეკიდა“. თუმცა მას შეერჩენილი აქვს გრძელი სამშენებლო წარწერა, რომელშიაც ისტორიული პირები არიან მოხსენიებულნი. უცნაურად შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ საქმეს სწორედ ეს წარწერა ართულებდა. ბროსემ იგი 1313 წელს მიაკუთვნა. ე. თაყაიშვილმა მიიჩნია, რომ ტექსტში მოხსენიებულნი არიან აფხაზთა მეფეები კონსტანტინე და ლეონი და, ამის მიხედვით, წარწერა 958 წლით დაათარიდა. ლევან მუსხელიშვილმა კი, მკაცრი და ლოგიკური მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე, დაამტკიცა, რომ ნამდვილად წარწერა იხსენიებს ბიზანტიის იმპერატორებს კონსტანტინე V კოპრონიმესა და ლეონ IV ხაზარს. მკვლევარმა მტკიცედ და ურყევად დაათარიდა ეს ძეგლი VIII საუკ. და ამით დიდად გაამდიდრა „გარდამავალი ხანის“ ქართული ხუროთმოდვრების სურათი. სურათი კი მრავალმხრივ საინტერესო გამოდის: ამოდენა ძეგლი შენდება თბილისიდან არც ისე შორს, მაშინ, როდესაც დედაქალაქში არაბები სხედან. მშენებლები წარწერაში

იხსენიებენ, თითქოს არაბ დამპყრობთა „ჯიბრზე“ (და ეს ფსიქოლოგიურადაც სავსებით გასაგებია) ერთმორწმუნე ძლიერი იმპერიის ხელმწიფეებს, თუმცა სხვა დროსა და სხვა ვითარებაში ქართველებს ბიზანტიელებთან შეჯახება და შეპირისპირებაც არა ერთხელ უხდებოდათ.

ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ლ ი ს დათარიღებასაც თავისი ისტორია აქვს. წინათ, რევოლუციამდელ ლიტერატურაში, სვეტიცხოვლის თარიღად შეიძლება შევხვდეთ V საუკუნესაც, XI-საც და XV-საც (ამპლიტუდა ათასი წელი იყო!). ერთნი მას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებდნენ, მეორენი (მათ შორის, თვით გამოჩენილი რუსი ხელოვნების ისტორიკოსი ნიკოდიმე კონდაკოვიც) — ალექსანდრე I-სას (ნამდვილად მის დროს აღადგინეს თემურ-ლენგის შემოსევათა დროს დაზიანებული შენობა). ჩვენ დროსაც კარგა ხანს აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგი ავტორი ძეგლს X საუკუნეს მიაკუთვნებდა წერილობითი საბუთების საფუძველზე, ზოგი — XI-ს, დასახელებული იყო თარიღიც — 1020 წელი. გ. ჩუბინაშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში „ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი, მთავარი კათედრალი“ (1925 წ.), ძეგლის ანალიზის საფუძველზე „სვეტიცხოველს საბოლოოდ მიუჩინა ადგილი XI ს-ის I ნახევარში (თუმცა მანვე აღნიშნა, რომ ახლანდელ შენობაში უფრო ძველი ნაწილებიც არის ჩართული). ნ. ბერძენიშვილმა თავის გამოკვლევაში „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა“ (1931 წ.) დიდად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა იმ წერილობითისაბუთის შესახებ, რომელიც მელქისედეკ კათალიკოსის მიერ ტაძრის მეორედ აღშენებას შეეხება — მისი ნაშრომიც ადასტურებს, რომ ახლანდელი ძეგლის თარიღი XI-ს-ის პირველი ნახევარია, მაგრამ საბოლოო დასკვნა ქართული ხელოვნების ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ძეგლის მცხეთის საკატრიარქო ტაძრის, ქართული ქრისტიანობის ცენტრის, ზუსტი თარიღის შესახებ სწორედ ლევან მუსხელიშვილმა გამოიტანა. მისი გამოკვლევის შედეგად დღეს ეს თარიღი — 1010 — 1029 წლები — უკვე საბოლოოდ არის აღიარებული. მისივე დასახურებაა სვეტიცხოვლის ამშენებლის, ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ხუროთმოძღვრის, სახელის სწორი წაკითხვის დადგენაც: ეს სახელია არსუკისძე (იხ. ნარკვევი „მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან“: „ქართული ხელოვნება“, ტ. I., თბ., 1942, გვ. 133 — 142.). გ. გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ა ძ ვ ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ს ა, რ ო მ ლ ე ბ ი ც შ ე ი ც ა ვ ს ც ნ ო ბ ე ბ ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. აქ ო რ ი ნ ა შ რ ო მ ი ა მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ი: ე რ თ ი ა „ ვ ა ჰ ა ნ ი ს ქ უ ა ბ თ ა გ ა ნ გ ე ბ ა “ (ტექსტი გამოკვლევითურთ), განსაკუთრებით კი „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე“ (თბ., 1941) — აქაც ტბელ აბუსერისძის ტექსტის პუბლიკაცია და გამოკვლევაა. გამოკვლევა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო ბევრ სხვადასხვა საკითხს ეხება. მაგრამ ჩვენი — ხელოვნების ისტორიკოსების — თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ტექსტი შეიცავს ბევრ სამშენებლო ტერმინს და ცოცხლად გვიხატავს შუა საუკუნეების საქართველოში მშენებლობის წარმოების პროცესს. ეს ცნობები კი მით უფრო ძვირფასია, რომ ანალოგიურ ცნობებს სხვა წყაროებში იშვიათად თუ შევხვდებით. დ. ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი ხ უ რ ო თ შ ო ძ ღ ვ რ უ ლ ძ ე გ ლ თ ა შესახებ. მის მიერ დათვალიერებული ძეგლების აღწერა და ისტორიული ცნობები მათ შესახებ, როგორც აღვნიშნეთ,

ლ. მუსხელიშვილის ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებშიაც გვხვდება. მაგრამ მას აქვს ცალკე წიგნიც, რომელიც ძირითადად ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ეხება „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში“ (თბ., 1941). ეს წიგნიც დაკავშირებულია ავტორის ექსპედიციებთან ქვემო ქართლში, ისტორიული სიძველეებით განსაკუთრებით მდიდარ, მაგრამ ისტორიულივე უკუღმართობით არაერთხელ გაპარტახებულ კუთხეში, რომელიც მას მუდამ იზიდავდა, რომლის ბედიც მუდამ აღელვებდა. წიგნში ძეგლები წარმოდგენილია მარშრუტების მიხედვით, მოცემულია მათი აღწერა, წარწერათა გაშიფრვა და ინტერპრეტაცია, არის ანაზომების ნახაზები, ფოტოგრაფიები. ლ. მუსხელიშვილი ერთი იმ იშვიათი ისტორიკოსთაგანი იყო, რომელნიც ძეგლებს განახილავენ არა მარტო, როგორც „საისტორიო მასალას“, არამედ მათი მხატვრული თავისებურებისა და ავტარგიანობის დანახვაც შეუძლიათ. ამიტომ არის, რომ მის მიერ მოწოდებული მასალა ყოველთვის ამდიდრებს ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიის ფონდსაც. ამ წიგნში მან გაგვაცნო რამდენიმე, მანამდის შეუსწავლელი (და უცნობიც!) ძეგლი და მოგვცა მათი დახასიათებაც. ეს ძეგლებია უკანგორის ეკლესიები, რომლებიც მან აღრეულ შუა საუკუნეების ხანას მიაკუთვნა, აბელბუვას, კიანეთის, დავით—საგარეჯოს, ტნუის თეკენების, ჰამამლეს, ბოსლუბას სამების ეკლესიები და სხვა... ეს უკანასკნელი მან, თვით ძეგლას არქიტექტურისა და მორთულობის მიხედვით, სამართლიანად დაათარიღა XIII ს-ის პირველი ნახევრით.

მე მგონია, რაც ზემოთ ვთქვით, საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორი არსებითია ლევან მუსხელიშვილის წვლილი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში: ა. ლევან მუსხელიშვილი იყო პიონერი ძველი ქართული ნაქალაქარების არქეოლოგიური გათხრებისა, მან პირველმა დაგვანახა, რას წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქართული ქალაქები, თუმცა ამ მხრივ ძირითადი სამუშაო ჯერ კიდევ მომავლის საქმეა — მის მიერ მტკიცედ დაფუძნებულ კვლევას სათანადო გაგრძელება ესაჭიროება; ბ. ლევან მუსხელიშვილმა, ისტორიული ტექსტების გამოქვეყნებით, ბევრი საინტერესო რამ შეგვიძინა ძველი ქართული სამშენებლო ტერმინებისა და სამშენებლო საქმის გასაცნობად; გ. მან სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა „შემოიტანა“ მანამდის უცნობი ძეგლები; დ. მან მეცნიერულად დაასაბუთა უმნიშვნელოვანესი ძეგლების თარიღი, რითაც აგრეთვე დიდი სამსახური გაუწია ქართულ ხელოვნებათმეცნიერებას.

ლევან მუსხელიშვილი რაფინირებული კულტურის, მტკიცე პრინციპებისა და მაღალი იდეალების ადამიანი იყო. საქმისათვის თავდადებული, თავისთვის კი არაფრის მომთხოვნი. მას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და ბევრი რამ შესძინა კიდევ მისი წარსულის მეცნიერულად გაშუქების საქმეს. ქართველ ისტორიკოსებთან და არქეოლოგებთან ერთად, ქართული ხელოვნების ისტორიკოსებიც მუდამ მადლობისა და მოწიწების გრძნობით იხსენიებენ ამ ნათელ პიროვნებას — მეცნიერს, პატრიოტსა და მოქალაქეს.

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

ბ. გოჯალიოვილი

მცირე მოგონება ლევან მუსხელიოვილზე

ლევან (ლენკო, როგორც ჩვენ მას ჩვეულებრივ ვეძახდით) მუსხელიოვილს დავუახლოვდი უნივერსიტეტში ბატონ ივანე ჯავახიშვილთან საქართველოს ისტორიის სპეციალურ სემინარში მუშაობის დროს. ჩემი ყურადღება უმაღლესი მიზნით მისმა კულტურულმა, თავმდაბლურმა ქცევამ. მანაც, თურმე კარგი თვალთ შექმნებდა და ჩვენ ადვილად დავმეგობრდით. ხშირად დავიარებოდით ერთმეორესთან და ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენს შეხედულებებს მეცნიერულ პრობლემებზე.

იგი ფიზიკურად სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ბ-ნ ივანეს. ერთხელ სემინარზე ბ-ნმა ივანემ ჩემგან გაიგო, რომ ლენკო ავად იყო და მოსურვა იგი მასთან წამეყვანა, რაც უდიდესი სიამოვნებით შევასრულე. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ვნახე ბ-ნი ივანე ლენკოსთან სახაზავად მისული.

მალე მე და ლენკოს ერთად მოგვიხდა მუშაობა... თუმცა ცოტა ხნით. ბ-ნ ივანესა და ბ-ნ გიორგი ჩუბინაშვილის ინიციატივით მაშინ მჭიდრო კულტურული თანამშრომლობა იყო დამყარებული გერმანიის კულტურის მუშაკთა წრეებთან, რის შედეგადაც დაიდო სპეციალური ხელშეკრულება ნოქალაქევეში არქეოლოგიური გათხრების თაობაზე. ამის განსახორციელებლად, 1930 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა არქეოლოგი ა. მ. შნაიდერი. მასთან ერთად უნდა გვემუშავა ნოქალაქევეში მე და ლენკოს, მაგრამ სწორედ გამგზავრების წინა დღეებში ლენკო ავად გახდა. შემდეგში ბრმა ნაწლავის ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა და გვიანდა ჩამოვიდა ნოქალაქევეში. იქ მუშაობა ჭირდა რელიეფური პირობების გამო და ამიტომ ლენკოს დაბლობ უბანზე მიენდო სამუშაო.

მთელი დღის ნამუშევარს საღამოთი ვაჯამებდით და ვაფასებდით... შნაიდერი დასავლეთელ მეცნიერთა კვალობაზე, ყველაფერს განიხილავდა, როგორც გარედან შემოტანილს. მე კი სულ იმას ვუმტკიცებდი, რომ ბევრი რამ ადგილობრივი იყო და ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. ლენკოს ჩამოსვლამ ჩემი პოზიცია გაამაგრა და მომეშველა ა. შნაიდერთან დისკუსიაში, რასაც, რასაკვირველია, სრულიად კორექტული და აკადემიური ხასიათი ჰქონდა.

1931 წლის 9 იანვარს ნოქალაქევის მოსახლეობისათვის წავიკითხე მოხსენება ჩვენ მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ... მრავალი შეკითხვა მომცეს. იქ, სხვათა შორის, ერთ-ერთმა დამსწრემ მასწავლებელმა აკაკი ბარკალაიამ მაც-

ნობა, რომ გეგეჭკორის რაიონში სოფ. კიწიაში არის გრძელი ბუნებრივი გამოქვაბული, სადაც სხვადასხვა ნივთებს პოულობენ ხოლმეო. ჩვენ გადავწყვიტეთ მისი ნახვა. 12 იანვარს ნოქალაქევის საბჭოს თავმჯდომარემ გამოგვიგზავნა ოთხი ცხენი და მე, ა. შნაიდერი, ლენკო და აკაკი ბარკალაია გავემგზავრეთ ჩხოროწყუსაკენ. მეტწილად მთა-მთა სიარული მოგვიხდა... შნაიდერი თავის სიცოცხლეში ცხენზე არა მჯდარა, მე კი ქიზიყში შეჩვეული ვიყავი ცხენზე ჯდომას და ძალიანაც მეხალისებოდა. ა. შნაიდერს გვერდით მივდედით, რომ არაფერი შემთხვეოდა. ლენკო და აკაკი ჩვენს უკან მოდიოდნენ. ლენკოს ოხუნჯობა უყვარდა... ჩემს ცხენს ერთი ორჯერ გადმოჰკრა მათრახი, მაგრამ მე ალვირი მაგრად მეჭირა. კიდევ რომ გაიმეორა, მაშინ მივუშვი და ჩემმა ცხენმა მოჰკურცხლა, მას სწვებმაც მიჰბაძეს... შეიქმნა ყვირილი, გიორგი გაჩერდი!... უკან მივიხედე, ა. შნაიდერი სასაცილოდ ხტოდა უნავირზე. შემეშინდა მარცხისა, ცხენი ფიცხლავ მოვატრიალე. ასეთი შემთხვევა აღარ განმეორებულა.

სალამო ჟამს მივალწიეთ სოფ. დოშაკს და ჩვენმა გამყოლმა აკაკიმ მიგვიყვანა ღამის გასათევად მასწავლებელ მარო ჟვანიას ბინაში, სადაც მატერიალური ხელმოკლეობა იგრძნობოდა, მაგრამ ყველაფერს კულტურული იერი ჰქონდა, რამაც ა. შნაიდერის გაოცება გამოიწვია.

მეორე დღეს მოვინახულეთ გვირაბი, რომელიც სავსე იყო მხატვრული სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით, მაგრამ სიღრმეში ვერ შევალწიეთ, საჭირო ღელსაწყობის უქონლობის გამო.

ნოქალაქევეში რომ დავბრუნდით, ჩვენს დოშაკელ მასპინძლებს მადლობის ნიშნად აკაკი ბარკალაიას საშუალებით უხვად გავუგზავნეთ სამრეწველო საქონელი, რაც ადგილობრივ არ იშოვებოდა. ამის შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენილვართ ნოქალაქევეში, რადგან ა. შნაიდერი უნდა წასულიყო გერმანიაში, სათანადო ორგანოებისათვის რომ მოეხსენებინა შესრულებული მუშაობის ანგარიში.

მე და ლენკო, განათლების კომისარიატის განკარგულებით, ჩავვრცხეს საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებად და დაგვევალა, გაგვევლო ასპირანტურის კურსი არქეოლოგიის განხრით. ხელმძღვანელებად დავვინიშნეს ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც საქართველოს ისტორიაში გვწევრთნიდა და ბ-ნი გიორგი ჩუბინაშვილი. იგი ქართული ხელოვნების ისტორიას გვიკითხავდა, ხოლო ცნობილი არქეოლოგი ბორის კუფტინი არქეოლოგიაში გვამეცადინებდა.

ჩვენი აქ მუშაობის შედეგი მარტო ის კი არ იყო, რომ ჩვენ არქეოლოგიის დარგში საკმაო ცოდნა და გამოცდილება შევიძინეთ, არამედ ისიც, რომ არქეოლოგიურ კოლექციებზე მუშაობის დროს, ხელს ვუწყობდით მომავალ არქეოლოგიურ გამოფენას და მის მომზადებაშიც ჩვენი წვლილი შევიტანეთ. გარდა ამისა, შეიქმნა შესაძლებლობა წარმატებით განვითარებულიყო ჩვენში არქეოლოგიური მეცნიერება და მომზადებულიყო ახალი კვალიფიციური კადრები. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მალე განხორციელდა საქართველოში პირველი დისერტაციის დაცვა არქეოლოგიური მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტანტი იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ანდრია აფაქიძე, ოპონენტი კი — დოცენტი გიორგი გოზალიშვილი.

სხვათა შორის, ჯერ ისევ ნოქალაქევეში ყოფნის დროს ა. შნაიდერმა მიიღო გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტიდან ოფიციალური მიმართვა, რომელიც

მას ავალეზდა, მე და ლენკო დავეთანხმებინეთ, რომ გავმხდარიყავით ამ ინსტიტუტის თანამშრომლები, ხოლო 1932 წელს მუზეუმში მოვიდა ოფიციალური წინადადება, გვთავაზობდნენ მონაწილეობა მიგველო არქეოლოგიურ ექსპედიციაში (გერმანელ მეცნიერებთან ერთად), რომელიც მიემგზავრებოდა აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, მაშინდელ სიტუაციაში ამის განხორციელება შეუძლებელი იყო.

1933 წლის დამდეგს, სამწუხაროდ, მე იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა საქართველოს მუზეუმი და უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანატში დავიწყე მუშაობა. ამით შეწყდა ჩემი და ლენკოს ერთად მუშაობა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ლენკო მუსხელიშვილი 1936 წლის ზაფხულში გავიცანი, როდესაც მოულოდნელად ჩვენს საპროექტო სახელოსნოში მოვიდა და შემომთავაზა, მონაწილეობა მიმეღო ბოლნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. რასაკვირველია, სიამოვნებით დავთანხმდი. ამის შემდეგ თითქმის ყველა ექსპედიციის მონაწილე ვიყავი, რომელსაც კი ლენკო ხელმძღვანელობდა. აქედან მოყოლებული საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს შორის არ შეწყვეტილა.

ბოლნისის სიონი, ქართული ხელოვნების ეს უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლი, პირველი საპასუხისმგებლო სამუშაო იყო როგორც ჩემთვის, ისევე, თუ არ ვცდები, ექსპედიციაში მონაწილე დანარჩენი წევრებისთვისაც და, ვგონებ, ჩვენი ხელმძღვანელისთვისაც. რასაკვირველია, გამოცდილება არ გვქონდა, მაგრამ მონდომება და ენთუზიაზმი არ გვაკლდა. არც ერთი ჩვენთაგანი არ იშურებდა ძალ-ღონეს დაკისრებული სამუშაოს პირნათლად შესასრულებლად, მით უფრო, რომ, ლენკოს გარდა, ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის და ბ-ნ გიორგი ჩუბინაშვილის სახით არ გვაკლდა ყურადღება. მათი ყოველი მოსვლა ახალ ენერგიას გვმატებდა, უფრო მეტად გვახალისებდა.

ლენკო არაჩვეულებრივად მომთხოვნი იყო ყველას მიმართ და, უპირველეს ყოვლისა, თავისთავისადმი. თვითონაც გატაცებით, უდიდესი ყურადღებით, სიფრთხილით და მოთმინებით მუშაობდა და ამასვე ასწავლიდა და მოითხოვდა ყველასაგან. ასწავლიდა დამოუკიდებელ მუშაობას, რათა ყველას შესძლებოდა თავიდან ბოლომდე გასძლოლოდა საქმეს. პირველადი დამუშავება ექსპედიციის პირობებში უნდა გაკეთებულიყო. ვადადება მეორე დღისათვის, სამგერმისოდ, არ შეიძლებოდა. ლენკოს პირადმა მაგალითმა და მომთხოვნელობამ თავისი ნაყოფი გამოიღო კიდევ და, უმრავლესი მათგანი შემდეგში დამოუკიდებლად განაგრძობდა საქმიანობას. პირადად მე, მიუხედავად გამოუცდელიობისა, სრული დამოუკიდებლობა მქონდა. საექსპედიციო პერიოდი საშუალებას მაძლევდა, ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად ამეზომა და დილიდან საღამომდე სიამოვნებით ვმუშაობდი.

ლენკოს თუ რაიმე მისთვის არასპეციალური საკითხი აინტერესებდა, არასოდეს არ მოერიდებოდა ეკითხა, გაერკვია ან ესწავლა კიდევ მასზე უმცროსისაგან და ეს უფრო გვაახლოვებდა მასთან, უფრო უწყობდა ხელს ჩვენს მეგობრობას. იგი ყველასადმი ნდობით იყო განწყობილი, მაგრამ თუ ნდობას არ გაამართლებდა ვინმე, არავის აპატიებდა საქმისადმი უგულო, ზერელე დამოკიდებულებას, და უწესო მომუშავე იძულებული ხდებოდა გამოსთხოვებოდა ჩვენს კოლექტივს (ასეთი შემთხვევები ერთი-ორი თუ იყო, იმდენად ძლიერი იყო ლენკოს მაგალითის ზეგავლენა ყველაზე). სამუშაოს გარეშე ლენკო, რო-

გორც ყველა ჩვენთაგანი, მონაწილეობას იღებდა საყოფაცხოვრებო საქმიანობაში და არავითარ შემთხვევაში არ აირიდებდა თავიდან, რაც უნდა ბევრი გვეთხოვა. დასვენების დროს კი, როდესაც შევიკრიბებოდით მაგიდასთან, განსაკუთრებით გუდარეხში, შუაღამოს რომ შემოვუსხდებოდით მუხის ძირას, ვიგონებდით თავგადასავლებს, ვხუმრობდით თუ ვმღეროდით, იგი ჩვენი თანატოლი ხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუსიკალური ნაწილის წამომწყები დათიკო კაპანაძე იყო, რომელმაც თავისი დაუდგრომელი, ცოცხალი ხასიათით მეტი სიხალისე შემოიტანა კოლექტივში. ლენკოს უყვარდა ხუმრობა, ზოგჯერ მწარეც, მაგრამ დაუმსახურებლად თუ აწყენინებდა ვინმეს, აუცილებლად ბოდიშს მოიხდიდა. ქალთა წარმომადგენლებს დიდი პატივისცემით გვეპყრობოდა, ანგარიშს გვიწევდა. სადილად თუ ღვინოც იყო, ირა ჯაფარიძეს და მე გვეხუმრებოდა, „დალიეთ, თორემ სულ ერთია, გადაგახდევინებთო“. გულიანად იცინოდა, როდესაც ქალებს გაგვაცურებდნენ. მაგალითად. დმანისში მეორე კამპანიის დროს ბევრი ვიყავით, ამიტომ ორ მეზობელ სახლში ვცხოვრობდით. ბინაში, სადაც მამაკაცები იყვნენ, პურობაც იქ გვქონდა. ქალებს — ირა ჯაფარიძეს, რუდა მეფისაშვილს და მე, მეორე სახლში გვქონდა ოთახი. აქ საღამოობით დღის განმავლობაში ნამუშევარს ვამოწმებდით და აქვე ვიძინებდით. როგორღაც თავისუფალ დროს ყველამ ბევრი მაყვალი დავკრიფეთ, მურაბა მოვსარშეთ, რასაკვირველია, ყველასათვის, საერთო ბინაში დავტოვეთ და გადავავიწყდა კიდეც. ერთ საღამოს სადილის შემდეგ ჩვენს ოთახში რომ შევედი, გამოირკვა, რომ ნახაზები ქვემოთ დავგვიწყებოდა. გავიქეციტ ამოსატანად და რას ვხედავთ: მაგიდაზე მურაბის ქილა დგას, გარს შემოსხდომიან ჩვენი ვაჟკაცები, მათლაფებზე დაუსხამთ და სუფრის კოვზებით, ლობიოს შეჭამანდივით მიირთმევენ (თურმე ჩვენი წამოსვლის შემდეგ ყოველდღე ასე შეექცეოდნენ და თან ჩვენზე ხუმრობდნენ, როგორ დავგტოვებდნენ უმურაბოდ). ამის დანახვაზე ერთი ამბავი ავტეხეთ, ჩვენ წილად ერთი ქილა წამოვიღეთ და ჩვენც ბევრი ვიციინეთ, რომ არ დავაცადეთ მურაბა მთლიანად უჩვენოდ გამოეთავებიანთ.

რასაკვირველია, სამუშაოს ხასიათი და პირობებიც ერთნაირი არ იყო. ყოველ ექსპედიციას თავისი სპეციფიკა ახასიათებდა. იცვლებოდნენ ან გვემატებოდნენ ახალი წევრები, მაგრამ ლენკო თავდაუზოგავი შრომით ყველასათვის მაგალითი იყო და მეგობრული ჯანსაღი საქმიანი დამოკიდებულება გვაკავშირებდა ყველას ერთმანეთთან.

ბავშვით გაიხარებდა, აღტაცებას ვერ ფარავდა, როდესაც რაიმე ახალი, საინტერესო აღმოჩნდებოდა, იყო ეს ბოლნისის ჩრდილო სტოას პილასტრების მოჩუქურთმებული ბაზები, ფირუზისფრად რომ აფერადდნენ საუკუნოვანი მიწის ფენის მოცილების შემდეგ, გუდარეხის საცხოვრებელი ნაგებობანი, დმანისის აბანო თუ მცირე ზომის საკრაქე, მოჭიქული აგური, სამაჯურის ნატეხი თუ სხვა რამ.

ზოგჯერ თითქოს პირქუში იყო, არ უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ უფრო მაშინ, როდესაც ვერ გრძნობდა თავს კარგად და ცდილობდა, არ შეგვემჩნია თუ რამ აწუხებდა. თუ ვთხოვდით გაფრთხილებულიყო, გაჯავრდებოდა კიდეც და უთქვამს ჩემთვის, „მე ისეთი ნებისყოფა მაქვს, რომ ჩემი ავადმყოფობა ვერ დამჯაბნის, ვერ მომერევაო“.

ე. წ. დასვენების დღეებში, ხშირად ახლომახლო და ხან კარგად დაცილებული ძეგლების დასათვალიერებლად მივდიოდით ყველა ერთად ან ჯგუფ-ჯგუფად. ვეცნობოდით ახალ ძეგლებს, ავზომავდით, აღვწერდით. თუ რომელიმე საინტერესო ძეგლს ლენკო უჩვენოდ ნახავდა, ჩვენც უნდა გვენახა.

საექსპედიციო პირობები მომეტებულად „რომანტიკული“ იყო, როგორც ახლა უწოდებენ, — კარვები, ტყეში ცხოვრება, ხან უგზო-უკვლოდ ხეტიალი ცხენით თუ ქვეითად. ლენკო, თითქოს დაუღლეელი, ყოველთვის აღტაცებული და კმაყოფილი იყო ნანახით, ბუნების სიმშვენიერით, მეტადრე მაშინ, როდესაც 5—6 ცხენოსანი კლდოვანი ქარაფებით მთვარიან ლამეში ზღაპრული ბილიკებით, დაღლილობის მიუხედავად, სიმღერით ვბრუნდებოდით ჩვენს დროებით კერასთან. ეს მოგზაურობანი, განსაკუთრებით, მთვარიანი ლამის შუქ-ჩრდილში, მართლაც ზღაპრულ ქვეყანას გვაგონებდა, შორეულ წარსულში გადავყავდით. ლენკო სათანადო ისტორიულ ამბებს იხსენებდა. ჩვენც სამშობლოს დამცველებად წარმოვიდგენდით თავს და უზომოდ კმაყოფილნი, აღფრთოვანებულნი ნანახით, „გამარჯვებულნი“, ცხენების თქარათქურთან ერთად ომახიანი სიმღერით ვარღვევდით ლამის სიჩუმეს და მივიკვლევდით გზას ჩვენი „ციხე-სამაგრისაკენ“.

არ შეიძლება დავივიწყო 1936 წ. აგვისტოს ბოლნისიდან ჰუჯაბში წასვლა. ბ-ნი გ. ჩუბინაშვილი და ბ-ნი ირ. სონღულაშვილი გვეწვივნენ და მეორე დღეს დილაადრიან ცხენებით ჰუჯაბში გავემგზავრეთ (ჩვენი სტუმრები, ლენკო, სტეფანე მენთეშაშვილი, იგორ გილგენდორფი, მე და ჩვენი მეგზური ჩათახელი მაცხოვრებელი). ბილიკი ტყე-ტყე მიიკლაკნებოდა. რამდენჯერმე მდინარეზე უნდა გადავსულიყავ-გადმოვსულიყავით. წყალი საკმაოდ ღრმა იყო და გასვლისას ყველა უნაგირზე ამოვიკეცავდით ხოლმე ფეხებს. მივიდით თუ არა, შევუდექით მუშაობას. ყველა ვჩქარობდით, რომ რაც შეიძლება მეტი მოგვესწრო, რადგან საღამოს უკან უნდა დავბრუნებულიყავით. კარგად დავიღალეთ, ცოტა შევნაყრდით და უკან გამოვწიეთ. ლენკომ შემოჰკრა მათრახი თავის ცხენს და გააჰქენა, მეც აღარ დავაყოვნე, სხვებიც უკან მოგვეყენე. ცხენების თქარათქურზე სოფელი გზაზე გამოეფინა — ხომ არ შემოგვესივნენო?! ჩყეს რომ მივალწიეთ, დავვიღამდა. მთვარიანი ლამე იყო, მაგრამ აქა-იქ თუ სწვდებოდა მთვარის შუქი. ბ-ნი გიორგი და ბ-ნი იროდიონი დაღლილობისაგან წყალში გასვლისას ფეხს უნაგირზე აღარ სწევდნენ და კარგად დასველდნენ. ერთ ბნელ მოსახვევში ჩვენს გამყოლს (რომელიც ძალიან გამხდარი და ძალიან მაღალი იყო), ცხენი წაექცა. ძლივს წამოაყენეს ცხენიც და მხედარიც. როგორც გაირკვა, ამ ცხენს დაღლილობისას დაწოლა სჩვეოდა; კარგია, არაფერი არ დაუშავდა არც ერთს. ერთი სიტყვით, თავგადასავლებით მივალწიეთ ჩათახს. აქ ჩვენმა მეგზურმა მასპინძლობა გავვიწია, ცოტა დაგვასვენა და გვიან შუალამისას მივიდით ბოლნისში. მე და იგორი ყველაზე ახალგაზრდები ვიყავით. ჩათახიდან ქენებით მივიჭერით ბოლნისში (აქ უფრო ფართო და მთვარით გაჩახჩახებული იყო გზა) და დიდხანს დაგვირდა ცდა, ვიდრე დანარჩენები მოვიდოდნენ. ისინი ძალიან დაღლილიყვნენ და დინჯად მოდიოდნენ. მეორე დღეს, ჩვენი სტუმრები თბილისში გავისტუმრეთ და ჩვენ საქმიანობას შევუდექით. ლენკო, დაღლილობის გარდა, ცოტა გაციებულიყო კიდევ, წამალს სვამდა, მაგრამ არ გაჩერებულა, მუშაობდა და ცდილობდა, არ შეგვემჩინა, თუ რამე აწუხებდა.

არ შემიძლია დავივიწყო 1936 წ. 22 აგვისტოს ბოლნისიდან დმანისში გადასვლა ფეხით. წინ მიმავალ პატარა, მოჭრიალე ურემს მივდევი და გზა და გზა ტყეში გაფანტულ ნასოფლარებს, ნასახლარებს, ტაძრების და მცირე ეკლესიების ნანგრევებს ვაწყდებოდით. კარგა ხანს შევჩერდით მზით გაკაშკაშებულ კაზრეთის თეთრ ტაძართან, რომლის კარ-სარკმელთა მოჩუქურთმებულ ჩარჩოებს ხის ფოთოლთა ჩრდილები დასთამაშებდნენ. ლენკო გულისტკივილით გვიამბობდა ისტორიული ქარცეცხლის შედეგად გაუკაცრიელებულ, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ საქართველოს ამ კუთხის შესახებ და გული გვეკუმშებოდა.

არ დაძავიწყდება 1938 წ. 14 აგვისტოს სამშვილდედან პირღებულში წასვლა ზაფხულის ცხელ დღეს. მთელი დღის განმავლობაში, ვიდრე გვიან საღამოს უკან არ დავბრუნდით, წყალი არ გვინახავს, ყველა წყარო დამშრალიყო. ლენკო ვერ ფარავდა აღტაცებას, განცვიფრებას, პატივისცემას ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილისადმი, რომელმაც ჩვენზე ბევრად ადრე შესძლო თავისი ავადმყოფი ფეხით ამ ქარაუების დაძლევა. ბევრი რამ არის მოსაგონარი, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

სამამულო ომის დაწყებისას 1941 წელს მუშაობა დავიწყე მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში. ხშირად ვხვდებოდი ლენკოს. მას აინტერესებდა ყველაფერი, რასაც კი თითოეული ჩვენთაგანი აკეთებდა. ეცნობოდა ხოლმე ჩვენს გეგმებს და რჩევა-დარიგებას არ გვაკლებდა.

მისი ავადმყოფობის დროს თუ თბილისში ვიყავით, ხშირად დავდიოდით მათთან. უხაროდა ჩემი მისვლა. როგორც ყოველთვის, ყველას საქმიანობა აინტერესებდა და დაწვრილებით უნდა მეამბნა ყველაფერი. თუ მასთან არ შევიდოდი, რომ არ შემეწუხებინა, რალაცნაირად მიხვდებოდა — დაუძახებდა თავის მეუღლეს — ბაიკოს, ეტყოდა — „ციალა მოვიდა, ჩემთან შემოვიდესო“; თავის ავადმყოფობაზე არ ლაპარაკობდა, ჩვენი საქმიანობა აინტერესებდა. განიცდიდა, რომ თავისი გეგმების შესრულებას ვეღარ ახერხებდა და უთქვამს ჩემთვის: „აქამდე მე ცოდნას, გამოცდილებას ვიძენდი და როდესაც შემეძლო ჩემი ცოდნა, გამოცდილება სხვებისათვის გადამეცა, ჩემი ქვეყნისათვის დამეფასებინა ამაგი, ახლა მომერია ავადმყოფობა და დამჯაბნაო“. ეს აწუხებდა ყველაზე მეტად.

ბევრი დრო გავიდა, ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება, მაგრამ მთავარი გავლენა, რომელსაც განიცდი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად, არ ქრება. ამიტომაც, რომ ყველა ჩვენთაგანი, რომელთაც კი საქმიანი კონტაქტი გვქონდა ლენკოსთან, დღესაც განვიცდით მის უდროოდ დაკარგვას, დღესაც ვგრძნობთ და განვიცდით მის გავლენას და ხშირად, ძალიან ხშირად, პატივისცემით და გულისტკივილით ვიგონებთ მას, ვწუხვართ, რომ ასე ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან თავისი საქმის, თავისი ქვეყნისათვის თავდადებული, უანგარო რაინდი, კარგი მეცნიერი, ხელმძღვანელი და მეგობარი.

I. ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ე ბ ი

3. მ. ჯაფარიძე

გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერობათა საკითხისათვის
ეგრისში

(ვარდციხის არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

IV საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც, უცხოური წყაროების მიხედვით, ლაზიკის სამეფოდ იწოდება. აღნიშნულ ქვეყანას ქართული და სომხური წყაროები ეგრისად მოიხსენიებენ. ეგრისის სამეფოს ისტორიის შესწავლას განმაზოგადებელი მნიშვნელობა აქვს, იმიტომაც, რომ, როგორც აკად. ს. ჯანაშია მიუთითებდა, „ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის საკითხს დასავლეთ საქართველოში სწორედ ეგრისისა და მის წინაპრებისაკენ მივყავართ“¹. ლაზთა სამთავრო და მისი წინამორბედი ტომობრივი წარმონაქმნები, დასახელებული მკვლევრის მიხედვით, ხიდს წარმოადგენდა, რომლითაც ეს ქვეყანა ძველი სამყაროდან ფეოდალურში გადავიდა უკვე საბოლოოდ და ერთგვარ სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ხსენებული სოციალ-პოლიტიკური ერთეულის აღნაგობისა და გაჩენის პირობების შესწავლა ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული². პირველ რიგში ეს გარემოება წყაროების სიმცირით აიხსნება.

ეგრისის სამეფოს წარმოქმნა ლაზთა სამთავროს შემდგომ განვითარებას მოასწავებს, რაც მეზობელი სამთავროების დამორჩილებით დამთავრდა, ისტორიულად კი ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ძველი კოლხეთის შემკვიდრეა. ამ თვალსაზრისით, ძალიან ხშირად მოჰყავთ ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის ფრაზა: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუ კი იგი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“³. სხვა ადგილზეც გვაქვს აგათიასთან ლაზ-კოლხების ჩამომავლობის მტკიცება⁴.

¹ ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 307.

² იქვე, გვ. 307.

³ აგათიას სქოლასტიკოსი, გეორგია, III, 1936, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 27.

⁴ იქვე, გვ. 50.

წერილობითი წყაროების სიმცირის პირობებში ძნელია თვალყურის გადევნება, თუ როგორ გაავრცელა ლაზიკის სამეფომ თავისი გავლენა მეზობელ სამთავროებზე. ვიცით, რომ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, IV საუკუნის დამლევისათვის, როცა დამორჩილებულ იქნა სვანეთის მთავარი, წარმოიშვა ახალი სამეფო, რომელიც კავკასიონის ქედიდან იწყებოდა და მდ. ბზიფის ხეობიდან სამხრეთით, აჭარამდე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთით ეგრისის სამეფოს საზღვარი გადიოდა შორაპანსა და სკანდაზე.

ქართული საისტორიო წყაროები მეტად მცირე მასალას გვაძლევს ადრეული შუასაუკუნეების ეგრისის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის. ამასთან ეს წყაროები ტრადიციულად სანდოობას მოკლებულად ითვლებოდა და თუმცა ბოლო ხანებში რიგ მკვლევართა ნაშრომებში (გ. მელიქიშვილი, ა. ბოგვერაძე) ვხვდებით მათ ციტირებას, მაინც ისინი ჯერ კრიტიკულად შესწავლილი არ არის. ამასთან ქართული წყაროები ძირითადად პოლიტიკურ მოვლენებს აღწერენ და მხოლოდ ორიოდ გამონაკლის ცნობას თუ შეიცავენ საკვლევ საკითხისათვის. უცხოური, ძირითადად ბიზანტიური წყაროები, რომელთა ცნობები ერთგვარად მომრავლდა VI ს. და მომდევნო ხანისათვის, როცა ლაზიკა (ეგრისი) ორი დიდი სახელმწიფოს ბიზანტიისა და ირანის ინტერესების ფარგლებში მოექცა, ძირითადად ასევე პოლიტიკური ხასიათის არიან: გადმოსცემენ რა ირან-ბიზანტიას შორის მიმდინარე ომების აღწერილობას, ალავ იძლევიან მასალას ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. თუმცა რიგ შემთხვევაში ისინი ერთგვარი წინააღმდეგობებით ხასიათდებიან, რაც, საფიქრებელია, ავტორთა ტენდენციურობიდან გამომდინარეობს. სამწუხაროდ, წყაროთა აღნიშნული წინააღმდეგობრივი მონაცემები დღესაც კი გავლენას ახდენს თანამედროვე მკვლევართა კონცეფციებზე ეგრისის სამეფოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობის დროს, რაც აისახა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში. საკვლევ საკითხისათვის საჭირო კონკრეტულ მასალაზე სამსჯელოდ ზემოთ აღნიშნული წერილობითი წყაროები მცირე და არაპირდაპირ ცნობებს იძლევიან.

პირველწყაროებიდან საგანგებოდ აღვნიშნავთ რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ ახ. წ. IV ს. მეორე ნახევარში შედგენილ რომაულ საგზაო რუკას, ე. წ. „პევეტინგერის ტაბულას“. რუკა იძლევა მასალას დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზების შესახებ⁵. აღნიშნული რუკის მონაცემებს ერთგვარად ავსებს VII საუკუნის უცნობი ავტორის რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიაც“.

გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებზე მსჯელობისას, კონკრეტულად ეგრისის სამთავრო-სამეფოზე მსჯელობის დროს, ძირითადად აღნიშნული ძეგლების მონაცემებს ეყრდნობიან (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი და სხვ.). არქეოლოგიური მასალა, როგორც წყარო, შედარებით გვიან ჩნდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ 1950-იანი წლებიდან ბიჭვინტის არქეოლოგიური შესწავლის დაწესებას, რომელიც მეტნაკლები ინტენსივობით დღემდე გრძელ-

⁵ ნ. ლომოური, „ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის“, ისტ. ინსტ. შრ., ტ. IV, ნაკვ. 1. 1958, გვ. 99—110.

დებან⁶. არქეოლოგიური კვლევის სფეროში მოქცეული სხვა, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანის ძეგლებიც, ასევე ზღვისპირა მონაკვეთს უკავშირდება; ასეთებია: სებასტოპოლისი⁷, გუდავა⁸, ყულევი, ფიჭვნარი, პეტრა⁹, გონიო. აღნიშნული ძეგლების ხასიათზე მსჯელობის დროს მკვლევართ საწინააღმდეგო მოსაზრებები გააჩნიათ. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ აღმ. შავიზღვისპირეთის ძეგლების უმეტესობა (თუ ყველა არა) რომაელთა ციხიონთა სადგომებს წარმოადგენდა. ისინიც კი, ვინც ასე არ ფიქრობს, არ უარყოფს მაგ. ბიჭვინტაში, ან სებასტოპოლისში რომაული კასტელის არსებობას, ხოლო ადგილობრივი ელემენტის ხვედრითი წონის შესახებ დამაჯერებელ არგუმენტებს ვერ იძლევა. ქვეყნის საერთო განვითარებაზე მსჯელობა, გათხრილი ძეგლების არარსებობის გამო, ზღვისპირეთის ძეგლების მასალებით ხდება, რაც, ვფიქრობთ, ყველა შემთხვევაში გამართლებული არ უნდა იყოს.

საკუთრივ ეგრისის შიდა რაიონების შესწავლა კი შედარებით გვიან დაიწყო. არ შეიძლება არ აღინიშნოს საკვლევი პერიოდის (აღრეული შუასაუკუნეები) და მომდევნო ხანის ძეგლების შესწავლის საკითხში ტრადიციული ჩამორჩენა; დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ფონზე „ეგრისის ხანის“ ძეგლებისადმი ერთგვარი უყურადღებობის საილუსტრაციოდ ორი მაგალითიც კი იქნებოდა საკმარისი: სამეცნიერო ბრუნვაში არ მოხვდა და ბოლოს სულაც დაიკარგა 1930 წ. ნოქალაქევ-არქეოპოლისის გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, მაშინ როცა გამთხრელის ზოგადი ანგარიშის მიხედვით ჩანს, რომ ასეთი არსებობდა¹⁰. ასევე სამეცნიერო მიმოქცევაში არ შესულა და დაიკარგა ვაშნარის (მახარაძის რ-ნი) გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რომლის მხოლოდ ყოველგვარ დოკუმენტაციას მოკლებული ნაწილის ნაშთი დაგვხვდა ჩვენ მახარაძის მუზეუმში ამ ორიოდ წლის წინ¹¹. ამდენად, არქეოლოგიურა უხრით გამოვლენილი და საიმედოდ დოკუმენტირებული, აღრეული შუასაუკუნეებით დათარიღებული მხოლოდ მცირერიცხოვანი მასალაა დაცული რესპუბლიკის რიგ სამეცნიერო დაწესებულებასა, თუ მუზეუმებში.

ზემოთ აღნიშნული გარემოება, ბუნებრივია, სვამს აღრეული შუასაუკუნეების ეგრისის ძეგლების, როგორც ნაქალაქარ-ნამოსახლარების, ასევე სამაროვნების გამოვლენისა და შესწავლის საკითხს.

⁶ ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიშები საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ყოველწლიურ ანგარიშებში. აგრეთვე, დიდი პიტუნტი, 1, თბ., 1975 წ.

⁷ ა. ა. დ. ა. ქ. ი. ძ. ე. ოთ. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყ. ორგანო, „მაცნე“, № 3, 1965, გვ. 114.

⁸ ა. ზ. ა. ქ. ა. რ. ა. ი. ა. ვ. ლ. ე. ქ. ვ. ი. ნ. ა. ძ. ე. გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, 111, თბ., 1974, გვ. 139—147.

⁹ ა. ი. ნ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ნ. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. III, თბ., 1973, გვ. 3—38.

¹⁰ A. M. Schneider, Archaepolis (Nokalakewi) Forschungen und Fortschritte, ტ. VIII, № 27, 1931, გვ. 354—355 ს. ყ. ა. უ. ხ. ჩ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I, თბ., 1948, გვ. 187—201.

¹¹ ზოგადად ამ გათხრების შესახებ იხ. გ. გ. ო. ბ. ე. ქ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1953, თბ., გვ. 154—156.

ეგრისის ადრეულ შუასაუკუნეების სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ გარკვეულად მეტყველ მასალას იძლევა ვარდციხის ნაქალაქარი (ძეგლი მდებარეობს მაიაკოვსკის რაიონში, სოფ. ვარციხეში). აქ არქეოლოგიური, მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები 1968 წელს დაიწყო (გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით)¹². ეს სამუშაოები მეტნაკლები ინტენსივობით და ერთგვარი ინტერვალით 1978 წლამდე გაგრძელდა. გათხრების შედეგად გამოვლინდა საფორტიფიკაციო სისტემის სხვადასხვა პერიოდის ძეგლები უპირატესად ზღუდის მონაკვეთში და საცხოვრებელი თუ სხვა ხასიათის ნაშენობათა ნაშთები. არქეოლოგიური მონაპოვარი უკავშირდება, როგორც ზღუდის მონაკვეთს, განსაკუთრებით A და C კოშკს, ასევე ნაქალაქარის ვაკე ნაწილში გაჭრილ თხრილებს. ძირითადი მასალა მაინც ნაქალაქარის ვაკე მონაკვეთს უკავშირდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ციხე-ქალაქის შიდა მონაკვეთი თანამედროვე საფლავებით შეივსო ისე, რომ ცენტრალურ ნაწილში დიდ ფართობზე თხრა კულტურული ფენების კვლევისა და, შესაბამისად, მასალის მომრავლების თვალსაზრისით დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული.

თხრის შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ზოგადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1—არაადგილობრივი წარმოების ჭურჭელი, ე. ი. იმპორტული ნაწარმი და 2 — ადგილობრივი ნაწარმი. აქედან საკვლევი საკითხისათვის უპირატესი მნიშვნელობა არაადგილობრივ მასალას უნდა მიენიჭოს. ადგილობრივი ნაწარმის გამოყენება ძირითადად არაპირდაპირი ხაზით შეიძლება მოხდეს, ვინაიდან კვლევის დღევანდელ ეტაპზე წარმოების ლოკალური კერების გამოყოფისა და მათგან მასალის გავრცელების არეალის დადგენის შესაძლებლობას მოკლებული ვართ.

აშკარად იმპორტული მასალიდან უნდა აღინიშნოს წითელლაკიანი კერამიკის — ძირითადად ჯამების, ასევე კერამიკული ტარის — ამფორების და ორიოდ შემთხვევაში სამშენებლო კერამიკის შესახებ. იმპორტის საგანს წარმოადგენდა, როგორც ჩანს, სასუფრე ჭურჭლის ისეთი სახეობა, როგორიცაა დოქები (ხელადები) და სხვა. აღსანიშნავია, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც მინის ჭურჭელთა ნატეხების პოვნის ფაქტი. მათი დიდი ნაწილი აშკარად უცხოური წარმომავლობის უნდა იყოს. არაპირდაპირ მასალას სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევის თვალსაზრისით წარმოადგენს ნაქალაქარზე გამოვლენილი რკინის ნივთები და სხვა.

მართალია, საკვლევი პერიოდი, ძეგლის ხასიათიდანაც გამომდინარე, ძირითადად IV—VI საუკუნეებით შემოიფარგლება, მაგრამ ავტორს წლების მანძილზე, როგორც ნაქალაქარზე, ისე მის გარეთ უხდებოდა (და უხდება), როგორც მომდევნო ხანის ძეგლებსა და მასალებზე მუშაობა. ასევე უფრო ადრეულზეც (ანტიკური, წინარეანტიკური).

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით კვლევის სფეროში შესული მონაკვეთი, განსაკუთრებით მდ. რიონის ორივე სანაპირო ვაკე მონაკვეთი, მოხირისის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც, როგორც ივარაუდება, ნაწილობრივ ვარდციხის ქვეყანასაც მოიცავდა. ნაშრომის წერის დროს გათვალისწინებულია

¹² გ. ლომთათიძე, გ. ცქიტიშვილი, ვ. ჯაფარიძე, პირველი არქეოლოგიური კამპანია ვარდციხეში (1968 წ.) საქართველოში 1968 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1969.

დასავლეთ საქართველოში მომუშავე სხვადასხვა ექსპედიციების მონაპოვარი, თუ მუზეუმებში შემთხვევით მოხვედრილი თითქმის მთელი მასალა, რაც სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მსჯელობის დროს აუცილებლობას წარმოადგენდა.

კერამიკული ტარის — ამფორების შესახებ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ისინი ორი ჯგუფით არის წარმოდგენილი. იმპორტული ჯგუფი თავის მხრივ რამდენიმე სახეობითაა წარმოდგენილი. მეტად საინტერესო და განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის მოთეთრო კეცის მქონე, ძირითადად გვერდების ნატეხებით წარმოდგენილი ამფორები. ამათგან მხოლოდ ერთი მცირე ფრაგმენტი, როგორც ჩანს დაღარული გვერდის მქონე ამფორისა, დაუკავშირდა ნაგებობას¹³. თიხა ერთგვარად იასამნისფერის (?) ტონს გადაიკრავს. ამგვარი კედლების მქონე ამფორები IV საუკუნეში ჩნდება და ფართო გავრცელებას ჰპოვებს V—VI საუკუნეებში. აღნიშნული დასკვნა მიღებულია ჩრდილო-შავიზღვისპირეთის მასალების მიხედვით, რაც თავის დადასტურებას ჰპოვებს ბიჭვინტისა¹⁴ და სოხუმის¹⁵ განათხარ მასალაშიც. აშკარად იმპორტულია თეთრკეციანი ამფორის პროფილირებული ყური პირის ნაწილითურთ. შედარებით მრავალრიცხოვანია მოწითალო-მოყავისფრო კეცის მქონე ამფორების ნატეხები. მათი კეცისათვის დამახასიათებელია შავი ვულკანური კრისტალიზებული მინარევები. ამავე ჯგუფის ამფორების ერთი სახეობა თეთრად არის ანგობირებული, ასევე შეიცავს კრისტალიზებულ მინარევებს მოთეთრო კეცის მქონე თითქმის მთელი ამფორა ნაპოვნი № 16 თხრილში. იგი შედარებით ფართო და დაბალი ყელით ხასიათდება, ყურები ბრტყელი და მასიური აქვს. ზემოთ დასახელებული ამფორა წელში შეზნექილ ამფორათა ტიპს განეკუთვნება, თუმცა განსხვავებით ნაქალაქარზე გამოვლენილი სხვა ამგვარი ამფორებისაგან მოზრდილი კორპუსით ხასიათდება და წელში შეზნექილობაც არაა ისე მკვეთრად გამოხატული, როგორც სხვა მთლიანად, თუ ნაწილობრივ აღდგენილი ეგზემპლარებისა. ძირი მოკლე, ნაკლებად გამოყოფილი და გაფართოების გარეშე ჰქონია, როგორც ეს შემორჩენილი ნაწილის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

უკვე აღვნიშნეთ იმ ამფორების შესახებ, რომელთა გვერდის ნატეხები მრავლად გვხვდებოდა და რომელთა კეცი მოყავისფრო, შავი, კრისტალიზებული მინარევების მქონე თიხას წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში მათი აღმოჩენის შემთხვევები ისევ და ისევ ცენტრალურ თხრილში მომრავლდა. გაჩნდა თითქმის მთელი ერთეულებიც. აღნიშნულ ამფორებს ერთგვარად ძაბრისებურად გამოყოფილი პირი აქვს, ყელის ნაწილი შესქელებულია; აქვე ებმის ყურის ზედა თავი. ყელი შედარებით დაბალია, მხარი ნაკლებ გამოყოფილი. ყურის ქვედა ნაწილი ყელის მხარეში გარდამავალ ნაწილზეა მიერთებული. ყური ერთგვარად პროფილირებულია, ბრტყელი, კიდევშიც შესქელებული. მსგავს ამფორათა ნატეხები, თანაც მოზრდილი, მრავლად იყო მოპოვებული № 16 თხრილში. 1974 და 1976 წელსაც ამგვარი ამფორების მოპოვების დონე (მარ-

¹³ ნაპოვნი A კოშკის იატაკის წმენდის დროს.

¹⁴ რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, ტ. III, თბ., 1963, გვ. 72.

¹⁵ ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

თალია, ალავ დარღვეულია კულტურული ფენა) ზოგადად IV—V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ყავისფერკეციან ამფორათა ჯგუფს განეკუთვნება გლუვზედაპირიანი, შივიანიდან კონცენტრული დაღარულობის მქონე ამფორათა ნატეხები, რომელთა ძირითადი ნაწილი ნაგებობების თხრის შედეგად არის გამოვლენილი. აღნიშნულ ამფორათა თიხაც შეიცავს პიროქსენის წვრილმარცვლოვან მინარევებს. მაგრამ ამფორათა ეს ტიპი განსხვავდება ზემოთ აღწერილთაგან. შესაძლოა ამ ტიპის ამფორებს განეკუთვნებოდეს კონუსური, გაფართოებული ძირის (ქუსლის) მქონე ამფორათა ნატეხები, ნაპოვნი A კოშკის თხრის დროს იატაკზე, დამწვარ ფენაში; ნახანძრალ ფენაში ყოფნის გამო აღნიშნული ძირების კეცის ხასიათზე ძსჯელობა თითქმის შეუძლებელია.

ყავისფერკეციან ამფორათა ტიპს განეკუთვნება მასიური, ცილინდრული ყელის და ბრტყელგანივკვეთიანი ყურის მქონე ფრაგმენტი, მსგავსი, უკვე აღწერილი მოთეთრო კეცის მქონე ფართო დაბალყელიანი ამფორისა. აღნიშნული ფრაგმენტის კეცზე ვიზუალური დაკვირვებით პიროქსენის მარცვლები თითქმის არ შეიმჩნევა.

ყავისფერკეციანი პროფილირებული ყურის მქონე ამფორის მსგავსი, მაგრამ მოჩალისფრო, ასევე პიროქსენის შემცველი თიხის მქონე ერთადერთი ნატეხი იყო ნაპოვნი, სამწუხაროდ, დარღვეულ ფენაში.

სხვა მცირერიცხოვან ფრაგმენტთაგან აღსანიშნავია იმგვარ ამფორათა ყურისა და ძირის ნატეხები, რომელთა კეცი წვრილ ოქროსფერი ქარსის მარცვლებს შეიცავს და ფერით მსგავსი, ფართოყელიანი, ასიმეტრიულად მიბმული, მოკლე, მრგვალგანივკვეთიანი ყურის მქონე ამფორის ნატეხები¹⁶. აღნიშნულ ამფორათა ნატეხების დიდი უმრავლესობა სამოსურად მიჩნეულ ამფორათა კუთვნილი უნდა იყოს.

ამით ამოიწურება ციხე-ქალაქის თხრის შედეგად გამოვლენილი კერამიკული ტარა. ეს მასალა, საფიქრებელია, გარესამყაროდან ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გზით შემოვიდა.

ადრეული შუასაუკუნეებისადმი მისაკუთვნებელი ამფორები გვიან მოექცა მეცნიერული დაინტერესების სფეროში. სხვა ობიექტური მიზეზების გამოც მათი ზუსტი დათარიღება და საწარმოო ცენტრების დადგენა გართულებულია. აღნიშნული ეხება ჩვენ მიერ მოტანილი მასალების დიდ ნაწილს. გართულებულია მასალის გარკვეული ნაწილის დათარიღების საკითხიც.

ზემოგანხილული მოთეთრო კეცის მქონე ამფორები სინოპურ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს. ელინისტური და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის სინოპური ნაწარმისაგან განსხვავებით ვარდციხის მასალის თიხა მოკლებულია იასამნისფერის ტონს, რაც, ვფიქრობთ, ტექნოლოგიური მომენტით უნდა აიხსნას. ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღნიშნული მოთეთრო კეცის მქონე ამფორის პროფილირებული ყური შეესაბამება დ. დეოპიკისა და ო. კრუგის კლასიფიკაციის E ვარიანტის ამფორებს, რომლებიც IV ს. მეორე ნახ.-V ს. დასაწყისით არის დათარიღებული. ზოგადად ასევე უნდა დათარიღდეს შავი, ვულკანური მინარევე-

¹⁶ ამფორა, მისი მოზრდილი ნაწილი ამჟამად შეკოწიწდა. სხვა დამახასიათებელ ნიშანთაგან აღნიშნავთ გამოკვეთილ ნაწილს მხრისას, ტანის დაღარულობას. თიხა შეიცავს კირქვის მოზრდილ მარცვლებს.

ზის მქონე და ასეთივე თეთრად ანგობირებული ზედაპირის მქონე ამფორები. ამგვარი ამფორის ნატეხები მოპოვებული იყო სოხუმის ციხისა და ბიჭვინტის ნაქალაქარის ზედა, ახ. წ. IV—V საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში¹⁷. მათი წარმომავლობა ზოგადად სამხრეთ პონტოს უკავშირდება. ძირითადად კი ჩვენი მასალა, ვფიქრობთ, სინოპურ წრეს უნდა დაუკავშირდეს. ეს ეხება, პირველ რიგში, პიროქსენის შემცველი თიხის მქონე, მოთეთრო კეცის ნაწარმს. ამ მხრივ ნიშანდობლივია სამშენებლო კერამიკის — გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხების აღმოჩენა. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაქალაქარის ისტორიის ერთ გარკვეულ ეტაპზე ხდებოდა სამშენებლო კერამიკის შემოტანა, სავარაუდოა, მცირე რაოდენობით. სინოპურ ნაწარმთან ფორმალურ კავშირშია წელშეზნეკილი ამფორების ის ტიპები, რომელთაც ყელის ნაწილზე წიბო აქვთ გამოყოფილი, რომელზეც ვერტიკალურად დაშვებული ბრტყელგანივკვეთიანი ყურია მიბმული; თიხა პიპოქსენის მარცვლებს შეიცავს. ნიშანდობლივ გარემოებად გვეჩვენება აღნიშნული ტიპის ამფორების რიგი ეგზემპლარების გარედან თეთრი ანგობის (მოთეთრო თიხის) თხელი ფენით დაფარვა, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი ტექნოლოგიური ხერხი შეიმჩნევა ჩაფების ზედაპირზე, რომელთა იმპორტის საგნად მიჩნევა, მასალის ხასიათისა და მრავალრიცხოვნების გამო, შემდგომი შესწავლის შედეგად იქნება დასაშვები. უკანასკნელ ხანებში არსებობს სავსებით რეალური აზრი იმის თაობაზე, რომ სამხრეთ შავიზღვისპირეთის (და არა მარტო სამხრეთის) რიგი ცენტრები აწარმოებდნენ სინოპურის მსგავს კერამიკულ ტარას. აქვე უნდა აღვნიშნოთ — თვით ადგილობრივ კოლხურ მასალაზე ვიზუალური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პიროქსენი გვხვდება საკმაოდ ხშირად და სწორედ IV—V საუკუნეებით დათარიღებული კერამიკული ნაწარმის შემადგენლობაში. თუმცა ამგვარი მინარევები შემჩნეულია უკვე ელინისტური ხანის ადგილობრივ ნაწარმზეც. აქედან ცხადია ხდება, თუ რა დიდი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც არქეოლოგიურა მონაპოვრის, ისე ადგილობრივი თიხების კარიერის ლაბორატორიულ შესწავლას¹⁸. ამგვარ შესწავლას საჭიროებს ასევე ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ყავისფერი კეცის მქონე ამფორები, რომლებიც თითქოს პიროქსენს არ შეიცავენ. ადრე მათ ჩვენ ძირითადად ადგილობრივ, კოლხურ ნაწარმად მივიჩნევდით. ცნობილია ამგვარი ამფორების აღმოჩენის შემთხვევები დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ პუნქტებში. ნაპოვნია ამგვარი ამფორები ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც. არის გამოთქმული მოსაზრება ამ ამფორების გენეტიკური კავშირის შესახებ ელინისტური ხანის ამფორებთან¹⁹, რაც მათ შემდგომ შესწავლას გუ-

¹⁷ ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები დიოსკურია—სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, გვ. 114.

¹⁸ ამგვარი სამუშაო (პეტროგრაფიულ-სტრუქტურული ანალიზი), რომელიც ჩატარდა ელინისტური ხანის ამფორებზე; ადასტურებს „ყავისფერკეცთან“ ამფორათა კოლხეთში დამზადებას (იხ. ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1969, გვ. 138—139).

¹⁹ მკვლევართა ერთი ნაწილი (ვ. გ ა ი დ უ კ ე ვ ი ჩ ი, ა. ი ა კ ო ბ ს ო ნ ი, ი. ზ ე ე ს ტ ი და სხვა) ასეთად მიიჩნევენ დამახასიათებელ მოწითალო-მოყავისფრო გამოწვის და ოქროსფერი ქარსის წვრილი მინარევების მქონე თიხის ამფორებს. ისტ. მეცნ. კანდ. რ. ფუთურიძე ადრე, ხელნაწერ ნაშრომში და ეხლაც ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში ამგვარი ტიპის ამფორების მაინცდამაინც სინოპედან მომდინარეობას აუცილებლად არ მიიჩნევს (იხ. ქ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, — ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები, კრებ. „დიდი პიტიუნტი“, I, თბ., 1975, გვ. 275).

ლისხმობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ამ მხრივ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თიხების ლაბორატორიული შესწავლა.

ზემოთ განხილული თითქმის მთელი მასალა ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ. ამ მასალის მიხედვით ირკვევა, რომ შიდა ეგრისის ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონიათ სამხრეთ პონტოს რაიონთან, კონკრეტულ ცენტრთაგან შეიძლება დავასახელოთ სინოპა, მივუთითოთ აგრეთვე სინოპურ წრეზე. ასევე აღნიშნული იყო სამოსური კერამიკული ტარის შემოტანის შესახებ.

მასალის ერთი ნაწილი, როგორც საფიქრებელია, ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს და, უნდა ვიფიქროთ, ძირითადად ქვეყნის შიდა რაიონების ეკონომიკურ კავშირებზე სამსჯელოდ გამოდგება, თანაც უმეტესწილად მათზე დამყარებული მსჯელობა ერთგვარად პირობითი იქნება. ნაქალაქარზე გამოვლენილი ამგვარი ხასიათის ადგილობრივი ნაწარმიდან უთუოდ აღსანიშნავ ჯგუფს წარმოადგენს კონუსური, გარედან მომრგვალებული, მოწითალო-მოვარდისფრო გამოწვის მქონე ამფორები, კეცი სხვადასხვა მინარევებით ხასიათდება. აღნიშნული ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპირალისებური ხეიები ძირის შიგნითა ნაწილში, რაც თითქოს უჩვეულოა ადრეული შუასაუკუნეების ნაწარმისათვის. არსებული მოსაზრებით ამგვარძირიანი ამფორები კოლხეთში ძირითადად ელინისტურ ხანაში არის გავრცელებული²⁰, ხოლო ძვ. წ. I საუკუნისათვის ისინი თითქოს უკვე აღარ გვხვდება²¹. აქედან გამომდინარე ადრეული შუასაუკუნეების ძეგლების (მაგ. ვაშნარის) შესწავლის შედეგად გამოვლენილი მასალის ნაწილი წინასწარულად ელინისტური ხანით განისაზღვრა²², რაც ახლა ვარდციხის ნაქალაქარის მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, გასწორდება. აღნიშნული ამფორების ადგილობრივ წარმოებაზე გვაფიქრებს ტექნოლოგიური მომენტი — მსგავსება ადგილობრივი კერამიკის სხვა ნიმუშებთან. დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი არ არის ახ. წ. IV—VI სს., აღნიშნული ტიპის ამფორების, როგორც შიდა კოლხეთში, ასევე ზღვისპირეთის სინქრონული ხანის ძეგლებზე გამოვლენის შემთხვევები.

აღნიშნულ მასალასთან დიდ მსგავსებას იჩენს ვარდციხის ნაქალაქარიდან 4 კმ-ზე სოფ. როხში გამოვლენილი, სავარაუდოა, კერამიკული საწარმოს ნაშთის არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად მოპოვებული წელშეზნეჟილი ამფორების ძირების ნატეხები. ეს უკანასკნელი მასალა იქვე გამოვლენილ სხვა სახის მასალასთან ერთად უაღრესად საინტერესო მონაცემებს იძლევა ადრე შუა საუკუნეების ეგრისში ხელოსნობისა და აქედან გამომდინარე გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხების გასაშუქებლად.

სამხრეთ პონტოსთან და, შესაძლოა, სინოპთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად უნდა მოხვედრილიყო გაშლილი პირის მქონე მოთეთრო თიხისგან დამზადებული და ანგობირებული, ვიწრო, მაღალყელიანი და ოვალურგანივკვეთიანი დოქები, თუმცა აღნიშნული მასალის ციხეზე მოხვედრის გა-

²⁰ ა. კახიძე, მასალები. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მსკა, IV, გვ. 88.

²¹ იქვე.

²² ვაშნარიდან მომდინარე მასალა, დაცული ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თავაზიანად გავაცნო ისტ. მეცნ. კანდიდატმა ნ. ვაშაქიძემ.

რემოებს "შემდგომი რკვევა სჭირდება. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთ მათგანს უურის ძირზე მკვეთრად ამოღარული ხელოსნის ნიშანი აქვს დასმული --- A (ალფა). აღნიშნული ასო-ნიშანი გვხვდება გავრცელებული ვარდციხეში გამოვლენილ აშკარად ადგილობრივ დოქებზე. ეს ნიშანი საკვლევი პერიოდისათვის ფართოდ არის გავრცელებული შედარებით ფართო ტერიტორიაზე. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამგვარნიშნიანი კერამიკული ფრაგმენტების პოვნის შემთხვევა ისეთ მოშორებულ სინქრონულ ნაქალაქარზე, როგორც ურზნისია²³. ამგვარნიშნიანი კერამიკული ნაწარმის შედარებას შეეძლო გარკვეული შედეგი გამოელო ერთი და იგივე საწარმოს მასალის გავრცელების არეალის განსაზღვრის თვალსაზრისით. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ვარდციხის ახლოს პატრიკეთის სამოსახლო გორაზე მოპოვებული ამგვარნიშნიანი დოქი ღია მოწითალო ფერის თიხით ხასიათდება, განსხვავდება ვარდციხულა (?), ნაწარმისაგან და, ამდენად, თითქოს სხვა საწარმოო ცენტრზე მიუთითებს. აღნიშნული და სხვა, ასევე ნიშნიანი კერამიკული ნაწარმი მეტყველი მასალაა ხელოსნობის შესაბამისი დარგის განვითარების დონის განსაზღვრად. ცხადია, სახელოსნოთა, თუ ხელოსანთა ნიშნების ეს შედარებითი მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება იმდროინდელი საქალაქო ცხოვრების ეკონომიკურ აღმავლობაზეც მიგვანიშნებს და თავისთავად გულისხმობს განვითარებულ სავაჭრო ურთიერთობებს.

ეგრისის ადრეული შუასაუკუნეების სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობათა და გზების საკითხის შესწავლის თვალსაზრისით უთუოდ საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს ე. წ. წითელლაკიანი კერამიკა. წითელლაკიანი კერამიკა დიდი რაოდენობით იქნა გამოვლენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთში, მას მიეძღვნა სპეციალური ნაშრომებიც. ბიჭვინტასა და სოხუმში არქეოლოგიური თხრის შედეგად გამოვლენილი წითელკანიანი კერამიკა სპეციალური კვლევის საგნად იქცა²⁴. ამას გარდა, აღნიშნული კერამიკა ნაწილობრივ განხილულია გამთხრელთა ანგარიშებში²⁵.

წითელლაკიანი კერამიკა, რომელიც ფართო გავრცელებას ჰპოვებს ანტიკურ სამყაროში ელინისტური ხანიდან გავრცელებულია გვიანრომაულ ხანაშიც. იმთავითვე კვლევას სფეროში მოექცა იტალიკური წითელლაკიანი კერამიკა. ამ მხრივ ფუნდამენტალურად უნდა ჩაითვალოს დრაგენდორფის და სხვათა ნაშრომები. ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამოვლენილ მასალაში თითქმის არაა წარმოდგენილი იტალიკური ნაწარმი, ამასთან, ბიჭვინტის მასალების მიხედვით ცნობილი გახდა, რომ აღმოსავლეთ ბერძნული ცენტრებიდან (სამოსი, პერგამი) ჩვენში მხოლოდ პერგამული ნაწარმი გვხვ-

²³ ლ. კ. ი. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ნაქალაქარი ურზნისი, თბ., 1964, გვ. 116, სურ. 544.

²⁴ ო. თ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადი ტიპები და მათი დათარიღება), საქ. სსრ მეც. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. „მოამბე“, № 1, 1962, გვ. 231—255. ქ. ბ. ე. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ლ. ი., ბიჭვინტის წითელლაკიანი თიხის ქურჭლის შესწავლისათვის (1952—1953 წწ. განათხარის მიხედვით), მსკა, ტ. III, 1963, გვ. 107—123; რ. ფ. უ. თ. უ. რ. ი. ძ. ე. წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მსკა, ტ. IV, 1975, გვ. 95—106.

²⁵ ბეჭდებოდა 1954 წ. სსკ. წარმოებულ საეკლ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-სესიების თეზისებს კრებულებში ანგარიშების სახით (ავტ. ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ძ. ე. ო. თ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ლ. ი., დ. ხ. ა. ხ. უ. ტ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ო. თ. ლ. ა. მ. ბ. ა. შ. ი. ძ. ე. და სხვ.).

დება. მასალის დიდი ნაწილის გავრცელება ახ. წ. II საუკ. შუა ხანებიდან ივარაუდება. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ახ. წ. II—III საუკუნეებიდან მცირეაზიური საწარმოო ცენტრები ეცემიან. III—IV საუკუნეების კერამიკა უკვე სხვა, ახალი ცენტრებიდან მომდინარეობს, რომელთა დადგენა კეცისა და წერნაქის, ასევე ფორმების ცვლილების გამო რთულდება. ალბათ ამით უნდა აიხსნას, რომ იმთავითვე ტრადიციულად სუსტადაა შესწავლილი III—IV და განსაკუთრებით IV—VI საუკუნეების წითელლაკიანი (წითელწერნაქიანი) კერამიკა²⁶.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია წითელლაკიანი კერამიკის შესწავლის მნიშვნელობა ძველი ნაქალაქარების ისტორიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გარკვევის თვალსაზრისით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღნიშნული კერამიკა ეგრისის შიდა რაიონების ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით. დასავლეთ საქართველოს ახ. წ. პირველი საუკუნეების კერამიკა შედარებით მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი და შესწავლილი. იგივე ვითარებაა ახ. წ. IV და შემდგომი საუკუნეებისათვის²⁷. მიუხედავად ამისა, წითელლაკიანი კერამიკის მნიშვნელობა ძეგლების ზოგადი დათარიღების, კულტურული ფენების სტრატეგრაფიის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სხვა საკითხების შესწავლის თვალსაზრისით განუზომლად დიდია.

ვარდციხის ნაქალაქარზე მოპოვებული მასალა ძირითადად ახ. წ. IV საუკუნის შემდგომი ხანით (IV—VI სს) თარიღდება. მასალის უდიდესი ნაწილი 152-ე და 153-ე ნაკვეთში გაჭრილ თხრილს უკავშირდება. ტიპოლოგიურად აღნიშნულ ჯგუფს უკავშირდება წითელლაკიანი კერამიკის ადგილობრივი მინაბაძებიც. ამიტომაც ჩვენ მათ განვიხილავთ ერთ მთლიანობაში; მთელი მასალა დაიყოფა ორ ჯგუფად: ა) წითელლაკიანი კერამიკა, რომელიც წარმოდგენილია ჯამებით. მათი კეცი წმინდა განლექილობით ხასიათდება, წერნაქი მოწითალო ანდა კიდევ შინდისფერია, რიგ მათგანზე იგი მნიშვნელოვანწილად გადასულია. ბ) ამ ჯგუფში გაერთიანებული ჭურჭლის იმპორტულობა გამორიცხულია; როგორც აღნიშნული იყო, აშკარად ხდება გვიანანტიკური ჭურჭლის ტიპების ფორმათა გამეორება. უმნიშვნელო სხვაობა შეიძლება შეიმჩნეოდეს ძირის სიფართესა და პირის მოყვანილობაში. პირველი ჯგუფის კერამიკა გამოყოფილია ტიპების მიხედვით, რასაც საფუძვლად დაედო ჭურჭელთა ფორმა. იგივე პრინციპით დაჯგუფდა ადგილობრივი მინაბაძები. ინტერესი მოგვიანო ხანის, ძირითადად ერთგვაროვანი (ტიპობრივი თვალსაზრისით) კერამიკისადმი გამოწვეულია მისი დიდი მნიშვნელობით ეგრისის სამეფოს მთელი რიგი ძეგლების კულტურული ფენების დასათარიღებლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ წითელლაკიანი ჭურჭლის შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ლაკის ხარისხს. ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის ლაკის (წერნაქის) ხარისხი მაღალია, მომდევნო ხანისათვის კი უფრო მდარე ხდება. ამას გარდა, გარდამავალი ტიპების დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია ძირის მოყვანილობა. ჩვენს განათხარში მოპოვებული მასალა მცირერიცხოვანია, უმეტესობა ნატეხებისა წარმოდგენილია

²⁶ ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 233—234.

²⁷ ამ თვალსაზრისით გარკვეულად ავსებს ხარვეზს დასახელებულ ქართველ მკვლევართა ნაშრომები.

პირ-გვერდის ნიმუშებით. ამასთან ეს მასალა, მცირე გამონაკლისის გარდა, უკავშირდება მოყვითალო, ხოლო ქვედა პორიზონტში მონაცრისფრო, აყალო, წებოვან თიხნარს. ეს უკანასკნელი გარემოება კი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს წერნაქზე, მის ფერსა და ინტენსივობაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ადგილობრივ ნაწარმს, ყველაფერი აღნიშნული გათვალისწინებულია მასალის დაჯგუფებისა და დათარიღების დროს.

ტიპი I წარმოდგენილია შვეული კიდისა და ძირისაკენ დაქანებული კალთების მქონე ჯამის ნატეხით. ჩვენს ფრაგმენტს კიდე ერთგვარად ამობურცული აქვს და კალთის მომიჯნავე ნაწილში შედარებით ფართო ღარი გასდევს. ორივე მხრივ, ჩანს, წასმული ჰქონია მუქი წითელი ფერის წერნაქი, ქვემოთ განხილული ყველა სხვა ნიმუშისაგან განსხვავდება თავისი მუქი ყვითელი, მოვარდისფრო იერით. კეცი წვრილნასვრეტოვანია, კირქვის მარცვლები თითქოს არ შეიმჩნევა²⁸.

ტიპი II — წარმოდგენილია პირფართო ჯამების პირგვერდისა და ძირის ნატეხებით. ქვეტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ პირის ქობის მოყვანილობით, ოდნავ განსხვავებულ ვარიანტს იძლევა ძირებიც.

ა ქვეტიპი²⁹ — წარმოდგენილია ჯამებით, რომელთაც მომრგვალებული პირი შიგნით აქვს ჩაკეცილი, კალთა ძირისკენ ოდნავაა დაქანებული. წერნაქი ღია მოწითალო ფერისაა (ზოგ ნატეხზე წერნაქის ფერი თითქმის არ განსხვავდება კეცის ფერისაგან³⁰). განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს ერთი ნატეხი, რომლის შიგნით ჩაკეცილ პირს შიგნიდანვე შემოუყვება შედარებით ფართო ღარი³¹, წერნაქი მუქი წითელია, კეცი, განსხვავებით აღწერილი ფრაგმენტისაგან, უფრო მაღალხარისხოვანია, თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიმჩნევა კირქვის მარცვლები, ასევე ოქროსფერი ძალზე წვრილი ქარსის მარცვლები³².

ბ ქვეტიპი — ასევე ძირისკენ ოდნავ დაქანებული კალთების მქონე ჯამების ნატეხებით არის წარმოდგენილი. ა ქვეტიპის ჯამებისაგან განსხვავდება პირის მოყვანილობით. იგი ხასიათდება გარეთ გამოწეული კიდი³³, რომელიც ზოგ შემთხვევაში შესქელებულია და შედარებით ფართო³⁴. ძირითად განმასხვავებელ ნიშანს კი პირის ქობაზე რელიეფური ქედის გამოყვანა წარმოადგენს. წერნაქი ღია მოწითალოა, გარედან ზოგ ფრაგმენტზე (იგულისხმება უკვე მითითებული № 72/351) მუქია. ამგვარად შეღებილია გვერდის პირს ქვემოთ გარკვეული ინტერვალით მოცილებული ნაწილი. ამას გარდა, ზოგ ნატეხზე გარედან ალაგ-ალაგ შეიმჩნევა პორიზონტალური, მსუბუქი ხაზები, ანდა კიდევ არამკვეთრად გამოყვანილი ნაწიბურები. კეცი ისევე როგორც ა ქვეტიპის ჯამებისა, კარგად განლექილია, მაგრამ მეტი რაოდენობით შეიცავს, როგორც კირქვის მარცვლებს, ასევე სხვადასხვა მინარევებსაც. ორივე ვარიანტის ჯამებს, როგორც გვერდის ნატეხებისა და ცალკე ნაპოვნი ძირების მიხედვით ირკვევა, ძირი ფართო და ბრტყელი აქვს, ქუსლი დაბალი. ქუსლის მიხედვით გამოიყოფა

²⁸ შდრ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ბიკვინტის... გვ. 246.

²⁹ შეესაბამება ოთ. ლორთქიფანიძისეულ VIII ტიპის ა ქვეტიპს, იხ. დას. ნაშრ. გვ. 242.

³⁰ იხ. მაგ., ფრაგ. № 72/166.

³¹ № ვარ. 68/179; მოპოვებულია ზედაპირულად.

³² ეს უკანასკნელი მხოლოდ გამაღივებელი შუშის მეშვეობით ხდება გასარჩევი.

³³ იხ. მაგ. № 71/421; 72/80; 72/249; 72/421; 72/291.

³⁴ იხ. მაგ. № 72/351.

რამდენიმე ვარიანტი: ზოგის ქუსლი დაბალია და ფართო, ზოგის კიდევ ოდნავ მაღალი და შედარებით ვიწრო, რიგ შემთხვევაში იგი ღარიბთაა გამოყოფილი გვერდისაგან. მოწერნაქება ძირის ნაწილში ნაკლებად შეინიშნება და აშკარად უყურადღებოდაა შესრულებული. დამახასიათებელია კონცენტრული ხაზები, ერთ ნატეხზე კონცენტრულ წრეებს შორის თითქოს ქდეული ხაზებია გამოყვანილი, საინტერესოა ძირის ნატეხი, რომელზეც სავარცხლის შტამპით გამოყვანილია ტალღისებური ორნამენტი.

ტიპი III — წარმოდგენილია ლანგრის პირგვერდის ნატეხით, რომელსაც, ზემოთ აღწერილი ჯამებისაგან განსხვავებით, ძირისკენ უფრო დაქანებული კალთები აქვს. პირი დაბრტყელებულია, ძირი ბრტყელი და შედარებით განიერი უნდა ჰქონოდა. წერნაქი ორმხრივ ჰქონია წასმული, მაგრამ აშკარად არათანაბრად. შეიმჩნევა ერთგვარი დაუდევრობა პირის კიდის გარედან მოსწორებაში, კეცისათვის დამახასიათებელია ზემოთ აღწერილი ჯამების კეცისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ტიპი IV — წარმოდგენილია შვეული, თხელი პირისა და მომრგვალებული კალთების მქონე ფინჯნის ნატეხით³⁵. კალთაზე გამოყვანილია წიბოსებური, ოდნავ შემალლებული ურთიერთკონცენტრული (არათანაბარი ინტერვალით) განლაგებული ხაზები. ღია წითელი წერნაქითაა დაფარული ორივე მხრივ; კალთაზე, კიდესთან ახლოს შედარებით სქლად, სხვაგან კი სუსტად ან, შესაძლოა, ნაწილობრივ, თიხა იდენტურია I და II ტიპის თიხისა, შეიცავს კირის წვრილმარცვლოვან მინარევებს.

ტიპი V — თეფში გადაშლილი ბაკოთი. მომრგვალებული კალთებით ხასიათდება, რომელიც გარედან ერთგვარად დაუდევრადაა მოსწორებული. წერნაქი განსაკუთრებით გარედან, წასმულია არათანაბრად. კეცი იდენტურია II და III ტიპის ჯამებისა და, საერთოდ, ვარდციხეში ნაპოვნი წითელლაკიანი ქურქლების კეცისა. ძირზე პარალელური წრიული ხაზები დაუყვება.

მოკლედ განვიხილავთ ჯამების იმ ჯგუფს (ე. ი. მეორე ჯგუფს), რომელიც სტრატეგრაფიულად უკავშირდება წითელლაკიანი კერამიკის შემცველ ფენას და შეიძლება ითქვას წარმოადგენს მათ აშკარა მინაბაძებს. ეს არის არა მარტო ზემოთ აღწერილი იმპორტული კერამიკის მინაბაძები, არამედ მინაბაძები ისეთი ტიპებისა, რომლებიც საყოველთაოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით ზღვისპირეთში, მაგრამ ჯერ ნაპოვნი არ არის ქვეყნის შიდა რაიონებში.

ტიპი I — წარმოადგენს ჩვენ მიერ განხილული, წითელლაკიანი ტიპი I-ის ადგილობრივ მინაბაძებს, ისინი კიდის მოყვანილობით განსხვავებულ ვარიანტებს იძლევიან, არის სხვაობა ქუსლის პროფილირებაშიც, სხვადასხვაგვარია თიხის შედგენილობა და გამოწვის ხარისხიც. აღნიშნული ტიპის ჯამების ერთ, ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს პატარა და ვიწრო ქუსლის არსებობა.

ტიპი II — ეს ტიპიც ვარდციხული წითელლაკიანი ჯამების ტიპი II-ის ანალოგიას წარმოადგენს. გვხვდება ამ ტიპის მხოლოდ ა ქვეტიპის მინაბაძები და თითქმის სრულებით არა ბ — ქვეტიპისა. თიხის რაგვარობითა და გამოწვის ხარისხით ისინი მკვეთრად ჩამორჩებიან იმპორტულს. გვხვდება შედარებით კარ-

³⁵ № 71/420.

გად, სხვადასხვაფრად გამომწვარი ფრაგმენტები. არის აშკარად დაუდევრად, ცუდი ხარისხის თიხისაგან ნაკეთები ცალებიც.

ტიპი III — სფერულმუცლიანი ჰორიზონტალურად პირგადაშლილი ჯამის ნატეხით არის წარმოდგენილი, მოხალისფროდ გამომწვარია, თიხა მინარევებიანი. ვარდციხეში არის მოპოვებული ამ ტიპის იმპორტული (ლაკ-წერნაქიანი) ცალი. ოთ. ლორთქიფანიძე, რომელიც აღნიშნულ ტიპს თავისი კლასიფიკაციის XIII ტიპში აქცევს, აღნიშნავს, რომ იგი გვხვდება IV ს. კერამიკულ ფრაგმენტებთან ერთად. ამასთან ჯამის ეს ტიპი შედარებით იშვიათად ჩანს სხვა ქვეყნებში, მათ შორის ჩრდ. შავიზღვისპირეთშიც.

ტიპი IV — წარმოდგენილია შეუღლიანი ჯამის ნატეხით, კალთაზე გადმოკეცილ კიდეზე გამოყვანალია ლტრსმნისებურ კდეებად განლაგებული ორი რიგი. ამ ტიპის ჯამები მსგავსია წითელლაკიანი ჯამების იმ ცალებისა, როგორც ცნობილია ბიჭვინტიდან, გაერთიანებულია ზემოთ დასახელებული მკვლევარის ნაშრომის XI ტიპში და აღნიშნულია, რომ მათი მსგავსი დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. თუმც ამ ტიპის ჯამების წარმოშობა გენეზისით ბევრად ადრეულ ხანას (ახ. წ. I—II—III სს) უკავშირდება, მაინც ჩრდილო შავი ზღვისპირეთში მოპოვებული მასალა არ თარიღდება IV საუკუნეზე უფრო ადრინდელი ხანით³⁶.

ზემოთ განხილული კერამიკის ერთი ნაწილი თავისი კეციტ აშკარად მსგავსია ადგილობრივი საშენებლო კერამიკისა და ზოგი სხვა სახეობის ჭურჭლისა, რაც ჩვენი აზრით, მიუთითებს მათ ადგილობრივობაზე. მასალის ნაწილი, შესაძლოა, ადგილობრივი, ვარდციხული თიხისაგან იყოს დამზადებული, ნაწილი კიდეც, შესაძლოა, ვარდციხესთან დაკავშირებულ რომელიმე სხვა საწარმოო ცენტრს უკავშირდებოდეს. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია სოფ. როხში განოვლენილი, უკვე აღნიშნული, თიხის ჭურჭლის საწარმოო უბანი. აქ მცირე სადაზვერვო სამუშაოს შედეგად წითელლაკიან ჭურჭელთა ორიოდუე მინაბაძიც განოვლინდა.

წითელლაკიან კერამიკასთან დაკავშირებით კვლავ აღვნიშნავთ იმას, რომ ვარდციხეში ნაპოვნი ფორმები ძირითადად IV—VI საუკუნეებით თარიღდება. ეს ის დროა, როცა, როგორც აღნიშნული გვქონდა, წინააზიურ სამყაროში ძველი ცენტრები ეცემიან, ანდა კიდეც სხვა ცენტრებს უთმობენ პირველობას, ამასთან წარმოება მასიური ხდება, შესაბამისად მარტივდება ფორმა, ეცემა თიხის მომზადებისა და გამოწვის, აგრეთვე, ლაკის ხარისხი. ეს ყველაფერი ისეთი ნიშნებია, რომლებიც ადრეულ ხანაში ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს ცენტრების განსაზღვრის დროს. ამიტომ კვლევის დღევანდელ ეტაპზე იძულებული ვართ ვარდციხის წითელლაკიანი კერამიკის ძირითად საწარმოო კერად, ზოგადად, მცირე აზიის რაიონი მივიჩნიოთ, თუმც ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ბიჭვინტური, ჩვენს მასალაშიც არსებული მოგვიანო ტიპები, იქაურ მონაპოვარში, რომელიც შედარებით კარგადაა შესწავლილი (მაგ. ანტიოქიაში, ორონტზე) არ გვხვდება. მკვლევარი ბიჭვინტის მონეტების წინასწარული შესწავლის (დ. კაპანაძე) შედეგებს ეყრდნობა და თვლის, რომ ამ სახის მასალის მიხედვითაც კავშირი ბიჭვინტასა და მცირეაზიურ ცენტრებს შორის III ს. შუა

³⁶ ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის... გვ. 247.

წლებიდან სუსტდება, ხოლო IV საუკუნიდან საერთოდ წყდება. მსგავსი ვითარება შეიმჩნევა აღმოსავლეთ და ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ურთიერთობაში: მონეტების შემოტანიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ III ს. მეორე ნახევრიდან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი სუსტდება.

უკანასკნელი ხანის გამოკვლევებითაც, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა უახლოეს არქეოლოგიურ მონაცემებს, ისევე როგორც ადრეულ ხანაში (II ს.), III საუკუნეშიც კვლავ მინიმალური რაოდენობითაა წარმოდგენილი ჩრდილო შავი ზღვისპირეთის სანაპიროს მასალა. როგორც ჩანს, ამ ორი პუნქტის ეკონომიკური ურთიერთობა ან სულ არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, მეტად შეკვეცილ ფარგლებში³⁷. იგივე მონაცემებით სხვაგვარი ვითარებაა მცირეაზიის სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, როგორც III ასევე IV საუკუნეში. მონეტების მიხედვით ჩანს აქტიური, როგორც გ. დუნდუა ფიქრობს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა: IV საუკუნის 500-ზე მეტი მონეტაა ნაპოვნი³⁸. კვლავ ერთი მონეტით არის წარმოდგენილი ბოსფორის სამეფო³⁹. ჩვენი აზრით, პიტუენტსა და წინა აზიას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მსჯელობის დროს ანგარიშგასაწევეა ის ფაქტი, რომ IV საუკუნის მონეტების დიდი უმრავლესობა, 310 ცალი, განძის სახითაა ნაპოვნი, ამას გარდა გასათვალისწინებელია პიტუენტში რომაული გარნიზონის დგომის ფაქტი და ის, რომ შემოტანილი მონეტების გარკვეული ნაწილი სამხედრო პირთა გასამრჯელოსაც უკავშირდება, ალბათ. ყველა შემთხვევაში, როგორც ჩანს; კავშირები მცირე აზიურ სამყაროსთან არსებობს. ანგარიშგასაწევეა მოსაზრება წითელლაკიანი კერამიკის ადგილობრივი (ბიჭვინტაში) წარმოების შესახებ⁴⁰. ასეთი ვარაუდი გულისხმობს კერამიკის ამ სახეობის გავრცელებას აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან ქვეყნის შიდა რაიონებში, მაგრამ მასალის გავრცელების დღევანდელი ტოპოგრაფიიდან გამომდინარე კონკრეტული პუნქტის, თუნდაც ერთის, მითითება გაჭირდება. ამდენად, ვფიქრობთ, ვარდციხეში მოპოვებული წითელლაკიანი კერამიკა რიონ-ყვირილის მაგისტრალით, ე. ი. შავი ზღვის გზით სამხრეთ პონტოს სამყაროდან უნდა მომდინარეობდეს⁴¹.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი მასალის ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს მინის ჭურჭელი. სამწუხაროდ, ნაქალაქარზე მოპოვებულ მასალაში იგი ყველაზე მცირერიცხოვანია, წარმოდგენილია ძალზე ფრაგმენტულად, ისე, რომ ხშირად თვით ჭურჭლის ფორმების შესახებაც კი ჭირს ძსჯელობა; აქედან გამომდინარე, ძნელდება მასალის ტიპოლოგიური დაჯგუფება და, შესაბამისად, საწარმოო ცენტრების დადგენა. მასალის ძირითად ნაწილს სასმისების ნატეხები წარმოადგენს, გვხვდება, როგორც პირების, ასევე

³⁷ გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. ძვ. წ. II ახ. წ. IV სს. დიდი პიტუენტი. I, თბ., 1975, გვ. 375 და შმდ.

³⁸ იქვე, გვ. 375.

³⁹ იქვე, გვ. 410.

⁴⁰ ოთ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის... გვ. 249.

⁴¹ რიონ-ყვირილის მაგისტრალთანაა დაკავშირებული ქუთაისსა და მის მიდამოებში (ფარნალის გორა) IV—V სს. წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტების მოხვედრა (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1966, გვ. 431).

ძირების ნატეხები. უმეტესწილად ძალზე თხელკედლიან ჭურჭელთა ნატეხებია. ქუსლები ჭრილში კონუსისმაგვარია, ორმაგკედლიანი, კიდე ლილვაკისებურად აქვთ გამოყვანილი, მინა მცირედ შეიცავს ბუშტუკებს. სასმისისმაგვარი ჭურჭლების ძირების ორიოდ სხვაგვარი ნატეხიც არის ნაპოვნი; ესაა მეტად თხელი მინის ჭურჭლის ნატეხები მომრგვალებული და ძირის შუა ნაწილში შიგნითკენ შეზნეპილი. არის ყურის ნატეხიც, რომელსაც ერთგვარად მარყუჟისებური ფორმა აქვს. მხოლოდ ერთი ნატეხია სანელსაცხებლის პირისა. არის მასიური, ღეროსმაგვარი ძირის მქონე სასმისის ნატეხი, რომლის ფირფიტის მსგავსი ქუსლი მცირედ შემოინახა. აღნიშნული ნატეხები ძირითადად მოთეთრო, გამჭვირვალე ფაქტურის მქონე მასალისაგან არის დამზადებული და, ამ მხრივ, თითქოს, ერთგვარად განსხვავდება დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინტა, ვაშნარი) მოპოვებული მასალებისაგან, რომელთა ფაქტურა ძირითადად მოწვანო-მონაცრისფერია. საგანგებოდ აღვნიშნავთ C კოშკის იატაკის მომზადების პრეპარატების დროს ადრე და 1976 წ. ცენტრალურ თბრილში, ქვედა დონეზე ლურჯი მინის კოლბისებური ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხების პოვნის შემთხვევას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია საქართველოში მსგავსი ჭურჭელი მხოლოდ წებელდაშია ნაპოვნი და თითქოს არ გვხვდება იგი ისეთი ზღვა მასალის მომცემი ძეგლის განათხარ მასალაში, როგორც არის ბიჭვინტა. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, მინის ზოდების პოვნის შემთხვევები, რაც აშკარაა მინის წარმოებას უნდა დაუკავშირდეს. ეს ზოდები ფერით მომწვანო-მოლურჯოა, როგორც, თითქოს, სწორედ სინქრონული ხანის მინის ჭურჭლებისათვის არის დამახასიათებელი. ნაპოვნია, აგრეთვე, მოწითალო მინისებური, ასევე წარმოებასთან (?) დაკავშირებული ნატეხები, მაგრამ ისინი დარღვეული, ზედა ფენებიდან მომდინარეობენ და ამიტომ მათი დათარიღება ჯერჯერობით ჭირს.

ჩვენ მიერ ზემოთ მოკლედ განხილულ მასალას მრავალი ანალოგია მოეპოვება, როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილო შავი ზღვისპირეთში, გათხრილა ძეგლებიდან; კერძოდ, განხილული სასმისის ძირების მსგავსი ნაპოვნია ბიჭვინტაში⁴², გონიოში, ბობოყვათში, ციხისძირში⁴³, ურბნისში⁴⁴, მცხეთაში⁴⁵, სულ უკანასკნელ ხანებში — ნოქალაქევიში. მასალა ზოგადად IV—VI საუკუნეებით თარიღდება.

მინის ჭურჭლის ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით ქუსლიანი ჭურჭლები, თითქმის ყველა ავტორთა აზრით, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებს უკავშირდება (სირია, პალესტინა). ლურჯი მინის კოლბისებური ჭურჭელი შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ, როგორც ისტ. მეცნაერებათა კანდიდატმა ნ. უგრელიძემ მიაქცია ჩვენი ყურადღება, იგი, შესაძლოა, ეგვიპტური წარმომავლობის იყოს. ამჟამად მასალა მომზადებულია

⁴² მასალა თავაზიანად გაგვაცნო და კონსულტაცია გაგვიწია ისტ. მეცნ. კანდიდატმა ნ. უგრელიძემ.

⁴³ გონიოს, ბობოყვათისა და ციხისძირის, აგრეთვე, ვაშნარის მასალა, დაცული ბათუმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში, თავაზიანად გაგვაცნეს ისტ. მეცნ. კანდ. ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე მ, ა. კ ა ხ ი ძ ე მ. ვაშნარის შესახებ იხ. ლ. ჩ ხ ა ი ძ ე, მინის ნაწარმი ვაშნარის ნაქალაქარიდან, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ., 1975, გვ. 107—114.

⁴⁴ ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 129.

⁴⁵ ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

ლაბორატორიული ანალიზებისათვის, რაც, ვფიქრობთ, დამატებით სინათლეს შეიტანს ჭურჭლის დამზადებისა და გავრცელების არეალის კვლევის საქმეში. ამ მხრივ, ვიმეორებთ, უთუოდ მნიშვნელოვანია მინის ზოდების აღმოჩენის ფაქტი. შესაძლოა ეს ზოდები ვარდციხეში მოხვდა, როგორც საიმპორტო საქონელი, რაც თავისთავად მიუთითებდა გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი საბუთია მინის ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობაზე მსჯელობისათვის. ანალიზების შედეგად შესაძლოა გამოიყოს ადგილობრივი ნაწარმიც. ადგილობრივი წარმოება კი გასაღების ბაზრებსა და შესაბამისად გზებსაც გულისხმობს. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაზე მსჯელობის დროს შეიძლებოდა რკინის წილებისა და რკინის იარაღების (მართალია, მცირე რაოდენობით) აღმოჩენის შემთხვევებიც დაგვესახელებინა. შიდა გზებზე უნდა მიუთითებდეს ე. წ. „წებელღური“ ცულის პოვნის ფაქტი. ამ უკანასკნელ ხანებში მომრავლდა გზების გასწვრივ ამგვარი ცულების პოვნის შემთხვევები (ძევრი, ჩხარი, ვარდციხე, ვანი).

ამით ამოიწურება ძირითადად ის არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, როგორც მასალა IV—VI საუკუნეების მანძილზე ეგრისის სავაჭრო-ეკონომიკური დონის საკითხებზე მსჯელობისათვის. უნდა აღვნიშნოს, რომ ექსპედიციის მიერ ვარდციხის ადრეული შუასაუკუნეების ნაქალაქარზე და ე. წ. ვარდციხის ქვეყანაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებზე სამსჯელოდ მეტყველი უფრო ადრეული და მომდევნო ხანის მასალებიც იყო ნაპოვნი.

გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხების კვლევის დროს უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს უკვე აღნიშნული ე. წ. „პეტინგერის ტაბულა“⁴⁶, აგრეთვე პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“⁴⁷. ამას გარდა, გამოიყენება სხვა ავტორთა, კერძოდ, სტრაბონის, არიანეს ცნობები.

ანტიკურ ხანაში ასე ცნობილი ფაზის-ყვირილის მაგისტრალი, როგორც ჩანს, IV—V საუკუნეებშიც ქვეყნის ერთ, ძირითად საგზაო არტერიას წარმოადგენდა. უფრო ადრე, ანტიკური პერიოდისათვის ამ გზის არსებობაზე ვარდციხის ანტიკური ხანის სამოსახლოს მონაპოვარი მასალაც მიუთითებს. ასე მაგ., წინარეანტიკური და ანტიკური ხანის სამოსახლოზე, ე. წ. „გიორგობიანების გორაზე“ 1972 წ. დაზვერვის შედეგად ადგილობრივ, მრავალრიცხოვან მასალასთან ერთად ნაპოვნი იყო იმპორტული კერამიკის შედარებით მცირე ფრაგმენტები; აღვნიშნავთ შავლაკიანი, როგორც ჩანს, კანთაროსის ყურის, აგრეთვე, სამოსური კეცის მქონე ამფორის ყურის და, შესაძლოა, თაზოსური ამფორის ნატეხების პოვნას. ეს მასალა ძირითადად ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება. ნაპოვნი იყო ძვ. წ. უკანასკნელი საუკუნეებით დასათარიღებელი იმპორტული კერამიკის ფრაგმენტებიც.

შავლაკიანი კანთაროსის ფრაგმენტი ლაკის მიხედვით ადრეული ხანისა უნდა იყოს და, შესაძლოა, ატიკასთან (ათენთან) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაზე მიუთითებდეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასე ადრეულ ხანაში

⁴⁶ ნ. ლ. მ. უ. რ. ი., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, გვ. 99—118.

⁴⁷ ნ. ლ. მ. უ. რ. ი., კლავდიოს პტოლემეაიოსის, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 39—65.

კოლხეთის სანაპიროსა, თუ შიდა რაიონების იმპორტულ მასალაში ათენის პროდუქცია დომინირებს. ვარდციხის ანტიკური ხანის სამოსახლოზე გათხრილი სამარხის ინვენტარი — წითლად გამომწვარი და გაპრიალებული დოქი, ბრინჯაოს სტილიზებულთავიანი სამაჯურები — უკვე, ვფიქრობთ, ადრეელინისტური და მომდევნო ხანის კოლხეთში გავრცელებული ადრეული ხანი დათარიღებული ქვევრსამარხების დროინდელია. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოში იბერიის „ექსპანსიის“ ხანა ივარაუდება. მსჯელობდა რა ადრეული შუასაუკუნეების ვარდციხესთან დაკავშირებულ გზებზე, აკად. ნ. ბერძენიშვილი აღმოსავლეთის გზებიდან ასახელებდა გზას, რომელიც დიმიზე ან აჯამეთზე გადმოვივლიდა⁴⁸. ეს გზა კი თავისთავად იგულისხმება უკვე ელინისტური ხანიდან; ამ მხრივ ნიშანდობლივია ლეონტი მროველისა და მასზე დაყრდნობით ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ფარნავაზის მიერ შორაპნისა და დიმის აშენების შესახებ. ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვები დიმის ციხეზე (იგივე დიმნა, მაიაკოვსკის რაიონი) ერთგვარად ეხმაურებიან წყაროების ცნობებს.

ძვ. წ. I ს. ახალი პოლიტიკური ვითარების გამო, ანტიკური სამყაროს და, კერძოდ, კოლხეთის ქალაქები დაცემას განიცდიან. ასევე ეცემა და შეიძლება ითქვას, ცხოვრებას წყვეტს ვარდციხის ანტიკური ხანის სამოსახლო. ვფიქრობ, გარდა პოლიტიკური მომენტისა, დაცემაში თავისი როლი უნდა ეთამაშა ფაზის-ყვირილის საგზაო მაგისტრალის მოშლას.

პეეტინგერის ტაბულის მიხედვით, ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენდა გზა, რომელიც სომხეთის ქალაქ არტაშატიდან მოემართებოდა, ზეკარის უღელტეხილით რიონს მოადგებოდა, ხოლო აქედან სებასტოპოლისში ჩადიოდა. ამ გზის დამადასტურებელ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მონაპოვარს უკვე ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის წარმოადგენს გზის გაყოლებით, მაიაკოვსკიდან სამხრეთით 8 კმ-ზე წყალთაშუას მონასტრის კვლევის დროს ექსპედიციის მიერ (ჯ. ჭლამაიას გათხრები) გამოვლენილი ახ. წ. I საუკუნის სამარხის ნაშთი. სამარხი შეიცავდა აშკარად იმპორტული კერამიკის მინაბაძ, როგორც საფიქრებელია, ადგილობრივ ჭურჭელთა ნატეხებს და პოლემონ II-ის მონეტას. ცნობილია აღნიშნული მონეტის საქართველოში აღმოჩენის შემთხვევები: ბიჭვინტა (1 ც)⁴⁹, გალის რაიონი, ჭუბურხინჯი (1 ც), წალენჯიხის რაიონი, სოფ. ლია (1 ც)⁵⁰, სოფ. ფახულანი (განძი), ზესტაფონის რაიონი, სოფ. ბორი (1 ც) და ერთიც მცხეთაში⁵¹. ყველგან ეს მონეტა აშკარად უკავშირდება გზას.

საკუთრივ ვარდციხის ნაქალაქარიდან მომდინარე მასალები ჯერჯერობით არ ასახავენ არტაშატ-სებასტოპოლისის გზის შესაბამისი მონაკვეთის არქეოლოგიურ ვითარებას. თუმც მკვლევართა ერთი ნაწილი რუკის რიონისპირა სადგურს *ad fontem felicem*-ს ვარდციხესთან აიგივებს. აქ აღსანიშნავია რუკაზე აღნიშნული პუნქტის დასავლეთით სურიუმის მოხსენიება, რომელიც ასევე თანამედროვე სვირთანაა გაიგივებული. აღსანიშნავია, რომ იგივე პუნქტი მოხსენიებულია პტოლემეაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“. სამ-

⁴⁸ ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიიდან, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტ.-ეთნ. მუზეუმის მასალები. ტ. I, თბ., 1968, გვ. 22.

⁴⁹ გ. დუნდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

⁵⁰ ენგურის ექსპედიციის ლიას რაზმის მონაპოვარი.

⁵¹ პოლემონ II-ის მონეტების საქართველოში გავრცელების შესახებ ცნობები თავაზიანად შეგვიკრება ისტ. ძეგნ. კანდიდატმა თ. აბრამიშვილმა.

წუხაროდ, აღნიშნული, მეტად მნიშვნელოვანი პუნქტის არქეოლოგიური მასალით ლოკალიზება ვერ მოხერხდა.

ზეკარის უღელტეხილზე გარდამავალი გზის შესახებ მოგვიანო ხანის მასალებიც მიუთითებენ. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია ვარდციხის ნაქალაქარის პირდაპირ რიონს გაღმა ძეგლის, ე. წ. რკინის ჯვრის არსებობა, რომელსაც შეისწავლიდა ექსპედიცია. შეიძლება ვიფიქროთ, ადგილი და ტოპონიმი უშუალოდ უკავშირდება მოგვიანო ხანის ქართული წყაროებით ცნობილ „რკინის ჯვრის“ გზას. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ასე მოიხსენიებს ამ გზას, როცა გიორგი რუსი და დასავლეთ საქართველოს მხედრობა, გადალახავს რა ზეკარის უღელტეხილს, იღებს და სწვავს ოძრხეს⁵². ვფიქრობ, აღმოსავლეთ საქართველოსთან და ქვეყნის სამხრეთის პროვინციებთან დამაკავშირებელი ამ გზის შესახებ ლაპარაკობს ვარდციხის ნაქალაქარის მომდევნო პერიოდის (IX—X სს.) არქეოლოგიური მასალა. კერძოდ კი, მოჭიქული კერამიკის ადრეული ტიპები. ყოველი შემთხვევისათვის ამ მასალის აქ მოხვედრა რიონ-ყვირილის მაგისტრალით, დასავლური, თუნდაც ზღვისპირის რაიონიდან ჯერჯერობით არაფრით არ დასტურდება⁵³.

ვარდციხის, როგორც ციხე-ქალაქის, დაწინაურება ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მიზნებითაც იყო განპირობებული. იგი სამხრეთით მოხირისის ქვეყნის საფარს წარმოადგენდა, როგორც სტრატეგიული პუნქტი და ამ მხარის ეკონომიკური დონის გამომსახველს — გაქალაქებულ სამოსახლოს თავისი სსსოფლო-სამეურნეო რაიონით. ნაქალაქარის, როგორც პუნქტის, დაწინაურება, გარდა პოლიტიკური მომენტისა, ეკონომიური ფაქტორებითაც იქნებოდა განპირობებული, იგი ხომ რამდენიმე გზის შესაყარზე დევს. ამასთან უპირატეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ფაზისის მაგისტრალს; ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა ამ გზის შესახებ განსაკუთრებით ანტიკურ ხანაში, მაგრამ ვფიქრობთ, ამ მაგისტრალს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა IV—V საუკუნეებშიც. ასეთი მოსაზრება ერთგვარად ეწინააღმდეგება უფრო გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც უკვე IV—V საუკუნეებში ეს გზა მოშლილია და საერთო სავარეო და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აღარ ფუნქციონირებს⁵⁴. წითელლაკიანი კერამიკის გავრცელება გზის გასწვრივ, ზოგადად ნიმუშების პოვნის შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოში, უფრო ადრეულ ხანაში პოლემონ II-ის მონეტების პოვნის შემთხვევები ბორ-მცხეთის მონაკვეთზე გვაფიქრებინებს, რომ IV—V საუკუნეების მანძილზე ეს მაგისტრალი საქართველოს და, შესაძლოა, არა მარტო საქართველოს მასშტაბით მეტნაკლები ინტენსივობით აგრძელებდა მოქმედებას და მხოლოდ VI საუკუნის ომიანობის ხანას უკავშირდება მისი მოშლა.

⁵² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1958, გვ. 57.

⁵³ დღესდღეობით დასავლეთ საქართველოს არც ერთ პუნქტში, მათ შორის არც ზღვისპირეთში არ არის ცნობილი ადრეული (IX—X სს.) მოჭიქული კერამიკის არც ერთი ნატეხის პოვნის ფაქტი, იხ. მ. მ. ი. წ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., მოჭიქული კერამიკის შესწავლის საკითხისათვის საქართველოში, თბ., 1976.

⁵⁴ უკანასკნელ ხანებში აღნიშნული თვალსაზრისი განავითარა განსვ. თ. გამსახურდიამ ნაშრომში. — ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო გზის შესახებ, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, X, 1, 3. 1966, გვ. 761—766.

О ТОРГОВО-ЭКОНОМИЧЕСКИХ СВЯЗЯХ ЭГРИСИ ПО ДАННЫМ
РАСКОПОК ВАРДЦИХСКОГО ГОРОДИЩА

Резюме

Для изучения вопроса торгово-экономических взаимоотношений возникшего в конце IV в. Эгрисского (Лазского) царства, данные письменных источников крайне недостаточны. Из этих источников особо следует отметить карту второй половины IV в. римского географа Касториа и «космографию» Равенского анонима VII в. н. э. Эти и другие источники давно стали предметом всестороннего изучения и обобщения грузинских историков (см. работы — И. А. Джавахишвили, С. Н. Джанашия, Г. А. Меликишвили, Н. Ю. Ломоури, Д. Л. Мухелишвили и др.).

Естественно, недостаточные данные письменных источников должны дополниться археологическими материалами. Данные археологических источников стали появляться с 50-ых годов нашего столетия, когда были начаты археологические раскопки Пицундского городища. В дальнейшем, благодаря широко развернувшимся разведочным и раскопочным работам в некоторых прибрежных пунктах, происходит накопление археологического материала. Однако, как известно, часть исследователей этих прибрежных пунктов вводит основанную римлянами в прибрежную укрепительную систему — в Понтийский Лимес. В таком случае понятно, что археологические материалы прибрежных памятников могут лишь односторонне отражать торгово-экономические взаимоотношения, Эгриси с Западным Миром.

Вышеотмеченное заставляет нас обратить большое внимание на памятники внутренней Эгриси. В этом аспекте определенное значение приобретают данные, полученные раскопками Вардцихского (Родополис-византийских источников) городища. Добытый археологический материал, в основном, делится на две группы: местная и импортная. Для изучения вопроса большое значение имеет импортный материал. Он, в основном, представлен керамикой и стеклом. В керамической группе большое значение имеет привозная керамическая тара-амфора и краснолаковая керамика. Среди амфор выделяются амфоры из белой глины, стены которых гофрированы, имеется профилированная ручка от амфоры из белой глины, которая по аналогии из Северного Причерноморья датируется второй половиной IV — началом V века. Вторая группа амфор из коричневой глины, черепок рыхлый, с примесями большого количества пироксена. Часть амфор из коричневой глины тоже привозная. Они вместе с амфорами из белой глины Южнопонтийского (Синопа, Гераклея?) происхождения. Может быть с Синопским кругом производства связан найденный в Центральном раскопе городища фрагмент плоской черепицы из белой, совершенно отличительной от местной глины. Среди амфор имеется одна почти целая и несколько фрагментов, вероятно, самосского происхождения. Амфоры эти по аналогиям датируются IV в. Наш материал позволяет выделить более позднюю группу самосских амфор. Краснолаковая керамика представлена несколькими типами мисок и тарелок, по-видимому, тоже Южно-Понтийского происхождения.

Стеклянные сосуды, в основном, представлены кубками разного типа и лампадами. Вызывает большой интерес найденный в Центральном раскопе графинчик из синего стекла. Материал этот, вероятно тоже из Средиземноморья. Часть материала возможно происходит из сирийских мастерских. По всей вероятности, весь этот материал поступает по известному уже с эллинистической эпохи водному пути Фасиса — Риони. Однако подразумевается и другая, южная дорога через Зекарский перевал, что отмечено на карте Касториа. Эта дорога, правда, несколько ранними материалами прослеживается имеющимися в распоряжении Вардцхской экспедиции археологическими данными.

ნაკალაპარ ღმანისის ქართული წარწერები

ტაბ. I—XIX

საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ მდიდარია ქვემო ქართლი თავისი ეპიგრაფიკული ძეგლებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძეგლების ნაწილი შესწავლილია და გამოცემული, მაინც ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, თუ ქართული ეკლესიებისა და ტაძრების წარწერებს გამუდმებით ექცეოდა ყურადღება, მემორიალური ძეგლები ნაკლებად იყო ყურადღების საგანი. ამის გამო ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი განადგურდა და სამუდამოდ დაიკარგა მეცნიერებისათვის.

საზოგადოდ, ქვემო ქართლის ეპიგრაფიკაში ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია ის მუშაობა, რომელიც განახორციელა ნუმიზმატმა და არქეოლოგმა პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ, რომელმაც 1852 წ. იმოგზაურა ამ მხარეში და გადაიღო ქართული წარწერების პირები. წარწერების ესტამპები მან გაუგზავნა აკად. მ. ბროსეს, რომელმაც ვაშიფრა მიღებული წარწერები და გამოაქვეყნა კიდევ¹.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საქმეში ჩვენი ძველი კულტურის ძეგლების მკვლევარსა და მცველს აკად. ე. თაყაიშვილს. მან 1894—1900 წლებში მოიარა ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, გადმოიღო სხვადასხვა პუნქტში შერჩენილი წარწერები და გამოსცა 1929 წ. პარიზში².

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1927 წელს, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარმა გ. ჩიტაიამ, შეისწავლა და გამოსცა ფიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვების წარწერები³. მან მაშინ გამოაქვეყნა ფიტარეთის მონასტრის საფლავების ქვების 9 წარწერა და 1696 წ. მარნის წარწერა. რაც შეეხება ე. თაყაიშვილს, მან ფიტარეთის წარწერები გადმოიღო 1896 წ., მაგრამ აღნიშნული წარწერები გამოსცა, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მხოლოდ 33 წლის შემდეგ — 1929 წელს. აღსანიშნავია, რომ გ. ჩიტაიას და ე. თაყაიშვილის მიერ გაშიფრული წარწერები ზოგიერთ შემთხვევაში არ ეთანხმება ერთიმეორეს.

¹ Melanges Asiatigues, II. გვ. 264—344.

² ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, 6. I, კრებული „კავკასიონი“, № 1—2, პარიზი, 1929 წ.

³ გ. ჩიტაია, ფიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1927 წ.

ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს ფიტარეთის არა მარტო საფლავების ქვების წარწერები, არამედ, აგრეთვე ფიტარეთის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერაც ამოჭრილი კარიბჭის აღმ. ფასადზე. რაც შეეხება ფიტარეთის საფლავების ქვების წარწერებს, ისინი დათარიღებულია XVII საუკ. და XVIII საუკ. დასაწყისით და ეკუთვნის ორბელიშვილების (ორბელების) ჩამომავლობას. ამ წარწერების ნაწილი შესრულებულია ასომთავრულით, ხოლო მეტი ნაწილი — მხედრულით. ე. თაყაიშვილმა შემოხსენებული მოგზაურობის დროს გადმოიღო და გამოსცა აგრეთვე ქვემოჩამოთვლილი წარწერები: ს ო ფ. ტ ა ნ ძ ი ი ს ე კლესიის წარწერები, რომლებიც აგრეთვე ორბელებს (ორბელიანებს) ეკუთვნის. ს ო ფ. თ ე ვ დ ო რ ე წ მ ი ნ დ ა ნ ი ს ს ო ფ ლ ი ს ეკლესიის ასომთავრული სააღმშენებლო და მეორე ეკლესიისათვის შეწირულების წარწერები. ს ო ფ. ხ ა ტ ი ს ს ო ფ ლ ი ს ე კლესიის (ბ ო ლ ნ ი ს ი ს ხ ე ო ბ ა შ ი ა) წარწერები და ერთი წარწერა ამავე ეკლესიისათვის შეწირული. ვერცხლის ფეშხუმზე. წ უ ლ რ უ ლ ა შ ე ნ ი ს ე კლესიის წარწერები. ეკლესიას ორი წარწერა აქვს, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ამ ადგილს ადრე გუნბადი ეწოდებოდა, ხოლო წულრულაშენი მისი მერმინდელი სახელია.

ე. თაყაიშვილი იმავე წლებში ყოფილა დმანისშიც და იქაც გადმოუღია წარწერები, რომლებიც მან თავის შემოხსენებულ ნაშრომში გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ე. თაყაიშვილს შეცდომით აქვს ამოკითხული როგორც დმანისის სიონის კარიბჭის წარწერების, ისე საფლავების ქვების წარწერების ნაწილი. ზოგიერთი საფლავის ქვა მას სრულიადაც არა აქვს მოხსენიებული. სხვათა შორის, იგი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „წარწერები (იგულისხმება საფლავების ქვების წარწერები ვ. ჯ.) ნაჩქარევად გადმოვიღეთ, რიგი სტრიქონებისა დაცული არა გვაქვს“⁴. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ საფლავების ქვების წარწერები „ერთის გარდა — მხედრულიაო“⁵, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ყოველივე შემოაღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ ე. თაყაიშვილს არა აქვს თანდართული წარწერების ფოტოსურათები (გარდა ორი წარწერისა) ან ჩანახატები, აგრეთვე საფლავების ქვების ზომები. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ საინტერესოა საფლავების ქვების არა მარტო წარწერები, არამედ მათი შემკულობის მოტივებიც, შესანიშნავი ჩუქურთმები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ლ. მუსხელიშვილმა, როდესაც იგი დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, ხელახლა ამოიკითხა დმანისის კარიბჭის წარწერები, შეიტანა მთელი რიგი მნიშვნელოვანი შესწორებები ე. თაყაიშვილის წანაკითხში და გამოსცა დაზუსტებული სახით⁶. მაგრამ ლ. მუსხელიშვილმა დააზუსტა მხოლოდ კარიბჭის წარწერები, ხოლო საფლავების ქვების წარწერებს იგი არ შეეხებია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დმანისში მოიპოვება სხვა ეპიგრაფიკული ძეგლებიც, რომლებიც დღემდე არავის გამოუცია, მათ შორის სრულიად

⁴ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

⁵ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.

⁶ ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 380—389.

უცნობია რამდენიმე საფლავის ქვა თავისი წარწერებით. რაც შეეხება ე. თაყაიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიერ გამოცემულ დმანისის ქართულ წარწერებს, დღეს ის კრებულები, რომლებშიაც აღნიშნული წარწერებია გამოქვეყნებული, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

დასასრულ, ისიც აღსანიშნავია, რომ დმანისის ქართული წარწერები ერთად და სრულად არასოდეს ყოფილა გამოცემული. ამავე დროს დმანისის ქართულ წარწერებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს ვანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქვემო ქართლის ისტორიისათვის, არამედ საქართველოს ისტორიისათვის საერთოდ და მათი სრული სახით და სათანადოდ გამოცემა სრულიად აუცილებელია.

დმანისის ქართული წარწერები ნაშრომში დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, ამასთანავე ჯერ წარმოდგენილია ეკლესიის წარწერები, ხოლო შემდეგ საფლავების ქვების წარწერები.

დმანისის ნაქალაქარის ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს სტელის ფრაგმენტი, რომელიც დღეს დმანისის სიონშია დაცული. სტელის ფრაგმენტი ოთხწახნაგოვანია (ტაბ. I, სურ. 1—3) წაკვეთილი პირამიდული თავით (ზომ. სიმაღლე — 0,79 მეტ., წახნაგების სიგანე — 0.29 მ.). თავში სტელას ამოჭრილი აქვს ფოსო, რომელშიაც, უეჭველია ქვისავე ჯვარი იყო ჩადგმული. სტელის ერთ წახნაგზე შერჩენილია ასომთავრული წარწერის რვა სტრიქონი და მეცხრეს ნაწილი. სტელის მეორე წახნაგზე ამოჭრილია წნული მოტივი, ხოლო მესამეზე — სტილიზებული, გრეხილი მცენარეული მოტივი. მეოთხე წახნაგი — სადაა. ადვილი შესაძლებელია სტელა იდგა ეკლესიაში ისევე, როგორც ეს ჩვენ მიერ დადგენილი იყო გათხრების პროცესში ე. წ. საყდრის-ქედის მცირე ეკლესიაში⁷.

სტელის წარწერის შერჩენილი ნაწილი ასე იკითხება:

1. † სჲ-ზ
2. ԹԸ: ՈԹ-Դ
3. ԹԸ: ԾԸ Կ
4. ԴՖ ԴԻ-Ը
5. ԷԾ: ԲԴԸ:
6. ՈԹ-ԴԸԿ
7. ԸԿ ԴԸ
8. ԹԸ: ԸԾ
9. - - - ԴԻ . . .

ქარაგმების გახსნით წარწერა ასე იკითხება:

1. ქ სახელი
2. თა: ღმრთისაი
3. თა: და შ
4. ეწევითა
5. ყოვლად წმიდისა:
6. ღმრთისმშ
7. ობელისაი
8. თა: აღი
9. ენ...

უკანასკნელ სტრიქონში შერჩენილია ასო — „ენ“, რომლებიც წარმოადგენს წინა სტრიქონში დაწყებული სიტყვის „ადიდენ“-ის გაგრძელებას. „ენ“-ის

⁷ ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შუასაუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია), კრებული „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, II, თბ., 1974, გვ. 160.

წინ ქვა ამოტეხილია და ასო „დ“-ონიც დაკარგულია. თავის დროზე კი, ცხადია, ეს ასო აქ უნდა ყოფილიყო ამოჭრილი, რასაც ამტკიცებს აღნიშნული ასოსათვის განკუთვნილი ხარვეზი.

როგორც წარწერის ფრაგმენტიდან ირკვევა, შერჩენილია ანალოგიური ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტული ფორმულა და დაკარგულია წარწერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ წარწერის შერჩენილი ნაწილის შინაარსი არ იძლევა დასაყრდენ საბუთს სტელის დათარიღებისათვის, მაინც შესაძლებელია პალეოგრაფიული ნიშნებით, აგრეთვე სტელის ორ დანარჩენ წახნაგზე შერჩენილი ორნამენტული მოტივების თავისებურების გათვალისწინებით. მიახლოებით დავათარიღოთ ეს საინტერესო ძეგლი. ამასთანავე წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სტელა არსებითად განსხვავდება საქართველოში გავრცელებული უძველესი სტელეებისაგან და შედარებით გვიანი ხანის ძეგლს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, დმანისის ექსპედიციის მასალებიდან, საქართველოს ამ კუთხეში გვხვდება ორიოდ მოგვიანო სტელა. ერთია საყდრისქედის ეკლესიის სტელა, რომელიც XIII საუკუნით კარგად არის დათარიღებული წარწერის საფუძველზე (იხ. დ. ბერძენიშვილის ნაშრომი „დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან“, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემ. მოამბე, XXVIII, 3, 1969) და მეორე ჰამამლუს „მუნჯი“ სტელა XII საუკუნისა. დმანისის ზემოხსენებული სტელაც მოგვიანო სტელეების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს და თავისი წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით და ორნამენტული მოტივების თავისებურებით უფრო XI—XII საუკ. ძეგლებთან იჩენს მსგავსებას.

დმანისის სიონის კარიბჭის წარწერა ამოჭრილია დასავლეთის ფასადის ცენტრალურ სიბრტყეზე, დიდი რელიეფური ჯვრის ორსავე მხარეს (ტაბ. II; სურ. 4). წარწერა ადგილ-ადგილ დაზიანებულია და იკითხება შემდეგნაირად:

1. :ქ:·ს·ხლითა:·ლ·ათა და მსბთა:· წსა: ლ·სმშ [ობელისათა:] - - [დაამყ: რ·ნ ლ·ნ:
2. მფ·თა: მფ·ბ·: გ·ისი: რლ·თა მ·რ: ლ·რს [ვი] ქმ || ნ მე [:მწა: მ·თი: ეპ·კოპოსი: თვ[დსი: მმი:კ
3. ალნპტს ძე: აღმნბ·დ: კ·რსბქსა: ამის. ს·დდბლ || [ა]: [ლ·თ დაც·ლისა მ·ფთა მ] ფბსა: მ·თსა: დ
4. მ·სგსნბლად: ცოდვილისა. ს·ლისა:ჩ·ისა: ბიძმსა: ჩ·ისა.[ა] || ნტ·ნს მშ·ბ [ლ]-თა: და [ნათესავთ] ა: [ჩ]მთ·თს
5. ლ·ისა: ს·ყრლი·სათს: ლ·ცსა: მ·გგსნნი [თ: რ·ა]. ლ·ნ: თქ·ნც || ა მ·გგსნ [ნეს სასუფეველსა მისსა:] ვინცა: ესე:
6. დაწერილი: რ·მსცა. - - - ს·მნ: აღ [მოგოცო]ს:კ [რლ] || მცა. ა [რს ლისა [პირითა მკვდა]რი: და ცოცხ [ა]
7. ლი:·გ·ნოჯსნლდ: და ჩ·ვნთმცა: ბრლთა: მზღვლი არს. || დ·ლსა: მ·ს [გ]-ნკთხ [ვისასა: ეპკპ]ოსი: თვდსი: მ·მსა:·

ქარაგმების გახსნით ამ წარწერას ასე კითხულობს ლ. მუსხელიშვილი:

1. ქ. სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშ[ობელისათა]- -, [დაამყა]რენ ღმერთმან
2. მეფეთა მეფობაჲ გიორგისი, რომელთა მიერ ღირს [ვი]ქმენმ ე, [მიწაჲ მათი, ეპისკოპოსი თევ]დოსი მამაი

3. კალნაპეტის ძე, აღმენებად კარიბჭისა ამის სადიდებლ[ა]დ [ღმრთივდაცუ-
ლისა მეფეთა მე]ფობისა მათისა და
4. მოსატსენებელად ცოდვილისა სულისა ჩემისა, ბიძასა ჩემისა [ა]ნტონის,
მშობ[ელ]თა და [ნათესავთ]სა [ჩემ]მთათვის.
5. ღმრთისა სიყვარულისათვის ლოცვასა მოგვიხსენენი[თ რათა] ღმერთმან
თქვენცა მოგიტსენ [ნეს სასუფეველსა მისსა]. ვინცა ესე
6. დაწერილი რაჲსცა - - - - ს[მ]ნ აღ [მოგოცო]ს, კ[რულ]მცა ა [რს] ღმრთი-
სა [პირითა მკვდა]რი და ცოცხალი
7. განოცნელად და ჩვენთამცა ბრალთა მზღველი არს დღესა მას [გა]ნკითხ [ვი-
სასა, ეპისკოპ]ოსი თეოდოსი მამისაჲ⁸.

ამ წარწერისათვის დამახასიათებელია „ი“-ნის ხმარება „ე“-ეს ნაცვლად და პირიქით, „უ“-ნის გამოსახატავად „ო“-ნი იწერება. „ე“-ნის წინ „უ“-ნი კი არ იწერება, არამედ „ვ“-ინი. ქარაგმის ნიშანი აკლია მთელ რიგ სიტყვებს.

ზოგიერთი ადგილი, რომლებიც ამჟამად დაზიანებულია და ველარ იკითხება, ე. თაყაიშვილის დროს იმდენად კარგად ყოფილა დაცული, რომ მას იგა აღუდგენლად წაუკითხია. ამ საფუძველზე ლ. მუსხელიშვილს წარწერის ზოგიერთი ნაწილი გაშიფრული აქვს ე. თაყაიშვილის მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ლ. მუსხელიშვილი ასწორებს ე. თაყაიშვილის მიერ არასწორად წაკითხულ სიტყვებს. მაგ., მეორე სტრიქონში, იქ, სადაც გარკვევით იკითხება სახელი „თვდსი“ (თეოდოსი), ე. თაყაიშვილს უწერია „ქდსი“. მესამე სტრიქონის პირველ სიტყვას ე. თაყაიშვილი კითხულობს ასე: „კაზნპტს“, ხოლო სინამდვილეში იკითხება „კალნპტს ძე“ (კალნაპეტის ძე); ნაცვლად სიტყვისა „მგხსნით“ (მოგვიხსენენით), ე. თაყაიშვილი კითხულობს „მოივსენნეს“. სწორად არ არის გადმოცემული ცალკეული სიტყვების ტრანსკრიფცია და სხვა.

აქვე შევნიშნავთ, რომ წარწერის ტექსტის გადმოცემის დროს კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმულია წარწერის აღდგენილი ნაწილები თუ ცალკეული ასოები, ხოლო ორი ვერტიკალური ხაზი აღნიშნავს სტრიქონის გადასვლას ფასადზე გამოსახული ჯვრის მარცხენა მხრიდან — მარჯვენაზე.

წარწერა რომ სააღმშენებლოა, ეს ექვს არ იწვევს, მაგრამ აღნიშნული წარწერის მიხედვით არ ჩანს, რომელი მეფეთ მეფე გიორგი იგულისხმება. ამ საკითხის გარკვევა ხერხდება კარიბჭის სხვა წარწერის მიხედვით, რომლის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარიბჭის მეორე წარწერა, რომელიც ამოჭრილია დას. ფასადის მარცხენა ნიშის ზემოთ და შედგება 13 სტრიქონისაგან (ტაბ. III, სურ. 5—6).

წარწერიანი ქვების ეს ნაწილი, საერთოდ ფასადი, ამ ადგილას მეტად დაზიანებული ყოფილა 1936—37 წწ., როდესაც აქ მუშაობა დაიწყო ღმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. წარწერიანი ქვების ნაწილი კედლიდან ამოვარდნილი და დაკარგული ყოფილა. მხოლოდ არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩნდა წარწერიანი ქვები, რომლებიც სარესტავრაციო მუშაობის შედეგად ჩაიდგა თავის ადგილას, როგორც ამას იუწყება ლ. მუსხელიშვილი თავის ნაშრომ-

⁸ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 386.

ში⁹. მიუხედავად ამისა, წარწერის ნაწილები ისეა დაზიანებული, რომ მათი ამოკითხვა უკვე აღარ ხერხდება.

ამ წარწერას იცნობენ როგორც მ. ბროსე, ისე ე. თაყაიშვილი, მაგრამ მათ წაკითხვაში ლ. მუსხელიშვილმა შეიტანა რიგი შესწორებანი. ეს წარწერა ასე იკითხება:

1. ქ: სა [ხელ] ითა: ღთსით [ა და მ] ეო [ხეზთა]
2. [ყ] რდ წესა ღსმშობ [ელისაათა ესე დაწერა]
3. ლი: [და] [ნ] რდ მუნა: მ [ე] დმნდისის [ა] მმნ: - - - - -
4. ეკლესიასა კარის [ბ] [ჰე] [სა: დაუდე: ჩ] მსა: შემოსოლსა: [შნა] - - - - მ - -
5. სამართლა: იქნბოდა: ომეყესოთ [ა] ო [ბრ] ლოთ [ა ქა] ლ ყმ [თა]: [მ]მდ-
[ღთა ქორ]
6. წინებად: არ მოუშეებდეს: ვირე: ოქროსა: არ: [აილ] ებდეს: [გე] თ [ა]: .
- - - - [და]
7. ბულა: სამართლა: იყო: ეგრე: ჩემსა: დმნდისისა [მ] მამთავრ [ობ] [სა: ში] [ნა] - - -
8. თოღ [ს]: [ამილ] რია: დავდთის: [და] [ეგრ] [ძე] [ლობ] [მსათს].
9. და ვნცა: [შ] ემდგმად: ჩემ [სა]: აღოს:
10. წყევსამ [ცა] ქუეშე: არ [ს] ვით
11. ა: ნესტორ:
12. დ ოროგა
13. ნე: ან:

ქარგმების გახსნით ეს წარწერა ლ. მუსხელიშვილს წაკითხული აქვს შემდეგნაირად:

1. ქ. სა [ხელ] ითა ღმრთისაით [ა და მ] ეო [ხეზითა]
2. ყ [ოვლად] წმიდსა ღმრთისმშობ [ელისაათა, ესე დაწერა]
3. ლი [და] [ნ] [დ] მუნა მ [ე], დმანისის [ა] მამათმთავარმან - - - - -
4. ეკლესიასა კარის [ბ] [ჰე] [სა] დაუდე. ჩ [ემსა] შემოსულასა [შინა] - - - - მ - -
5. სამართლა იქნებოდა: ომეყესოთ [ა] ო [ბრ] ლოთ [ა ქა] ლ-ყრმა [თა, მ] -
ამადე [ღთა ქორ]
6. წინებად არ მოუშეებდეს, ვირე ოქროსა არ [აილ] ებდეს. [გე] თ [ა] ---- [და] [ე]
7. ბულა სამართლა იყო, ეგრე ჩემსა დმანდისისა [მ] მამათავრ [ობ] [ასაში] [ნა] - - -
8. თოღ [ს] ამილ [ია] დავდთის [და] [ეგრ] [ძელობ] [მსათს].
9. და ვნცა [შ] ემდგომად ჩემ [სა] აღტოცოს
10. წყევსამ [ცა] ქუეშე არ [ს]. ვით
11. ა ნესტორ
12. და ოროგანე, ამენ“.

ეს წარწერა, თავის შინაარსით, უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლია. აქედან ჩანს, რომ დმანისის ეპისკოპოსი (რომლის ვინაობა წარწერის სათანადო ადგილის დაზიანების გამო უცნობია) აუქმებს უმართებლო წესს, როდესაც ეკლესია კანონიერი ქორწინებისათვის ოქროს მოითხოვდა „ომეყესოთა (უნათესაო), უბრალოთა ქალ-ყრმათაგან“ და „მამა-დედათაგან“. როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ. მუსხელიშვილი, დმანისის ეპისკოპოსი ისევე მოქმედებს, როგორც ეპიფანე კათალიკოსი ანისში, რომელმაც, როგორც ეს ირკვევა ანისის ქართუ-

⁹ ლ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 386.
4. არქეოლოგიური ძეგლები 49

ლი ეკლესიის წარწერიდან, 1218 წ. შეამცირა მრევლისათვის მძიმე გადასახადები, პირველყოვლისა „გურგუნთა კურთხევისათვის“, რომლებსაც იქაური ქართული ეკლესია ახდევინებდა მართლმადიდებელ მოსახლეობას¹⁰. შემოხსენებულთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, შემდეგში ამ კონფლიქტმა მრევლსა და ეკლესიას შორის საყოველთაო ხასიათი მიიღო, რაც ცნობილია 1262/3 წლის საეკლესიო კრების დაგენილებიდან¹¹.

კარიბჭის აშენების დროის მესამე ერთსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია კარიბჭის შიგნით, სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტის აღმოსავლეთის განის თაღზე შემდეგი შინაარსისა (ტაბ. IV, სურ. 7):

ქ: ამ-სა: შ-ნბ-ა: შ-ა: შ-სწრ-ა: აფ-რნ: | ლ-: დრ-კი დღე გვ-თა აღ-პდ ლ-ს ბ-ს შბჲ ვ-ნც დ-ქ-ს კრ-ლ-ცა არს.

ქარაგმების გახსნით ამ წარწერას ლ. მუსხელიშვილი ასე კითხულობს: „ქ. ამისა შენებასა შინა შემოქმედია აფრიდონ ლ (30) დრაჰკანი. დღე გაოკვეთა აღაპად ღმრთისმშობლის შობაჲ. ვინცა დააკლოს, კროლმცა არს“.

ე. თაყაიშვილს ეს წარწერაც წაკითხული აქვს, მაგრამ შეცდომებით. სრულიად ცხადია, რომ ეს წარწერაც კარიბჭის აშენების დროს არის ამოჭრილი, მაგრამ სახელდობრ როდის, ამას წარწერა არ გვაუწყებს.

დმანისისა და ანისის წარწერებისა და შემოხსენებული საეკლესიო კრების დადგენილების გათვალისწინების საფუძველზე, აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ დმანისის მეორე წარწერა თავისი შინაარსით ათარიღებს ორ დანარჩენ წარწერას¹². კარიბჭის მეორე წარწერაში მოხსენიებული დავითი უნდა იყოს ლაშა გიორგის ძე-ულუ დავითი, ხოლო პირველ წარწერაში მოხსენიებული მეფეთ მეფე გიორგი — ლაშა გიორგი. მაშასადამე, კარიბჭე აშენებული უნდა იყოს ლაშა გიორგის დროს — 1214—1222 წლებში.

აღსანიშნავია ვრცელი წარწერა ამოჭრილი წითელი ტუფის დიდ ქვაზე, რომელიც ჩაშენებულია დმანისის სიონის სამხ. ნავის სამხრ. ფასადში. ეს ქვა ორი ნახევრისაგან შედგება, რომელთაგან მარჯვენა ნახევარს ქვევით ოთხკუთხი ამონაჭერი აქვს, რომელშიაც ჩადგმულია კვადრატული ფორმის ტუფისავე პატარა ნაჭერი (ზომ. 1. 68 × 0,75 მ.), ქვის მთელ სიგრძეზე ამოჭრილი ყოფილა ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომლის ყოველი სიტყვა, ყოველი ასოც კი საგანგებოდ არის ჩამოთლილი და ამგვარად წაშლილია მთელი წარწერა (ტაბ. IV, სურ. 8). რა თქმა უნდა, წარწერა განგებ, შეგნებულად, არის წაშლილი. მიუხედავად ამისა, აქა-იქ კიდევ იკითხება ცალკეული ასოები: X; C; H; L; K; Q; T; D; J; და სხვა. შერჩენილი ცალკეული ასოების პალეოგრაფიული ხასიათი იმის მანიშნებელია, რომ წარწერა შუა საუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ, მით

¹⁰ Н. Я. М а р р, Надпись Епифания, Каталикоса Грузии, Изв. Акад. наук. 1910, გვ. 1433—1442, П. М. М у р а д я н, Грузинская эпиграфика армении (სომხრ. ენაზე), Ереван, 1977, გვ. 34—50, ტაბ. I, აგრეთვე იხ. ლ. მუსხელიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 389.

¹¹ ნ. გ. გოზალიშვილის მიერ გამოცემული ულუ-დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, წ. 1, გვ. 219—224. და ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 46.

¹² ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 389.

უფრო, რომ ასოები თავისი მოყვანილობით ემსგავსებიან კარიბჭის წარწერების ასოებს.

ასომთავრულით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი დაცული ერთ გრძელსა და სწორკუთხოვნად გათლილ ქვაზე, რომელიც ჩაშენებულია დმანისის სამრეკლოს დას. კარის თავში (ტაბ. V, სურ. 9). აღნიშნული ქვა, რა თქმა უნდა, თავის თავდაპირველ ადგილას არ არის ჩაშენებული და რომელიღაც წარწერის ერთი მცირე ნაწილიაა შერჩენილი, წარწერა ამოჭრილია ღრმად, მსხვილი ასოებით და იკითხება ასე:

...: ԾՏԽԻԽԻԿԻ ԸԾԻԿ ԻԿԻԿ

ე. ი. „დ სიმრავლითა ცოდვით ჩვენთ [ა]“

ეს ფრაგმენტი რომელიღაც ვრცელი ასომთავრული წარწერისა, თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით მსგავსებას იჩენს დმანისის კარიბჭის მესამე წარწერასთან და აგრეთვე საყდრისქედის ეკლესიის წარწერასთან¹³. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მსგავსება „Ծ“ „Ը“ და „Կ“-ანის დაწერილობაში. ამ საფუძველზე ეს წარწერა შეიძლება დავათარილოთ XIII საუკუნით.

ამით მთავრდება ის ასომთავრული წარწერები, რომლებიც ასე თუ ისე შერჩენილია დმანისის ნაქალაქარის არქიტექტურულ ძეგლებზე, მაგრამ არის მხედრული წარწერაც, რომელიც ამოკვეთილია დმანისის სიონის აღმოსავლეთი ფასადის უკან, მის უშუალო სიახლოვეს არსებულ მცირე ეკლესიის სამხრ. კარის ქვაზე. (ტაბ. V, სურ. 10). წარწერა ასე იკითხება:

1. „1: შესწევნითა (sic) ღთისათა: მე ფდ ცვ
2. ღმან ბატნის: შვილის: მარიამის გამდღმან: ისახარ:
3. კდ: განვახლე: დაქცეული: საყდარი: ესე წის: მარინისა ცდვ
4. ათა:ჩნთა: შესან [დობ] ლად:და:ბატნთა:ჩნთა:მსხსენებლად:ქს ტე

ქარავმების გახსნით წარწერა ასე იკითხება:

1. შესწევნითა ღმრთისაითა, მე ფრად ცოდვი —
2. ღმან ბატონისშვილის მარიამის გამდღმან ისახარ,
3. კულად განვახლე დაქცეული საყდარი ესე წმიდის მარინისა ცოდვი —
4. ათა ჩვენთა შესანდობელად და ბატონთა ჩვენთა მოსახსენებლად ქს ტე (390)

ქორონიკონი უდრის ჩვენი წელთაღრიცხვის 1702 წელს.

როგორც ქვევით დავინახავთ, XVIII საუკუნის წარწერებიდან, რომელთაც ეკუთვნის დმანისის დათარიღებული საფლავების ქვების წარწერები, ყველაზე ადრინდელია ზემოხსენებული მარინეს ეკლესიის წარწერა.

დმანისის სიონის ინტერიერში დაცული წარწერებიდან აღსანიშნავია გათლილი ქვების ცხრა ნატეხზე შერჩენილი მხედრული წარწერა. როგორც ეტყობა, აღნიშნული ნატეხები წარმოადგენენ თლის ქვის ნაწილებს, სავარაუდებელია საკურთხევლის კარის თლის ნაწილებს, თუმცა არსებული ნატეხები შეიძლება ერთმანეთს მივუყვნოთ, მაგრამ ყველა ნატეხი მაინც არ შერჩენილა და, ძაშასადაძე, წარწერაც მთლიანად ვერ იკითხება, კიდევ მეტი, დაკარგულია მი-

¹³ ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შუასაუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია), კრებული „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, II, თბ., 1974 წ., გვ. 152—73, ტაბ. V, სურ. 2.

სი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილი (ტაბ. VI, სურ. 11—16).

წარწერის შერჩენილი ნაწილი ასე იკითხება:

„შეწევნითა ღთისაითა და მწებებითა დმანისის ღთისმშობელისაითა ვედრება ჩემი შეისმინე და შემიწყალე მე ამის ლუ... მათთა“.

ამგვარად, წარწერას აკლია სწორედ ის ნაწილი, რომელზედაც ამოჭრილი უნდა ყოფილიყო იმ პირის ვინაობა, ვინც ეს წარწერა გააკეთებინა. სხვა ისტორიულ ფაქტსაც წარწერის შერჩენილი ნაწილი არ იხსენიებს და წარწერის შინაარსი დათარიღების საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, დამწერლობის, აგრეთვე იმ მსგავსების მიხედვით, რომელსაც იგი იჩენს დმანისშივე არსებულ XVIII საუკ. მხედრული წარწერების სტილთან და ასოებთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს წარწერაც XVII საუკ. მიწურულსა და XVIII საუკ. პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

ამით თავდება დმანისის ქართული წარწერების ის ნაწილი, რომლებიც შერჩენილია ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

დმანისში დაცული საფლავების წარწერიანი ქვებიდან უმეტესი ნაწილი დღემდე სიონში ინახება, ხოლო სამი საფლავის ქვა ტაძრის გარეთ დევს, აღმ. ფასადის მახლობლად. დიდი ნაწილი საფლავების ქვებისა, მცირე გამონაკლისს გარდა, გატეხილი და დაზიანებულია და, მაშასადამე, დაზიანებულია თვით წარწერებიც, ხოლო ზოგიერთი ნაწილი წარწერებისა საბოლოოდ წაშლილია. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, საფლავების ქვებზე შერჩენილი წარწერები გვაუწყებენ მიცვალებულთა ჩამომავლობას, ვინაობას, გარდაცვალების თარიღებს და ზოგჯერ სხვა საინტერესო ცნობებსაც შეიცავენ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ როგორც ქვემო ქართლის, ისე საქართველოს ისტორიისათვის.

საფლავების წარწერიანი ქვები დალაგებული გვაქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

საფლავის დიდი ქვა (ზომ. $1,89 \times 0,67 \times 0,2$ მ.), უარშინო, სწორკუთხოვნად გათლილი, გარშემო შემოუყვება ვიწრო ღარი. (ტაბ. IX, სურ. 17). ვრცელი მხედრული წარწერა ამოჭრილია ქვის სიგანეზე. წარწერა შესრულებულია ლამაზად მოხაზული ქართული ასოებით ხელნაწერის სტილში (მრგვლოვანი მოხაზულობა, ცალკეული გადაბმული ასოები და სხვ.). წარწერა ძლიერ დაზიანებული ყოფილა ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილის დროს და ამიტომ მისი ამოკითხვა ადგილ-ადგილ შეუძლებელია. წარწერა ჩასმულია წმინდად ამოღარულ ჩარჩოში (ზომ. $0,55 \times 0,77$ მ). წარწერის შერჩენილი ნაწილი ასე იკითხება:

1. ქ. ქ ს ტჷზ თბთვის
2. ... შივიცვ...კზ
3. ... ჩ... დი
4. დის ორბელის ძის
5. ყაფლანის გი
6. ორგის ძე
7. პაპუა მივიცალ
8. ე სამკვიდროსა ამ
9. ას¹⁴ დმანის.

¹⁴ ე. თაყაიშვილი ამ სიტყვას კითხულობს „ამისაგან“, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 104.

პაპუა, ძე გიორგისა, ძისა ყაფლანისა, ე. თაყაიშვილის ცნობით, იხსენიება 1674, 1679 და 1689 წ.წ. სიგელებში. იგი უძეო ყოფილა¹⁵. ქორონიკონი ტუზ ჩვენი წელთაღრიცხვის 1709 წ. უდრის.

საფლავის ქვა მხედრული წარწერით, ორად გატეხილი, გარშემო სტილიზებული მცენარეული ორნამენტის არშიით, (ტაბ. X, სურ. 18—19), რომლის სიგანე უდრის 12 სმ. (ზომ. $1,55 \times 0,5 \times 0,19$ მ.). ქვის შუაგულის ერთი ნახევარი უჭირავს წარწერას, ხოლო მეორე ნახევარი შეფოთილი ხის გამოსახულებას, რომლის მარცხენა ნახევარი საგრძნობლად დაზიანებულია. ქვას წიბოები გარშემო ცერად აქვს ჩამოთლილი. წარწერას უჭირავს ქვის დაახ. ნახევარი. ქვის წარწერიანი ნაწილის ზომებია $0,7 \times 0,17$ მ. წარწერა ამოჭრილია ქვის სიგრძეზე. წარწერის ბოლო ნაწილი ამოტეხილია და დაღუპული. წარწერა შესრულებულია ლამაზი ქართული ასოებით და ასე იკითხება.

1. ქ. მე: დ[ი]დ[ი]ს ორბელიანთაგანი ძე [ზურაბ]
2. ისა: დიმიტრი მიმცვალა ბრძანებამან [მეორედ მო]
3. ქცევისამან და დავეფალ სამკვი[დრებელსა ა]
4. მას: გვედრები მხილველთა შენდო[ბასა] ყ[ოფდეთ].

ამ ქვაზე ქორონიკონი ამოჭრილია წარწერის დასაწყისთან, ქვის ზედა მარცხენა კუთხეში — „ქკს უვ“, რაც უდრის ჩვენი წელთაღრიცხვის 1718 წელს.

ეს წარწერა წაკითხული აქვს ე. თაყაიშვილს წარსული საუკუნის 90-იან წლებში¹⁶. როგორც ჩანს, მაშინ ის უკეთ ყოფილა დაცული და მთლიანად იკითხებოდა. ამჟამად წარწერის IV სტრიქონის უკანასკნელი სიტყვები თუ სიტყვების ნაწილები აღარ იკითხება და წარწერის დაღუპული ნაწილები მოტანილი გვაქვს ე. თაყაიშვილის მიხედვით. აღდგენილი სიტყვები ჩასმული გვაქვს სწორკუთხოვან ფრჩხილებში.

წარწერაში მოხსენებული დიმიტრი, ე. თაყაიშვილის ვარაუდით, უნდა იყოს 1740 წლის ნასყიდობის წიგნში მოხსენებული მამა უზბაშ ყაფლანისა, ზაალისა, ბერისა და გიორგისა¹⁷.

საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით, (ტაბ. XI, სურ. 20), ორ არანაბარ ნაწილად გატეხილი (ზომ. $1,02 \times 0,48$ მ.)¹⁸.

ქვას გარშემო შემოვლებული აქვს ვიწროდ ამოღარული ჩარჩო, რომელსაც შიგნით შემოუყვება ფართო არშია, შედგენილი სტილიზებული წიწვოვანი მოტივების მსგავსი სახეებისაგან. არშია რელიეფურია. ქვის ცენტრალური ნაწილი მთელ სიგრძეზე უკავია ასომთავრულ ორსტრიქონიან წარწერას, რომელიც ასე იკითხება:

1. **ქ ყფზჩჩ აჰჷოზჩჩჷს ძი შხ**
2. **სჯღღჷ: ზჯჷოჰჷჷძჷი სფზჷს ჸსჯ ჸძ(?) ჿიზჯ**

ე. ი. 1. ქ. ყაფლან ორბელიანის ძე მზე

¹⁵ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104, იხ. აგრეთვე „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 255, 258, 430.

¹⁶ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი.

¹⁷ ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, II, 1924, წ. გვ. 177.

¹⁸ საფლავის ეს ქვა ე. თაყაიშვილს რატომღაც არა აქვს აღნიშნული და, რა თქმა უნდა, არც წარწერას იცნობს.

2. ჭაბუკ: დავემკვიდრე საფლავს ქსა ქთ ჩღლა წარწერაში შეცდომით უნდა იყოს ამოჭრილი ქორონიკონის აღმნიშვნელი ორა ასო ქთ, მაგრამ იქვე, მეორე სტრიქონის ქვეშ, ბოლოში ამოჭრილია ოთხი ასო-მთავრული ასო-ჩღლა, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 1731, რაც უნდა იყოს გარდაცვალების წლის აღმნიშვნელი.

წარწერაში მოხსენიებული მზეჭაბუკი შესაძლებელია იყოს თამაზ სარდლის შვილი მზეჭაბუკი.

საფლავის ქვა ასომთავრული ორსტრიქონიანი წარწერით, (ტაბ. XI, სურ. 21), მთელი. ზომ. $1,38 \times 0,47$ მ.¹⁹

ქვას გარშემო ამოჭრილი აქვს ორი წმინდად ამოღარული პარალელური ჩარჩო, რომელთა შორის არე შევსებულია შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ფართო არშიით. არშიის შიგნით მოქცეული მთელი არე უჭირავს ვრცელ ასომთავრულ წარწერას, რომელიც, ამასთანავე შესრულებულია დიდი ოსტატობით. წარწერის შესრულებაში გამოყენებულია სხვადასხვა ხერხი: შეწიალება ასოების, კომბინირება, ასოების კონტურების ერთმანეთზე გადასვლა, რაც არ არღვევს წყობის სილამაზეს და სხვა. ეს წარწერა ქართული დამწერლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ამავე დროს წარწერა საინტერესოა თავისი შინაარსითაც და ასე იკითხება:

1. ႠႠ ႡႢႣ: ႣႤႥႦႧႨ: ႩႪႫႬ ႭႮႯႰႱႲႳ ႴႵႶႷ ႸႹ ႺႻႼႽႾႿ
2. ႿႰႱႲ ႳႴႵ: ႶႷႸႹႺ: ႻႼႽႾႿႺ: ႻႼႽႾႿ ႻႼႽႾႿႺ ႻႼႽႾႿႺ ႻႼႽႾႿႺ

ქარაგმების გახსნით წარწერა ასე იკითხება:

1. არაგვის ერისთავთაგან: ბარძიმ მდივანბეგის ასული და ორბელიანთ
2. სახლის სძალი: მეცხედრე მზეჭაბუკისა თამარი გარდავიცვალე ქსა ჩღლე

ქორონიკონი ჩვენ წელთაღრიცხვაზე გადმოტანით უდრის 1735 წელს. ეს წარწერა მრავალმხრივ საინტერესოა — შინაარსით, პალეოგრაფიულად, ქართული ასოების მხატვრული შესრულებით და მხატვრული შემკულობით. ეს ქვა ერთ-ერთი იშვიათი და შესანიშნავი მემორიალური ძეგლია XVIII საუკ. ამ ხასიათის ძეგლთა შორის.

საფლავის ქვა მხედრული წარწერით, (ტაბ. XII, სურ. 22), ბოლო ჩამოტეხილი და დაკარგულია (ზომ. $0.99 \times 0.41 \times 0.2$ მ).

ქვას წახნაგები ცერად აქვს ჩამოთლილი. გარშემო ქვას შემოუყვება ფართო სტილიზებული არშია, რომელიც მოგვაგონებს ადამიანის ფიგურის სქემატურ გამოსახულებებს. ქვას თავში ამოღარული აქვს ორი ნახევარწრიული მოყვანილობის ჩარჩო, რომელშიაც ჩასმულია ორმხრივ ლამაზად ამოჭრილი ნახევარპალმეტები. ჩარჩოს ორივე ბოლო შიგნით არის მოხრილი. ქვის ზედაპირის შუაგული უჭირავს გათლილ ზოლს (ზომ. 0.72×0.13 მ), რომელზედაც ამოჭრილია ორსტრიქონიანი წარწერა. აღსანიშნავია, რომ ეს წარწერაც შესრულებულია ხელნაწერის სტილში — ასოების მთელი რიგი ერთმანეთზეა გადაბმული. წარწერას ბოლო ნაწილი აკლია, რადგან ქვას, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ჩამოტეხილი აქვს და ნატეხი დაკარგულია. საბედნიეროდ, ეს წარწერა უნახავს თავის დროზე ე. თაყაიშვილს. მაშინ წარწერა მთლიანად ყოფილა დაცული. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს წარწერის ტექსტი სრულად მოვიტანოთ. წარ-

¹⁹ საფლავის ამ ქვასაც არ იცნობს ე. თაყაიშვილი

წერის ბოლო ნაწილი, რომელიც ე. თაყაიშვილის მიხედვით არის ცნობილი, ჩვენ ჩასმული გვაქვს კვადრატულ ფრჩხილებში. წარწერა ასე იკითხება:

1. ქ. მე ორბელიანთაგან ძე მზეჭაბ [უკისა რამაზ ვძე ტა]

2. გრუცსა ამას აღვესრულე ფ[ებერვალსა... სულ]

ქორონიკონი ჩვენ წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით უდრის 1742 წ. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული მზეჭაბუკის ძე რამაზი უნდა იყოს თამაზ სარდლის ძის მზეჭაბუკის შვილი.

საფლავის ქვა მხედრული წარწერით (ტაბ. XII, სურ. 23) და გარსშემოვლებული მხატვრული არშიით (ზომ. $1.6 \times 0.5 \times 0.2$ მ). ქვას წიბოები ცერად აქვს ჩამოთლილი, რომელზედაც ამოჭრილია გრეხილის გამომხატველი არშია. ქვის ბრტყელ ზედაპირს შემოუყვება სტილიზებული მცენარეული ორნამენტის არშია, შესრულებული ოსტატურად. ქვაც და წარწერაც სრულიად დაუზიანებელია. ქვის წარწერიანი ზედაპირის ზომებია 1.33×0.19 მ.

წარწერა ორსტრიქონიანია და ასე იკითხება:

1. ქ. სოფლისა ამის ღელვათაგან შეიწრებულნი და უცალო ქმნი

2. ლი მრავალთა ცოდვათა ჩემთაგან დასჯილი მე

ყაფლანის შვილი ორბელი მივიცვალე ქკს ულბ

ამ წარწერას ქორონიკონი ამოჭრილი აქვს ორ სტრიქონს შორის არსებულ არეზე, წარწერის დასაწყისთან. ქორონიკონი ჩვენ წელთაღრიცხვაზე გადმოტანით უდრის 1744 წელს. ე. თაყაიშვილის აზრით, წარწერაში მოხსენიებული ორბელი უნდა იყოს მდივანბეგი ერასტის (ვახტანგის ძის) შვილი, რომელიც იხსენიება სიგელში 1717, 1736 და 1737 წლებში²⁰.

საფლავის ქვა მხედრული წარწერით (ტაბ. XII, სურ. 24), რომელიც ჩასმულია ქვის კონტურების გარშემო ვიწროდ ამოღებულ ორმაგ ჩარჩოში (ზომ., $16 \times 0,57$ მ. სისქე — $0,25$ მ.).

წარწერა შესრულებულია ლამაზი ქართული ასოებით ხელნაწერის სტილში. წარწერის ასოები ძალიან წმინდად და სუსტად არის ამოჭრილი, ამის გამო წარწერის ცალკეული ნაწილების ამოკითხვა გაძნელებულია. წარწერა ორსტრიქონიანია და ასე იკითხება:

1. ქ. ჩვენ დიდის...ელიანის...ის გირგის ძე

2. ზურაბ მივცლე...

წარწერის შერჩენილი ნაწილის მიხედვით, წარწერაში მოხსენიებული ზურაბ გიორგის ძე ორბელიანი, უნდა იყოს ორბელიშვილების გვარის წარმომადგენლის ყაფლან სახლთუხუცესის (გარდ. 1671 წ.) შვილიშვილი ზურაბ გიორგის ძე, მისი გარდაცვალების თარიღის დადგენა არ მოხერხდა.

საფლავის ქვა მხედრული ორსტრიქონიანი წარწერით (ზომ $1.58 \times 0.41 \times 0.2$ მ.). ქვას წიბოები ცერად აქვს ჩამოთლილი (ტაბ. XIII, სურ. 25). ქვის ბრტყელ ზედაპირს გარშემო შემოუყვება ფართო არშია, რომლის ორნამენტი მოგვაგონებს ადამიანის ფიგურის სქემატურ გამოსახულებას. აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი გავრცელებული ჩანს XVIII საუკ. მემორიალურ ძეგლებზე, იგი გვხვდება სხვა შემთხვევაშიაც.

წარწერას უჭირავს ქვის მთელი ზედაპირი, რომელიც მოქცეულია ზემო-ჩხენებულ არშიის შიგნით. იმის გამო, რომ ქვის ზედაპირი ძლიერ დაზიანებუ-

²⁰ იხ. „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 279, 386, 389.

წარწერის შერჩენილი ფრაგმენტები არ გვაძლევენ საშუალებას ვიცოდეთ დმანისის რომელი საქეთმზყრობელია აქ დაკრძალული და როდის გარდაიცვალა იგი, მაგრამ წარწერის შერჩენილი ფრაგმენტები პალეოგრაფიულ მსგავსებას იჩენენ თუნდაც ამავე ტაძარში დაცულ იმ საფლავის ქვის წარწერასთან, რომელიც მზეჭაბუკის თანამეცხედრე თამარს ეკუთვნის და რომელიც კარგად არის დათარიღებული 1735 წლით. ჩვენი აზრით, ამ საფუძველზე შემოხსენებული საფლავის ქვის წარწერაც XVIII საუკ. შეიძლება დავათარილოთ.

საფლავის ქვა მხედრული წარწერით (ტაბ. XIV, სურ 27 და 28) ორ არათანაბარ ნაწილად გატეხილი (ზომ 1.0×0.41 მ.). ქვას დასაწყისი ნაწილი ჩამოტეხილი და დაკარგული აქვს. ქვის უდიდესი ნაწილი შემკული ყოფილა მცენარეული სტილიზებული ორნამენტით, რომელიც შემოუყვება გარშემო ფართო არშიას სახით. არშიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოტეხილია და ასეთ ადგილებში არშია წაშლილია. შერჩენილია წარწერის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც უჭირავს ქვის ქვედა ნახევარი. წარწერა ხუთსტრიქონიანია და ასე იკითხება:

1. აღვსრლე აპრლს კ...
2. ქ. ტომობით ორბელიანი ძეთაგ...
3. ან ბეგისა ყაფლანის შვილი ს[ულ]...
4. ხან აღვესრულე ხსენებას ჩმს [ა]
5. ..გწამთ სიყვარულითა ღთი...
- ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ წარწერაში მოხსენიებული სულხანი (ყაფლანის შვილი) უნდა იყოს ერასტი მდივანბეგის ძე ეშიკალასბაში.

სრულიად განსაკუთრებულია თავის ჩუქურთმებით ერთ-ერთი საფლავის ქვა გატეხილი ორ არათანაბარ ნაწილად. (ტაბ. XV, სურ. 29 და 30). ქვას აქვს იშვიათი სილამაზის მხედრულით შესრულებული წარწერა. ქვის ზომებია: დიდი ნატეხისა — 1.08×0.67 მ. პატარისა — 0.8×0.6 მ. ქვის სიგანე უდრის 0.67 მ. ქვას ჩამოტეხილი და დაკარგული აქვს შუა ნაწილის ერთი ნატეხი, ჩამოტეხილია აგრეთვე ქვის ბოლოც. ქვას წიბოები ცერად აქვს ჩამოთლილი.

საფლავის ქვას გარშემო შემოუყვება სტილიზებული მცენარეული მოტივის ფართო არშია, რომელიც შედგება ერთმანეთზე გადაწნული ოვალებისაგან, რომლებშიაც ჩასმულია ორ-ორი ფოთოლი და თითო ყვავილი. ეს მოტივი მეორდება მთელ სიგრძეზე გარშემო, ოღონდ კუთხეებში ოვალების ნაცვლად ამოჭრილია კვადრატული ფორმის წნული მოტივები. შემოხსენებული არშიის შიგნით ქვის ზედაპირის $3/4$ უჭირავს ოთხკუთხ ჩარჩოში ჩასმული სიცოცხლის ხის გამოსახულებას, რომელიც დატვირთულია ლამაზად გამოყვანილი ფოთლებით, ყვავილებითა და კოკრებით. ხეს ზემოდან „გადახურული“ აქვს ისრული მოყვანილობის თაღი, შედგენილი ორი პარალელური ზოლისაგან, ხოლო ზოლებს შორის არეზე ამოჭრილია ნახევარპალმეტებისაგან შედგენილი მცენარეული მოტივი. ხის თითოეული ღერო, ფოთოლი თუ ყვავილი დეტალურად არის დამუშავებული. ტექნიკურად მთელი ეს კომპოზიცია და მისი მცენარეული მოტივებისაგან შედგენილი არშიები იშვიათი ოსტატობით არის შესრულებული და გვიანი შუასაუკუნეების ქვითხურობის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს.

წარწერას ქვის ზედაპირის მეოთხედი უკავია და შესრულებულია მეტად ლამაზი მხედრული ასოებით. წარწერა იკითხება შემდეგნაირად:

2. რულისაგან დაკლებულ [ვ]იქმენ ჩვილი ასული

3. [ლ]უარსაბისა თამარი შე[ნდობ]ას იტყოდთ²⁴

წარწერა არ იძლევა საფუძველს გავარკვიოთ, ვინ არის ლუარსაბი და როდის გარდაიცვალა მისი ასული თამარი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ წარწერა XVIII ს. პირველ ნახევარს ეკუთვნოდეს, ვინაიდან XVIII საუკ. მეორე ნახევარში დმანისი და მისი მიდამოები გაუკაცრიელებულია.

საფლავის ქვის ფრაგმენტი მხედრული წარწერის ნაშთით. (ტაბ. XVI, სურ. 32). ქვას ჩამოტეხილი და დაკარგული აქვს ბოლო ნაწილი, ქვას შემოუყვება ფართო ზოლი არშიისა, გრეხილის გამომსახველი. არშიის შიგნით მოქცეული არე უჭირავს ორსტრიქონიანი მხედრული წარწერის ნაშთს, რომელიც ასე იკითხება:

1. ქ. ბარათაშვილი...

2. ქალი ანასი ა...

წარწერა როგორც თავისი შინაარსით, ისე ასოების მოყვანილობით, აგრეთვე შემკულობის ხასიათით, სრულიად განსხვავდება ზემოაღწერილი საფლავების ქვების წარწერებისაგან. აქ ყოველივე მიგვითითებს ხელოსნობის ამ დარგის დაქვეითებაზე და შინაარსითაც წარწერა მნიშვნელოვნად გაღარიბებულია. შესაძლებელია XVIII საუკ. ერთ-ერთ უკანასკნელ ქვის ძეგლს წარმოადგენდეს.

ორი ფრაგმენტი საფლავის ქვისა მხედრული წარწერის ნაშთით. (ტაბ. XVII, სურ. 33). ქვას გარშემო შემოვლებული ჰქონია სამი ღრმა პარალელურად გატარებული ღარი, ისევე როგორც ამას ვხედავთ წინა XVI ტაბულაზე გამოხატულ საფლავის ქვაზე. წარწერიდან შერჩენილია სულ ექვსი ასო: ს, დო, რდლ. შერჩენილი ასოები უფრო ჰგვანან ზემოაღნიშნულ საფლავის ქვების „კლასიკურ“ წარწერებს და შესაძლებელია იმავე დროისად მივიჩნიოთ.

გარდა ზემოხსენებული წარწერიანი საფლავების ქვებისა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, ე. თაყაიშვილს მოხსენიებული აქვს თავის ზემოხსენებულ ნაშრომში კიდევ ერთი საფლავის ქვა, რომელიც აღარ ჩანს დმანისში. იმ ათი ქვიდან, რომელთაც თაყაიშვილი იხსენიებს, — ცხრა დღემდე შენახულია, არ ჩანს მხოლოდ ერთი ქვა, რომელსაც ქვემოაღნიშნული წარწერა ჰქონია:

ორბელიანთაგან დავითის ძე
მდებარე საფლავსა ამას
აღმომკითხველთა შენდობას
გევედრებო

ქკს უკ

ქორონიკონი უდრის ჩვენი წელთაღრიცხვის 1732 წელს. ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ წარწერაში მოხსენიებული პირი დავითის ძე ორბელიანი უნდა იყოს მდივანბეგის ერასტის შვილი დავითის ძე.

თუ დმანისის სიონში დაცული ყველა საფლავის ქვა ეკუთვნის ქვემო ქართლის მსხვილი ფეოდალების — ორბელიანების ჩამომავლობას, ტაძრის გარეთ

²⁴ ე. თაყაიშვილს ეს წარწერა წაკითხული აქვს მცდარად, შემდეგნაირად:
...ლისა ამის მსწრაფლ
...რულისაგან დაკლებულ
...ლუარსაბის ა თამარ შ.

იხ. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

მოიპოვება ორიოდე საფლავის ქვა მხედრული წარწერებით, რომელშიაც მიცვალებულები მხოლოდ სახელით იხსენიებიან. ზემოხსენებულ წარწერებში ასე მდიდრულად რომ არის მოჩუქურთმებული, სიამაყით იხსენიებენ თავიანთ ჩამომავლობას მიცვალებულთა ჳირისუფლები. მეორე შემთხვევაში კი მიცვალებულთა გვარები არ არის მოხსენიებული და თვით წარწერებიც ლაკონიურია. საფლავის ორი ქვა დღემდე დაცულია დმანისის სიონის აღმ. ფასადის უკან. ე. წ. მარინეს მცირე ეკლესიის წინ. ერთი საფლავის ქვა მცირე ეკლესიიდან 2—3 მეტ. დაშორებით დევს, მეორე კი დევს მცირე ეკლესიის კარებთან.

პირველ მათგანს თავი ნახევარწრიულად აქვს მომრგვალებული, ხოლო დანარჩენი გვერდები სწორკუთხოვნად აქვს გამოთლილი. (ტაბ. XVII, სურ. 34). თავის მხარეს საფლავის ქვას ამოჭრილი აქვს ორი ჳვარი, ხოლო ჳვრებს შორის არსებულ არეზე წნული ორნამენტული მოტივია ამოჭრილი. ქვის დანარჩენი ნაწილი ბოლომდე უჭირავს ორსტრიქონიან ლაკონიურ წარწერას, შესრულებულს ლამაზი ქართული ასოებით.

წარწერა ასე იკითხება:

1. პაპუნას მეუღლე ლე
2. ლა მივიცვალე ქვა უკდ

რაც უდრის ჩვენი წელთაღრიცხვის 1736 წელს. რომელი პაპუნა იგულისხმება წარწერაში ძნელი სათქმელია, რადგან ეს სახელი ფრიად გავრცელებული ჩანს ორბელიანთა ჩამომავლობაში XVII—XVIII საუკუნეებში. სავარაუდებელია აგრეთვე, რომ აღნიშნული სახელი საერთოდაც იყო გავრცელებული იმ დროს. ერთი რამ შეიძლება ვიფიქროთ: შესაძლებელია პაპუნას მეუღლე ლე ლა არ ეკუთვნოდა ორბელიანთა ცნობილ ჩამომავლობას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც სიონში იქნებოდა დაკრძალული. წარწერაც ხომ არაფერს გვეუბნება ჩამომავლობის შესახებ!

საფლავის მეორე ქვა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მცირე ეკლესიის კარებთან დევს, ისევეა გამოთლილი, როგორც ლელას საფლავის ქვა, ე. ი. თავი ამ ქვასაც მომრგვალებული აქვს. (ტაბ. XVIII, სურ. 35 და 36). ამ ქვას გარშემოუყვება ორი პარალელური ვიწრო ღარი. ქვის ნახევარზე მეტი უჭირავს სტილიზებულ მცენარულ-გეომეტრიულ მოტივებს, რომლებიც ნაზად, მაგრამ დიდი ოსტატობით არის ამოჭრილი ქვის ზედაპირზე. ქვის ეს ჩუქურთმა ნაქარგით ნაზია, კომპოზიციურად შეკრული. ქვის ქვედა ნახევარი უჭირავს მხედრულ წარწერას. ლამაზად გამოყვანილი ქართული ასოები, ისე ნაზად ამოუჭრიათ, რომ დღეს მათი კონტურები ძალიან სუსტად ჩანს და მათი ამოკითხვა დამატებით შრომას მოითხოვს.

დმანისის სიონში დაცული საფლავის ქვებიდან საინტერესოა კიდევ ორი საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელთაც თავის დროზე წარწერები ჳქონიათ, მაგრამ დღეს ეს წარწერები მათ არ გააჩნიათ (ტაბ. XIX, სურ. 37 და 38). საქმე ის არის, რომ საფლავის ამ ქვებს წარწერები, ეტყობა გაკეთებული ჳქონიათ მარმარილოს დაფებზე, რომლებიც ამოჭრილ ფოსოებში ყოფილა ჩასმული. ამ ქვების ფრაგმენტებს შერჩენილი აქვთ ფოსოები, ხოლო წარწერიანი მარმარილოს დაფები დროთა ვითარებას აღარ შემოუნახავს. ორივე ქვას შერჩენილი აქვს შემალლებული ნაპირები, რომელთა ზედაპირზე ამოჭრილია სხვადასხვა

ორნამენტული მოტივები. ამგვარად წარწერები ჩასმული ყოფილა მხატვრულ ჩარჩოებში.

პირველ ქვას ქიმებზე სხვადასხვანაირი ორნამენტული მოტივები ჰქონია ამოჭრილი, ერთ ქიმზე ამოჭრილია უწყვეტი მცენარეული მოტივი — მცენარის ყლორტის ზიგზაგოვანი ზოლი მოხდენილი ფოთლებით. მეორე ქიმზე წრეებში ჩასმული პატარა ვარდულები. მესამე ქიმზე — სტილიზებული მცენარეული მოტივები. მეოთხეს ქიმი არ შერჩენია.

მეორე ქვას ორი ქიმი აქვს შერჩენილი. ერთ მათგანზე ამოჭრილია გრებილი ზოლების უწყვეტი არშია, ხოლო მეორეზე — ასეთივე არშია და წრეებში ჩასმული პატარა ფოთლების გამოსახულება.

ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს საფლავების ეს ქვები, რომლებიც იმ მდგომარეობაში დახვედრია წარსული საუკუნის 90-იანი წლებში, როგორშიაც დღესაა. ორი ქვის ფრაგმენტი წარმოადგენს XVIII და შემდეგ XIX საუკ. დამახასიათებელ საფლავის ქვების ერთ-ერთ ტიპს და ორივე მათგანი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული ნივთიერი კულტურისა და ხელოვნების მაშინდელ მაღალ დონეს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან კარგად ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები შემოგვინახა დმანისმა. თქმა არ უნდა, რომ ეს არის მცირე ნაწილი იმისა, რაც დმანისში საუკუნეების განმავლობაში შეიქმნა და მოიპოვებოდა. მათი დიდი ნაწილი, უეჭველია, სამუდამოდ მოისპო, განადგურდა გაუთავებელი ომებისა, ნგრევისა და აოხრების შედეგად. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, დმანისი ერთ-ერთი იშვიათი ობიექტია, რომელმაც დღემდე შემოგვინახა სხვადასხვაენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები. როგორც ცნობილია, გამოცემულია სომხური ხაჩქარები (სულ ორიოდ), ორგზის არის გამოცემული საფლავის ქვები არაბული წარწერებით ჯერ ვ. კრაჩკოვსკაიას, ხოლო შემდეგ ც. კახიანის მიერ. რაც შეეხება ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, როგორც ეს ზევით უკვე აღინიშნა, მათი ნაწილი გამოცემული იყო სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვა კრებულებში, მაგრამ ეს ძეგლები დღემდე არ ყოფილა სრულად გამოცემული. მთელი რიგი ძეგლებისა დღემდე სრულებით უცნობი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის. ამას გარდა, დმანისის საფლავების ქვები ქართული წარწერებით, როგორც აღინიშნა, ჯეროვნად არ ყოფილა გამოცემული. ბუნებრივია, რომ მათი გამოცემა, მეტი რომ არ ვთქვათ, საშური იყო. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემა მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მათ, თავისი შინაარსით და მნიშვნელობით, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული თუ აღმოჩენილი არაქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ვერ შეედრება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დმანისის კარიბჭის წარწერები, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ცნობებს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის საზოგადოდ, საქართველოს მეფეთა, საერო პირთა თუ საეკლესიო მოღვაწეთა შესახებ, კარიბჭის მშენებლობის მონაწილეთა შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მოძრაობის ისტორიის თვალსაზრისით. კარიბჭის მესამე წარწერა. საინტერესოა წარწერების ონომასტიკონი. შუა საუკუნეების ეს ვრცელი წარწერები განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც, როგორც სანდოდ დათარიღებული ეპიგრაფიკული ძეგლები. ამ მხრივ დმანისის კარიბჭის წარწერები წარმოადგენენ

დასაყრდენს შუა საუკუნეების სხვა ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღებისათვის.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი; საზოგადოდ ცნობილია, რომ დმანისი განსაკუთრებით განვითარებულია, განიცდის აყვავებას XII საუკ. ბოლოს და XIII საუკუნეში. ამას ადასტურებენ წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალები, განსაკუთრებით ნუმისმატიკური მასალა. ის გარემოება, რომ დმანისში ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლებით არის წარმოდგენილი XIII საუკუნის დმანისის ეპიგრაფიკა, კიდევ ერთი დამატებითი საბუთია ამ ქალაქის აყვავებისა XIII საუკუნეში. შემდგომი ოთხი საუკუნის განმავლობაში არა მარტო ამის მსგავსი არაფერი მოგვეპოვება დმანისში, არამედ, საზოგადოდ, არ ჩანს არც ერთი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი, სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება არაბულენოვანი საფლავის ქვები XIV საუკუნის.

რამდენადმე მოულოდნელია, მაგრამ ფაქტია, ის გარემოება, რომ ძალიან საინტერესო კომპლექსი ეპიგრაფიკული ძეგლებისა თავს იჩენს XVIII საუკ. დმანისში. ეს არის პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როცა ქვეყანა საშინელ განსაცდელშია, საქართველო შტრების განუწყვეტელი თავდასხმების, რბევისა და აოხრების ობიექტია. 1723 წლიდან საქართველო ოსმალეთის ბატონობის უღელქვეშ გმინავს. სულ მალე ოსმალებს ცვლის ყიზილბაშთა არანაკლებ მძიმე ბატონობა. ამას თან ერთვის ლეკების გამუდმებული თავდასხმები. ქვეყანა სისხლისაგან იცლება. სწორედ ამ პერიოდის ქვის ძეგლები გვაუწყებენ, რომ განუახლებიათ, აღუდგენიათ დმანისის მცირე ეკლესია, განუახლებიათ დმანისის სიონის კანკელი. ამჟამად იხსენიებენ თავიანთ სახელებს ორბელიანთა გვარის ჩამომავლები, საფლავის ქვებს ამშვენებს შესანიშნავი ქართული წარწერები და ჩუქურთმები. დმანისის ეპიგრაფიკული ძეგლები აშკარად გვანიშნებენ ქვეყნის გამოცოცხლებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ხანმოკლე შედეგი იმ ღონისძიებებისა, რომელიც განახორციელა სახელოვანმა ვახტანგ VI-მ. მისმა გმირულმა და თავგანწირულმა შოღვაწეობამ გამოაცოცხლა ქვეყნის მეურნეობა, კულტურული მუშაობა, გააძლიერა ხელისუფლება, დაამყარა წესრიგი თავისი საკანონმდებლო მოღვაწეობისა და ღონისძიებების შედეგად. ქვეყანამ მომავალს იმედით შეხედა.

ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს დმანისის საფლავის ქვების წარწერები. ისინი შეიცავენ ძვირფას ცნობებს ქვემო ქართლის ძლიერი ფეოდალთა გვარის — ორბელების — ორბელის ძეთა — ორბელიანთა წარმომადგენლების შესახებ, რომლებიც ამაყობენ თავიანთი ჩამომავლობით იმით, რომ ისინი „დიდის ორბელიანთაგანნი“ არიან. ეს წარწერები შეიცავენ ძვირფას და სანდო ცნობებს ორბელიანთა გენეალოგიის შესახებ, გვაწვდიან ცნობებს ცალკეულ პირთა თუ მათი ოჯახის წევრთა თანამდებობის, ტიტულატურის შესახებ.

საფლავის ქვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართული დამწერლობის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით. წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, ასომთავრულითაა შესრულებული თუ მხედრულით, დამახასიათებელია არაჩვეულებრივად მოხდენილი, პირდაპირ მხატვრული ქართული ასოებით ამოჭრილი ეპიტაფიები. საინტერესოა, რომ ასოები ქვებზე ამოჭრილია.

არა ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელ სტილში, არამედ ხელნაწერის სტილში — ლამაზად მომრგვალებული, ერთმანეთზე გადაბმული, ხშირად შეწიალებული. მეტად საინტერესოა წარწერების ლექსიკა და ონომასტიკონი.

ამასთან ერთად საფლავის ქვები წარმოადგენენ მცირე ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებსაც. მათი დახვეწილი ჩუქურთმები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ და წარმოადგენს გვიქმნიან XVIII საუკ. განვითარებული ქვითხუროების შესახებ საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში.

დასასრულ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საფლავის ნაირნაირი ქვების მიხედვით, კარგად ჩანს, რომ მათი წარწერები, მათი ჩუქურთმები შესრულებულია სხვადასხვა სტილითა და მანერით და მიგვითითებენ სხვადასხვა „სკოლების“ არსებობაზე საქართველოს ამ ძნელბედობის ხანაში.

ასეთ ღონისძიებას სულ მალე მოჰყვა კატასტროფა სამხ. საქართველოს ამ კუთხისათვის. როგორც ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი 1757 წ. წერს: „დაიცალა საბარათიანო, სომხითი, ორბელიანთ მამული. იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება საქართველოს შინაო“.

В. В. ДЖАПАРИДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ НАДПИСИ ГОРОДИЩА ДМАНИСИ

(Табл. I—XIX)

Резюме

Городище Дманиси уже с прошлого века привлекает внимание ученых своими разноязычными эпиграфическими памятниками (грузинские, арабские, армянские). Различными учеными в разное время были изданы отдельные группы эпиграфических памятников Дманиси. Грузинские надписи были опубликованы М. Броссе (в 1852 г.), Е. С. Такаишвили (в 1929 г.) и Л. В. Мухелишвили (в 1938 г.).

Следует констатировать, что до сих пор не все грузинские надписи были изучены и опубликованы; ряд изданных надписей нуждаются в поправках и уточнениях: они (надписи) не были собраны и изданы вместе; не всегда прилагались к надписям документальные фотоснимки; не обращали должного внимания на орнаментальные мотивы надгробных плит и т. д.

Грузинские надписи выгодно отличаются по своему содержанию и разнообразию от арабских и армянских надписей; если последние представляют только лишь мемориальные памятники, то грузинские надписи состоят из культовых (фрагмент стелы), строительных и правового характера надписей (надписи портика дманисского сиона) и, наконец, мемориальных надписей надгробных плит.

Среди грузинских эпиграфических памятников самым ранним следует считать фрагмент стелы с древнегрузинской надписью «асомтаврული» (табл. I, рис. 1—3). Стела четырехгранная и две другие грани украшены архитектурными орнаментальными мотивами. Фрагмент стелы сохранил лишь трафаретное начало надписи, поэтому надпись датируется не по содержанию, а по палеографическим признакам, а также по характерным орнаментальным мотивам XI—XII вв.

По своему содержанию самым значительным следует считать надписи Западного портика дманисского сиона (трехцерковной базилики VII в.), выполненные древнегрузинским письмом «асомтаврули».

Центральное место Зап. фасада портика занимает строительная семистрочная надпись по сбеим сторонам рельефного креста (табл. II, рис. 4). В надписи упоминаются царь-царей Гиорги (идентифицируется с Гиоргием Лаша, сыном царицы Тамар) и строитель портика епископ Гевдосий Калнапетисдзе.

Вторая надпись портика занимает левое крыло фасада, над левой нишей (табл. III, рис. 5—6). В этой тринадцатистрочной надписи упоминается Давид (идентифицируется с Улу Давидом, сыном Гиорги Лаша). Это надпись самая значительная по своему содержанию. Согласно этой надписи новый епископ Дманиси (имя которого не сохранилось в виду повреждения фасада) отменяет существующий порядок и отныне строго запрещает «брать золото» за законный брак от «безродных, простых парней и девиц, мужчин и женщин».

Третья надпись в интерьере портика, вырезана на арке к востоку от Юго-Восточной колонны (табл. IV, рис. 7) и упоминает некоего Апридона пожертвовавшего 30 драхманов для постройки портика.

На основании вышеупомянутых надписей и упоминаемых исторических лиц, Л. В. Мухелишвили датирует постройку портика годами царствования Гиоргия Лаша, т. е. 1214—1222 гг. Естественно, надписи портика также следует отнести к этому же времени.

Глубоко вырезанными крупными буквами древнегрузинского письма, выполнен фрагмент надписи (сохранились три слова) на продолговатом и узком камне, который, видимо позже, вделан в кладке Зап. фасада колокольни (табл. V, рис. 9). По палеографическим данным и эту надпись можно отнести к XIII столетию.

Хорошо прослеживаются следы древнегрузинской пространной девятистрочной надписи на большом блоке (из двух частей), который застроен в кладке южного фасада дманисского сиона. Надпись, чьей-то преступной рукой стерта с большим «усердием». Сохранились лишь отдельные буквы (табл. IV, рис. 8). По этой причине невозможно датировать эту надпись.

Интересную строительную надпись, сохранила малая однефная церковь св. Марии, которая построена за вост. фасадом дманисского сиона. В надписи, выполненной грузинским письмом «Мхедрули» речь идет о реставрации разрушенной церкви некой Исахар в 1702 г. (табл. V, рис. 10).

В интерьере дманисского сиона сохранились фрагменты арки от алтарной преграды с грузинской надписью «Мхедрули». Надпись не сохранила свою концовку, поэтому, и дату, а также имя строителей (или реставратора) алтарной преграды (табл. VI—VIII рис. 11—10). По стилю и манере письма, надпись можно датировать концом XVII или первой половиной XVIII в.

Кроме вышеперечисленных эпиграфических памятников, сохранились надгробные плиты с грузинскими надписями. Большая часть надгробных плит хранятся в интерьере собора, а два камня находятся за вост. фасадом собора.

Часть надписей выполнена древнегрузинским письмом, но преобладающая часть новым письмом «Мхедрули».

Надгробные камни принадлежат последним представителям крупных феодалов владетелей исторической областью южной Грузии — Квемо Картли из знаменитого рода Орбелиани—Орбели—Каплианишвили (или «Великих Орбели», как они себя именуют в надписях) и членам их семьи.

Сохранилось всего 18 надгробных плит (часть в обломках), из коих три имеют надписи древнегрузинским письмом (в таб. XI, рис. 20 и 21; таб. XIII, рис. 26), восемь надписей сохранили даты (таб. IX; рис. 17; таб. X, рис. 18—19; таб. XI, рис. 20 и 21; таб. XII, рис. 22 и 29; таб. XIII, рис. 25 и таб. XVII, рис. 34).

Надгробные надписи датируются первой половиной XVIII в. (начиная с 1704 г. и кончая 1749 г.).

Надписи содержат интересные сведения о личности покойников, об их предках, родственных отношениях, социальном положении и т. д. Преобладающая часть надписей выполнена прекрасным, художественным почерком. Одновременно надгробные плиты украшены прекрасными растительными мотивами с большим мастерством.

Надписи на плитах выполнены в различном стиле и манере, что указывает о существовании различных школ ремесленников-каменотесов и каллиграфов в Дманиси, в этом исключительно тяжелом периоде истории страны.

Дманисские грузинские надписи имеют большое значение не только для истории городища, но и для истории всей страны.

არაგვის ხეობა თავისი მდიდარი ეკონომიკური რესურსებით და უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ერთ-ერთ გამორჩეულ და მოწინავე მხარეს მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, და, ამდენად, აღნიშნული რეგიონის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა ფრიად საჭირო და საშურ საქმედაა მისაჩნევი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ ისტორიულ მხარეში დაახატარა იმ დღე-მა ახალშენებლობამ, რომელიც 1971 წელს დაიწყო ჟინვალში და რომელიც ახლა დასასრულს უახლოვდება. სამწუხაროდ, ჰიდროპროექტის ავტორებმა კაშხლის აღსამართავად ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილად მიიჩნიეს სწორედ არაგვის ის ვიწროები სოფ. ჟინვალთან, რომელიც უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ხეობის ბუნებრივ ჭიშკარს და სადაც თავმოყრილია ყველაზე მეტი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას არ აკლებენ დახმარებას და ყურადღებას², მაგრამ 1971 წლიდან მოყოლებული ჰიდროკომპლექსის სამშენებლო არეში და განსაკუთრებით მომავალი წყალსატევის ფსკერზე იმდენმა არქეოლოგიურმა ძეგლმა იჩინა თავი, რომ, ძიუხედავად ექსპედიციის მრავალრიცხოვანი კოლექტივის თავდადება-

¹ ამჟამად აღნიშნულ პუნქტს ოფიციალურად ეწოდება ჟინვალი, მაგრამ ალბათ ბევრს ჯერ კიდევ ახსოვს, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ იქ გაკრულ საგზაო აბრაზე ეწერა ჟინვანი, რასაც, როგორც ირკვევა, უძველესი ტრადიცია აქვს. კერძოდ, ქართლის ცხოვრებასა და ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიაში თითქმის ყველგან მოხსენებულია ფორმა ჟინვანი, თუმც სხვადასხვა დროის ისტორიულ საბუთებში გვხვდება სახელწოდება ჟინოვნი თუ ჟინოვანი (შეწირულების დაწერილი ჭიანჭერისა შიომღვიმისადმი, იხ. 1189—1192 წწ. იხ. ქართული სამართლის ძეგლები II, თბ., 1966, გვ. 28. ი. დოლიძის გამოცემა და დავით მეფის სიგელი გრიგოლ ქარმაულ ქაჭნაისშვილისადმი 1298 წ.) ან კიდევ ჟინოვანი თუ ჟილვანი (იხ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, I წიგნი, ზ. ალექსიძისა და ბ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 173). მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ წყაროებში ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ჟინვანი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად აღნიშნულ პუნქტს ეწოდებოდა ჟინოვანი (მსგავსად ვაშლოვანი, თელ-ოვანი, და სხვებისა).

² შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია თავისი დაფინანსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით ერთ-ერთი მოწინავეთაგანია არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, მას შემდეგ, რაც საგანგებოდ შეისწავლა ჟინვალის ექსპედიციის მდგომარეობა, შეიმუშავა ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა, რომლის განხორციელებაც საშუალებას გვაძლევს, შედარებით შემჭიდრობულ ვადებში ძეგლების მაქსიმალური ოდენობა იქნეს შესწავლილი.

ლი შრომისა³, საეჭვოა, რომ ყველა მათგანის ტოტალური გათხრა-შესწავლა მოესწროს.

ბუნებრივია ამ მრავალრიცხოვან ძეგლებს შორის, რომლებიც მოექცა ექსპედიციის თვალსაწიერში, პირველ რიგში ყურადღება ექცევა ჟინვალს და მის შემოგარენს, სადაც წყლის სიღრმე დატბორვის შემდეგ თითქმის 100 მეტრს მიაღწევს.

სოფ. ჟინვალი, რომლის მოსახლეობაც ამჟამად უკვე გადაყვანილია ახალ საცხოვრებლებში, განფენილი იყო არაგვის მარჯვენა ნაპირზე, წმ. გიორგის ციხის ძირობაზე, ჟინვალის ზურგიანი კოშკის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით.

ისტორიულ ჟინვანს კი, როგორც არქეოლოგიურმა ძიებამ გვიჩვენა, ეკავა გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია და მოიცავდა არა მარტო გაერთიანებული არაგვის ორივე სანაპიროს სოფ. ჟინვალის ფარგლებში, არამედ ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირის გარკვეულ ნაწილსაც. ძველი ჟინვანის ფარგლებში გარკვეულად შესაძლოა ჩათრეული ყოფილიყო ხერთვისიც (უფრო მისი მდინარისპირა ნაწილი). ხერთვისის საკმაოდ დიდი ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი კი, ეტყობა ეკუთვნოდა ქალაქ ჟინვანის მკვებავ სოფლებს და, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოიყენებოდა.

ჟინვალმა და მისმა მიდამოებმა, როგორც ისტორიული ძეგლებით მდიდარმა მხარემ, მკვლევართა ყურადღება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიქცია (პ. იოსელიანი და სხვა), თუმცა არქეოლოგიური ძიება იქ ადრე არ ჩატარებულა. წერილობითი წყაროების ანალიზითა და 1966 წლის წარმოებული სადაზვერვო სამუშაოს შედეგებით (ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი) ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ჟინვალში ძირითადად მოსალოდნელი იყო შუა საუკუნეთა ხანის ძეგლების აღმოჩენა. სტაციონალურმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ კი ცხადად გვიჩვენა, რომ, გარდა ძეგლების რაოდენობრივი სიუხვისა, მათი ქრონოლოგიური დიაპაზონიც ძალზე ფართო ყოფილა.

ყველაზე ძველი ძეგლი, რაც ჯერ-ჯერობით მიკვლეულია ჟინვალის ტერიტორიაზე, განეკუთვნება ენეოლითს. იგი მდებარეობს თანამედროვე სოფლის სამხრეთ ნაწილში ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების სამაროვნის ქვეშ მიწის ზედაპირიდან 3—3,5 მეტრის სიღრმეზე და წარმოადგენს ნამოსახლარის ძალზე ცუდად შემონახულ ნაშთს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფართო ხასიათის ძიება

³ ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: რ. რამიშვილი (ხელმძღვანელი), ბ. ჯორბენაძე (თანაშემწე), პ. რატიანი, გ. ყორანაშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ირ. ჯალალანია, ლ. წერეთელი, ლ. წითლანაძე, თ. არჩვაძე, ჯ. გვასალია, ზ. კალანდაძე, ირ. ბაქრაძე, გ. ბაქანიძე, მ. მარგველაშვილი, გ. რჩულიშვილი, ვ. ჩიხლაძე, ი.ვ. წიკლაური, კ. წერეთელი, ც. რობაქიძე, ჯ. წიკლაური, ც. ლომიძე, ნ. მუხიგულაშვილი, გ. ჩიქოვანი, ი. მოძმანაშვილი, დ. მოძმანაშვილი, თ. ჩოხელი, გ. ჩიხაშვილი. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები: გ. ნემსაძე, გ. კვიციანი, ნ. აფხაზავა და სხვა. არქიტექტორები: ტ. კიპარიძე, ლ. ფაველიშვილი, მ. ვაჩნაძე, მ. ბუაძე, კინოოპერატორები: თ. რამიშვილი, ლ. ვისოცკი; ფოტოგრაფები: ვ. ასტახოვი, რ. ჩიქოვანი, ს. რუნიხინი და სხვ. მხატვრები: ნ. თოფურიძე, ნ. ბაკაშვილი, კ. არაბული. სამეურნეო დარგის მუშაკები: ა. ვარსიმაშვილი, ი. ვარსიმაშვილი, ნ. ხუბაშვილი, ა. ბუჩაშვილი და სხვა.

ჟინვალის ექსპედიცია ყოველწლიურად აქვეყნებს თავის საკმაოდ ვრცელ ანგარიშებს თბილისსა და მოსკოვში. წინამდებარე წერილში პირად დაკვირვებებთან ერთად ჩვენ ვიყენებთ ჟინვალის ექსპედიციის მეცნიერ თანამშრომელთა გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ანგარიშებს.

ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა, მაგრამ მოპოვებული მასალის მიხედვით (ქვის შვეტილი ცულები, უხეშკეციანი ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანი და სხვა) აშკარად ჩანს, რომ არაგვის ხეობის საკმაოდ დიდი მონაკვეთი (ეინვალითურთ) ადრესამიწათმოქმედო კულტურების გავრცელების არეალში ყოფილა მოქცეული. ეს თვალსაზრისი მით უფრო სარწმუნო გახდა მას შემდეგ, რაც სინქრონული ძეგლები ეინვალის მხარეში კიდევ სამ პუნქტში იქნა მიკვლეული (ხერთვისი, ქვ. არანისი, ბოდორნა). გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი ძეგლები არა მხოლოდ მთისწინეთში, არამედ ხეობის სიღრმეშიც იქნეს აღმოჩენილი, სადაც, გარდა მდიდარი სავარგულებისა, უხვადაა საიალადო საძოვრები და სათიბები.

ადრებრინჯაოს ხანაში, როგორც ირკვევა, ეინვალის ადგილას მდებარე სამოსახლო გარკვეულ აღმავლობას განიცდის. თვით ნამოსახლართა ნაშთები ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის, მაგრამ არაგვის მარცხენა ნაპირზე, წყალგაღამყვანი გვირაბის სათავესთან მიკვლეულია ძალზე დამრეც ფერდობზე მდებარე საკულტო მრავალფენიანი ძეგლი (ზუსტად ენეოლითური ნამოსახლარის მოპირდაპირედ), სადაც კულტურულ ფენათა საერთო სიმძლავრე სამ მეტრამდე აღწევდა (უბნის ხელმძღვანელი მ. ლლონტი). ამ ძეგლზე, ჰუმუსურ-შავმიწა-ნიადგიან და მომდევნო ლორღოვანმონაცრისფრო ფენებში მოპოვებულ კერამიკულ მასალაში შესაძლოა გამოვყოთ: ადრე შუასაუკუნეთა, გვიანანტიკური, ელინისტური (ძალზე მცირე ოდენობით), გვიანბრინჯაოს, შუაბრინჯაოსა და მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელი ნატეხები. ამავე დროს საკულტო ძეგლის ქვედა ფენაში თავს იჩენს უხეში ბუნარევი თიხისაგან დამზადებული ხელით ნაძერწი მონაცრისფრო ჭურჭლების ნატეხები, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანაზე უფრო არქაულ იერს ატარებენ, თუმცა დაბეჭითებით რაიმეს თქმა მათ შესახებ ჯერ-ჯერობით ჭირს.

ამ მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლის სულ ქვედა ფენაში მიკვლეული ცენტრალური საკურთხეველი, თიხით ნაძერწი ღვთაების გამოსახულებით და ფინალური „მტკვარ-არაქსის“ და შუაბრინჯაოს ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის დიდძალი ნატეხებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეინვალში იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი დასახლება უნდა არსებულიყო.

საყურადღებოა, რომ ამ დროისათვის კულტი და საკულტო ადგილი უკვე გამოყოფილი ჩანს სამოსახლოსაგან, რაც გარკვეული სოციალური ძვრების მანიშნებელია არაგვის ხეობაში. ამავე დროს სტრატეგიულად ასე ხელსაყრელ (არაგვის ჭიშკარში) ადგილას აღმოცენებული სამლოცველო შესაძლოა უკვე საერთოდ კი ყოფილიყო თუ მთელი ხეობისათვის არა, მისი გარკვეული ნაწილისათვის მაინც.

საყურადღებოა ისიც, რომ პოდიუმისანი საკურთხეველის გარშემო მიკვლეული იქნა ათამდე სხვადასხვა სიდიდის საკულტო ორმო, რომელთა ნაწილში დადასტურდა ძლიერი ცეცხლის კვალი და კერამიკული წიდეები. კერამიკული ნატეხებით ეს ორმოები ძირითადად თარიღდება ფინალური მტკვარ-არაქსითა და შუა ბრინჯაოს ადრეული ეტაპით. შესაძლოა ამ წიდეებიან ზოგიერთ ორმოში ხდებოდა საკულტო ჭურჭლის გამოწვა და შესაძლოა ისიც, რომ არქაული იე-

რის მატარებელი თიხის ჭურჭლები, რომელიც კულტმსახურებასთან იყო დაკავშირებული. ძველი ტრადიციისამებრ, იქვე, იმ გამოსაწვავ ორმოებში მზადდებოდა.

ამავე ძეგლზე მოპოვებული მასალებით ყინვალში ჩანს ცხოვრების თითქმის უწყვეტი კვალი გვიანანტიკური და ადრე შუასაუკუნეების ჩათვლით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ყინვალის ისტორიის შესასწავლად უნდა მიენიჭოს გვიანარმაზული ხანის (გვიანანტიკური ხანის ბოლო ეტაპის) ძეგლებს. ჯერჯერობით არაგვის ორივე ნაპირზე მიკვლეულია ორი ნამოსახლარის ფრაგმენტული ნაშთი და სამი სამაროვანი (მათგან ერთი ყველაზე მოზრდილი, მონაცავს სოფ. ყინვალის სამხრეთ ნაწილს), რაც იმის მანიშნებელია, რომ გვიანარმაზულ ხანაში ყინვალი ძალზე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული (არაგვის ორივე ნაპირზე, თანამედროვე სოფლის ფარგლებში).

ამასთანავე საგანგებო ყურადღებას იქცევს ყინვალის სამაროვანი სამარხული კომპლექსების შედგენილობითაც (უბნის ხელმძღვანელი ვ. ჩიხლაძე) და სამარხებში მოპოვებული მასალის მიხედვით (თიხის დახვეწილი ჭურჭელი, ბრინჯაოს, რკინის ვერცხლის და ოქროს საყურეები, ბეჭდები, სამაჯურები, ზოომორფული სახეებით შემკული ბრინჯაოს საკინძები და მედალიონები, მინის ჭურჭლები, მძივები, მონეტები და სხვა.), კარგად ჩანს მოსახლეობის ფართო ფენების საკმაოდ მაღალი ეკონომიური შესაძლებლობები, რაც იქ გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზით და გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობებით უნდა აიხსნას.

ამავე დროს ყინვალის გვიანარმაზული ხანის სამაროვნებზე თავს იჩენს ისეთი ნივთიერი მასალაც, რომელიც ძირითადად ქალაქური ყოფისათვის არის დამახასიათებელი (ძალზე დახვეწილი თიხის ჭურჭელი, მრავალრიცხოვანი გემიანი ბეჭდები, მინის ჭურჭელი, მონეტები და სხვა.).

გამორიცხული არ არის, რომ იბერიის სამეფოს საერთო აღმავლობის ფონზე და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან გაცხოველებული ურთიერთობის ვითარებაში, ყინვალს, როგორც უაღრესად ხელსაყრელ ადგილას მდებარე პუნქტს, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეეძინა, რომ იქ აღმოცენებულიყო ქალაქური ტიპის სამოსახლო. სამაროვანთა მოცულობა და არქეოლოგიური მასალების ხასიათი, ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას თითქმის იძლევა. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს გამაქრისტიანებელი ნინო, შეჩერდა წობენში, ყინვალის კართან, რაც ამ პუნქტის უაღრესობას ადასტურებს.

ამ, ჩვენი ვარაუდით ქალაქურ სამოსახლოს, თანამედროვე ყინვალის ადგილას რომ ვგულისხმობთ, მისივე კუთვნილი სამაროვნის მიხედვით უარსებია ახ. წ. VIII საუკუნის ჩათვლით (ასეთია ადრე შუასაუკუნეთა სამარხების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი). შესაძლოა მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობის დროს ყინვალი (მსგავსად მცხეთისა და სხვა პუნქტებისა) ისე აოხრდა, რომ იქ მერე კარგახანს ვეღარ მოხერხდა სიცოცხლის განახლება.

ყინვალის სამაროვანზე, გარდა გვიანარმაზული ხანის სამარხებისა, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ადრე შუასაუკუნეთა ქვის სამარხები და თიხნარში ჩაქრილი კატაკომბები, რომლებშიაც უკვე დაკრძალვის ქრისტიანული წესია გაბატონებული. საყურადღებოა კატაკომბური ტიპის სამარხების აღმოჩენის ფაქტი, რაც ამ ბოლო დრომდე თითქმის სრულიად უცნობი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთვის. შესაძლებელია ძველი სავაჭრო ტრასის (იგულისხმება და-

რიალის გზა) გასწვრივ აღმოცენებული სამოსახლო, ვითარცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი (რომელიც ამავე დროს მთისა და ბარის ურთიერთობას არეგულირებდა), იზიდავდა უცხო, ამ შემთხვევაში ჩრდილო კავკასიურ მოსახლეობასაც. შესაძლოა, კატაკომბური სამარხების ჯგუფი ეკუთვნოდანთ ქინვალში ჩასახლებულ ასეთ „კოლონისტებს“, რადგანაც კატაკომბური ტიპის სამარხები ადრე შუა საუკუნეებისათვის ძირითადად ალანებს შორის იყო ფართოდ გავრცელებული, შესაძლოა ქინვალის კატაკომბებიც იქ მცხოვრებ ალანების დანატოვარი იყოს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სამარხული ინვენტარით (ე. ი. მატერიალური კულტურით) კატაკომბებში დაკრძალულნი არაფრით არ გამოირჩევიან დანარჩენი ქინვალელებისაგან.

ქინვალსა და მის მიდამოებში მნიშვნელოვან მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს სარწყავი არხის ტრასის მიგნება არაგვის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ჩინთსა და სოფ. ჭოპორტს შორის. წერილობითი ტრადიციითა და ხალხური გადმოცემით, სარწყავი არხის მშენებლობა თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული, ტრადიციით ამ არხის სათავე ქინვალის სიახლოვეს, სოფ. ჩინთთან იწყება და ჭოპორტ-საგურამო-წიწამურ-გლდან-თბილისის გავლით ყარაიანის ველამდე აღწევდა. ი. კიკვიძის ვარაუდით, ქინვალის არხი თამარ მეფის ხანაზე გაცილებით ადრე უნდა იყოს გაყვანილი, ამ არხის ნაშთების ფიზიკური დადასტურების შემდეგ სრულიად ცხადია, რომ არაგვის წყლის სარწყავი (და სასმელი) მიზნებით გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ახლა თითქოს შეიძლება აიხსნას კუხეთის საერისთავოს უცნაური „კონფიგურაცია“, როდესაც იგი ვიწრო ზოლად შემოკვეება არაგვის სანაპიროს. აქ, რა თქმა უნდა, ეთნიკურ პრინციპი არავითარ შუაშია. კუხეთის საერისთავოს რუსთავის „ქვეყნიდან“ ქინვალის კარამდე ასე ვიწრო ზოლად „გაწელვა“ ალბათ ქინვალის არხის უაღრესობითა და მისი სათავის ფლობის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ქინვალის ძეგლებს შორის მაინც უნდა ფეოდალური ხანის ნაქალაქარი იქცევს, სადაც 1972 წლიდან რამდენიმე უბანზე წარმოებს ფართო არქეოლოგიური ძიება (უბნის ხელმძღვანელები: ბ. ჯორბენაძე, მ. მარგველაშვილი, ვ. ჩიხლაძე, გ. რჩეულიშვილი, მ. რჩეულიშვილი).

საქართველოს საბოლოო გაერთიანების შემდეგ, რაც დავით აღმაშენებლის ზეობაში გახდა შესაძლებელი, ქინვალს, როგორც ჩრდილოეთის გზის ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტს, უნდა დაკისრებოდა საგანგებო როლი; ჩრდილოეთის ხალხებთან და განსაკუთრებით ყივჩაღებთან ნორმალური ურთიერთობის წარმოება მოითხოვდა დარიალის ძველი გზის აუცილებელ მოწესრიგებას, რასაც დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა ქინვალის აღორძინება და, ჩანს, რომ ეს ასეც მოხდა.

რუსთაველის ეპოქაში ქალაქი ქინვანი წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს და მსხვილ სამოსახლოს, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა წერილობითი წყაროების ძუნწი ცნობებიდანაც კი კარგად ჩანს.

მთისა და ბარის საზღვარზე, უშუალოდ არაგვის ხეობის ყელში, დიდ სავაჭრო საქარავნო გზათა გასაყარზე აღმოცენებული ქალაქი შეუძლებელია განსაკუთრებული მნიშვნელობისა არ ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ იგი უწევდა კონტროლს საძოვრებით მდიდარ „შვიდთავე მთიულეთს“, რომელსაც აღმო-

სავლეთ საქართველოს ბარის მეცხოველეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მართალია წერილობით წყაროთა ჩვენებით ქინვალის გაქალაქება XII საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის, მაგრამ, როგორც არქეოლოგიურმა თხრამ გვიჩვენა, არაგვის ორივე სანაპიროზე X—XI საუკუნეებშიც საკმაოდ ფართო საშენებლო სამუშაოები სწარმოებდა (ზურგიანი კოშკის კომპლექსი, საცხოვრებელი სახლები ნაქალაქარის ჩრდილოეთ ნაწილში და სხვა).

ბუნებრივია, ქინვალის ადგილას არსებულ სამოსახლოს თავისი არსებობის ხანგრძლივ გზაზე (ადრებრინჯაოდან გვიანფეოდალურ ხანამდე) ექნებოდა აღმავლობისა და დაცემის არა ერთი პერიოდი, ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ იმ ფაქტორთა ერთი ნაწილი, რაც ხელს უწყობდა იქ არსებული სამოსახლოს აღზევებას თუ გაქალაქებას (კერძოდ, დიდი გზები, სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობა და სხვ.), ხშირად საბაზი ხდებოდა მისი აოხრება-განადგურების. XII საუკუნიდან ყველა ის ფაქტორი (სავაჭრო გზების თავშესაყარი, სტრატეგიული ხელსაყრელობა, მდიდარი სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონი, მთის საძოვრების კონტროლი, სარწყავი არხის სათავე), რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეწყობთ ქინვალის გაქალაქებაში მთელი ძალითა და დადებითად ამოქმედდა, და, ჩანს, იგი იქცა მსხვილ ფეოდალურ ქალაქად, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ მაღალგანვითარებული ხელოსნური წარმოება.

არქეოლოგიურმა შესწავლამ ეს საკმაოდ კარგად დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ ქინვალის ნაქალაქარი, ჯერჯერობით, სანახევროდაც არ არის გათხრილი, შედეგები მაინც მნიშვნელოვანი გვაქვს. ჯერ ერთი, ძეგლის განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე (იგი მთლად იტბორება), არქეოლოგიური კვლევა წარმოებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ნაქალაქარის ბევრი მონაკვეთი და კვანძი, რომლებსაც ძეგლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ პირობებში ვერ შევხებოდით, ქინვალში სავალდებულოც კია გაითხაროს.

გარდა სამოსახლო კვარტალებისა, დიდი მუშაობაა გაჩაღებული ნაქალაქარის სამაროვანზედაც, სადაც არქეოლოგიურ წერაქვს ათასობით აკლდამა და ქვის სამარხი ელოდება. ქინვალის ნაქალაქარის სამაროვანი საგანგებო ყურადღების ღირსია იმის გამო, რომ ბარისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ ნიშნებთან ერთად (სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი და სხვა), შეიმჩნევა მთის ტრადიციების გავლენაც, რაც გამოხატულია სამარხული ინვენტარის საგრძნობ სიუხვეში, ამასთანავე სამარხულ კომპლექსებში სჭარბობს ქალაქური ხელოსნური ნაწარმი (მინის სამაჯურები, ჩალისფერი ქვრილი ჭურჭელი, მინის ჭურჭელი და სხვა), რაც, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ქინვალის მოსახლეობა, რომელიც (ალბათ ძირითადად) მთის ჭარბი მოსახლეობის ხარჯზე ივსებოდა და რომელსაც ქალაქში ჩამოჰქონდა მთის ყოფასთან დაკავშირებული გარკვეული ტრადიციები, თანდათანობით განიცდიდა კულტურულად დაწინაურებული ბარის ზეგავლენას. ამ პროცესს, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა არა მარტო „ქალაქური გარემო“, არამედ ისიც, რომ ორთავე არაგვის ხეობაში, ერთი მხრივ, მენესომდე და, მეორე მხრივ, კართანამდე გაბატონებული ყოფილა ბარის ტიპის მეურნეობა და უნდა ვიფიქროთ, რომ შესაბამისად ცხოვრების ბარული წესი. ქინვალის სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონის არქეოლოგიურმა

კვლევამ სავსებით დაადასტურა აღნიშნული დებულება და გვიჩვენა, რომ მეურნეობის სხვა დარგებს შორის არაგვის ხეობის საკმაოდ დიდ ნაწილში მევენახეობა-მელვინეობას ეჭირა საპატიო, ხოლო ზოგან წამყვანი ადგილი. უინვალის ჩრდილოეთით, ფშავის არაგვის ხეობაში გათხრილ რამდენიმე ნასოფლარზე თითქმის ყველა საცხოვრებელი კომპლექსის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს კაპიტალურად მოწყობილი მარნები, თავისი ქვითკირის საწნახლებითა და ქვევრებით.

აღსანიშნავია, რომ ქალაქური კულტურის რადიაცია ყველაზე უფრო რელიეფურად ეტყობა სწორედ სასოფლო-სამეურნეო რაიონის იმ მონაკვეთს, სადაც ბარის ტიპის მეურნეობა იყო გაბატონებული. ბუნებრივია, მთის დანარჩენი მოსახლეობის მატერიალური კულტურაც გარკვეულ გავლენებს ბარიდან განიცდიდა, მით უმეტეს, რომ უინვალი რუსთაველის ეპოქისათვის წარმოადგენდა მსხვილ. სახელოსნო-სავაჭრო ცენტრს, საიდანაც ხდებოდა მთისა და ბარის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთკავშირის რეგულიაცია. არქეოლოგიური ძიებითვე საკმაოდ ნათლად ჩანს ქალაქის პოლიტიკური და ნაწილობრივ სოციალური სახეც. ფეოდალური უინვალის მთავარ საყრდენს მის პოლიტიკურ მესვეურს და მთის მიმართ ბარის ყველა შეტევის თუ მიძალეების ორგანიზატორს წარმოადგენდა „ნაქალაქარის“ თავზე წამომდგარი „ყელის ციხე“, რომელსაც ხალხი თამარის ციხესაც უწოდებს, მაგრამ თამარის ციხე უინვალში ერთადერთი არ იყო. უინვალსა და შესაბამისად იქ არსებულ კომუნიკაციების დაცვას ემსახურებოდა სასიმაგრო ნაგებობათა მთელი სისტემა, კერძოდ, უინვალის მოპირდაპირე მთაზე, (არაგვის მარჯვნივ) მდებარე წმ. გიორგის ციხე, რომელიც გაითხარა და საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციის შემდეგ შეიძლება იქცეს დათვალიერების საყურადღებო ობიექტად. ამ ორი დიდი ციხის შემაერთებელ რგოლს წარმოადგენდა უინვალის ციხე-გალავანი უზარმაზარი ზურგიანი კოშკით, რომელიც დატბორვის შემდეგ წყალსაცავის ფსკერზე დარჩება. გარდა ამ სასიმაგრო ხაზისა, ქალაქის მისადგომებს სამხრეთიდან ჰქონდა მთიდან არაგვისაკენ დაშვებული დამცველი თუ ჩამკეტი კედელი თავისი კარიბჭით, არაგვის მარცხენა ნაპირზე. ასეთივე კედელი უნდა არსებულიყო არაგვის მარჯვენა ნაპირზეც, მაგრამ როგორც ჩანს მთლიანად აღიგავა პირისაგან მიწისა, სამხედრო გზის ახალი ტრასის გაყვანის დროს. რაც შეეხება მარცხენა სანაპიროზე შემორჩენილ კედელს კარიბჭითურთ, მისი აღმოჩენა იმითაც არის საყურადღებო, რომ სავსებით დადასტურდა აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა უინვალამდე არაგვის მარცხენა ნაპირს შეუყვებოდა.

აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ, გარდა ციხესიმაგრეთა ზემოხსენიებული სისტემისა და ხეობის ჩამკეტი კარიბჭისა, საკუთარი გალავანი ჰქონიათ ზურგიანი კოშკს არაგვის მარჯვენა ნაპირზე და მთავარ სამოსახლო უბანს ადგილ „ნაქალაქარზე“.

ქალაქ უინვანის არქეოლოგიურმა გამოკვლევამ და მოპოვებული მასალების ანალიზმა, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ქალაქის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამოსახლო და სამეფო სასახლე მოთავსებული იყო უინვალის ციხეში. აღსანიშნავია, რომ ზურგიანი კოშკის თხრის დროს ამ კომპლექსში აღმოჩნდა ფაიანსის კურკლის დიდძალი ნატეხები, უზარმაზარი მარანი და ეკლესია.

ვაჰარ-ხელოსანთა ფენას უნდა ეცხოვრა „ნაქალაქარის“ იმ ნაწილში, რომელიც არაგვის მარცხენა ნაპირის გასწვრივაა განლაგებული. ჭურჭლის გამო-საწვავი ქურის, თიხის ტიგელების, რკინის წილისა, კვირისტავეების და სხვა მასალების მიხედვით კარგად ჩანს ხელოსნობის ის ძირითადი დარგები, რომლებიც ქალაქის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

საყურადღებოა, რომ საკუთრივ ნაქალაქარის კვარტალებში არსად, ჯერჯერობით არც ერთ სამოსახლო კომპლექსში არ აღმოჩენილა საწნახლები, ხოლო ქვევრები და სასურსათო ხარობები კი ყველა საცხოვრებელშია დადასტურებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტენსიური ურბანიზაციის ხანაში ჟინვალის ვაჰარ-ხელოსნებს და რიგით მოქალაქეებს არ გააჩნდათ სავენახე ნაკვეთები და ისინი ამ პროდუქტებს ქალაქის გარშემო მდებარე სოფლებიდან იძენდნენ.

ჟინვალის ნაქალაქარზე უკანასკნელი წლების მნიშვნელოვან აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ტერასულად განლაგებული ახალი სამოსახლო კვარტალის აღმოჩენა, ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვნის მოპირდაპირედ, მთის ფერდობზე, რომელსაც ჩვენ პირობითად ჟინვალის გარეუბანი ვუწოდეთ.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული კვარტალის ცალკეულ სახლებში, რომელიც მოჭიქული ჭურჭლისა და მონეტებით ძირითადად თარიღდება XII—XIII საუკუნეებით, აღმოჩნდა რამდენიმე სათავსო წარმართული საკურთხევლებით, პოდიუმითა და შენაწირავი საგნებით, რაც შესაძლოა აიხსნას იქ მცხოვრებთა წარმართული რელიგიისა და კულტმსახურებისადმი ერგულებით. შესაძლოა მთიდან ჩამოსახლებულ ახალმოშენებს, რომლებიც ალბათ დროდადრო ავსებდნენ ქალაქ ჟინვალის მოსახლეობას, მთიდან ჩამოჰქონდათ ფარულად შემონახული და ჯერ კიდევ ცოცხლად არსებული ტრადიციები და საბოლოოდ „გაბარელებამდე“ თუ „გაკახებამდე“ ჟინვალის გარეუბანში ცხოვრების ხანაში ერთგვარად ინარჩუნებდნენ მას. ეს არქეოლოგიური ფაქტი მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიისათვის, ვფიქრობთ, საკმაოდ საყურადღებოა.

ჟინვალის ნაქალაქარზე არქეოლოგიური ძიებით კარგად გამოვლინდა ორი ძირითადი სამშენებლო დონე. ამათგან პირველი თარიღდება XII—XIII საუკუნეებით. ეს სამშენებლო დონე განადგურებული ჩანს XIII საუკუნის II ნახევარში მონღოლთა გაუთავებელი თარეშისა და, საერთოდ, მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო.

ჟინვალის ხელახალ აღდგენას ჩვენ ვუკავშირებთ გიორგი ბრწყინვალის ხანას, ამ დროისათვის ჟინვალში ჩატარებულია კოლოსალური აღდგენითი სამუშაოები, თუმცა ქალაქი ისე ყოფილა აოხრებული, რომ უმეტესწილად ახალი ნაგებობები სრულიად ახალი გეგმებითაა (ძველი საძირკვლების გამოუყენებლად) აღდგენილი. ჟინვალის სწრაფი და სრული აღდგენა შესაძლოა მატერიალური რესურსებითა და ხალხით მდიდარი მთის სიახლოვემაც განაპირობა.

მიუხედავად გიორგი ბრწყინვალის თავდაუზოგავი მცდელობისა, რომ საქართველო აღედგინათ ძველი ძლიერებით, XIV საუკუნის ბოლო საბედისწერო აღმოჩნდა როგორც მთელი საქართველოსათვის, ასევე ჟინვალისათვის. და ეს ტრაგიკული ხანა ჩვენს ისტორიაში დაკავშირებული იყო თემურლენგის რვაგზის შემოსევასთან, რის შედეგადაც განსაკუთრებული ზარალი განიცადა არაგვის ხეობამ და მისმა მთისწინა სამოსახლოებმა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა უინვალის ნაქალაქარზე კარგად აჩვენა ბარბაროსული ნგრევისა და აოხრების საზარელი სურათი.

მართალია, ქართული წყაროების მიხედვით, XV საუკუნეში უინვალი მაინც ქალაქთა რიგში მოიხსენიება, მაგრამ ეს ალბათ ინერციით. რეალურად იგი ნანგრევებით იყო დაფარული და გვიან შუასაუკუნეებში მხოლოდ უღიმღამო ცხოვრების კვალია ჩანს ამ ერთ ღროს ძლიერი ქალაქის ტერიტორიაზე.

საქართველოს პოლიტიკური დაშლისა და არაგვის საერისთავოს დაარსების შემდეგ (მისმა ცენტრმა დუშეთსა და ანანურში გადაინაცვლა) უინვალის აღდგენის იდეას სულ მთლად გამოეცალა საფუძველი.

ასეთი უკანასკნელი, თუმცა წარუმატებელი, მცდელობა ეკუთვნის ერეკლე II-ის სამეფო კარს XVIII საუკუნის ბოლოს. მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში, უინვალის ციხის გალავნის შიგნით თანდათანობით გაჩნდა მოსახლეობა, რომელიც შემდგომში საფუძველად დაედო თანამედროვე სოფელს.

ეთნოგრაფიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს მოსახლეობა უკლებლივ მთიდანაა თანდათანობით ჩამოსული და ბუნებრივია, რომ მათ აღარ შეეძლოთ აღედგინათ მეურნეობის ის ძირითადი დარგები, რითაც უინვალი და მისი შემოგარენი იყო ძლიერი ისტორიულად. მთიდან ჩამოსახლებული ახალი უინვალელები ძირითადად შერჩნენ თავის მესაქონლეობას, ხოლო მრავალწლიანი კულტურები და ვაზი მივიწყებული აღმოჩნდა.

ამჟამად უინვალის ყველა უბანზე გრძელდება გაცხოველებული სავლევ კვლევა-ძიება, რაც იმედია, კიდევ უფრო გაამდიდრებს არქეოლოგიურ ფონდებს და, შესაბამისად, საფუძველს მოგვცემს კიდევ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ არაგვის ჭიშკარში აღმოცენებული ამ მნიშვნელოვანი პუნქტის ისტორია.

Р. М. РАМИШВИЛИ

ГОРОДИЩЕ ЖИНВАЛИ

(Таб. XX—XXIII)

Резюме

Среди археологических памятников Арагвского ущелья, которым после завершения строительства гидрокомплекса грозит затопление, особое место занимает городище Жинвали.

По археологическим данным древнейшим памятников на территории Жинвали являются остатки поселений, относящиеся к эпохе раннеземледельческих культур. Из них особый интерес вызывает поселение под позднеантичным могильником в сел. Жинвали, на глубине 3—3,5 м.

На левом берегу Арагви, у головного сооружения водоотводного тоннеля, на крутом склоне изучается культовый памятник (святилище), где самым значительным является слой, содержащий материал финального этапа ранней бронзы и начала средней бронзы. На святилище в верхних слоях прослеживаются материалы всех археологических этапов до раннего средневековья.

По археологическим данным на территории Жинвали с первых веков н. э. возникает крупное поселение, возможно городского типа, на что указывают остатки могильников и поселений I—VIII вв. н. э.

В эпоху Руставели Жинвали становится политическим экономическим и культурным центром Арагвского эриставства и превращается в довольно крупный город, где процветали разные ремесла. Жинвали был разрушен полчищами Тамерлана и с XV-го столетия прекращает свое существование.

II. წარმოების კვებო

ბ. ლომთათიძე

არქეოლოგიური გათხრა თბილისში

1949 წლის გაზაფხულზე

ტაბ. XXIV—XXIX

გავახსენებთ მკითხველს, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა სამგზის აწარმოვა არქეოლოგიური თხრა ძველი თბილისის იმ უბანში, რომელსაც უწინ (მაინც და მაინც XVIII—XIX საუკუნეებში) „სეიდაბადის ბაღები“ ეწოდებოდა, ხოლო ამჟამად — „300 არაგველის ბაღი“.

პირველი, საცდელი კამპანია ჩატარდა 1948 წლის ოქტომბერში, ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით; მეორე — მცირე ხანს შემდეგ, იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში; ჩვენი ხელმძღვანელობით, ხოლო მესამე — 1949 წლის მარტის დაძლევიდან თიბათვის დამდეგამდე, ჩვენივე ხელმძღვანელობით.

პირველი ორი კამპანიის შედეგები, კარგა ხანია, გამოქვეყნებულა¹, ხოლო მესამის ანგარიშის დაწერაცა და დაბეჭდვაც მრავალჯერ გადაიდო და შეფერხდა, ავტორის გაძუდმებული მოუცლევლობისა გამო (ხანგრძლივი თხრის ხელმძღვანელობა რუსთავში 1949—1951 წ. წ., თეთრიწყაროს ნადარბაზევში — 1949 წ., უჯარმაში 1950—1952 წ. წ., ურბნისში 1953—1956 წ. წ., მცხეთაში — 1951 წ., ამასთანავე სათანადო ანგარიშებზე მუშაობა და სხვ.), ისე, რომ გათხრის მეცხრე წელსლა მოხერხდა ამის განხორციელება — ისიც დედაქალაქის იუბილესთან დაკავშირებით. აქვე კი უნდა ითქვას, რომ დღემდე ჩვენ ძიერ გამოქვეყნებულ ყველა ანგარიშსა თუ ნაშრომში გზადაგზა და წინასწა-

¹ ო. ჯაფარიძე, „გაჩისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, I, 1955, გვ. 89—98.

ბ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლის დასაწყისი, გაზ. „კომუნისტი“, 1949, № 126; ქართული კერამიკული წარმოების ისტორიისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, № 8, გვ. 6—10. Раскопки в Тбилиси, გაზ. «Заря Востока», 1949, № 152; არქეოლოგიურ გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, „მას. საქ. და კავ. არქ-ისათვის“. I, 1955, გვ. 119—170 (დაწერილია 1949 წ.); საქართველოს ყოფა და მატერიალური კულტურა XI—XIII ს. (ხელნაწერი, 1954); შუაფეოდალური ხანის საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლები ხელნაწერი, გვ. 195). Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, «Советская археология», XXVII, 1957, с. 284—287.

რულად მაინც არის გათვალისწინებული 1949 წლის კამპანიის შედეგებიც, მაგრამ, რაკი მონაპოვარი წლებანდელამდე გადასინჯული და დაწვრილებით შესწავლილი არა ყოფილა, ყოველივე ეს ვერ ჩაითვლება განათხარის ჯეროვან გამოქვეყნებად. თან კი ისიც არის აღსანიშნავი, რომ შესასწავლი ძეგლის არსი და ძირითადი მომენტების უმეტესობა 1948 წელსვე საკმაოდ ნათლად იყო გარკვეული და ზოგი საკითხის მიმართ 1949 წლის კამპანიამ მხოლოდ ოდენობრივ გაგვიფართოვა წარმოდგენა. მაგრამ, სამაგიეროდ, მან ზოგი რამ ახალი და დიდად საინტერესოც გამოავლინა, განსაკუთრებით თვით კერამიკული ნაწარმის მთელ-მთელი ნიმუშებისა და მათ შორის მრავალი ახალი სახეობის, ნედლეულისა და ხელსაწყოების მხრივ, რასაც სიმძიმის ცენტრი, ამ თვალსაზრისით, წყორედ მესამე კამპანიაზე გადააქვს და რაც უეჭველყოფს მისი ვრცელი მეცნიერული ანგარიშის ცალკე შედგენის აუცილებლობას, თუნდაც ასე დაგვიანებით. ამავე დროს, ცხადია, აღარ დაგვევალება იმ საერთო წანამძღვრებისა და ზოგადი მოქმედების გაშეორება, რომლებიც უხვადა გვაქვს მოცემული 1948 წლის (მეორე კამპანიის) ანგარიშში, ისე რომ ყველა სათანადო შემთხვევაში ამ უკანასკნელზე მივუთითებთ დაინტერესებულ მკითხველს.

მეორე კამპანია ექსპედიციამ 1948 წლის 28 დეკემბერს შეწყვიტა—თანის ამოწურვისა და სუსხიან—თოვლიანი ზამთრის მოძალებისა გამო.

ჩვენი მესამე კამპანია დაიწყო 1949 წლის 3 მარტს და დასრულდა 2 თებათვეს, ისე რომ სრულ 3 თვეს გასტანა, ისეთ არაბუნებრივ და არა-სასურველი „დაჩქარების“ ვითარებაში გვიხდებოდა მუშაობა ბოლომდე, რომ კი არ ამოვწურეთ ძეგლთა გამოვლენის შესაძლებლობა, არამედ შევწყვიტეთ მათი გამოვლინება და ნაადრევად დავუთმეთ სარბიელი იმ ბალის მშენებლებს, რომელიც მას შემდეგ მართლაც ამშვენებს ყოფილ „ოხერ-ბაღსა“ და „საზამთროსა“ თუ „შეშის“ მოედნებს, განაგრძობს ჯერ კიდევ 1930-იან წლებში გაშენებულს 300 არაგველის ბაღს.

მესამე კამპანია ექსპედიციამ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გ. ლომთათიძე (ხელმძღვანელი), ირაკლი ციციშვილი, ნიკო ლამბაშიძე და ოთარ ლამბაშიძე (ინსტიტუტის თანამშრომლები), თინათინ ოქროპირიძე (უნივერსიტეტის ლაბორანტი), ვერა თოლორაძე, ელგუჯა გოგაძე, ნუნუ კაკულია (ახლად ჯურს-დამთავრებული ისტორიკოსები და სტუდენტი), ნიკო გოგიჩაშვილი და კარლო ბარაბაძე. მხატვრად მოწვეული გვყავდა ნატალია ვასილიევა, ფოტო-სამუშაოებს ერთხანს ეწეოდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები ი. პახომოვი და ე. კვეციანი, შემდეგ კი ეს საქმე დაევალა ჯერ ნ. გოგიჩაშვილს, ხოლო მერე მცირე ხნით მოწვეულს სერგო იუზბაშევს².

საანგარიშო კამპანია ჯერ არ იყო დამთავრებული, როდესაც ინსტიტუტი იძულებული შეიქნა, საჩქაროდ გაეგზავნა ექსპედიცია რუსთავში და იმ ექსპე-

² ო. ლამბაშიძემ მხოლოდ ერთ თვეს იმუშავა ჩვენთან, რადგანაც შემდეგ ისიც ვაშნარის ექსპედიციაში მიავლინა ინსტიტუტმა. ვერ იმუშავეს საანგარიშო კამპანიაში წინა კამპანიის აქტიურმა და უკვე ჯეროვანი გამოცდილებით აღჭურვილმა მონაწილეებმა, გ. ციციშვილმა და თ. პახატაშვილმა, რომლებიც იმეამად ნაცარგორის ექსპედიციის მონაპოვრის კამერულ დამუშავებაში იყვნენ ჩაბმული.

დიციის ხელმძღვანელობაც ჩვენ დაგვევალა. ამანაც, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა მოახდინა თბილისის ექსპედიციის ერთ ხანს მაინც კიდევ გაგრძელებაზე³.

კამპანიის ბოლოს განათხარი ინახულა საველე არქეოლოგიურმა კომისიამ და ამ უკანასკნელის რჩევით (კერძოდ, აკად. დ. ჩუბინაშვილის წინადადებით), გადაწყდა, ჯერ ერთი, რაც შეიძლებოდა მრავლად წამოღებულიყო აღმოჩენილი კერამიკული მასალა, თუნდაც სხვა მუზეუმებისათვის გაცვლა-გამოცვლის ფონდის შესაქმნელად, და მეორეც გადახურული და მცირე მუზეუმის სახით დაცული ყოფილიყო ქალაქის ძველი ზღუდის ნაშთი, ამ კედელზე მიშენებული ორი საჭურჭლე ქურა და სხვა მიმდებარე ნაშთები. თუმცა ექსპედიციამ იგულმოდგინა ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად, ... მაგრამ ამ კარგი განზრახვის განხორციელება მაინც ვერ მოხერხდა. გაშიშვლებული ნაშთები, რა თქმა უნდა, თანდათან ფუჭდება, ხოლო კედლის შიდა ფასადი დღესაც საკმაოდ კარგად გამოიყურება.

I. საველე მუშაობის ანგარიში. განათხარის აღწერა

მესამე კამპანიის განმავლობაში ექსპედიცია, უპირველეს ყოვლისა, განაგრძობდა მეორე კამპანიისას დაწყებული და ყველაზე უფრო შინაარსიანი, IX და X თხრილების გაფართოება — გაღრმავებას, რამაც ბევრი ახალი საყურადღებო ნაშთი გამოავლინა. ერთხანს დავუბრუნდით აგრეთვე XVI თხრილს, რომელშიც წინა წელს მიწა გვექონდა ჩაყრილი. გავჭერით 7 ახალი თხრილიც, სხვადასხვა სიგრძე-სიგანისა, სწორკუთხოვანი: XVII — შარშანდელ X და XI შორის, ზუსტად მათ გაგრძელებაზე (XI-ზედ ებჯინებოდა ქალაქის ძველ ზღუდეს); XVIII — ზედ, ქალაქის ზღუდეზე, მარცხენა განაპირა ბურჯთან, XIX და XX შესწავლილი ფართობის მოპირდაპირე ბოლოში, შარშანდელი VIII და XV-ს გვერდით; XXI — შარშანდელი IX და X შორის, ზუსტად მათ გასწვრივ; XXII — ზღუდესთან, შარშანდელი XI-ს გვერდით, ხოლო XXIII — ზღუდესთანვე, შარშანდელი XIV და XVIII შორის. ძველ თხრილთა შორის გაკრილმა თხრილებმა საბოლოოდ შეაერთეს ძველები და მივიღეთ მთლიანად გაშიშვლებული არეები. კერძოდ, ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციამ მიზნად დაისახა და, კიდევაც სავსებით, გააშიშვლა ქალაქის ზღუდის ნაშთის შიდა ფასადი, რამაც ძალიან საყურადღებო სურათი მოგვცა. ეს გაკეთდა მეორე კამპანიის XI, XIV და მესამე კამპანიის XVIII, XXII და XXIII თხრილების საშუალებით.

პირველ ხანებში უმთავრესად ვეძალეობდით წინა წელს დაწყებულ IX თხრილს, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ის ადგილი უნდა გადაგვეცა ბაღის მშენებელთათვის, ხოლო უძრავ ქანამდე ჩასვლას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. პირაღებით უკვე ვეღარა ვთხრიდით, რადგან იძულებული ვიყავით, კუნძულე-ბივით დაგვეტოვებინა ახალდარგული ხე-ბუჩქები და ხშირ-ხშირად გარშემო-

³ მესამე კამპანიის დროს განათხარის ფიქსაციის მხრივ (რასაც აწარმოებდნენ არქიტექტორ: ი. ციციშვილი, მხატვარი ნ. ვასილევა და ფოტოგრაფები) კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: მხატვარ-მაკეტისტს ლ. ნაბათოვს ინსტიტუტმა გააკეთებინა ორი მაკეტი IX და X თხრილებში გამოვლენილი ნაგებობათა და ქურათა ნაშთებისა, რომელსაც 1949 წლის კამპანიის ბოლოს მიწა დაეყარა, რათა ზედ ხეებზე დარგულიყო. ეს მაკეტები შემდეგ გადაეცა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

გვევლო მათთვის. გრძელდებოდა ადრე გამოვლენილი „სახელოსნოს ოთახების“ წმენდა, დასავლეთის მიმართულებით. უკვე ცნობილი თონე-კერის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთელი არე სავსე იყო შეტყეპნილი მიწით, რომელშიც მრავლად ერია რიყის ქვა, ნატეხი ქვა და აქა-იქ ნატეხი აგურიც — როგორც შეეფერება ნაგებობის ნანგრევს. მრავლად შეიცავდა ეს მიწა აგრეთვე, რა თქმა უნდა, კერამიკული ნაწარმის ნატეხებსაც: უმთავრესად ქურის სოლებისასა და კაკვებისას. მოჭიქული ჭრაქებისას, მრგვალი სამარილებებისას, ბრტყელი და ქუსლმალაღი (მარტოოდენ ანგობაწასმული) „საფერფლებსას“ (რომლებიც თითქოს მხოლოდ ამ თხრილს ახასიათებენ): აგრეთვე დიდრონი, მოუჭიქავი კოკების ყელ-ყურებისას. ერთი სიტყვით, სრულიად კანონზომიერად გრძელდებოდა ის სურათი, რომელიც წინა წელს, მუშაობის შეწყვეტამდე იყო. გაშიშვლდა აგრეთვე ამ, კერაქურიანი ოთახის სამხრეთ-დასავლეთი კედელიც, რომელიც ერთადერთი რჩებოდა გამოუჩენელი, ოთხთავანი იგიც ნაგლეჯი ქვითა და დიდრონი რიყის ქვით ნაგები და გაჯით შედულაბეებული გამოდგა. ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1 მ მანძილზე ერთხანს მრავლად ამოდიოდა აგურისა თუ აგურისფერად დამწვარი თიხის ნამტვრევები. იქვე ახლოს აგრეთვე მრავლად ამოდიოდა ნამტვრევი მხოლოდ ანგობიანი, მოჭიქული თუ დაჭყლეთილ—გამლდვარი თიხის ჭურჭლისა. ეტყობა, ეს ნამტვრევი ისევ და ისევ I ქურის ნაწარმს მიეკუთვნებოდა, ხოლო მიწის სიწითლე მიეწერებოდა იმ აგურს, რომელიც ბლომად იყო იმ მცირე რაღაც შემადლების თავზე, რიყისქვითა და ნაგლეჯი კუთხოვანი ქვით რომ „აეგოთ“ მასზე. ამ თხრილისათვის პირველი შემთხვევა არ იყო, რომ ოთახის სამხრეთ-დასავლეთი კედლის თავზე, მიწაში აღმოჩნდა მინის ორი ნატეხი (მოზრდილი, გამჭვირვალე, ლამაზი ლურჯი და პატარა, გაუმჭვირვალე მომწვანო). ჩრდილო-დასავლეთი კედლის გარეთ, 0,5 მეტრ სიღრმეზე — შავი და ლურჯი მინის გრეხილ სამაჯურთა ნატეხები, ხოლო აგურფენილის ახლოს, კედლის ძირას (2 მეტრ სიღრმეზე) — მინის პატარა ჭურჭლის ნატეხები. მანამდე მინა მხოლოდ VIII თხრილში, ე. ი. წარმოების გადანაყარში გვხვდებოდა, ახლა კი ბევრად უფრო სამხრეთითაც გამოჩნდა.

საყურადღებოა, რომ ამ თხრილში გამოვლენილი ნაგებობის „პატარა-თონიანი“ ოთახის დასავლეთით, 1,2 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა გვერდზე მწოლარე მოხდენილი ხელადა, სამტუჩა, მქრთალი მოყვითალო. ეს ჭურჭელი მოყვანილობითაც, ფერიტაც და გამოწვის რაგვარობითაც სრულიად გამოირჩევა ჩვენთვის უკვე ასეულობით ცნობილი აქაური ჭურჭლისაგან. შეიძლება არც ეკუთვნოდეს ჩვენ მიერ გათხრილი კერამიკული სახელოსნოს ნაწარმს და აშითაც აიხსნებოდეს მისი შემცველი ფენის ესოდენ ღრმად მდებარეობა. ასეთი აღმონაჩენი ერთადერთი როდი გაშოდგა. წინა კამპანიის დროს აღმოჩენილი, საკმაოდ მაღლა შემოდგმული ფილაქვის (რომელიც მაშინ მივიჩნიეთ „თიხის სახელ მაგიდად“) აღმოსავლეთით კარგა დიდზე მოგვიხდა ჩაღრმავება, რადგან სულ ფხვიერი ნაშალი მიწა გაშოდგა. ამ ჩანათხარში, აქეთ-იქით შემორჩენილ კედელწყობათა ძირების დონიდან 1,0 მ სიღრმეზე აღმოჩნდა აგრეთვე მქრთალი მოყვითალო თიხის ხელადა, დატეხილი, ხოლო მის გვერდით — შავი (ერთი შეხედვით თითქოს ძველი „სამთავრულის“ მსგავსიც კი) ქოთანო, ყელშემოკეპნილი და თავისებური ყურით აღჭურვილი. არის ზოგიერთი სხვა, სადა საოჯახო ჭურჭლის (მაგ., კოკის) ნატეხიც, სპირალურად დაღარული სარქველის ნატეხი და სხვ. ამ

ჭურჭლეულში წამლადაც არ გამოერევა ანგობიანი თუ მოჭიქული ჭურჭლის თუნდაც ერთი ნატეხი. სამაგიეროდ, მათ ურევია ცხოველთა ძვლები. შეიძლება და გვეფიქრა, რომ ეს სადა ჭურჭლეული თვით ხელოსანთა მიერ ყოველდღიური საჭიროებისათვის ნახმარი ყოფილა და ამიტომაც, რომ იგი სადაა და არა ჰგავს ხელოსანთა ნაწარმს, მეტ-ნაკლებად ყოველთვის მხატვრულს, მაგრამ ერთი საეჭვო გარემოებაც არ უნდა დაგვავიწყდეს: ყველა ეს, განსხვავებული ჭურჭელი, თუ ნატეხი ძვეს ნაგებობის იატაკის დონეზე (თვით იატაკი არა აქვს ნაგებობას) უფრო დაბლა. ამიტომ არც ის იქნებოდა გამოსარიცხავი, რომ აქ რაიმე ნაღვეს მაინც უფრო ძველ ნაშენებთანა გვაქვს საქმე და სახელოსნოს ნაგებობანი შემდეგაა ზედ დაშენებული. ამ მოსაზრებას უნდა ამტკიცებდეს ის სპილენძის თხელი ნახევარ-მრგვალი ფირფიტა, რომელიც დაგვემტვრა და, შესაძლოა, არაბული ფული კი ყოფილიყო, VIII—IX საუკუნეებისა. არის კიდევ ერთი შესაძლო ახსნა: სახელოსნოს გვერდით არსებულ ორმოში ყოფილიყო ჩაყრილი ეს ყოველივე. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ აქ უძრავი ქანი მხოლოდ 2,5 მ სიღრმეზე გამოჩნდა და ეს მართლაც ორმოს არსებობას უნდა მოასწავებდეს. სამწუხაროდ, ამ უბანზე თხრის ძალაუვნებურად ნახტომ-ნახტომ წარმოებისა გამო გადაჭრით ვერც ერთ ამ ვარიანტზე ვერ შევჩერდებით. ასევე ღრმად ნაპოვნი საგნებიდან ჩვენ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთი სპილენძის ხელსაწყო, რომელიც თანამედროვე ქლიბს მოგვაგონებს და შეიძლება სწორედ მეჭურჭლეების ხელსაწყოთა რიცხვს მიეკუთვნებოდეს. კერამიკული სახელოსნოს გადანაყარობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ, გარდა კოკის, მთლიანი ჭრაქის, ქილის, ქოთნის, დერგისა და სხვა საოჯახო ჭურჭლის ნატეხებისა, ამ ღრმა ფენაში გამოერევა მოუჭიქავი გვერდბაკეცილი კრამიტის ნატეხებიც.

გაფართოებულ-განშტოებულ IX თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოში, ნამდვილად სახელოსნოს ნაგებობის ისაერთო დონეზე, გამოჩნდა და კამპანიის მიწურულისათვის სავსებით გაიწმინდა კიდევაც კიბე, ქართული აგურით ნაგები. იგი უშუალოდ ეხება ამ მხარეს ვიწროდ გამოგრძელებულ „შტოს“ ნაგებობისა, ზუსტად მართობია მისდამი და ადის უფრო მაღლა მდებარე ტერასზე, რომელზედაც ამჟამად სკოლის შენობა და ეზოა. მისი ზედა ნაწილი გამოჩნდა 0,45 მ სიღრმეზე. სიმაღლეთა სხვაობა დაახლოებით 1 მეტრს უდრის. კიბეს 9 საფეხური ჰქონია — ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მეტი არ შემორჩენია. ქანობი მას მცირე აქვს, საფეხურთა სიმაღლის სხვაობა — თანაზომიერი. სულ ზედა საფეხურისა ერთი განაპირა აგურიღა შემორჩენია, მისი მომდევნოსი — ორი განაპირა. სრულიად შემორჩენილია ქვედა ექვსი საფეხური, რომლებშიც 6—7 აგური დაითვლება. სულ ქვედა საფეხურში ორი შუა აგური ბრტყლად ძვეს, მათ ერთ მხარეზე შვიდია აღმაცერად ჩაწყობილი, მეორე მხარეზე — რვა. კიბეს აქეთ-იქით, მოაჯირივით აუყვება ბრტყელივე აგურების ფართო წყება.

საბოლოოდ, აქ ორი რამ იქცევს ყურადღებას: ა) ჩვენ თვალწინაა XII — XIII საუკუნეების ნაგებობათა კომპლექსის ნაწილთა ერთიმეორესთან დამაკავშირებელი კიბის ნიშნები; ბ) ამ კომპლექსის ნაგებობანი მაშინაც სხვადასხვა დონეზე ყოფილან განლაგებული და, კერძოდ, ეგებ ზედა ტერასა მინის სახელოსნოს ეკავა.

ამ კიბის აღმოჩენამ ველზედვე გამოგვატანინა კიდევ ერთი, უკვე პრაქტიკული დასკვნა: უთუოდ გასათხრელია ის ტერასა, რომელზედაც ავყავართ ამ კიბეს და რომელიც ახლა სკოლის ეზოსა და სასპორტო მოედანს უკავია. ეს სამერმისო ამოცანად უნდა დარჩეს.

რაც შეეხება თვით სახელოსნოს ნაგებობათა დათარიღებას XII და უფრო კი XIII საუკუნით, ამას კიდევ ერთი დამატებითი საბუთი გაუჩნდა. ეს იყო სამხრეთ-დასავლეთ კედლის ნაშთის თავზე (მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე) აღმოჩენა სპილენძის 2 მონეტისა, რომლებიც მოჭრილი არიან რუსუდან მეფის მიერ.

მრავალი საყურადღებო ნაშთი მოგვცა IX თხრილში გაშიშვლებული ნაგებობის კედლებს მიმომღმა წარმოებულმა თხრამ. სამხრეთ-დასავლეთი კედლის გარეთ, მისგან 1,5 მ მანძილზე, უკვე კლდოვან ფენაში ყოფილა ჩატრილი მრგვალი ორმო, რომლის დიამეტრი უდრიდა 1 მეტრს, ხოლო სიღრმე — 1,6 მ (თავი გამოუჩნდა მიწის ზედაპირიდან 3,4 მ სიღრმეზე, ხოლო ძირი — 5,0 მ სიღრმეზე). მასში ბლომად იყო მიწაში გარეული მინის ჭურჭლის ნატეხები, თიხის დიდი, მასივური ჭურჭლის ნატეხები და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებო საგანი აღმოჩნდა მოპირდაპირე, ჩრდილო-დასავლეთი კედლის გარეთ, ისევე ღრმა ძველ ორმოში (ოღონდ უკვე არა კლდოვან ფენაში, არამედ მიწაში ამოჭრილში), კედლიდან 1,8 მ მანძილზე და 3,2 მ სიღრმეზე. ეს იყო მოყვითალო ქვიშაქვისაგან შესანიშნავად, ზუსტად გამოკოდირი ხელსაფქვაავი, რომლის ორივე ქვა სრულად დაუზიანებელია შემონახული. მისი დიამეტრი 35 სმ უდრის. სავსებით განვითარებული ტიპის სატრიალებული ხელსაფქვაავია. სრული უფლება გვაქვს, იგი მივიჩნიოთ, უპირველეს ყოვლისა, ძველქველ ოსტატების ხელსაწყოდ, რომელიც, სავსებით ვარგისნი, რატომღაც სახელოსნოს მახლობლად ამოღარულ ორმოში გადაუყრიათ (თვით ხელოსნებს? რატომ?). შესაძლოა, სულაც ამ ხელსაფქვაავით იყოს დაფქული ის საჭიქურე მასალა⁴, რომელიც მესამე კამპანიის დროსვე აღმოჩნდა ჭურჭელში, ვერგამოყენებული (იხ. ქვემოთ). ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ეს ხელსაფქვაავი რაიმე საკვების საფქვაავად ყოფილიყო ხმარებული. აღსანიშნავია, რომ ამ ორმოში, ხელსაფქვაავთან ერთად, მოხვედრილა შემდეგი საგნები: თიხის ორი მილიანი ჭრაქი (3,6 მ სიღრმეზე), კრამიტისა და აგურის ნატეხები (3,5 მ), ძვლის ორხაშენტიანი კვირისტავი (2,7 მ) და სხვა, რაც ცხადყოფს განაყარის შემთხვევითობას და მით უფრო უცნაურია მასში სავსებით ვარგისი ხელსაფქვაავის მოხვედრა. საბოლოოდ, ამ ორმოს თხრა მოთავდა 4,1 მეტრის სიღრმეზე, როდესაც უძრავი მიწა გამოჩნდა. ეს იყო უღრმესი თხრილი ჩვენს განათხარში, ჩვეულებრივ 2 მეტრს რომ არ ჩასცილდებოდა ხოლმე, მცირეოდენი ასეთი გამონაკლისის გარდა.

საბოლოოდ ეს ჩვენი უდიდესი თხრილი გაიჭიმა სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთის მიმართულებით და ამ უკანასკნელ მხარეზე ვიწრო შტოს სახით შეიჭრა — იქ, სადაც კიბე გამოჩნდა. მასში წინა წელს გამოვლინებული №1 ქურა მოქცეული იყო წესიერ-სწორკუთხოვან ხაგებობაში, რომლისაც ოთხივე კედელი გამოჩნდა. ეს უკანასკნელნი ამო-

⁴ შდრ. ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, მოქიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, საქ. მუზეუმის მოამბე, XIX—A და XXI—B, 1957, გვ. 293—294.

ყვანილი არიან ნატეხი ქვითა და რიყის ქვით, გაჯისებრი დულაბით, და ამხვე ხსხარით არიან შელესილი. სავსებით ასეთავე ნალესობა აქვს შემორჩენილი ქალაქის ზღუდის შიდა ფასადს, რომელიც სხვა თხრილებში იქნა გამოვლენილი და ეს იგივეობა მათ თანადროულობასაც მოწმობს. ამის გამო ერთ ხანს გვეწა-და, ეს კომპლექსიც დაგვეტოვებინა და ძეგლად დაგვეცვა, მაგრამ მერე ხელა ავიღეთ ამ განზრახვაზე. ქურის შემცველ სათავსოს ვუწოდებთ ამ ნაგებობის № 1 სენაკს. № 1 სენაკის პარალელურად გვქონდა მისი ტოლი № 2 სენაკი, რომელშიც ერთი „ქვის მაგიდა“ იყო (ჩვენი ვარაუდით, თიხის საზელი), ხოლო მის პარალელურად — № 3 სენაკი, იმოდენავე და აგრეთვე „ქვის მაგიდის“ შემცველი. № 1 და № 2 სენაკებს კარი აერთებს ერთიმეორესთან, № 2 № 3 შორის კი კარი არაა. № 2 სენაკს შიგნით გამოყოფილია მცირე სენაკი, ისიც ორად გადატიხრული. № 3 სენაკიდან კარი გადის № 4, დიდ სათავსოში, რომელიც თითქმის სამივეს უტოლდება (და ამეტებს კიდევაც) სიგრძით. მასშივე გადის № 1, ქურის შემცველი სენაკიც. ამ № 4 სათავსოშია შემოაღწერილი თონე და პატარა აგურფენილი. № 4 და № 3 სენაკებს აქვთ საერთო კედელი, რომლის ჩრდილო-დასავლეთით კიდევ დიდი რამ სათავსოსავით ყოფილა, ოღონდ გარეთა კედელი მას აღარ უჩანს. სწორედ მის გვერდით იყო ის დიდი და ღრმა ორშო, რომელშიც ხელსაფქვაკი და ბევრიც სხვა რამე საინტერესო აღმოჩნდა. № 4 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთისაკენ ძალზე შევიწროებული შტო, როგორც ითქვა, ებჯინება უკვე აღწერილი აგურის კიბეს და ამას იქით უკვე ჩვენი გათხრა ვეღარ წავიდა.

ასეთია ეს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ვრცელი ნაგებობა ჩვენი საწარმოო კომპლექსისა. კედლები სულ 0,5—0,7 მეტრის სიმაღლეზე იყო შემორჩენილი და ამიტომ, გარდა მათი კონტურებისა და კართა ღიობების არსებობა-არარსებობისა, მეტი ვერაფრის შესახებ ვერ შევქმნით წარმოდგენას.

X თხრილმა წინა კამპანიაში მოგვცა, როგორც ცნობილია, ოთხი ახლო-მახლოს განლაგებული ქურა (№№ 2, 3, 4 და 5), რომელთა შორის ერთი — № 2 — განსაკუთრებით კარგად შენახული და მეტყველი გამოდგა, და აგრეთვე მრავალრიცხოვანი ნაწარმი — მზა თუ სანახევროდ მზა. ამიტომ ჩვენ გადაჭრით დავადექით ამ თხრილის გაფართოებასაც, უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, და იქ თხრას ვაწარმოებდით შუა მარტიდან მაისის დამდეგამდე. ოღონდ იგი შედარებით ნაკლებ ნაყოფიერი გამოდგა. ადრევე აღმოჩენილი ქვასანაყის მახლობლად (აღმოსავლეთით, 1 მ. მანძილზე), 1,15 მ სიღრმეზე იყო გროვა: ნიჟარისებრი კრაქი, „სამარილე“, სხვადასხვა ჭურჭლის ნამტვრევი. № 3 ქურასთან (სამხრეთით, 1,25 მ) იყო დამწვარი თიხამიწის საკმაოდ სქელი ფენა, რომელიც შეიცავდა კერამიკის ნამტვრევსა და, კერძოდ, ქურის სოლთა ნატეხებს. ნაყარი შიწაში იყო მოჭიქული შორენკეცისა და ფაიანსის ჭურჭლის ნატეხებიც. № 4 ქურასთან (სამხრ.-აღმოს., 0,85 — 1,3 მ) იყო ორი, დიდპატარა დერგი წითლად გამომწვარი თიხისა, საკმაოდ მუცელგანიერი, თითქმის სანახევროდ ჩამოტეხილი. გარედან მათ წყვილ-წყვილი რელიეფური სალტეები ერტყათ. ისინი მჭიდროდ იყვნენ ერთიმეორეზე მიდგმული, ისე, რომ შემორჩენილი ზედა კედლები თითქმის № 4 ქურის ძირის დონეზე ჰქონდათ, ოღონდ პატარა 40 სმ-ით უფრო ზერელედ იყო ჩასმული, პატარის დიამეტრი 40 სმ უდრიდა, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე — 25 სმ, დიდისა — 52 სმ და

65 სმ. სისქე ორივეს 1—1,2 სმ ჰქონდა. მიწის ამოწმენდის შემდეგ პატარაში აღმოჩნდა ცხვრის ორი კოჭი (ერთი გაქლესილი), სხვადასხვა ძვლები, კვერცხის ნაჭუჭები, ნახშირი, ნაცარი და სპილენძის თხელი ფირფიტის ნატეხი, რომელიც მოგვაგონებს ბრინჯაოს ხანის პატარა თხელ ისრისპირებს-ჩანს, შემთხვევით. კედლებზე ამ დერგს მოთეთრო ბრკე ეკრა. დიდ დერგში იყო რაღაც ოთხფეხის ძვლები (ნაკლები, ვიდრე პატარაში); სამი წინა კბილი და კირხსნარის მსგავსი ნივთიერების, გამაგრებულის (კოწიწის?) ნატეხები.

№ 4 ქურის ძახლობლად (დასავლეთით, 0, 75 მ.) აღმოჩნდა ქვევრის ძირა ნაწილი, რომლის დიამეტრი 1 მ, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე 0,65 მ უდრიდა. როგორც ეტყობა, ეს დერგები და ქვევრი ხელოსანთა მიერ მუშაობისას მომარჯვებელი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო (და არა სამეურნეო), რადგან ისინი უშუალოდ ახლოს არიან ქურებთან.

№ 2 ქურიდან 2—3 მ მანძილზე (სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით), 1,0—1,5 მ სიღრმეზე ამოვიდა კიდევ ერთი გროვა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის — მეტწილად ჭრაქებისა და სამარილეების, და აგრეთვე გამოფიტული შინის ჭურჭლის ნამტვრევი. დასასრულ, აღსანიშნავია № 2 ქურის დასავლეთით, 6-იოდე მეტრის მანძილზე, 0,8 მ სიღრმეზე აღმოჩენილი პატარა მონეტა, თითქოს ვერცხლისა, რომელსაც არაბული დამწერლობით გამოყვანილი ზედწერილი უჩანს, იმავე ქურის სამხრეთ-დასავლეთით, 5,75 მ მანძილზე და 1,2 მ სიღრმეზე თავი იჩინა კიდევ ერთმა საყურადღებო კერამიკულმა გროვამ, რომელშიც გამოირჩეოდა ფრინველიანი მოჭიქული ჯამი, ჭრაქი და სხვ. ესენიც ამ ქურათა ნაწარმად უნდა ჩაითვალოს. ამის მეტი საყურადღებო აღარა მოუცია რა IX თხრილს და მალე ირგვლივ რიყიანი ყამირის გამოჩენამ ბოლოც მოუღო მის თხრას.

XII, XIII და XV თხრილების, შარშან (1948 წ.) დაწყებულთა გაგრძელება სრულიად გამოგვაცალეს ხელიდან — ბადის მშენებლებმა და დასანანი კია, რადგან მათში, ისევე როგორც VIII თხრილში, უამრავი გადანაყარი ჭურჭლის ნაღეწი ამოვიდოდა.

XVI თხრილი, როგორც უკვე ცნობილია, ვიწროდ მიემართებოდა, გასათხრელი ფართობის გარდიგარდმო, მტკვრისაკენ, და მიზნად ისახავდა შარშანვე გამოჩენილი კერამიკული მილსადენის გაკვლევას, რამდენადაც კი შეიძლებოდა. ამიტომ იგი ფაქტიურად შეუერთდა X თხრილს (სამხრეთ-დასავლეთისაკენ), ხოლო მეორე ბოლო მივიდა იქამდე, სადაც ეს სადენი შეწყდა. ძნელი სათქმელია, იგი მტკვრამდე მიდიოდა თავის დროზე და შემდეგ მისი გაგრძელება მოუხსპიათ, თუ საერთოდ მეტს აღარც გრძელდებოდა? წინა ანგარიშში უკვე ვწერდით, რომ რაკი ამ მილსადენის სათავე უშუალოდ ებჯინება X თხრილში გამოვლენილი, ქურებიანი შენობის კედლის ნაშთს, ბუნებრივი იქნებოდა მისი დაკავშირება საწარმოო კომპლექსის ამ ნაწილთან, თუმცა არაა მთლად ცხადი მისი დახიშნულება. კერძოდ, საეჭვოა, რომ სახელოსნოში ნახმარი, ჭუჭყიანი წყლის გასაყვანად იყოს იგი ასე გულდაგულ მოწყობილი. საკუთრივ მილსადენი შედგებოდა 12 ერთიმეორეში ჩასმული, სავსებით ტოლი და ერთგვარი შუაში მცირედ თანაზომიერად გამობერილი, ერთ ბოლოში პირგადმოკეცილი, მეორეში შევიწროებული თიხის მილისაგან, რომელთა შორისაც 9 დაუზიანებელი იყო. ნიმუშად აღებული ერთი მილის სიგრძე 40 სმ უდრის, ხოლო უდიდესი

დიამეტრი — 19 სმ. ამ კერამიკულ მილსადენს აქეთ-იქით გვერდებზე შემოწყობილი ჰქონდა ფილაქვები და ნაწილობრივ რიყის ქვებიც, თითქოს კალაპოტშია ჩასძულიო. მილსადენი რომ გათავდა, შემდეგ გამოჩნდა ზუსტად მისი განმგრძობი ღარი ბრტყელი შედგენილი და ფილაქვებისაგან ბრტყელი რიყის-ქვებით გადახურული (სახურავი ყველგან არ შერჩენია). კერამიკული მილსადენის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე უდრიდა 4,8 მ, ხოლო ქვის ღარისა — 3,0 მ. ამის შემდეგ ღარი შედის გარდიგარდმო აღმართული რაღაც ქვითკირის კედლის ნაშთში, რომლის სისქე 1,0 მ უდრის, ხოლო მის შემდეგ უკვე აღარ გრძელდება. მას შემდეგ 3 მეტრის სიგრძეზედ კიდევ ვთხარეთ, მაგრამ აღარც მილისა და აღარც ღარის ნაშთები აღარ შეგვხვედრია. იყო მხოლოდ მოჭიქული კერამიკისა (ჯამების, კრაქებისა და სხვ.) და მინის ჭურჭლის ნატეხები და ცხოველთა ძვლები.

ამით ამოიწურა მილსადენ-ღარის გაკვლევა, რადგან შემდგომ უკვე ბალი იყო გაშენებული.

XVII თხრილში, რომელიც ძველ, X და XI თხრილთა შორის გავჭვრით, 15—20 სმ სიღრმეზე, უკვე გამოჩნდა რიყის ქვის წყობა, მიმართული ქალაქის ზღუდის პერპენდიკულარულად. მის აქეთ-იქით ერთხანს ნაშალი მიწა იყო და საკმაოდ მრავლად ამოდიოდა კერამიკის ნამტვრევი, რომელთა შორის არ ყოფილა არც ერთი მოჭიქული ან თუნდაც მხოლოდ ანგობიანი ჭურჭელი. მონაპოვარში აღსანიშნავია ნატეხები ღია აგურისფრად გამომწვარი თიხის კოჭობის თუ ხელადისა, რომელსაც ძირი ხაზოვნად ამოჭრილი აქვს, ყულაბასავით, მინის თხელი, პირშედრეკილი ჭურჭლის ნატეხები.

XIX და XX თხრილები რომ გავჭვრით (1948 წ. გაპრილ VIII და XV-ს გამოსწრივ), ველოდით, რომ მათშიც აღმოჩნდებოდა დაღეწილ-დაწუნებული ჭურჭლის მძლავრი გადანაყარი (რომელმაც განსაკუთრებით უხვად იჩინა თავი VIII თხრილში, როგორც ცნობილია), მაგრამ ისინი თითქმის სულ ფუჭი გამოდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათმა სიგრძემ 3,5 და 4,0 მეტრს, სიგანემ 2,2 და 2,3 მეტრს, ხოლო სიღრმემ 1,7—1,8 მეტრს მიაღწია.

XXI თხრილშიც, IX და X თხრილთა შორის რომ გაიჭრა და გააერთიანა ისინი, X თხრილის ნაპირიდან 9 მეტრზე, მის ჩრდილო-დასავლეთით, 0,5მ სიღრმეზე აღმოჩნდა ორყურა დერგი, რომელშიც, ნაცრიან-ნახშირიან მიწაში თიხის ჭურჭლის ნამტვრევი, მოზვრის ან დეკეულის ნეკნები და ცოტაც სხვა ძვლები (მათ შორის ერთი დამწვარ-დანახშირებული) იყო. № 2 ქურის დასავლეთით, 4,7 მ მანძილზე, 0,8 მ. სიღრმეზე თავი იჩინა მოზრდილმა გროვამ თიხის ჯამ-ჭურჭლის ნამტვრევსა — ისეთმა, როგორებიც მეორე კამპანიის დროს თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებოდა ხოლმე IX და X თხრილებში, მაგრამ მესამე კამპანიის დროს კი ნაკლებადაა. ეს გროვა შედგებოდა რამდენიმე ჩვეულებისამებრ, პირქვე დამზობილი ჯამისა (ერთი ანგობიანი და მოუჭიქავი, მეორე — მოჭიქული), პოლიქრომული ჯამის ნატეხისა, ვაზისებური ჭურჭლის ძირისა, კრაქებისა, წუნდებული ცისფერჭიქურიანი, ჭვირული ჭურჭლის ნატეხისა, სამკუთხა, აგურის ნატეხის, ქურის სოლის ორიოდ ნატეხისაგან, გროვას საერთოდ, 1,25×1,25 მ ფართობი ეკავა და 2—3 ფენას შეიცავდა.

განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა ქვედა ფენა, რომელშიც აღმოჩნდა: „ფრინვლიანი“ ჯამი, თითქმის მთელი, ხასხასა ფერადებით მოხატული,

ორი-სამი ჭურჭლის (მათ შორის ლანგრის) ნატეხი, ჯერ უცნობი ორნამენტით დამშვენებული და — რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელი გვგონია — კარგი ლუსტრიანი ჭურჭლის ნატეხი. შეიძლება ითქვას, რომ აქ პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთ მცირე გროვაში ლუსტრიანი კერამიკის ნაშთი ჩვეულებრივი, აშკარად XII—XIII საუკუნეთა კუთვნილი და ამ სახელოსნოში დამზადებული ჭურჭლის გარემოცვაში გვხვდება და ეს კი აძლიერებს მოსაზრებას, რომ ლუსტრიანი ჭურჭელიც აქვე და იმავე დროს კეთდებოდა.

ამ გროვის მახლობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით, გამოჩნდა ღორის სრული ჩონჩხი, უკეჩხოოდ, მაგრამ ყბების ნაშთებითურთ. ერთი ყბა კი თვით გროვაშიც ერია. შესაძლოა ვარაუდი, რომ ისინი რაღაცნაირად იყვნენ ერთიმეორესთან დაკავშირებული. თავისთავად ცხოველთა ძვლების (და მთელი ჩონჩხებისაც კი!) აღმოჩენა ამ განათხარში პირველი შემთხვევა არ არის და ჩვენ კვლავ იმ აზრს ვადგივართ, რომ მათი სახით „ამქრად“ მცხოვრები და მოსაზრდოვე ხელოსნების ნასუფრალთან, ხოლო ზოგჯერ რაღაცა მიზეზის გამო ვერგამოყენებულ საკლავთანა გვაქვს საქმე (გავიხსენოთ „ჯაჭვით დაბმული ღორი“, და აგრეთვე ცხვრის ჩონჩხი № 2 ქურის ძირას!), კერძოდ, ღორის ჩონჩხის აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ ამ „ამქარში“ მუსლიმანი ხელოსნები არ უნდა რეულიყვნენ.

ამ თხრილში აღმოჩენილი სხვა ნივთებიდან აღსანიშნავია: ყავისფრად მოჭიქული თიხის, თევზის ნაწილის მსგავსი საგნის ნატეხი, თიხის პატარა მოჭიქული ბურთულა, სპილენძის მონეტები, სარდიონის თვალი ბეჭდისა, სპილენძის ბეჭედი და რგოლი, მინის მრავალრიცხოვან ჭურჭელთა ნატეხები (ზოგს რელიეფური ორნამენტი აქვს), მინის სამაჯურთა ნატეხები, წითელი თუ მოჭიქული კერამიკის ნატეხები (მათ შორის წუნდებული-დაბრეცილიც), ფაიანსის ნატეხები და სხვ.

ამავე თხრილში გამოჩნდა (X თხრილის № 2 ქურის ჩრდილო-დასავლეთით, 2 მეტრზე, 1 მ სიღრმეზე) ქვის კედლის ნაშთი, რომელიც უნდა მიეკუთვნებოდეს № 2 ქურის შემცველს, ძალზე ნაკლულად შენახულ ნაგებობას. იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით მიემართება, მისი სისქე 1 მეტრს აღწევს. მის ძირობაზე განსაკუთრებით მრავლად იყო მინის ჭურჭლეულის ნამტკრევი. თხრილის აღმოსავლეთ კუთხეში, 0,5 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა ზედ ამ კედელზე დაშენებული თონის ნაშთი.

დასასრულ, უთუოდ საინტერესო იყო ამ თხრილის აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლენილი ფართო ფენილი დიდრონი ბრტყელი აგურისა — უფრო სწორად, კერამიკული ფილებისა (ზომა 36×36 მ.) იგი კედლის თავის დონეზეა, X თხრილის № 2 ქურის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1 მეტრზე. ამ აგურფენილის სიგრძე 3,45 მეტრია, განი — 2,5 მეტრი. ცალი კუთხე ცოტა მოშლილი აქვს. საეჭვოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ეს არის სახელოსნოს იატაკის ფენილის ნაშთი — ან, ეგებ, იმთავითვე მხოლოდ ადგილ-ადგილ იყო მოფენილი და ეს ერთი ასეთ ადგილთაგანია. ეს მოსაზრება შემდგომ დაადასტურა ქალაქის ზღუდესთან მიშენებული ქურის უშუალოდ გვერდით აღმოჩენილმა ასეთმავე აგურფენილმა (იხ. ქვემოთ).

ამრიგად, როგორც ვხედავთ და მოსალოდნელიც იყო, IX და X თხრილებს შორის ამოღებულმა თხრილმა სავსებით იმგვარივე ძეგლები გამოავლინა, რო-

გორიც იმ ორ თხრილში იჩენდა თავს და ფაქტიურად ამ სამმა თხრილმა, რომელთა შორის სავსებით მოიშალა საზღვარი, წარმოაჩინა სახელოსნოს „ბირთვი“ — ძირითადი ნაგებობა, ქურათა უმეტესობა, ყველა ჩვენამდე მოღწეული ხელსაწყო, მრავალი ნახევარფაბრიკატი თუ მზა ნაწარმი და მინის ნაწარმის დიდი ნაწილი *in situ* (და არა სანაგვეზე გადანაყარი).

თხრილები XI, XXII, XIV, XXIII და XVIII, რომელთაც გააშიშვლეს ქალაქის ზღუდის ნაშთი და ამ ზღუდეზე მიშენებული ნაწილი სახელოსნოსი, ერთობლივ უნდა განვიხილოთ. წინა კამპანიის შედეგების მოკლედ მაინც გათვალისწინებით (თანამიმდევრობა ისეთია, როგორც იყვნენ ისინი განლაგებული ამ ზღუდის გასწრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ).

XI და XIV თხრილები დაწყებული გვექონდა 1948 წელს — სწორედ იმ განზრახვით, რომ მოგვესინჯა ზღუდის შიდა ფასადი და გაგვერკვია საწარმოო ნაგებობათა გაგრძელებულობა ამ მიმართულებით, მათი ურთიერთობა ზღუდესთან. მაგრამ მაშინ მთავარ ყურადღებას უფრო შიგნითკენ განლაგებული და მებაღეთათვის საჩქაროდ გადასაცემი, IX და X თხრილები იქცევდნენ და ზღუდის თხრილების გაგრძელება სამერმისოდ გადმოიღო, ხოლო იმ კამპანიაში ისინი საცდელ თხრილებად დაგვრჩა. უნდა გავიხსენოთ, რომ პირველი კამპანიის დროს ზღუდესთანვე, ჩრდილო კუთხეში იყო გაჭრილი II საცდელი თხრილი, რომელშიც ო. ჯაფარიძემ აღმოაჩინა ადამიანის ჩონჩხი, დიდძალი ფულითურთ. XI თხრილი, ზომით 4×4 მ ამოვიღეთ მის მოპირდაპირე ბოლოში ზღუდესთან. მე-3 ბურჯის სამხრეთ-დასავლეთით. XIV თხრილი იმავე ზომისა კი ამ ორ თხრილს შუა, II-სთან ახლოს, ზღუდის მე-2 გარეთა ბურჯის დასავლეთი კუთხის უშუალო მეზობლად. ამ ორივე თხრილში მოგვიხდა, ძველ ფენებზე დასვლამდე, ბალის მშენებელთა მიერ გალავნის ზურგზე სქლად მიყრილი მიწის კვლავ ათხრა, რამაც გაგვიხანგრძლივა საქმე, მაგრამ თან საკმაოდ მრავლად გამოავლინა კერამიკული ნამტვრევი. მერე კი, როდესაც გამოჩნდა ზღუდის ზურგი, სავსებით განსხვავებული გარეთა ფასადისაგან (სწორკუთხოვანი და მცირედ გამოშვერილი ბურჯები) — გარეთა, მძლავრი ნახევარწრიული ბურჯების პირდაპირ) და ახალი ქურების უტყუარი ნიშნები, III კამპანიისათვის უყოყმანოდ გადავწყვიტეთ პირაღებით აგვეთხარა ფართო ზოლი ამ ზღუდის გასწრივ და კიდევაც განვახორციელეთ წარმატებით ეს განზრახვა.

XI თხრილში 1948 წელს გამოვლენილ ნაშთთაგან ყველაზე უფრო საყურადღებო იყო საქარიანი და სათბურშემოკრული თონე, (რიცხვით მეხუთე), რომელიც, ბევრ სხვა მსგავს ნაშთთან ერთად, ამქრად მომუშავე ხელოსანთა „სამზარეულო“ მოწყობილობას წარმოადგენს. იქვე, საწარმოში 1949 წელს გავაშიშვლეთ ზღუდის შიდა ფასადი და გამოირკვა, რომ მას ზედა ნაწილი მონგრეული აქვს, მაგრამ შემორჩენილ ნაწილს აქვს მკაცრად შვეული, ბრტყელი შიდაპირი და წესიერი ოთხკუთხოვანი შვერილი, რომელსაც ძირს ჯერ აგურწყობილი აქვს საკმაოდ შიგნით გამოწეული, ხოლო უფრო დაბლა-კიდევ უფრო გამოწეული ქვა წყობილი. ასე რომ ჭრილში აქ სამსაფეხურედი რამ გამოდის. კუთხოვანი თუ უსწორმასწორო ნატეხი ქვითა და შიგადაშიგ ქართული აგურით ნაგები კედლის წყობაშიცა და ნალესობაშიც ნახმარია სწორედ ის, ოდნავ მოვარდისფრო, გაჯიანი დუღაბი, რომელიც გამოუყენებიათ, აგრეთვე, IX თხრილში გააშიშვლებული სახელოსნოს ნაგებობის კედელთა ამოყვანი-

სას და ეს გარემოება მჭიდროდ უკავშირებს ამ უკანასკნელ ნაგებობას ქალაქის ზღუდეს — შენების ტექნიკითაც და ხნოვანებითაც.

საყურადღებო იყო მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის გროვა, აღმოჩენილი აღნიშნული შენობიდან 1 მეტრზე, კედლის შემორჩენილი ზედა კიდიდან 0,7 მ სიღრმეზე. ამავე ტიპის გროვა აღმოჩენილი იყო ამ თხრილში წინა წელსაც. ამ გროვაში გამოირჩევა: 1) დიდი დოქისა თუ კოკის ყელ-ყური, რომელზედაც დახატულია შავი გველი; 2) მთელი ჯამი, რომელზედაც ამოკაწრულია აქაური ჯამებისათვის ჩვეული ერთ-ერთი მოტივი—ექვსქიმიანი ვარსკვლავი და შესაძლოა, ანგობიც კი ყოფილიყო წასმული; 3) ქვევრისა თუ დიდი დერგის პირის ნატეხი.

XXII თხრილში, რომელიც XI-ს უშუალოდ მეზობლად იქნა გაჭრილი, მრავლად ამოდიოდა (1,5—1,6 მ სიღრმეზე) გვერდებკეცილი, მოუჭიქავი (და ცოტაც ცისფრად მოჭიქული) კრამიტის დიდრონი ნატეხები, რომლებიც სრულ წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელი კრამიტის მოყვანილობისა და სტანდარტული ზომის შესახებ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი გვრჩებოდა, რომ აქ ჩაქცეული სახურავის ნაღწთანა გვაქვს საქმე. ამ თხრილში გამოჩენილი, მეორე სწორკუთხოვანი შენობის ძირა-კუთხეში, იმავე სიღრმეზე, ვიპოვეთ სქელი მოჭიქული შორენკეცის ნატეხი, რომელზედაც შემორჩენილია ორნამენტული არშია, ხოლო შუაში — ნაწილი გამოსახულებისა, თითქოს მკლავშუბოსანი მეომრისა. 1,7—1,8 მ. სიღრმეზე XIX—XX სს. მონეტების და სხვა ნივთების შემცველი ფენის ქვემოთ კი იწყება ფენა, რომელიც „გატენილია“ კერამიკული ნაშთებით: მოჭიქული თუ მოუჭიქავი (წითელი, მოშავო და სხვ.) ჭურჭლისა და კრამიტისა. განსაკუთრებით მრავლად იყო ეს ნამტვრევი 2,0—2,15 მ-ის სიღრმეზე და უფრო კი II შენობის ძირობაზე. აქ ჭარბობდა მოუჭიქავი და ნაწილობრივ აგრეთვე ცისფერჭიქურიანი კრამიტი. სწორედ აქ აღმოჩნდა ფაქიზი ფაიანსის, ჯერჯერობით უნიკალური, ოღონდ ნაკლები ჭურჭელი — თეთრკეციანი — ცისფრად მოჭიქული და გვირგვინოსანი ადამიანის თავ-ყელის ღრუ, ქანდაკოვანი გამოსახულებით დაგვირგვინებული. ამავე გროვაში იყო შემდეგი საყურადღებო ნატეხები: ოქროვანი ლუსტრით მოხატული ჭურჭლისა, ფრინველის ფერადი გამოსახულებით დამშვენებული და მოჭიქული პატარა და დიდი ჯამისა; ნაცრისფერი, კაჟისებრ მაგრად გამომწვარი „სფეროკონუსისა“ (რაც უნდა აღინიშნოს — პირველი იყო ჩვენს განათხარში). დახვავებული კრამიტის ნაღწის ალაგებისას მათ ქვეშ აღმოჩნდა რკინის ორი დიდი ლურსმანი (რამაც კიდევ ერთხელ დაგვაეჭვა, ეს ნაღწი ჩაქცეულ სახურავს არ ეკუთვნოდესო) და — რაც განსაკუთრებით საყურადღებოა — სპილენძის 3 დიდი, კარგად შენახული, მონეტა, რუსუდანისა, რომელნიც საიმედოდ ათარილებენ ზემოჩამოთვლილ, ნამდვილად გამოსარჩევსა და მრავლისმთქმელ ჭურჭლებსაც, კრამიტსაც, ლურსმანსაც, სახელოსნოს ამ კუთხესაცა და კედლის შიდა ფასადსაც— რაკი ამ კედლის ძირას ეყარნენ, ერთსა და იმავე დონეზე (ე. ი. კედელი უკვე ყოფილა, როცა ეს მონეტები მის ძირას აღმოჩენილან. ჩანს, სახელოსნოს იატაკის ზედაპირზე). შენობიდან რამდენადმე მოშორებით, ორიოდ მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილი ნივთებიდან აღსანიშნავია: მინის შავი გრებილი სამაჯურის ნატეხები. თამარის მომცრო მონეტა, შორენკეცის ნატეხი, რკინის მოზრდილი რგოლი. სასწორის რკინის თეფშები და სხვა ნატეხები, ქვის კვირისტა-

ვი. გაცილებით უფრო ღრმად, 2,6—2,7 მ სიღრმეზე მდებარე ფენაში, II შვერილიდან 5 მ მანძილზე — სპილენძის ექვანი და ყავისფრად მოჭიქული თიხის კურკლის ნატეხი, რომელზედაც ადამიანის პირისახის რელიეფური გამოხატულებაა შემორჩენილი. კედლისაგან კარგა დიდ მანძილზე (9 მ) — ქვევრის პირის ნატეხი. კედლის მახლობლად, მესამე შვერილიდან 2—2,6 მეტრზე — შინის გამოფიტული ნატეხები, ძვლები და მოუჭიქავი კერამიკის ნატეხები და აგრეთვე ერთი პატარა ყუთი, კოხტად „აშენებული“ ქართული აგურით (29/29/5/3 სმ), რომელსაც თითქოს ზედ ეწყობა რამდენიმე ასეთივე აგური, იატაკადაც აგური ედო. ამ „აგურყუთს“ რამდენადმე პარალელოპიპედის მოყვანილობა ჰქონდა. შთაბეჭდილება ისეთი რჩებოდა, რომ ეს „აგურყუთი“ ჩადგმული იყო კედელწყობაში. ამოტენილი იყო მიწით, რომელშიც ერია ნახშირი, ნაცარი, კერამიკის, შინისა და ძვლის ნატეხები. დანიშნულება ამ „ყუთისა“ გაურკვეველი დარჩა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასზე 7-დე სმ-ით ზემოთ იდო ორი ალიზისებრ, ნაკლებ მკვრივი მცირედ გამომწვარი აგური, ხოლო მათ ქვეშ — რაღაც ნაცრისფერი სიფრიფანა და თითქოს ხვეული ფურცლების ნაფლეთები, რომლების ნიშნების აღებაც კი ძალიან გაჭირდა (ქალაქი იყო და ეწერა რამე ზედ? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხს ვეღარ გავცემთ).

ამ თხრილში მუშაობის ბოლო ხანებში გამოიკვია, რომ ზღუდეზე მართობულად მიშენებული ყოფილა ქვითკირისავე კედელი, რომლის საძირკველი და ზედა წყობის მცირე ნაშთი გაიკვლეოდა რამდენსამე მეტრზე, 3 მ სიღრმეზე ზღუდის ზედა კიდიდან, იქვე ახლოს თავი იჩინა ძველმა მრგვალმა ორმომ (3,7—4,2 მ სიღრმეზე), რომლის ფხვიერ ნაყარშიც იყო მრავალფერად მოხატული და მოჭიქული ჯამები, რკინის სადგისის (?) წვერი, შინის პატარა ნატეხი და — სულ ძირზე — არაბული ფელსი, ძალზე გაცვეთილი. ამ ადგილასაც და ზედ შვერილთანაც უძრავი მიწა 4,5 მ სიღრმეზე გამოჩნდა, ხოლო შვერილიდან 1,5—2,0 მ დაშორებით — 4,7 მ სიღრმეზედაც კი ჩნდებოდა კერამიკა (დოქის, ჯამის, მომალლო ქილისა და აგურის ნატეხები; თ ე თ რ ი თიხის ს ა მ ფ ე ხ ა ძ ი რ ი ა ნ ი პ ა ტ ა რ ა ხ ე ლ ა დ ა).

XVIII თხრილი. ზღუდის შუა გარეთა ბურჯის გადმოღმა დავიწყეთ, საანგარიშო წელს, ზღუდის შიდა ფასადის გამოვლენა, მაგრამ იგი თანდათან დაგვიგრძელდა, დაგვიღრმავდა და ბევრი რამ სხვაც გამოჩნდა მასში, კიდევ უფრო საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა, აქ თავი იჩინა, ბაღის მშენებელთა მიერ დამრეცად მიყრილი მიწის ზედაპირიდან 0, 5 მ სიღრმეზე — ნაცეცხლურმა, კერის მსგავსმა, ხოლო 1 მეტრის სიღრმეზე — ხშირმა და უსწორმასწოროდ ჩახერგილ-მიყრილმა გროვამ მთელი თუ დამტვრეული ქართული აგურისა, შავი თუ შავად გამურული კურკლის დიდრონი ნატეხებისა. ამ გროვას საერთოდ, $1,75 \times 1,4$ მ ფართობი ეკავა (ზღუდის მახლობლად იყო დაგრძელებული) და იგი სხვადასხვა დონეზე იყო განლაგებული. ყველაზე უფრო დაბლა აღმოჩნდა ალმაცერად დაყუდებული სამტუჩა ხელადა წითელი, მოუჭიქავი. აქვე ახლოს ამოვიდა მოჭიქული თიხის ორნამენტისანი კურკლის ნამტვრევი, მოჭიქული კრამლები და სხვა.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის იყო, რომ ზღუდის უშუალო მახლობლად, მისი შემორჩენილი ზედა კიდიდან 2,7 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ქურის ნაშთი — პირველი ამ კამპანიის განმავლობაში და საერთოდ კი მე-6. მიუ-

ხედავად იმისა, რომ ამ თხრილში ზღუდე უფრო უარესად იყო დაცული, ვიდრე წინა ორში, მაინც გამოირკვა, რომ ეს ქურა თითქმის ზედ ზღუდეზე მიუშენებიათ თავის დროზე და რომ მისი მომცველი სათავსოს ერთ-ერთ კედელს სწორედ ეს ზღუდე შეადგენს, ხოლო ორი მხრივ — მის მართობულად ამოყვანილი კედლები (შეოთხე კედლის გამოვლინებამდე ვეღარ მივიყვანეთ საქმე).

პირველი გამოჩენისას ეს მე-6 ქურა ასე გამოიყურებოდა: უფრო პატარა და თითქოს უფრო კოხტაც ჩანდა, ვიდრე პირველი ხუთი. შემორჩენილი სიმაღლე ჯერჯერობით 0,6 მეტრი აითვლებოდა. ქურა ამოყვანილი იყო ქართული აგურით და კედელში შემორჩენილი ჰქონდა, ორ დონეზე, ჩამოტეხილ სოლთა ძირები. გაწმენდამდე მისი მოყვანილობა ზოგადად ოვალური იყო. კედელი უსწორმასწოროდ და თითქმის სანახევროდ ჰქონდა ჩამონგრეული და ჩანდა, რომ მის სისქეზე ორ-ორი (ოღონდ არა ორივე მთელი) აგური იყო დაწყებული. ამიტომვე ჩანდა ქურის საცეცხლე ნაწილიც, ჩვეულებისამებრ მსხლისებრი მოყვანილობისა, ძირამდე აგურით ამოყვანილი (მაშინ, როცა ადრე გათხრილ ქურათა ძირა ნაწილის აღნაგობაში ქვა მონაწილეობდა). შიდა სივრცე თითქმის ამოვსებული იყო ქურის სოლთა, კედლის აგურთა და ქურაში გამომწვარი ჭურჭლეულის ნამტვრევით. იყო დანახშირებული ხის ნატეხიც.

გაწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ ქურის უდიდესი შემორჩენილი სიმაღლე 1,6 მეტრს უახლოვდებოდა (ძირი, ჩვეულებისამებრ, იატაკს ქვეშ ჰქონდა ჩადგმული სიღრმეში). ზედა შემორჩენილი ტანის სიგრძე (ზღუდის მართობულად) უდრიდა 2,35 მ, ხოლო სიგანე — 2,2 მ, კედლის სისქე — 0,35—0,40 მ. ამ სისქეს შეადგენდა თითო-ნახევარი ქართული აგური, სისქით 5—6 სმ. შიგნით დაწყობილი, სრულ აგურთა სიგრძე-სიგანე 20 სმ უდრიდა, გარედან მოწყობილი, ნახევარი აგურებისა — 14 სმ.

სწორედ ამ ქურამ და მისმა უახლოესმა გარემომ მოგვცა მესამე კამპანიის ერთ-ერთი უმნაშვენელოვანესი მონაპოვარი — მრავალრიცხოვანი (ხშირად არც თუ ძლიერ ნაკლები) ნატეხები მოხატულ-მოჭიქული ჯამებისა, რომელთა შორის ბევრზე ფრინველია გამოხატული. ფრინველიანი ჯამები წინა კამპანიათა დროს — გადანაყარშიცა და ქურათაგან ამონაყერებშიც — თითო-ორი იყო და ახლა კი საკმაოდ მდიდარი კოლექცია დაგვიგროვდა, თანაც რამდენიმე თითქმის მთელი ჯამია, მაშინ, როცა მანამდე მხოლოდ ნატეხები გვქონდა.

ქურის შიდა ნაშთებს ფენა-ფენა ვწმენდდით და თან ყოველ ფენას ვუღებდით სურათს. საბოლოოდ აქედან ამოვიდა 10 თითქმის მთელი მოხატულ-მოჭიქული ჯამი, 30-იოდე მთელი ან თითქმის მთელი მოჭიქული სამარაღე, 5 მწვანედ მოჭიქული ჭრაქი და ყველა ამ ტიპის ჭურჭლეულის მრავალი ნატეხი. ჯამთა გეომეტრიულ ორნამენტში 40-იოდე სახე დაითვლება. ზედა ფენებში ეს ნამტვრევი არეული იყო სოლებისა და ორმაგი კავების ნატეხებთან, ხოლო ქურის ძირი კი მთლად იყო გაჭედილი ჭურჭლეულის ნამტვრევით. ჩანს, ეს ქურაც მოქმედების დროს მიუტევებიათ, ან ჯერ კიდევ დაუცლელი ჩაუნგრევიან თუ ჩანგრეულა. ქურის ძირი ნაცრით იყო დაფარული. მასში აღმოჩნდა სპილენძის პატარა მონეტა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ განისაზღვრა.

ქურის ქვედა ნაწილის შიდა სიგრძე უდრიდა 2,2 მეტრს, სიგანე — 1,1 მ.

მე-6 ქურის შახლობლად, აგურთა გროვაში (ქურის ჩამონანგრევის?) საკმაოდ მრავლად ერია დაზიანებული მოჭიქული ჭრაქები და ჭურჭლის ნატეხე-

ბი — ჩანს, ქურისეული. იქვე იყო ერთი შუაში გახვრეტილი აგური, ხის ნამწვავები, მწვანედ მოჭიქული ვაზისებრი ჭურჭლის ფეხი, თიხის კეცის ნატეხი, მწვანედ მოჭიქული პატარა, მომადლო ჭურჭელი, პატარა კოჭობი და სხვა ჭურჭელთა ნატეხები.

ქურიდანა და მის მახლობლად ამოვიდა ფაიანსისებრი ჭურჭლის რამდენიმე ნატეხიც.

ქურის მახლობლად, თითქმის მისი ძირის დონეზე გამოვავლინეთ მრგვალი ორპო, რომლის დიამეტრი თითქმის 1 მეტრს უდრიდა, ხოლო სიღრმე — 2 მეტრამდე ჩადიოდა, ე. ი. 70 სმ-ს უდრიდა. მას ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა ნატეხი ქვა და აგური. მისი ძირის დიამეტრი 0,82 მ უდრიდა, შიგ, ნაშალ მღწაში საკმაოდ ბევრი იყო მოხატულ-მოჭიქული ჯამების, ფიალების, დოქისა და სხვა ჭურჭელთა ნატეხები. ყველა ამათ ორნამენტი ჰქონდათ. ჩანს, ეს ორპო ქურის მოქმედების დროს არსებულა და წუნი და ნალეწი უყრიათ შიგ. ყურადღებას იქცევს მოჭიქული, ზოლებიანი დოქი, რომლის მსგავსიც მთელი ჯერ არ შეგვხვდრია, იყო ნახშირის დიდრონი ნატეხებიცა და საქონლის ძვლებიც.

ქურის ჩრდილო-დასავლეთით, — ზღუდიდან 4,5 მეტრზე და მისი ზედა კიდიდან 4 მეტრ სიღრმეზე, აგურ-სოლებით ნაგები, გაჯიანი და გაჯით ნალესი კედელწყობის ნანგრევის ძირას აღმოჩნდა კიდევ ერთი, განსაკუთრებით საყურადღებო გროვა: წითლად თუ მოშავოდ გამომწვარი თიხის დიდრონი და მომცრო ჯამები (მათ შორის ერთი — ანგობიანიც), ორი გობისებრ-ვარცლისებრი ჭურჭელი და ერთიც დიდი ქვაბ-ქოთანა, რომელშიც ბლომად ეყარა თეთრა ფქვილისებრი ნივთიერება (საჭიქურე მასალა?) — სამწუხაროდ ვერ მოხერხდა მისი ანალიზი, ამ უკანასკნელში ეგდო პატარა ჯამუკა, იმავე „ფქვილით“ სავსე. ჩანს, მისით იღებდნენ ამ მასალას დიდი ჭურჭლიდან და, მაშასადამე, აქაც კიდევ ერთი საბუთი გვაქვს სახელოსნოს მუშაობის შუა გზაზე შეწყვეტისა. ამ დიდრონ ჯამ-გობ-ქვაბქოთნებს ქვემოდან შეყუყული იყო 6 მთელმთელი, მწვანედ მოჭიქული, კოხტა ჭურჭელი: სამი ქილა (ვაზასაც მოგვაგონებენ და ჩვენში ბოლოდრომდე გავრცელებულ მაწვნის ქილებსაც), ერთი ქუსლმალაღი ფიალა, ერთი პაწია კოჭობი და ერთიც მოდაბლო ქილა. უეჭველად კარგი შენაძენი იყო ეს გროვა! ერთი მხრივ — საჭიქურე ნედლეულის მარაგის შემცველი ჭურჭლეული, ხოლო მეორე მხრივ — იმ სახელოსნოში გამომწვარი მოჭიქული ჭურჭელი, რომელსაც, შესაძლოა, რამენაირად თვითვე იყენებდნენ — ყოველ შემთხვევაში, გასაყიდად არ გაუტანიათ.

მე-6 ქურისავე შორი-ახლოს, სამხრეთით, 3-იოდე მეტრზე და ზღუდის ზედა კიდიდან 3,7 მ სიღრმეზე, მღწაში იყო კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო გროვა: გამოუწვავი თიხის 9 ჯამი, სავსებით ჩამოყალიბებული და ორნამენტით შემკულიც კი, ოღონდ ისევე, ნედლად დამიწებულნი (კიდევ ერთი მოწმობა სახელოსნოს უეცრად დაღუპვისა!). ეს ჯამები რამდენიმე მჭიდრო მწკრივად იყო დაწყობილი, პირაღმა, ერთ დონეზე, ისე რომ ზოგი შეჭყლეტილიც კი იყო ამ სიახლოვისა გამო. სამწუხაროდ, მოხერხდა მათი მხოლოდ გაწმენდა და ველარ მოხერხდა ალაგება. რადგან ისინი თავის დროზე რიგიანად გამხმარიც კი არ ყოფილიყვნენ და ისე დამიწებულებიყვნენ, საშიში იყო, რომ აღებისას ხელში შემოგვეფხვნებოდნენ, და ამიტომ დროებით ხელი არ ვახლეთ, რათა საიმედო ხერხი გამოგვეძებნა, მაგრამ მეორე დღეს ვნახეთ, რომ სწორედ იმ ადგილას

ჩამოწოლილიყო ჩამოჭრილი ქვა-მიწა და საბოლოოდ დაეღეწა ეს „ნედლი“ ჯამები. ყოველ შემთხვევაში, ფოტო-ფიქსაცია მაინც მოვასწარიტ.

გამოუწვავი კერამიკის ნატეხები, მოუჭიქავი თუ მოჭიქული კერამიკისა და ხის მცირე ნატეხებთან ერთად, მერეც აღმოჩნდა ქურის მახლობლად, ზღუდის ზედა კიდიდან 3,5—4,0 მეტრ სიღრმეზე.

ქურის სამხრეთით, მისგან 1 მეტრზე, კედელთან აღმოჩნდა ხის ორი ბოძის დამწვარი ნაშთები. არც დავეჭვებულვართ, ისე მივიჩნიეთ ეს ბოძები სახელოსნოს ნაგებობის კონსტრუქციის ნაწილად. ერთი მათგანი — ჩანს, ხანძრისას, — წვისაგან ორად გადაძტყდარა და ძირი შვეულად დარჩენია, ხოლო ზედა ნაწილი აღმაცერად გადაწოლილა და ასევე დამარხულა. მეორე ბოძი კი იმთავითვე წაქცეულა. ესეც კიდევ ერთი საბუთი იყო იმისა, რომ სახელოსნო გადამწვარა (ან, უფრო სწორად, გადაუწვავთ) და ისე დაღუპულა, როგორც ჯერ კიდევ მეორე კამპანიისას დავასკვნით.

ამრიგად, XVIII თხრილი ერთი ყველაზე უფრო შინაარსიანი გამოგვადგა არა მარტო მესამე კამპანიაში, არამედ საერთოდ მთელ განათხარში. ყოველივე შემოთქმულს გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ფარგლებში გაშიშვლებული ნაწილი ზღუდისა ტიპიურადაა წარმოდგენილი, თუმცა კი საგრძნობლადაა ჩამორღვეული და ჩამოშვავებული. მას ზუსტად შვეული და სამსაფეხურედი შიდაპირი აქვს, ისევე როგორც XI—XXII თხრილებში.

საერთოდ ეს ზღუდე აგებულია დიდრონი, ბრტყელი, მეტწილად ზედაპირდამუშავებული, პარალელოპიპედურად მოჭრილი ქვითა და აგრეთვე მოზრდილი რიყისქვებითა და, შიგადაშიგ, აგურიტაც. სამ „საფეხურთაგან“ ყველაზე უფრო შორს არიან ერთიმეორესაგან, შვეულ სიბრტყეზე ზემოდან I და II. ზღუდეს ამ ნაწილშიცა აქვს შვერილი (რიცხვით მე-3, რომლის სრული სიგანე 1,2 მეტრს უდრის, ხოლო ზღუდიდან გამოშვერილობა — 0,6 მ.) მას სავსებით წესიერი გეომეტრიული ფორმა, სწორკუთხოვანი განიკვეთი ჰქონია. მაგრამ შემდეგ ბევრი დაჰკლებია. ამ შვერილის სიმაღლე (რაც უდრიდა შვეულ მანძილს I — III „საფეხურთა“ შორის) 2,3 მეტრი უნდა ყოფილიყო. მას არა ჰქონდა II „საფეხური“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზღუდის სწორედ ეს, II „საფეხური“. მისი სიგანე 25 სმ უდრის. მასზე სიგრძივ ყოფილა გადებული ძელი. სქელი (5—6 სმ), სიგანით 15 სმ, მისი ნაშთები საკმაოდ კარგად შემონახულიყო. მათში ჩარჩენილი იყო მსხვილი თავბრტყელი ლურსმები. ეს გარემოება, ისევე, როგორც ზემოხსენებული დამწვარი ძელები, კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ნაგებობა — აშკარაა, სახელოსნოსი — ზედ ზღუდეზე ყოფილა უშუალოდ მიდგმული და მიშენებული და სწორედ ამ ნაგებობაში ყოფილა მოქცეული მე-6 ქურა. ნაკლებ საფიქრებელია, რომ აქ თვით ზღუდის სიმტკიცის გასაძლიერებლად დაყოლებულ ძელთანა გვაქვს საქმე, როგორც საქართველოს მრავალ შუა საუკუნეთა ციხეებში შეგვხედრია — მაგ., თუნდაც უჯარმაში, მით უმეტეს, რომ ლურსმები სწორედ კონსტრუქციას მოასწავებენ და არა მარტო ძელს.

კედლის მთელი ზედაპირი სქლად შეღესილი ყოფილა გაჯიანი ხსნარით და ამ ნალესობის ნაშთი ბევრგან იყო შემორჩენილი. ერთ ადგილას ამ სქელ (1,5 სმ) ქერქსა და ზღუდეს შორის, ზემოდან III საფეხურის სიბრტყეზე აღმოჩნდა ღია ფერის თიხის ყურმოტეხილი ხელადა, წაწვენილი, ორიოდეც სხვა ნამტვრევი,

საქონლის ძვლები (მაგ., ძროხის, კოჭები) და სხვ. საკმაოდ უცნაური სურათი იყო.

თხრილის დასავლეთ კუთხეში, ძველი მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა კერამიკული მილის სიგრძივ ატეხილი ნახევარი — ჩანს, თონის საქარის კუთვნილი. მის ახლოს აღმოჩნდა ერთსართულიანი ქვევრის ან დერგის ნატეხი, აგურისა და მოჭიქული თუ მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები.

XXIII თხრილი. ამოღებულ იქნა შედარებით გვიან, წლევანდელ XVIII-სა და შარშანდელ XIV-ს შორის (ამ უკანასკნელის თხრა წელსაც გრძელდებოდა). ჩაღრმავებული თხრით, გარედან ზღუდისაკენ, ამ უკანასკნელის მიახლოვებისას, შუა ადგილას (თხრის პროცესში) თავი იჩინა თითქმის მთლიანმა ფენამაგურისათუ სხვა აგურისფერი ნამტვრევებისა. 2—3 მეტრის სიგრძეზე და 0,75 მეტრის სიღრმეზე. ერთხანს აქაც ქურა ვივარაუდეთ, XVIII თხრილის მსგავსად, მაგრამ არ გაგვიმართლდა ვარაუდი. იმავე დონეზე, მის დასავლეთით გაშიშვლდა ქართული აგურის ვრცელი ფენილის ნაშთი, რომლის ფართობიც $1,5 \times 2,5$ მ უდრის. იგი აღმოჩნდა ნაგებობის სათავსოს დასავლეთ კედლის ძირას. ისეთივე ფენილის ორი, დაახლოებით იმოდენავე (უფრო უსწორმასწორო მოყვანილობის) ნაშთი აღმოჩნდა ზღუდის უშუალო მიხლოვებულად, ჩრდილო და სამხრეთ ბოლოებშიც, ვიწრო სათავსოს სათითაო მცირე სენაკში.

პირველი ფენილის გვერდით, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თავი იჩინა პატარა ($d=0,7$ მ) საქარიანმა და სათბურიანმა თონემ, სწორედ ამ თონის თავზე იყო ის აგურის გროვა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც ქურის ნაშთები გვეგონა.

სხვა რამე დიდი ამ თხრილში არ აღმოჩენილა და ამიტომ საკმაოდ ძალდაუტანებლივ დავასკვნით, რომ მასში გამოვლენილი სენაკები, ქურიან სათავსოებისაგან კედლით გამოყოფილი, წარმოადგენდნენ დამხმარე, სამზარეულო-სასადილო სათავსოს, ისევე როგორც IX თხრილში გამოვლენილი რამდენიმე სენაკი თონეებისა და კერების შემცველი. რამდენსამე ადგილას აქაც ვიპოვეთ ნაშთები დამწვარი ძელებისა — კვლავ ხის კონსტრუქციის ნაწილებისა.

მომცრო მონაპოვართაგან აღსანიშნავია შემდეგი: სპილენძის პატარა გრებილი რგოლი (1,5 მ სიღრმეზე); მინის მწვანე გრებილი სამაჯურის ნატეხი (1,1 მ სიღრმეზე — ე. ი. ამ უბანზედაც გვხვდება მინის ნაწარმი და, კერძოდ, სამაჯურები); მწვანედ მოჭიქული ექვსკუთხედი აგური, ან, უკეთ, შორენკეცი, 1943 წელს X თხრილში ჯგუფად აღმოჩენილთა მსგავსი, სიგანით 17 სმ (1,0 მ სიღრმეზე); პატარა მოგრძო წითელი მძივი (0,7 მ სიღრმეზე; მძივები საერთოდ იშვიათად გვხვდებოდა ამ განათხარში); ცისფერჭიქურიანი, ღრუ-ბურთულოვანი ქუსლის მქონე სამარილე (1,0 მ. სიღრმეზე); სპილენძის ბეჭედი, სამად გატეხილი (1,5 მ); სპილენძის ეყვანი (0,6 მ სიღრმეზე, — მანამდეც გვქონდა თითო-ოროლა ეყვანი გადანაყარის გროვაში); თიხის დაზიანებული მილი, სიგრძით 45 სმ და უდიდესი დიამეტრით 9 სმ (თიხის საქარეს ნაწილი? 10 მ სიღრმეზე); თიხისტარიანი ტაფა, შავი დაზიანებული (1,0 მ სიღრმეზე); რუსუდანის სპილენძის მონეტა (1,3 მ სიღრმეზე); სოსანი მინის სამაჯურის ნატეხი (იქვე); მინის ჭურჭლის ნატეხები (1,9 მ სიღრმეზე), მრავალფერად მოხატული და მოჭიქული 4 ნატეხი (1,15 მ სიღრმეზე); მოჭიქული თიხის ჭურჭლის(?) ნატეხი, რომ-

მელიც ცხვრის თავს გამოხატავს, ცისფრად მოჭიქული სქელი აგურისა თუ შორენკეცის ნატეხი; ფრინველიანი, მოჭიქული ჯამის ნატეხი (ყოველივე ეს პირველ აგურფენილზე); პატარა მრგვალი თეთრი მძივი (ეს უკვე მეორე! 1,5 მ სიღრმეზე), სპილენძის მონეტა, მოზრდილი, სქელი, მსხლივებრ მოყვანილი (1,0 მეტრის სიღრმეზე) და სხვა.

ზღუდის გასწვრივ ამოღებულ თხრილთაგან უკანასკნელი იყო XIV, წინა წელს დაწყებული. გამოჩნდა თხრილის გარდიგარდმო (ე. ი. ზღუდის პარალელურად) მიმართული კედელწყობის ნაშთის თხელი ფენა, უფრო სწორად, საძირკველი — და, რიყისა და ნატეხი ქვისაგან ნაწყობი. მის ახლოს, 1,35 მ სიღრმეზე იყო 40-იოდე სმ სისქე, თითქმის უმიწო გროვა, შემდგარი აგურის ნატეხების, რიყის შომცრო ქვების, მოუჭიქავი წითელი კერამიკისა და ქურის სოლთა ნატეხებისაგან. მათში ერია აგრეთვე მწვანედ მოჭიქული, აგურივით სქელი, ნაპირ-ორნამენტიანი შორენკეცის ერთი ნატეხი. მერე და მერე გამოვლინდა კარგა მოზრდილი ქურა ამ კედელსა და მის მართობულად მიმავალ, მეორე შვერილთან დაწყებული და (5 მ სიგრძე — რაც ჩანს — და 1 მ სიგანე) ცოტა უკეთ შემონახულ კედელს შორის, თითქოს კუთხეში, ისე რომ ზემოაღნიშნული გროვა ამ ქურის ზედა ნაწილის მორღვევით უნდა წარმოქმნილიყო. ეს იყო № 7 ქურა, მეორე ამ კამპანიის განმავლობაში და საერთოდ. უკანასკნელი ჩვენს განათხარში. ფაქტიურად, რა თქმა უნდა, ესეც ქურის ნაშთია. მისი ამოწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ შემორჩენილა ქურის არა მარტო ქვედა, საცეცხლე ნაწილი (ჩვეულებისამებრ, მსხლისებრი მოყვანილობისა), არამედ აგრეთვე ზედა, ცილინდრული ნაწილის ნაშთი. ამ უკანასკნელის დიამეტრი 1,95 მ უდრიდა, იგი ქვითა და ქართული აგურივით იყო ამოშენებული. საცეცხლე თალი ჩანგრეული ჰქონდა. საერთოდ შემორჩენილი სიმაღლე 0,9 მ უდრიდა. ქურის ძირი აგურივით იყო მოგებული. ქურის თავი ზღუდის ზედა კიდიდან 2,0 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ქურის ამოწმენდისას ამოვიდა თიხის სხვადასხვა ქურკლის ნატეხები — მათ შორის მოჭიქულიც, საერთოდ კი — ბევრად ნაკლები, ვიდრე ყველა სხვა ქურაში, ყოველ შემთხვევაში, აქ უკვე აღარ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქურა მიტოვებული და დანგრეულია გაცხარებული მუშაობის დროს. შესაძლოა იგი სახელოსნოს დაღუპვამდე ყოფილა წყობილებიდან გამოსული, ან არა და იმჟამად იგი არ დაუტვირთავთ დ ცეცხლი არ დაუთითათ? შიგნიდან ამოკრებილ ნატეხთა შორის გამოერია ერთი მილნისკარტიანი, დაზიანებული ჭრაქი, რომლის მსგავსნი საერთოდ ჩვენს განათხარში თითო-ოროლა შეგვხვდა და ქურათა ნაწარმში ხომ სულ ნიჟარისებრი ჭრაქები იყვნენ გაბატონებული, ქურის ძირზე ნაცარი და ცხოველთა ძვლები აღმოჩნდა. ქურასა და ზღუდის მართობულ კედელს შორის (რომელიც, სხვათა შორის, ქურასთან საგრძნობლად გაღუხულია — თითქოს ქურა უკვე მდგარა, როდესაც იგი ამოჰყავდათ და ქურის სიმრგვალებს შეუგუეს მისი მიმართულებით), ქურის თავის დონეზე დიდრონი ქვები იყო ჩაყრილი.

საბოლოოდ ეს ქურა მოექცა სამი მხრივ კედლებით შემოზღუდულ სათავსოში (იგი, ბევრად, 1 მეტრით უფრო ღრმადაა ჩაშვებული, ვიდრე ამ კედელთა საძირკველები), რომლის მეოთხე, ჩრდილო-დასავლეთი კედლის გამოვლენა აღარ მოხერხდა, აქეთ უკვე გაშენებული ბალისა გამო. ამავე მიზეზის გამო შეუძლებელია გახდა გაკვლევა ჩრდილო-აღმოსავლეთით მობმული სათავსოები-

სა, რომელთა არსებობას გვანიშნებდა ამ სათავსოს აღმოსავლეთი კედლის გაგრძელება და ჩრდილო კედელზე მართობულად მოდგმული კედლის დასაწყისი.

ზღუდის გასწვრივ ამოყვანილი კედლის ძირას, ზღუდის ზედა კიდიდან 2 მეტრის სიღრმეზე იყო ნაშთები, გასწვრივ, კედლის ორ შვერილს შორის დადებული, იმაქამდ უკვე ძლიერ გამოფიტული და დამწვარ-დაშლილი ძეგლისა, რომლის სიგრძე 2,6 მეტრი ყოფილა, ხოლო სისქე 12—15 სმ. ესეც კიდევ ერთი ნაშთი იყო სახელოსნოს ნაგებობის შიდა ხის კონსტრუქციისა.

თვით ქურის პირდაპირ, აღმოსავლეთი კედლის ძირას, აღმოჩნდა მოზრდილი დერგის ნაშთი, რომლის ძირიც ქურის ძირის დონეზე ყოფილა. საფიქრებელია, რომ შიგ წყალი ან სხვა რამ, მუშაობისას აუცილებელი სითხე იყო ხოლმე, ქურის ძახლობლად, რათა მეჭურჭლეებს მუდამ ხელთა ჰქონდათ. ასეთი დერგები ჩვენ სხვა, IX და X თხრილებში გაშიშვლებულ ქურათა მახლობლადაც გვინახავს. ამ დერგის ახლოს მოუჭიქავი თიხის ხელადა, დოქის ნატეხები და აგურის ნატეხები მოიკრიბა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე თიხის ჭურჭლის ძირი, რომელშიაც მოყვითალო მინერალური მასის ნაშთია ჩარჩენილი და რომელიც აღმოჩნდა ზღუდიდან 5 მეტრ ძანძილზე და მისი შემორჩენილი ზედა კიდიდან 1,9 მ სიღრმეზე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გაკეთებულა ამ მასის ანალიზი ისევე, როგორც მე-18 თხრილის აღმოჩენილი თეთრი ფხვნილისა.

სხვა, უფრო წვრილმანი მონაპოვარიდან XIV თხრილში აღსანიშნავია: მოხატულ-ლოჭიქული ჭურჭლის — ფრინვლიანი თუ გეომეტრიულ-ორნამენტური ჯამების და სხვ. — ნატეხები (სხვადასხვა სიღრმეზე); ხელსაფქვავის ქვის ნატეხი (ეს უკვე მესამე, ხელსაფქვავი იქნება, IX და X თხრილთა შემდეგ! — 2,1 მ. სიღრმეზე; თიხისტარიანი სასმისი და ხელადა; სპილენძის 3 მონეტა (რუსუდანისა, — 1222—1245 — დემეტრე I-ისა, 1125—1156 და—რაც მთავარია—მონღოლური X I V ს ა უ კ უ ნ ი ს ტ ი პ ი ს ა!) ცისფრად მოჭიქული მოზრდილი ლანგარი და რაღაც ჭურჭლის მილ-ყელი, ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებით (1,2 მ სიღრმეზე); მოჭიქული, ბრტყელტუჩა და ორნამენტური სამარის ნატეხი (1,9 მ. სიღრმეზე), მოჭიქულ ჭიქათა ნატეხები; მინის სამაჯურისა და ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი (მათ შორის ერთი სახელურიანი სარქველიც!) და სხვ.

ახლა, ერთობლივ რომ გადავავლოთ თვალი ქალაქის ძველი ზღუდის გასწვრივ ამოღებულსა და საბოლოოდ გაერთიანებულ ამ ხუთ თხრილს (სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, XI, XXII, XVIII, XXIII და XIV), ასეთი ძირითადი სურათი გვაქვს, მომცრო მონაპოვარს თუ უგულვებელყოფთ ამჯერად:

უპირველეს ყოვლისა, აქ გაშიშვლებულია ქალაქის ზღუდის შიდა ფასადი (რომელიც ზოგადად თანამედროვეა ჩვენ მიერ გათხრილი სახელოსნოებისა, მაგრამ რამდენადმე მაინც უფრო ადრინდელი კი უნდა იყოს) 30 მეტრ სიგრძეზე და საშუალოდ 3,0 მეტრ სიმაღლეზე (რაც, რა თქმა უნდა, ზღუდის თავდაპირველ სიმაღლეზე ნაკლებია, თუმცა ალაგ-ალაგ თხრამ 4 მეტრამდეც კი დაგვიყვანა). ამ მონაკვეთზე მოდის ზღუდის გარეთა ფასადის 2 დიდი გვიანდელი ნახევარმრგვალი ბურჯი, ხოლო შიდა ფასადზე — 3 სწორკუთხოვანი შვერილი, არა თანაბარი სიგანე-გამოშვერილობისა და არც თანაბრივ დაშორებული. ისინი

შემორჩენილი არიან. ზღუდის ნაშთის განაპირა, თითქმის ძირამდე მონგრეული შვერილის სიგანე უდრის 0,9 მეტრს, გამოშვერილობა — 0,45 მ, მანძილი მასა და მეორე შვერილს შორის — 2,7 მ., მეორე შვერილის სიგანე — 1,0 მ, გამოშვერილება — 0,5 მ, მანძილი მასა და მესამე შვერილს შორის 2,6 მ, მესამე შვერილის სიგანე უდრის 1,2 მ. გამოშვერილობა — 0,6 მ.

სამხრეთ-დასავლეთ ნახევარში (და, ისიც ერთი მათგანი, პირველი განაპირა, თვით ზღუდის ამ ნაწილთან ერთად, ჩამონგრეულია და ძირილაა დარჩენილი). დანარჩენები (დარჩენილი მანძილის მიხედვით კიდევ 3 თუ არა, 2 მაინც უნდა ყოფილიყო) ეტყობა, აღარ შენახულან, ამას მართლ იმ გარემოებას ვერ მივაწერთ, რომ ზღუდეზე სახელოსნოს ნაგებობაა მიშენებული, რადგან იგივე სურათი გვაქვს პირველ ნახევარშიც. საქმე ისაა, რომ თვით ზღუდეც აქ ბევრად უფრო ცუდად შენახული, მორღვეულ-ჩამონგრეულია და ეგება შვერილებიც ამის გამო გაუსახურებულან.

ყურადღებას იპყრობს ტრილში ზღუდის „სამსაფეხურიანობა“ (სათანადო ქვაწყობილისა თუ აგურწყობილის გამონაწვევებით შექმნილი), რაც შიგნიდან მიშენებულ ნაგებობათა კონსტრუქციული საჭიროების გათვალისწინების შედეგი უნდა იყოს.

ზღუდეზე მიშენებული ნაგებობებისაგან შემოგვრჩენია 5 ძირითადი მოგროძო სათავსო, წარმოქმნილი ზღუდის მართობი, თითქმის ყველგან ერთიმეორის ზუსტად პარალელური კედლებით, ხოლო ზღუდის მოპირდაპირე მხარეს, მისი პარალელური კედლები არც ერთ სათავსოში არ გამოჩენილა — ჩანს, იმის გამო, რომ აქეთ ბალი უკვე გაშენებული იყო და თხრა ველარ განუგროძეთ. ასევე დაუსრულებელი დაგვრჩა განაპირა სათავსოები — ერთ მხარეს იმის გამო, რომ სკოლის ეზოს მიუახლოვდა ჩვენი თხრილი და გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, მეორე მხარეს კი იმის გამო, რომ მეზაღეებს მცენარეები უკვე დაერგოთ.

თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში იმ, თითქმის ყოველ ფენის გადადგმაზე თავჩენილსა და, ასე ვთქვათ, პირალებით თხრის „ხელშემშლელ“ გროვებს კრამიტისა, აგურისა თუ დიდრონი თიხის ჭურჭლისა, რომელშიც ზოგჯერ ჩაღწევილი სახურავი უნდა დავინახოთ, ზოგჯერ გადმოქცეული კედელი თუ სხვა რამ ნაშთი ნაშენობისა, ხოლო ზოგჯერ — ხელოსანთა მიერ ხმარებული და შემდეგ, სახელოსნოს დაღუპვისას, დაღეწილი დიდ-პატარა ჭურჭელი, ამ დიდი განათხარის სამხრეთ-დასავლეთ ნახევარში საკუთრივ სახელოსნოსი იმდენი არა გამოჩენილა რა, თუმცა არ უნდა იყოს საეჭვო, რომ თვით ეს, ზღუდის მართობ კედელთა მიერ წარმოქმნილი სათავსოებიცა და სხვადასხვა ნაღწეით ავსილი ძველი ორმოებიც უშუალოდ უკავშირდებიან ამ საწარმოო კომპლექსს, მით უმეტეს, რომ ალაგ-ალაგ აქაც შეიმჩნეოდა თითო-ოროლა ქართული აგური-საფიქრებელია, ისეთივე აგურფენილთა ნაშთები, როგორც ამავე განათხარის ქურიან სათავსოებშია.

სწორედ შუა სათავსოში იყო მე-6 ქურა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაშთები. ქურის ნაშთიდან ამოკრებილი და მის მახლობლად მრავლად გამოვლენილი მთელი თუ ნაკლები ჭურჭლის მიხედვით, ეს ქურა, ასე ვთქვათ, დასპეციალებული უნდა ყოფილიყო ძირითადად მრავალფერად მოხატული და მოჭიქული ჯამების გამოწვაზე — მით უმეტეს, რომ არც ერთი სხვა, მანამდე

თუ მას შემდეგ გათხრილ ქურასთან ამდენი ასეთი ჯამი არ აღმოჩენილა — თითო-ორიოლა თუ იყო ხოლმე, სპორადულად.

სწორედ ამ ქურიდან იწყება ზღუდის ის ნაწილი, რომელსაც თითქმის სულ მოშლია ბრტყელი ალესილი ზედაპირი და, ჩამორღვეულ-ჩამოშლილს, დეფორმაცია განუცდია. ამ ქურის უკანაა ის, ზემოთ უკვე აღნიშნული, დანახშირებული, მაგრამ არა მთლად დამწვარი, ორი ძელის ნაშთი, რომელთაგან ერთი შვეულადაც კი იდგა. ქურის მახლობლად, ზღუდისადმი მართობული წყობის დანგრეულ-დაშლილი ნაშთი იყო და სწორედ ამ ნაშთის ძირას იყო მიყუჩული ის საყურადღებო გროვა, რომელშიც შედიოდა საჭიქურე ნედლეულის შემცველი დიდრონი ჭურჭლები და მოჭიქული ქილა-სასმისები. ერთი დანახშირებული ძელიც ქურის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა, ზღუდესთან, ხოლო ერთი მოგრძო — კიდევ უფრო იქით, სადაც თვით ზღუდე შედარებით უკეთესადაა დაცული.

შემდეგი სათავსოს ფარგლებში იყო ის, ალიზივით აგურებს ქვეშ აღმოჩენილი, თითქოს ქალაღის ძალზე სიფრიფანა ნაშთები, და აგრეთვე პატარა აგურყუთი, რომელთა შესახებ ზემოთაც ვისაუბრეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი ამგვარივე, უფრო მოზრდილი, მაგრამ არა ნაკლებ გაუგებარი „აგურყუთი“ აღმოჩენილია არმაზისხევთანაც, 1938 წელს, ადრე შუა საუკუნეთა სპაროვნის თხრისას⁵.

სწორედ მეზობელ სათავსოში აღმოჩნდა საკმაოდ დიდრონი ნაშთები აგურფენილისა, ხოლო ერთ ადგილას მასზე უფრო ღრმად ჩადგმული საქარიანი თონე. ხოლო რაკი შემდეგ სათავსოში ისევ ქურა იყო (№ 7) და, ამრიგად, ეს აგურფენილოვანი სათავსო ორ ქურას შორის მოქცეული გამოვიდა, სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ ამ სათავსოს მივიჩნევთ ისეთ დამხმარე სათავსოდ, რომელიც ერთდროულად ემსახურებოდა ორივე საწარმოო უჯრედს და სადაც განსაკუთრებით საჭირო იქნებოდა აგურით მოფენილი იატაკი. ამასთან დაკავშირებით თავისთავად იგულისხმება, რომ, საერთოდ, ამ კომპლექსის სათავსოები ყველა დაუბრკოლებლივ უკავშირდებოდა ერთი მეორეს და მათ შორის არც ყოფილა აღმართული მაღალი კედლები. უკანასკნელ სათავსოში ღრმად ჩადგმული ქურა (№ 7) უფრო დიდი ჩანს, ვიდრე № 6 და თანაც მის აღნაგობაში ნატეხი ქვა მეტ მონაწილეობას იღებს. იგი უფრო მჭიდროდაა მომწყვდეული სამ კედელს შორის და, ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, მისი უახლოესი კედელი „გალუნულია“ და ეს გვაფიქრებინებს, რომ უკანასკნელი — ქურის აგების შემდეგ ამოუყვანიათ.

ასე გამოიყურება, საერთო თვალის გადავლებით, საწარმოო ნაგებობათა ის კომპლექსი, რომელიც უშუალოდ მიკედლებია ქალაქის ზღუდეს და რომლისადაც მხოლოდ გარკვეული საკმაოდ ფართო, მაგრამ მაინც დაუსრულებელი ზოლი გვაქვს გათხრილი, ბაღის გამო. როგორც ვხედავთ, ამ კომპლექსშიც მეორდება თითქმის ყველა ის ელემენტი, რაც ადრე, IX და X თხრილში გამოვლენილ კომპლექსს ახასიათებდა. ოღონდ აქ ვხედავთ ორ არსებითად ახალ მომენტს: ამ კომპლექსს, ასე ვთქვათ, ზურგი ქალაქის ზღუდეზე აქვთ მიბჯენილი და თან მათ აღნაგობაში დიდ მონაწილეობას იღებს ხის კონსტრუქცია, რაც მე-

⁵ იხ. ალ. კალანდანი, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938 წელს, ენიმ-კის მოამბე, IV, 1939.

ორე კომპლექსში არ შეიმჩნეოდა. გარდა ამისა, აქ არის იმის ნიშნებიც, რომ ნაგებობას კრამიტის სახურავი ჰქონია და ისევე ჩაღწევილია.

ამგვარი იქნება ჩვენი მესამე კამპანიის საველე მუშაობის ანგარიში, თხრილობრივ.

ახლა გადავიდეთ თხრისას მონაპოვრის დარგობრივ განხილვაზე.

II. ნ ა წ ა რ მ ი

მზა ნაწარმი. როგორც გზადაგზაც არა ერთხელ მოგვიხდა აღნიშვნა, მესამე კამპანია ძალიან ნაყოფიერი გამოდგა სწორედ ნაირნაირი მზა ნაწარმის მოპოვების მხრივ და თანაც ეს უკანასკნელი ჩვენს კოლექციაში (რომელიც კარგა ხანია გადაეცა, წინა ორი კამპანიის მონაპოვართან ერთად, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და 1954 წელს გატარებულ იქნა — კოლ. № 154 — ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების ფონდში) მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია მთელი ან თითქმის მთელი ჭურჭლებითა თუ სხვა საგნებით და არა ცალკეული ნატეხებით. როგორც წინა კამპანიების დროს, როდესაც მოპოვების მთავარ წყაროს სახელოსნოს გადანაყარის გროვა წარმოადგენდა და მზა ჭურჭელი შედარებით ნაკლები გვხვდებოდა. მესამე კამპანიის დროს კი მარტო მე-6 ქურიდან ამონაკრებისაგან დადგა ჯამებისა თუ სამარილეების დიდრონი დასტები.

თავისთავად ცხადია, რომ ყველაზე უფრო საინტერესო ჯგუფს აქაც მოჭიქული ნაწარმი და, უპირველეს ყოვლისა, ჭურჭლეული შეადგენს.

ა) მოჭიქული ნაწარმი⁶. წითელკეციანი ჭურჭლეული წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ტიპებით: ჯამები და ბადიები; ჭრაქები; სამაროლეები, ვაზა-ქილები; ხელაღები და დოქები; თეთრკეციანი (ფაიანსის), ჭურჭლეული — ფიგურული ვაზითა და ცალკეული მცირე ნატეხებით, რომლებიც ფილებს უფრო უნდა მიეკუთვნონ.

წითელკეციანი სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია შორენკეცებით (ხშირად აგურის ფორმისა და სისქისაც კი) და კრამიტით.

ერთფერად მოჭიქულ წითელკეციან ჭურჭლეულში გვაქვს ჯამების ერთი ნაწილი, სამარილეები, ჭრაქები, ვაზა-ქილები და ხელაღა-დოქები.

ჭრაქები 30 ცალი დაითვლება 1949 წლის მონაპოვარში. მათ შორის ოთხი მთელია და წარმოდგენას გვაძლევს სრული ტიპის შესახებ. დანარჩენი კი დაზიანებულია: ზოგს ყური აქვს მოტეხილი, ზოგს — ტუჩი და ზოგს — გვერდის ნაწილი. მოჭიქული ჭრაქი ყველა ერთი ფორმისა და ზომისაა, ერთი, მინიატურული ცალის გამოკლებით, რომელიც თხელია და კეცი მოვარდისფრო აქვს, ეს არის წინა კამპანიების დროს აქვე მრავლად მოპოვებული ცალეებით წარმოდგენილი, და საერთოდ XI—XIII ს. ს. განათხარებში კარგად ცნობილი ტიპი, რომელსაც ჩვენ ადრევე „ნიჟარისებრი“ ვუწოდეთ. ისინი სამკუთხოვანნი, ოღონდ კუთხეებმომრგვალებულნი არიან და მართლაც მოგვაგონებენ ზოგიერთ ზღვის ნიჟარებს — განსაკუთრებით იმით, რომ გვერდები აკეცილი აქვთ და შუ-

⁶ ამ თავის დაწერაში დიდი დახმარება გააკვიწია ჩვენი განყოფილების ფეოდალური ხანის ჯგუფის ლაბორანტმა მ. მიწიშვილმა, სათანადო მასალების აღწერა-კლასიფიკაციის მხრივ.

აში ვიწრო ნაპრალიდა რჩება, ხოლო წინ ტუჩი წაწვეტილი აქვთ. ასეთ ნაკრალსა და პირში იდებოდა პატრუქი, რომელიც იყლინებოდა შიგ კრაქში ჩასხმული ზეთით. ყური-შემალლებული და გადმოკეცილი შვერილი — იმყოფება ტუჩის მოპირდაპირე ბოლოში. კრაქს დაბალი და წესიერი მრგვალ-ბრტყელი ქუსლი აქვს. ჭიქურით მხოლოდ კრაქის გადმონაკეცი გვერდები და შიდაპირია დაფარული, გარედან ჭიქური მხოლოდ შემთხვევით თუ იქნება გადმოღვენილი.

კეცი მეტწილად წითელია, მაგრამ გამოერევა მოვარდისფრო და მონაცრისფროც, აქა-იქ.

30 კრაქიდან 17 მწვანედაა მოჭიქული, 6 — ცისფრად, ხოლო 4 — ბაღრიჯნისფრად (სოსანი), ერთი ამათგანის ჭიქური ზედმეტადაა გამომწვარი, მაგრამ მაინც ეტყობა, თუ რა ფერი ყოფილა თავდაპირველად ჭიქური. ამ სახელოსნოში გავრცელებული ჭიქურის ამ სამი ძირითადი ფერის შეფარდება შესაბამეა საერთოდ გავრცელებულ შეფარდებას.

კრაქების სიმაღლე ჩვეულებრივ 3—3,5 სმ უდრის, იშვიათია 2—2,5 სმ, ერთი 1,8 სმ-ცაა. სიგრძე — 6,0—7,5 სმ, ძირის დიამეტრი — 4,0—4,5—5,0 სმ. გვხვდება აშკარად დაბალი და ძირგანიერი ცალებიც (სიმაღლე — 2,5 სმ, ძირ. დიამ. 5,0 სმ.).

საერთოდ, ისევე, როგორც წინა კამპანიებში მოპოვებულ კრაქებს, ამ წლის კრაქებსაც ეტყობათ, რომ საკმაოდ დაუდევრად ნაკეთები, მეტისმეტად იაფი და არც თუ მაინც და მაინც გულდასადები ნაწარმი ყოფილა.

სამარილეები 56 ცალია აღმოჩენილი. ყველა მრგვალია, საკმაოდ ძირფართო და კიდევ უფრო პირფართო. სხვადასხვა აქვთ სიმაღლე, პროპორციები, ძირისა და ქუსლის მოყვანილობა, ბაკოს სიგანე. ყოველივე ამის მიხედვით შესაძლო ხდება პირობით 9 ჯგუფის გამოყოფა. 28 ცალი, ე. ი. სრული ნახევარი (რომელთაგან 24 ცალი, №№ 3180—3203 ერთად იყო მე-6 ქურაში) თითქმის ყველა ერთი მოყვანილობისაა, მწვანედ მოჭიქული. ზომით ზოგი თითქოს ჩამორჩება დანარჩენებს, მაგრამ განსხვავება მცირეა, არის კიდევ ერთი (№ 3016), სხვა ადგილას ნაპოვნი, ფერითაც და მოყვანილობითაც მათი მსგავსი, ოღონდ გვერდჩამოტეხილი. ეს სამარილეები მოხდენილობითა და გულდაგულ ნაკეთობით გამოირჩევა, თუმცა ანგობისა და ჭიქურის ჩამონაღვენთები ამათაც აქვთ გვერდებზე, ხოლო ჭიქური მხოლოდ შიგნიდანაა ამოსმული.

ეს იქნება I ჯგუფი (№№ 3180—3203, 3037, 3000, 2361), რომელსაც ახასიათებს: ვიწრო, სწორი და გარეთკენ დაქანებული ბაკო, დაბალი ქუსლი (თითქოს თითის გარშემოვლებით გამოყვანილი), ბრტყელი ძირი.

II ჯგუფს (7 ცალით წარმოდგენილს, №№ 3009, 3164, 3049, 3041, 2250, 3390, 2648) ახასიათებს მკვეთრად გამოყოფილი ქუსლი, მაღალი მუცელი და შედარებით ფართო, სწორი ბაკო.

III ჯგუფს (2 ც. — №№ 3043, 2980) ახასიათებს მცირე სიმაღლე, განიერი პირი, ვიწრო ბაკო, რომელსაც კიდევზე გარშემოუყვება რელიეფური გრებილი სარტყელი, მკვეთრად გამოყოფილი დაბალი ქუსლი და ბრტყელი ძირი.

IV ჯგუფს (1 ც. — № 3349) — მეტი შიდა სიღრმე, გადმოკეცილი პირი, გადმონაკეცის მომრგვალებულობა, წიბოიანი მუცელი, ბრტყელი ძირი.

V ჯგუფს (5 ც. — №№ 3014, 2178, 2692, 3364, 1979) — მცირე სიმაღლე, ბრტყელი და ფართო პირი, ვიწრო ბაკო, რომელსაც ჭდეული ორნამენტი ამკობს, უქუსლო ბრტყელი ძირი, რომელიც ვიწრო გარშემოღარულობითაა მუცლისაგან გამოყოფილი.

VI ჯგუფში სულ ერთი ცალია (№ 2477). მას პირი სწორი აქვს, ბაკო — ვიწრო. მწვანედაა მოჭიქული. სრულიად უჩვეულო მოყვანილობის ქუსლი აქვს: შედგება ორი „ბურთობისაგან“, რომლებიც ერთიმეორისაგან გამოყოფილ არიან საკმაოდ ღრმა ღარით. ამ ღარს ჭდეები დაუყვება. ძირი მოტეხილი აქვს. ქუსლი მთელ სიგრძეზე დამსჭვალულია ცილინდრული ხვრელით.

VII ჯგუფშიც მხოლოდ ერთი ცალია (№ 3020). ღრმაა, პირი სწორი და გადაშლილი აქვს, ძირი — ბრტყელი. შიგნით ჭიქური თეთრად (?) გამოიყურება, ხოლო ნაპირზე — მრავალფერად. ეს უცნაური შეფერილობა მეორადი ჩანს და ჭიქურის წახდომის შედეგი უნდა იყოს.

VIII ჯგუფშიც ერთი ცალი შედის (№ 2514), სოკოსებრი მოყვანილობისა, ბრტყლად პირგადაშლილი, ქუსლმაღალი, ძირბრტყელი, ცისფრად მოჭიქული.

IX ჯგუფში 6 ცალია (№№ 2246, 3011, 3064, 3006, 3214, 3012). მათ ახასიათებთ გადაშლილი ჯამისებრი მოყვანილობა და ბრტყელი ძირი. მხოლოდ ორს ემჩნევა ოდნავ გამოყოფილი ძირი. ამრიგად, ჩვეულებრივ დიდი უმეტესობა სადაა, მაგრამ შვიდს მაინც აქვს ბაკოზე ორნამენტი: ორს „გრეხილი სარტყელი“ და ხუთს — ირგვლივ „ჭდეული“. საერთოდაც, ჭრაქებისაგან განსხვავებით, სამარილეთა შორის არცთუ იშვიათად გვხვდებოდა ხოლმე ორნამენტიანი ცალები. ამაშიც ჩანს, რომ სამარილეების კეთებას უფრო გულისყურით ეკიდებოდნენ ხოლმე ოსტატები.

საყურადღებო სხვაობა ჩანს კეცის ფერის მხრივ: 41 წითლადაა გამომწვარი, 14 — მონაცრისფროდ, ხოლო 1 — მოთეთრო-მოყვითალოდ. ამდენი არაწითელი კეცი მოჭიქულ ნაწარმში იშვიათად შეგვხვდრია.

რაც შეეხება ჭიქურის ფერს, 37 შემთხვევაში იგი მწვანეა (25-ში ღია, 12-ში მუქი), 4 — ცისფერი, 3 — ღვიძლისფერი, ანუ სოსანი, 1 — თეთრი და მრავალფერი (ჩანს, წუნია), 9 აშკარად წუნია (გადამწვარი და ფერდაკარგული, ერთს გვერდზე წიდაც მიჰკვრია, ერთს დეფორმაცია განუცდია).

ასე გამოიყურება სამარილეთა კოლექცია — როგორც ვხედავთ, არცთუ ისე უინტერესო, ყოველ შემთხვევაში, ჭრაქებთან შედარებით მაინც.

ვაზა-ქილები. ჭურჭლის ეს ტიპი, ისევე, როგორც წინა კამპანიათა მონაპოვარში, აქაც ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი და ამიტომ, ალბათ უკვე დროა, დავასკვნათ, რომ მას საერთოდ მცირე ხვედრითი წონა ჰქონია. ამ საწარმოს პროდუქციაში — ჯამებთან, ჭრაქებთან და სამარილეებთან შედარებით — ისევე, როგორც ყელ-ყურიან ჭურჭელს — დოქებსა და ხელადებს. ყოველ შემთხვევაში, ჩანს, ჩვენთვის მისაწვდომ ქურებში ისინი ნაკლებ უწვავთ. ეს დაკვირვება მით უფრო დამაფიქრებელია, რომ, როგორც უკვე ითქვა, არის ნიშნები ქურათა დასპეციალებისა სხვადასხვაგვარ ნაწარმზე.

ქილათა ერთი ჯგუფი (წარმოდგენილი) ძირ-გვერდის ნატეხებით — №№ 2451, 2463, 3314, 3557 და თითქმის მთელი, პირჩამოტეხილი ცალით — № 2658) ხასიათდება ბრტყელი ძირით, წითლად გამომწვარი კეცითა და შიგნიდან მოჭიქულობით.

მეორე ჯგუფის ქილები უკვე დეკორატიულსა თუ საყვავილე ვაზებს მოგვაგონებენ და იმით გამოირჩევიან, რომ გარედან არიან მოჭიქული და ნაწილობრივ — შიგნითაც. მათი ტიპური ნიმუშებია №№ 3240 და 3241, სამივე მთელი (სავ. წიგნ. №№ 1861—3 იყო და ერთი გამოფენაზეა გატანილი). ისინი ერთად აღმოჩნდნენ XVIII თხრილში, საჭიქურე ნედლეულით სავსე ჭურჭლებთან ერთად. კეცი წითლადაა გამომწვარი. მაღალი და გამოყვანილი ყელი აქვთ, სწორი პირი, ოდნავ დაქანებული მხრები, სწორი ცილინდრული ტანი, გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი. ჭიქური მწვანეა, ქუსლს ქვემოთ იგი აღარ ვრცელდება. ერთის სიმაღლე უდრის 17,5 სმ, მეორისა — 19,0 სმ. პირის დიამეტრი (რაც თითქმის უდრის მუცლისასა და ძირისას) — 6,5 და 7,0 სმ. ეს ჯგუფი წარმოდგენილია აგრეთვე ნატეხებით (მეტწილად ძირ-გვერდისა, ე. ი. ადვილი გამოსაცნობი) — №№ 2592, 2662, 2978, 3240, 3241; 3272 და 3315. ყველა მწვანედაა მოჭიქული და ერთი კი მხოლოდ ანგობწასმული, მოსაჭიქავად გამზადებულია. რამდენადაც ნატეხების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ყველა ეს ჭურჭელი ერთი ზომისა და ერთი მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, რაღაც ჩამოყალიბებულ სტანდარტთანა გვაქვს საქმე, რომელიც ჩვენს განათხარში მე-6 ქურას უკავშირდება. უნდა გავიხსენოთ სავსებით ამგვარივე ჭურჭელი. აღმოჩენილი რუსთავში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაქალაქარის თხრისას⁷, რომელიც რამდენადმე იტალიურ შუა საუკუნეთა „ალბარელოებს“ მოგვაგონებს.

საკმაოდ უახლოვდება ამ ჯგუფს კიდევ ერთი მთლიანად დაცული ქილა, XVIII თხრილის იმავე გროვაში აღმოჩენილი (№ 3451, სავ. წ. № 1954), ისევე მწვანედ მოჭიქული (შიგნიდან — პირიც) და ოდნავ ძირშედრმავეებული. მისი სიმაღლე უდრის 10,8 სმ, $d = 5,2 - 5,3$ სმ.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი პატარა ქილა (№ 2665, სავ. წ. № 1624), იმავე ჯგუფში აღმოჩენილი, მწვანედ მოჭიქული, ოდნავ პირგაშლილი (სიმაღლე — 8,8 სმ. პირის დიამეტრი — 2,0 სმ, ძირისა — 4,5 სმ).

არის კიდევ ერთი თავისებური ჯგუფი, რომელთაც შეგვიძლია ფეხიანი ვაზები ან ფიალა — სასმისებიც კი ვუწოდოთ. წარმოდგენილია ორი ცალით, რომლებიც ისევ და ისევ იმ XVIII თხრილში არიან აღმოჩენილი და, მაშასადამე, წარმოშობით ალბათ აგრეთვე მე-6 ქურას უკავშირდებიან. ერთი მათგანი (№ 2657, სავ. წიგნ. № 1618) სიმაღლით 7 სანტიმეტრია, მეორე (№ 3452, სავ. წიგნ. № 1618) სიმაღლით 7 სანტიმეტრია, მეორე (№ 3452, სავ. წიგნ. № 1956) — სიმაღლით 9,6 სმ, პირის დიამეტრი — 10,5 სმ, ძირის დიამეტრით — 8,0 სმ. ორთავეს ახასიათებს ფეხს ირგვლივ მსხვილი რელიეფური წიბო — სარტყელი და ღრმად შედრეკილი ქუსლი. ორივე მწვანედაა მოჭიქული, გარეთაც და შიგნითაც. ფეხების სიმაღლე 4,0 და 6,0 სმ უდრის და ესაა სწორედ მათი დამახასიათებელი ნიშანი.

არის შედარებით პატარა, მაგრამ იმავე ტიპის ქილის ნატეხები. სიმაღლე 13 სმ უნდა ჰქონოდა, ჭიქური გარედანა აქვს მოსხმული, მწვანე.

ხელაღები წარმოდგენილია ერთი მთელი ცალითა და ოციოდე ნატეხით,

⁷ გ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ე., რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, გვ. 187, ტაბ. XX, 4.

მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, 1955.

რომელთა უმეტესობას შერჩენილი აქვს ყელისა და ყურის ნაწილები, ისე რომ შეიძლება მათ შესახებ დაახლოებით მაინც მსჯელობა.

მთელი ხელადა (№ 2283, სავ. წ. № 1331) მოვარდისფრო თიხისაა, მუცელმრგვალი, ოდნავ ქუსლგამოყვანილი, ძირბრტყელი, ზემოთ ცისფრად, ხოლო ქვემოთ — მწვანედ მოჭიქული (!) გარედან ირიბად გავლებული ტალღოვანი ორნამენტი ამკობს, სიმაღლე 19 სმ უდრის, მუცლის დიამეტრი — 13,5 სმ. ნაპოვნია XVIII თხრილში, მე-6 ქუჩის მახლობელ ორმოში.

ხელადის ყელ-მხრის ნაწილი, წითლად გამომწვარი, ცისფრად მოჭიქული, ყელვიწრო, მხრებზე კონუსური კოპები აყრია და ეს თითქოს ერთადერთი შემთხვევაა.

ორიც აშკარად მრგვალმუცლიანი და ყელვიწრო, მაგრამ ყელდაბალი და უყურო ჭურჭელია, აგრეთვე მწვანედ მოჭიქული. ერთის სიმაღლე უდრის 9,0 სმ, მეორისა — 10,8 სმ. დიამეტრიც დაახლოებით უდრის სიმაღლეს.

ყელის ნაწილები ყველა წითლად გამომწვარი და ცისფრად მოჭიქულია. დიამეტრი სხვადასხვანაირი აქვთ. გამოირჩევა ერთი ყელი (№ 2883), რომელიც პირისკენ კონუსურად ფართოვდება, ხოლო პირზე შემოჭერილი აქვს, რის გამოც წარმოიქმნება გადმოსასხმელად მარჯვე ტუჩი. ყელსაც აკრავს ირგვლივ სარტყელი.

საბოლოოდ, ზღუდის გასწვრივი თხრილებიდან მომდინარე მასალა გვაწვდის ყველაზე ძრავალრიცხოვან კოლექციას მოჭიქული (ყველა ცისფრად!) ხელადებისა, საერთოდ, მთელ ჩვენ განათხარში და ამითაცაა საინტერესო სახელოსნოს ეს უბანი. თორემ, ხელადებიც რომ მრავლად არ ეწვათ აქ, მაშინ გაუგებარი იქნებოდა იმდენი საკიდი კაკვის ნატეხების აღმოჩენა გადანაყარში.

არის კიდევ ერთი თავისებური ჭურჭელი, რომელიც ნატეხებითაა მხოლოდ წარმოდგენილი (რამდენიმე ცალისა), მაგრამ ეს ნატეხები იმდენად თავისებურია, რომ აღარაა საეჭვო ცალკე ტიპად გამოსაყოფი ჭურჭლის არსებობა. პირობით მას კოთხოს ვუწოდებთ. ერთ-ერთს კედელი შვეული უჩანს, პირსა და მუცელს გარშემო თითო რელიეფური წიბო შემოუყვება. მათ შორისი სივრცე მეჩხერი ირიბი ხაზებითაა დასერილი. ყური წყვილად ასხია, ერთიმეორეზე გადაბმული, ათიოდე ნომერია ისეთი ნატეხი, რომლებიც შეიძლება კოთხოებს მიეკუთვნოს და, ამრიგად, დანამდვილებით შემოვიტანოთ ჩვენი სახელოსნოების ნაწარმის ასორტიმენტში ეს ახალი ტიპიც.

მოჭიქულ ჭურჭლეულში ცალ-ცალკე აღსანიშნავია რამდენიმე ისეთი იშვიათი რამ, რომელნიც ჯგუფებად ვერ გაერთიანდებიან და ჯერჯერობით თითქმის უნიკუმებად გამოიყურებიან, საქართველოსათვის მაინც.

ასეთია, უპირველეს ყოვლისა, „გვირგვინოსანი ადამიანის თავ-ყელის გაშომხატველი“ ჭურჭელი, რომელიც — ნაკლული, მაგრამ მაინც სავსებით მეთყველი — აღმოჩნდა ზღუდეს გასწვრივ ამოღებულ თხრილში, მისი სულ ქვედა საფეხურის დონეზე, ბევრი სხვა საინტერესო კერამიკული ნაშთისა და მონეტების „საზოგადოებაში“ ჯერ ვიპოვნეთ დიდი ნატეხი, ხოლო შემდეგ — ნიკაპის მცირე ნატეხიც, რომელმაც საკმაოდ შეავსო ეს საყურადღებო საგანი, საბოლოოდ დღემდე ვერ გაირკვა, რა დანიშნულებისა და როგორი სრული მოყვანილობისა იყო ეს ჭურჭელი, მაგრამ რუსთავეში 1950 წწ. აღმოჩენილი ერთი, აგრეთვე მოჭიქული პატარა „ცისტერნის“ მსგავსი და აგ-

რეთვე ფიგუროვანი თავყელით დაგვირგვინებული ჭურჭელი მაინც მის ერთგვარ ანალოგიად გვეგულება. ჩვენი ჭურჭელი ფაიანსისაა — თეთრი ოდნავ მონაცრისფრო, წმინდა ფაქიზმარცვლოვანი კეცი აქვს, საკმაოდ თხელი. შემორჩენილია შვეულად შემართული, მოღერებული თავ-ყელი ადამიანისა, რომელსაც თავზე გვირგვინი ახურავს. ცხვირ-პირი ჩამოტეხილი აქვს და აკლია. აქვს ცალი (მარცხენა) თვალის უდიდესი ნაწილი. მარცხენა ყური და ნიკაპის მარჯვენა მცირე ნაწილი, რომლის ქვემოთაც შემოუყვება რაღაცა თითქოს მოგრძო „მძივებისაგან“ შემდგარი რკალი, რომელიც, შესაძლოა, მამაკაცის წვერსაც კი გამოხატავდეს, სტილიზაციით და, შესაძლოა, ქალის ყელსაბამიც კი იყოს. აშკარა პირობითობა და სახის ნაკლებობა გვიშლის ხელს უფრო დანამდვილებით განსაზღვრაში. განსაკუთრებით საყურადღებოა გვირგვინი, რომელიც შედგება სამი, თანდათან უფრო და უფრო შევიწროებული წრისაგან, ხოლო თითოეული წრე — მრგვალი, დაბალ-ცილინდრული ბურცობებისაგან. საინტერესო იქნებოდა გვირგვინის ამ ტიპის გაკვლევა იმდროინდელი სახვითი ხელოვნების ძეგლთა მიხედვით. საერთოდ, ჩვენ უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ გამოსახული უნდა იყოს გვირგვინოსანი და წვეროსანი მამაკაცი, რომელსაც მეფური იერი აქვს. ეს საგანი უთუოდ იმსახურებს საგანგებო შესწავლა-კვლევას. ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კავკასიურ არქეოლოგიურ მასალებს შორის გვეგულება ერთი რამდენადმე მსგავსი ჭურჭელი. ეს არის დვინში კ. ლაფადარიანის მიერ აღმოჩენილი და ირანულად მიჩნეული ანთროპომორფულ-ზომორფული, ლუსტრიანი ჭურჭელი, რომელსაც ფრინველის ტანი, ზედ დიდი, ძალზე დიდი, ძალზე სტილიზებული, მცენარეული მოტივებით გაფორმებული ყური და თავდახურული ადამიანის (ქალი?) თავი აქვს, ხოლო დასადგმელად — კარგა მოზრდილი, ცილინდრული ქუსლი. სურათზე ჩანს, რომ თავი ეკუთვნის აშკარად მონღოლოიდური (სულაც ჩინური) გარეგნობის ადამიანს, ხოლო თავსაბურავზე ვერ ითქმის, მაინცდამაინც გვირგვინიაო. ამასთანავე, თავ-კისერი დახრილი ადგას ტანს და არა ისე შემართული „როგორც ჩვენია“. ერთი სიტყვით, ანალოგია ფრიად მიახლოვებითია⁸. ჩვენი „გვირგვინოსანი თავ-ყელი“ ისე უფრო რუსთავის „ცისტერნირებურ“, ე. ი. ჰორიზონტული ტანის მქონე ჭურჭელს ან ხელადას უნდა სდგომოდნა შემართული.

მეორე დიდად საყურადღებო საგანი არის პატარა ნატეხი მოწითალოდ გამომწვარი, თხელი და ჭვირული (აქურული) ჭურჭლისა, რომელიც ორმხრივ ყოფილა იმწვანედ მოჭიქული (№ 2446, სავ. წიგნ. № 1461, XXI თხრილში), ჭურჭლის ნატეხთა გროვაში აღმოჩენილი.

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ფაიანსის ოთხ პატარა ნატეხზე, რომლებიც აღმოჩნდა სხვადასხვა — და უფრო კი ზღუდისპირა — თხრილებში და რომელთა შორის გამოირჩევა ერთი ლუსტრიანი, ოქროსფერი საღებავით მოხატული. სამწუხაროდ, ამ ნატეხთა მცირერიცხოვნებისა და მცირე გამომეტყველებისა გამო ისინი ვერაფერს არსებითს ვერ მიუმატებენ ჩვენ მიერ მეორე კამპანიის ანგარიშში გამოთქმულ ვარაუდს, ალბათ, საერთოდ, ფაიანსი და, კერძოდ, ლუსტრიანი ფაიანსიც სადმე აქვე კეთდებოდაო. ეს ალბათობა ასევე რჩება ძალაში.

⁸ იხ. კ. ლაფადარიანის „ქალაქ დვინის თხრის შედეგები“ (სომხურად), 1952, სურ. 213 და გვ. 291 (სურათის განმარტება).

ჯამები. წინა კამპანიათა მსგავსად, თხრისას გამოვლენილი მოჭიქული ნაწარმი სახელოსნოსი საანგარიშო კამპანიის დროსაც უმთავრესად ჯამებით არის წარმოდგენილი. ეს გარემოება აძლიერებს ჩვენს წინასწარ დასკვნას, რომ მაშინდელი კერამიკული საწარმოები მეტწილად სწორედ ჯამებს (საკერძესა თუ სასმისს) ამზადებდნენ და, მაშასადამე, მოთხოვნილებაც ყველაზე მეტი სწორედ ასეთ ჭურჭელზე ყოფილა (რასაც, სხვათა შორის, ამტკიცებს შუა ფეოდალური დროის ნამოსახლართა თხრის შედეგები. იქაც მოჭიქული საოჯახო ჭურჭლის დიდი უმეტესობა ჯამთა ნამტვრევებითაა ხოლმე წარმოდგენილი).

1949 წლის საველე წიგნში მოჭიქული კერამიკა აღნუსხულია ორიოდ ნომერის სახით, რომელშიც წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად მთელი ჯამები (105 ც.), თუ მათი თითო ან მეტი ნატეხი (151 ერთეული). ეს უკანასკნელები უფრო ხშირად ძირ-ქუსლის, ხოლო უფრო იშვიათად — ძირგვერდის ან პირ-გვერდის ნატეხებია. ამ ნატეხთაგან ბევრი მოერგება ერთიმეორეს და საკმარისი წარმოდგენა შეიქმნება ჯამთა რაგვარობის შესახებ, ასე რომ, მთელსაც, ნაწილობრივ მთელსაცა და ნატეხებსაც ერთობლივ განვიხილავთ.

ყველა ჯამის კეცი წითლადაა გამომწვარი, თითქმის ყველას ანგობი აქვს წასმული და ისეა მოჭიქული: თითქმის ყველა ტოლია, გარდა რამდენიმე პატარა ჯამუკასი (5,0—5,5 სმ სიმაღლისა). ტიპოლოგიურადაც ყველა ერთგვაროვანია და შემდეგი თვისებებით ხასიათდება: ძირი სწორი აქვთ, ბაკო — შიგნით დაქანებული, კალთები ზომიერად დამრეცი და სულ ოდნავ მომრგვალებული. პირს ყოველთვის გარშემოუყვება პარალელური წვრილი ხაზები, ასევე — ქიშს, და, ამრიგად, ჯამის შიდაპირზე გამოყვანილი გამოსახულება თუ ორნამენტი წრეშია მოქცეული. გამოსახულება და ორნამენტი გამოყვანილია ამოკაწვრა-ამოლარვით („სგრაფიტო“). შიგნით დაქანებული ბაკო ყოველთვის შეღებილია ამა თუ იმ ფერის ჭიქურით — ან იმავითი, რითაც შიდაპირი, (თუ ფერადი ჭიქურითაა დაფარული), ან-ფერადით, მაშინ, როცა შიდაპირი, სხვადასხვაფერად მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით არის დაფარული. ზოგჯერ ბაკო ვიწროა (i სმ) და ზედ ამოკაწრულია მოკლე რკალები თუ სამკუთხედები, მწვანე და ყვითელი საღებავით შეფერილი.

ჯამთა ზომაში ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგი: სიმაღლე — 7,5—8,0 სმ; პირის დიამეტრი — 17,0—20,0 სმ.

მოხატულობის მიხედვით, მოჭიქული ჯამები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: 1) გამომხატულებით შემკული; 2) ორნამენტით შემკული.

გამოსახულებით შემკული ჯამებიც ორად ჯგუფდება: ა) ცხოველის გამოსახულებით შემკული (სულ ერთი ცალია ამჟერად; ბ) ფრინველის გამოსახულებით შემკული (115 ცალია). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე კამპანიის დროს სულ რამდენიმე ცალი (ისიც ნატეხი) გვქონდა გამოსახულებით შემკული ჯამი. აქ მათი სიმრავლე უმთავრესად მე-6 ქუჩის „წყალობა“.

პირველის (№ 2097 — სავ. წიგნ. № 1237, XIV თხრილიდან) შიდაპირზე, ანგობზე ამოკაწრული მიმავალი ავაზა თუ ჯიქი (?). იგი წინ მიისწრაფვის, მკერდი მხნედ გამოუწევია, განიერი კისერი მოუღერებია, წინა ფეხებიცა და უკანა ფეხებიც ცოცხალ მოძრაობას გამოხატავენ. ჯამი ნაკლულია და ცხოველის გამოსახულებას აკლია თავიც, წინა ფეხების ნაწილიცა და კუდის ნაწილიც,

რის გამოც ძნელდება ცხოველის ჯიშის დანამდვილება. ცხოველის ტანი მოყვითალო-მოყავისფროდაა შეღებილი, აქეთ-იქით მცენარეული ორნამენტი კი მწვანედ.

გავიხსენოთ, რომ მეორე კამპანიის დროსაცა გვაქვს აღმოჩენილი ჯამის ნატეხი, რომელზედაც „გამალებით მიმავალი ლომისა თუ ვეფხვის ტანის გავა, უკანა ფეხები და კუდი“ არის გამოხატული, და ის ნატეხი სათანადო ანგარიშში განსაკუთრებით საყურადღებოდ არის მიჩნეული.

საერთოდ, საქართველოში მოპოვებული, შუაფეოდალური დროის ჯამებზე ცხოველები გაცილებით უფრო იშვიათად არიან გამოხატული, ვიდრე ფრინველები. ასეთი შეფარდება გვაქვს, როგორც ჩანს, ჩვენი სახელოსნოს ნაწარმშიც.

ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები საერთოდ საკმაოდ ერთგვაროვანი არიან. შიდაპირი ყოველთვის დაფარულია თეთრი ანგობით. ამ არის შუა ნაწილში ამოკაწრულია ფრინველი, ხოლო მისი მკერდის წინ და ბოლოს უკან დარჩენილი ადგილები „შევსებულია მცენარეული ორნამენტით“. ფრინველი მუდამ მარცხენა პროფილშია გამოხატული. შეიმჩნევა მისი ორი ტიპი, ორნაირი სტილი თუ მანერა გამოხატვისა (ორი სხვადასხვა მხატვრის ნახელავია), ერთი უფრო მოხდენილია, უფრო წვრილი და მაღალი ფეხები აქვს, მკერდიც უფრო მაღალი და „გაჯგიმული“ და, საერთოდ, მეტი მედიდურობა და თავმომწონებაც კი ახასიათებს. მეორეს უფრო განიერი და გამობერილი მკერდი აქვს, საერთოდ, ჯშუხი ტანი, მოკლე ფეხები, ნაკლებ „ამაყი“ გამოხედვა და სქემატურად, მოკლეთოტებიანი შარვალივით გამოხატული შებუმბულობა ფეხებისა. საერთოდ კი ფრინველი მუდამ აშკარად მტაცებელია, ოღონდ, ასე ვთქვათ, კეთილშობილი ჯიშისა (შევარდენი? მიმინო?). ამას ამტკიცებს მისი ღონიერი, კლანჭებიანი ფეხები, მებრძოლივით მოღერებული ყელი, ბრიალა თვალი და კაუჭა ნისკარტი. ყელ-ნისკარტის, ფრთებისა და ბოლოს გამოხატვაში აშკარად იგრძნობა ლამაზი სტილიზაცია. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მკერდისა, ყელ-ნისკარტისა, ფრთებისა და ფეხების მოღუნულობა ფარგლით იყოს მოხაზული. ყელს გარდიგარდმო ვიწრო ღია ფერის ზოლი გასდევს, ფრთის ძირზე სტილიზებული ყვავილია გამოხატული, მის შემდეგ ორი ღია ფერის რკალია, მერე კი მუქი ხაფრა-ფრთის აღმნიშვნელი, ფეხებზე ჩამოშვებულია შებუმბულული ნაწილის წვეტები და დეზები მკაფიოდაა გამოსახული. ეს ყოველივე გვხვდება პირველ, უფრო ფაქიზ ვარიანტში. (წრეგადასულ სტილიზაციად უნდა ჩაითვალოს ზემოაღნიშნული „შარვალი“, რაც უშნო-სქემატიზმამდე ეშვება, მეორე ტლანქ ვარიანტში).

ფრინველის გამოსახულების გამოსაცოცხლებლად ნახმარია ორი — ყვითელი (ხან ღია ყავისფერი) და მწვანე, ღია ან მუქი. თავ-ყელ-მკერდი ჩვეულებრივ ყვითელი ან ღია ყავისფერია ხოლმე, ფრთები — ჭრელი (ყვითელი და მწვანე მორიგეობენ), ბარკლის ბუმბლიანი ნაწილი — მწვანე, შიშველი კანკები და კლანჭები — ყვითელი. ფრთები ყოველთვის ფოთლისებურად, სხვადას-

ხვანაირადაა სტილიზებული, ბოლო კი — ფარშავანგისას მოგვაგონებს რამდენადმე.

მცენარეული ორნამენტი წარმოდგენილია სტილიზებულად ხვეული, მწვანე, ყლორტებიანი შტოებით, ხოლო ამ ყლორტებს შორის — ბადრიჯნისფერი ხალებია შიშობნეული. ამრიგად, გამოყენებულია ჭიქურქვეშა მოხატულობის მესამენაირი საღებავიც.

საერთოდ კონტურები ამოკაწულია და მერე ისეა წასმული საღებავი, რომელიც ხშირად ვერც ეტევა კონტურებში.

ეს ფრინველიანი ჯამები, რა თქმა უნდა, საინტერესო შესასწავლია როგორც მხატვრული (თვალსაზრისით) და ისე ტექნიკის თვალსაზრისითაც.

ორნამენტით შემკულ და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ ჯამებში რამდენიმე ჯგუფი გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა განსახილველია ის ჯგუფი, რომელშიც გვაქვს მცენარეული ორნამენტი, გამოსახული „სგრაფიტის“ ხერხით. რამდენიმენაირი მოტივია. ერთი წარმოადგენს ოთხ ყვითელ გრძელფურცლებიან ვარდულს, მოთავსებულს თითო სექტორში ჩახაზულ თითო წრეში, წრეთა შორის კი მწვანე შტო-ფოთლებია ჩახაზული. მეორე შედგება ფართო სალტეებისა თუ ხაზებისაგან შექმნილი სწორკუთხედებისაგან, რომლებშიც სტილიზებული მცენარეული ორნამენტია ჩახაზული.

გეომეტრიული ორნამენტის მოტივებს შორის ვხედავთ: მწვანე წვრილხაზოვან ოთხკუთხედებს, რომლებშიც პაწია ყვითელი ან ყავისფერი წრეებია მოთავსებული; მთელი შიდაპირის მომცველ, ყვითელ, მწვანე ან თეთრ (თვით ანგობის) სამკუთხედებს, რომლებშიც შიგ თეთრი წრეებია, იმავე სამი ფერის რომბებს, რომლებიც აგრეთვე ფარავენ მთელ შიდაპირს; რომბებს, რომლებშიც შიგნით პაწია თეთრი წრეებია; გრძელ სამკუთხედებს, რომლებიც ბოლოებით ერთიმეორეს ებჯინებიან და რომლებშიც ან პატარა სამკუთხედები „სხედან“, ან არა და სტილიზებული მცენარეული ორნამენტული მოტივები, ოთხ რადიალურ ხაზს, ან სხვისებრ ზოლს, რომელთა მიერ წარმოქმნილი თითო სექტორში მცენარეული ორნამენტია გამოსახული, სხვისებრ ხაზებს, რომლებიც პირისკენ იშლებიან და ორნამენტით არიან შემკული; „ჭადრაკის დაფას“, რომლის უჯრები შეფერილი არიან მწვანედ, ყვითლად და თეთრად (ანგობითვე); ოვალები, რომელთა ბოლოები თავს იყრიან ფსკერზე და რომლებშიც მარყუჟიანი წრეებია მოთავსებული; წყვილ-წყვილ ხაზებს, რომლებიც ხუთ ადგილას ჰკვეთენ ერთიმეორეს და, ამრიგად, ქმნიან მთელი შიდაპირის დამფარავ ხუთკუთხედს; ასეთივე ხაზები, რომლებიც ქმნიან ასევე მთელ შიდაპირის დამფარავ ექვსკუთხედს (ეს ხშირია).

არის ისეთი ჯამებიც, რომელთაც ფსკერზე რაიმე ცენტრალური მოტივი აქვთ გამოსახული, ხოლო მის ირგვლივ — სხვაგვარი მოტივები. მაგ., შუაში პატარა წრეა და შიგ პატარა სამკუთხედები, ხოლო კიდეს გარშემოსწვრივ — რამდენიმე ღრმა რკალი და მათ შორის — სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, შუაში — წაწვეტილი ოვალი, რომელშიც რამდენიმე ფერადი (თეთრი და მწვანე) ასეთივე პატარა ოვალებია, შუაში — მწვანე ოვალი, ხოლო მის აქეთ-იქით — სტილიზებული მცენარეული ორნამენტი; შუაში — გვერდებზეხეილი ექვსკუთხედი, რომელსაც წვერები შეკრული აქვს პატარა, მწვანე და ყვითელი რკალებით, ხოლო გვერდების შეზნეპილობის არეში — მცენარეული

ორხამენტი; შუაში — წრეა, შიგ — სტილიზებული ხე. გარშემო — სტილიზებული შტო-ყლორტები.

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში გეომეტრიული და მცენარეული მოტივების კომბინაციასთანა გვაქვს საქმე.

ცალკე ჯგუფადაა გამოსაყოფი ის ჯამები, რომლებიც ერთი რომელიმე ფერადი ჭიქურით (ცისფრით, მწვანით, ან ბადრაჯნისფერით) არიან დაფარული და რომელთა ორნამენტიც მხოლოდ ამოკაწრულია ანგობაზე, ხოლო შეფერილი არ არის, ან არა და სულაც უორნამენტოა.

ამ ჯგუფის ორნამენტთან ჯამთა შორის ვხედავთ შემდეგ მოტივებს: მარყუჟიანი წრეების გაბმულას; მარყუჟიანი წრეებისა და სწორი ხაზების მორიგეობას, კიდეს გასწვრივ შემოყოლებულ, ურთიერთის მკვეთ რგოლებს; მთელი შიდაპირის დამფარავ ექვსკიმიანს (უფრო იშვიათად ხუთკიმიანს და ოთხკიმიანსაც) „ვარსკვლავს“.

შედარებით იშვიათია ჯამები, რომლებზედაც ჭიქურჭვეშა ორნამენტი გამოყვანილია თეთრი ანგობით (ვარდულები, რგოლები, ხაზები, „მოძრაობის გამომხატველი ორნამენტი“ და სხვ.).

გამოიყოფა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს თეთრ ანგობაზე მეტ-ნაკლები სიფაქიზით დაღვენთილი ბადრაჯნისფერი წერტილები. ეს უკანასკნელები ან უწესრიგოდაა მიმოფანტული, ან არა და ქმნიან ვარდულებს, წრეებს, ჯგუფებს. ზოგჯერ ამ წერტილოვან ორნამენტს და კლაკნილი ხაზებიც ერთვის.

დასასრულ, უნდა დავაკვირდეთ ჯამთა ბაკოების ორნამენტულ სამკაულს: ზოგი მხოლოდ ერთფერადი ჭიქურითაა დაფარული, ზოგს ამკობს მოკლე ბადრაჯნისფერი ხაზები, ასეთივე ხაზებით გაყოფილი ურთიერთისაგან, ან გადაბმული; ზოგზე მოკლე რკალები და სამკუთხედებია, ყვითლად და მწვანედ შეფერილი, მორიგეობით; ზოგს ღარი შემოუყვება ირგვლივ, ზოგს ჭდეები ამკობს. ყველა ეს მოტივი მხატვრულად შეთანხმებულია ჯამის შიდაპირის მოტივებთან.

ასეთია, მოკლედ და ზოგადად, 1949 წელს მოპოვებული მოჭიქული ჯამები, რომლებიც წინა კამპანიებთან შედარებით ბევრად უფრო მრავალრიცხოვანს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ნაკლებ მრავალფეროვან კოლექციასა ქმნის.

ბადიები, ვ. ჯაფარიძის თანახმად, უნდა ვუწოდოთ დიდრონ ჯამებს. რომელთა სიღრმე 12 სმ-დე აღის, ხოლო პირის დიამეტრი — 20 სმ აღემატება. შესაძლოა, ეს იგივე იყოს, რაც მაგ., კახური ჭურჭელი „ორჯამიანი“.

1949 წლის მონაპოვარში 25 ასეთი დიდი და გაშლილი ჯამი, ე. ი. ბადია დაითვლება, მათ შორის მხოლოდ ერთი იყო მთელი და ერთიც შეკოწიწებულია, ამ ორის მიხედვით შეიძლება სრული წარმოდგენის შექმნა აქაურ ბადიათა რაგვარობის შესახებ. კეცი მეტწილად წითლადაა გამომწვარი, მაგრამ არა ყოველთვის.

ჩვეულებრივ ეს ბადიები წრმოადგენენ პირგადაშლილს, ქიმბალასა და ძლიერ კალთებდაქანებულ ჭურჭელს, რომელსაც დაბალი ქუსლი აქვს. მოჭიქულია ჭურჭლის შიდაპირი, რომელზედაც მანამდე ამოკაწრულია სხვადასხვა ორნამენტი. ეს უკანასკნელი მეტწილად გეომეტრიულია. ამოკაწრულ ნახაზებში ჭიქური უფრო სქლად ჩაიდვრება ხოლმე და ამიტომ ორნამენტი მკაფიოდ გამოსკვივის ერთფეროვან ჭიქურს ქვემოდან.

მაგრამ, გეომეტრიულს გარდა, სხვაგვარი გამოსახულებაც გვხვდება ბადი-ებზე. ავიღოთ მაგალითად, № 2765 (სავ. წიგნ. № 1675). მისი შიდა ნაწილი დაფარულია ანგობით, რომელზედაც მოჭიქვამდე მსხვილხაზოვნად ამოკაწრულია ფრინველი, ხოლო მის აქეთ-იქით — მცენარეული ორნამენტი. ყოველივე ეს მოჭიქვამდე შეფერადებულია სხვადასხვა საღებავით, ხოლო შემდეგ დაფარული გამჭვირვალე ჭიქურით. ნაპირს ირგვლივ შემოუყვება მწვანე წრე, ბაკო გამოყოფილია მუქი ყავისფერით. ფრინველს უკავია ჭურჭლის შუა ადგილი, იგი გამოხატულია პროფილში, მკერდგამოწეული ხაზგასმით გამოხატული კლანჭების მქონე წვრილი ფეხები განდაგან დაუბჯენია. ნისკარტი მოკაუჭებული აქვს. მისი შეფერალობა, რა თქმა უნდა, პირობითია: თავი, მკერდი და ფეხები მოყვითალო-მოყავისფრო აქვს, ხოლო ფრთებზე იგივე ფერი და მწვანე მორიგეობენ. მცენარეული ორნამენტი ძირითადად მწვანეა, ოღონდ აქა-იქ მუქი ყავისფერი ხალები აყრია... ბადის სიმაღლე უდრის 10 სმ, პირის დიამეტრი — 24,5 სმ, ძირისა — 10 სმ, იგი შიგნით ოდნავ გაბზარულია, პირი ორგან ჩამოტეხილი აქვს.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს ბადია იყო ერთი იმ ჭურჭელთაგანი, რომელიც საჭიქურე ფხვნილით იყო სავსე და შედიოდა იმ საისტერესო გროვაში, XVIII თხრილში რომ აღმოჩნდა, მე-6 ქურის მახლობლად.

მეორე ნიმუში, შესაკოწიწებელი ნატეხებით წარმოდგენილი (№ 2355, სავ. წიგნ. № 1385, XIV თხრილში, მე-7 ქურის არეში ნაპოვნი) ძალზე გადაშლილი, ბაკობრტყელი და ქიმდაბალი ბადია ყოფილა. შუაში გამოხატული ყოფილა დიდი ფრინველი, რომლისაგანაც შემორჩენილია ბოლოს ნაწილი (მწვანე და ყავისფერი), ფეხები და ღონიერი კლანჭები (ყავისფერი), თავისუფალი არე შევსებულია გეომეტრიული ორნამენტით (მწვანე ოთხკუთხედებში მოთავსებული მოყვითალო წრეები) და ყავისფერ ხალთა ჯგუფებით, ბაკო (1,5 სმ სიმაღლე) დაფარულია მწვანე და ყავისფერი რომბებით, რომლებიც ყავისფერი ხაზებით არიან ერთიმეორისაგან გამოყოფილი. ქიმის გარეთა პირზე თეთრ ანგობს ყავისფერი კლაკნილი ხაზი დაუყვება.

ასეთია მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ბადიები. როგორც ვხედავთ, ისინი, სიდიდის გარდა, არაფრით არ განირჩევიან ამგვარივე ჯამებისაგან, ტიპოლოგიურად ისინი ერთ ერთეულს შეადგენენ.

ისევე, როგორც ჯამებში, აქაც არის მოუხატავი და ფერადი ჭიქურით დაფარული ცალები. ასეთია მაგალითად, № 2276 (სავ. წიგნის № 1325, XIV თხრილიდან), დიდი, გადაშლილი, სწორპირიანი და ვიწრობაკოიანი, ქიმძალაღი, ძალზე დაქანებული და შევიწროებული. კალთები აქვს, დაბალია, გამოყვანილი, შიგ შეზნეპილი ქუსლი. კეცი წითლადაა გამომწვარი, ჭიქური ცისფერი აქვს მოსხმული. ქიმის ბოლოს ირგვლივ შემოსდევს ორი წვრილი პარალელური ხაზი, რომლის ქვემოთ 8 სმ სიმაღლეზე ორნამენტი, ხოლო ამ უკანასკნელს ქვემოთ — ისევ ორი წვრილი პარალელური ხაზი. ორნამენტი შედგება ბრტყელი გრებილი ხაზებისაგან, რომელთა შორის „არაბული დამწერლობის“ მსგავსი რამ მიიკლაკნება (ეს მოტივი ძალიან გავრცელებულია ამდროინდელ ჯამთა გარეთა კიდებზედაც; აქაც და სხვაგანაც). შიგნიდან არე სულ ცარიელია. ბადის სიმაღლე 15,5 სმ უდრის, პირის დიამეტრი — 46,0 სმ (!), ძირისა — 12,5 სმ, ქიმის სიგანე — 4,0 სმ, ბაკოს სიგანე — 2,0 სმ.

დანარჩენები წარმოდგენილია ძირ-გვერდის, პირ-გვერდის და სხვ. ნატეხებით, რომელთა მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გეომეტრიულ ორნამენტთანა გვაქვს საქმე (კონცენტრული ერთიგვარეში ჩასმული წრე-რგოლები, რადიალური ხაზები და სექტორები და ა. შ.), ჭიქური არის ბადრიჯნისფერიც (უფრო ხშირად) და ცისფერიც. კეცი უფრო ხშირად წითელია, მაგრამ არის მოვარდისფროც და მონაცრისფროც.

მოჭიქული სამშენებლო კერამიკა. როგორც წინა კამპანიათა ანგარიშებიდანაც ვიცით, ჩვენ მიერ შესწავლილი სახელოსნოების ნაწარმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდა აგრეთვე სამშენებლო კერამიკა — მოუჭიქავი თუ მოჭიქული კრამიტი და სხვადასხვაგვარი დეკორატიული აგური თუ შორენკეცი. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კამპანიის განმავლობაში არსად მიგვიკვლევია, ნიშანდობლივ ქურა, რომელზედაც შეიძლებოდა თქმა, კრამიტისა თუ აგურის გამოსაწვავად ყოფილა განკუთვნილი. მაგრამ ეს მაინც ვერ შეგვიშლის ხელს, ყოველივე ზემოაღნიშნული (ისევე როგორც მრავალრიცხოვანი ჩვეულებრივი აგური თუ კერამიკული ფილა, თვით სახელოსნოს შენობათა მოსაწყობად გამოყენებული) აქაურ ნაწარმად მივიჩნიოთ — მით უმეტეს, რომ აღნუსხული გვაქვს მოჭიქული კრამიტისა და შორენკეცის წუნდებული და განატეხი ცალები.

ზემოთ, ვანათხარის უბნობრივ ვანხილვისასაც არაერთგზის მოგვიხდა აღნიშვნა მოჭიქული სამშენებლო კერამიკის აღმოჩენისა. სამუზეუმოდ წამოღებული ნიმუშების რაოდენობა 23 უდრის. მათ შორის ნატეხებით წარმოდგენილი.

კრამიტი 16 ცალია: 11 ცისფრად მოჭიქული (ამათგან 2 ღარისებრისა, ერთს წახნაგოვანება ეტყობა, დანარჩენი გვერდებაკეცილი ბრტყელისა, რომელთაგან ორს ანაკეციც შემორჩენია), ხოლო 5 — მწვანედ მოჭიქული (მათ შორის ერთი ღარისებრისა). ბადრიჯნისფრად მოჭიქულისა მხოლოდ ერთი ნატეხი ჩანს.

შორენკეცი და აგური 7 ცალია; 4 ცისფრად მოჭიქული, 2 — მწვანედ და ერთიც — ჭიქურგაშავებული, წამხდარი (შესაძლოა, ბადრიჯნისფერი იყო და ის წახნადა?). ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ნატეხი: მაგ., № 2442 (სავ. წ. № 1458) — წითლად გამომწვარი, ზემოდან მწვანედ მოჭიქული და მოჭიქვამდე წნული ორნამენტით დაშვევნიებული; ხოლო ამ ორნამენტს შიგნით — თითქოს ხელშუბიანი მეომრის მკლავია გამოსახული ექვსკუთხედი, მოწითალოდ გამომწვარი. მწვანედ მოჭიქული (№ 2486, ს. წ. № 1498); № 3068 (ცისფრად მოჭიქული და ხაზოვანი ორნამენტით შემკული (ს. წ. № 1811)).

მოჭიქული ნაწარმის ნახევარფაბრიკატები⁹ წარმოდგენილია სულ 59 ერთეული, რომელთა შორის ორი სამშენებლო კერამიკას მიეკუთვნება, დანარჩენი კი ჭურჭლეულს. როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი მასალაა და მას, 1943 წელს დაგროვილ, მრავალრიცხოვან ნახევარფაბრიკატებთან ერთად, გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება ტექნოლოგიური პროცესის საგანგებოდ შესწავლისათვის. კერძოდ, ამ ნიმუშების მიხედვით კიდევ ერთხელ აშკარა ხდება, რომ

⁹ მე-2—მე-8 თავების დაწერაში დიდი დახმარება გავგიწია ჩვენი ვანყოფილების ფეოდალური ხანის ჯგუფის ლაბორანტმა ნ. მამაიშვილმა.

მოქიქვამდე ნაწარმს აუცილებლად ესმოდა ანგობი (მეტწილად თეთრი, იშვიათად პირისფერი) და ამ უკანასკნელზე იხატებოდა, რაც სურდათ, ამოკაწვრა—ამოლარვით („სგრაფიტო“) და შემდეგ უკვე ფერადებითაც, სულ თითო-ორო-ლა თუ იქნება, რომელსაც ანგობი არ ეტყობა.

დიდი უმეტესობა (40 ცალი) წარმოდგენილია ჯამებით — უფრო სწორად, ჯამთა ნატეხებით, რადგან მთელი არც ერთი არა გვხვდება, ერთი ნომერი — ლანგრის ნატეხებია, სამი — სამარილეა (რომელთაგან ორი თავისებური, სოკოსებრი მოყვანილობისა), ოთხი — ნიუარისებრი ჭრაქი, ერთი ქილა და ორი ქილის ნატეხები, სამი — ხელადის ანუ საღვინის ნატეხები და ერთიც გაურკვეველი ჭურჭლისა. სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია ორი შორენკეცით.

რამდენადაც უკვე ვიცნობთ ჩვენი სახელოსნოს ნაწარმის სხვადასხვა ჯგუფთა რაგვარობას, არ უნდა გაგვივირდეს, რომ სგრაფიტის წესით გამოყვანილ ორნამენტსაცა და შეღებილობასაც მხოლოდ ჯამებსა და ლანგარზე ვხედავთ. ერთი წყება (18 ც.) ჯამები ამოკაწვრით კი არის მოხატული, მაგრამ შეღებვამდე ველარ მიუყვანიათ, 22-ზე კი არის საღებავის ნაშთები აშკარად ან მხოლოდ ნაშთების სახით. საღებავები, ჩვეულებისამებრ, წარმოდგენილია 3 ფერით: მოყვითალო-მოყავისფრო, მწვანე და მუქი ბადრიჯნისფერი (მოშავოდ ქცეული). თუ შეუღებავსა და შეღებილს ერთობლივ განვიხილავთ, შემდეგ სურათს დავიხაზავთ. ორ ჯამზე ამოკაწრული და ფერადებით (ერთ შემთხვევაში — № 2311—ყავისფერითა და ბადრიჯნისფერით, ხოლო მეორეში — № 2373 — მწვანითა და ყავისფერით) მოხატულია ზღაპრული არსება — ქალის თავიანი ფრინველი, რომლის მსგავსი გვქონდა II კამპანიის მონაპოვარშიც და რომელიც, როგორც სათანადო ანგარიშშიც აღვნიშნეთ, უფრო სომხურსა და ირანულ კერამიკაში პოვებს ანალოგებს¹⁰. აქ ხაზი უნდა გავუსვათ მსგავსებას ამ ჯამებსა და ზემოაღწერილ, გვირგვინოსანი ადამიანის თავ-ყელის მქონე ფაიანსის ჭურჭელს შორის: ჯამებზედაც გვირგვინოსანი ქალის თავები ასხიათ ზღაპრულ ფრინველებს — სირინოზებს.

5 ნატეხზე შეშორჩენილია ფრინველის გამოსახულების (შესაძლოა, ზოგჯერ, როცა თავი არა ჩანს, აგრეთვე „ქალ-ფრინველის“) ესა თუ ის ნაწილი — ხშირად ნაკლული, მაგრამ უტყუარი, მცენარეული ორნამენტის თანხლებით.

16 ნატეხზე, (მათ შორის ერთი ლანგრისაა) ვხედავთ მცენარეული ორნამენტის ნაშთებს (ყოველთვის ვერც ვიტყვით დანამდვილებით, რომ იგი ფრინველის გამოსახულების თანხლები არა ყოფილა).

17 ნატეხზე ესა თუ ის გეომეტრიული მოტივებია: „ვარსკვლავი“, „ჭადრაკის დაფა“, „მარყუყებიანი წრე“, ერთმანეთზე გადაბმული წრეები. სამკუთხედებად დაყოფილი კვადრატები „ხვეულა“, ოთხი სექტორი და შუაში თითო მუქი წერტილი თუ ხალი, წრეხაზზე ურთიერთმკვეთი ზოლები.

ცალკე უნდა აღინიშნოს: გამოუწვავი თიხის ჭურჭლის 12 ნატეხი, ნაპოვნი XVIII თხრილში, მე-6 ქურის შორი-ახლოს.

დანარჩენ ჭურჭელზე არა ჩანს სგრაფიტის წესით გამოყვანილი ორნამენტი, მაგრამ ზოგიერთზე ვხედავთ სხვა წესით გამოყვანილს. ასე მაგ., ორ საღვინე ხელადას ყელზე შემოვლებული აქვს რელიეფური სარტყელი, არავითა-

¹⁰ გ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 156—157. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1955.

რი ორნამენტი არა აქვთ არც სამარილეებსა და არც ჭრაქებს (თუმცა მეორე და მესამე კამპანიების დროს შეგვხვდრია სამარილეები, რომელთაც ფართო ბაკოზე ორნამენტული წრე გარშემოუყვებათ).

ნახევარფაბრიკატი სამშენებლო კერამიკა, როგორც ვიცით, წარმოდგენილია ორად ორი შორენკეცით, ორივე XVIII თხრილშია ნაპოვნი, კედელწყობის ნაშთზე მიყუდებული. ორთავე „დიამეტრი“ უდრის 16,0 მ (№№ 3250, 3251, სავ. წ. № 61863). ორივე ექვსკუთხედიან, წითელკეციანი და ორივეს მხოლოდ ცალი მხარე აქვს ანგობით დაფარული ისე, რომ მოჭიქვაც მხოლოდ ამ ზედაპირისა ყოფილა განზრახული, რაც სავსებით ბუნებრივია კედლის ქერისა თუ იატაკის ბათქაშში ჩასმული შორენკეცისათვის.

მოუჭიქავი ნაწარმი. ისევე, როგორც წინა კამპანიებში, მრავალრიცხოვანი გაშოდვა მოუჭიქავი ნაწარმიც — ე. ი. ისეთი, რომელიც არ ყოფილა მოსაჭიქავად განკუთვნილი და რომლის დიდი ნაწილი, შესაძლოა, თვით ამ სახელოსნოებში კი იყო გაკეთებული, მაგრამ ხელოსანთა მიერ საქმეში და სამზარეულო-სასუფრედ ყოფილა გამოყენებული და არა გასაყიდად.

ამ მასალაში ორი ძირითადი ჯგუფია: 1) ჭურჭლეული და 2) სამშენებლო კერამიკა.

მოუჭიქავი ჭურჭლეული წარმოდგენილია: „ქვევრისა და დერგთა ნატეხებით, გობებით, დოქ-ხელადებით, ქოთნებით, სასმისებით, თევშებით; გაურკვეველ ჭურჭელთა ნატეხებით, ყურებით, სარქველებით, მილებითა და სფეროკონუსებით“. დამახასიათებელია, რომ აქ ვერა ვხვდებით ჯამებსა და ბადიებს, კეცი ამ ჭურჭელს მეტწილად წითლადა აქვს გამომწვარი, მაგრამ არის ყვითელი და მოთეთროც.

ქვევრისა ერთი ნატეხი გვაქვს, პირ-გვერდისა (ველზე ბევრად მეტი იყო, მაგრამ ყველა არ წამოგვიღია). იგი გამოირჩევა ყელზე ღრმა ნაჭდევებით.

დერგისა თუ მსგავსი დიდი ჭურჭლების ნატეხები 5 ნომრითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი შემკული ყოფილა რელიეფური დაკბილული რკალებითა და ამოღარული სწორი თუ ტალღოვანი ზოლებით. მეორე — ყელს ირგვლივ ამოღარული სწორი და ტალღოვანი ზოლები. მესამე — ორი რელიეფური დაკბილული სარტყლითა და რელიეფური კვადრატებით, რომლებშიც შიგ თითო წერტილია.

გობები თუ გობისმაგვარი ჭურჭელი წარმოდგენილია 8 ნომრით. მათთვის დამახასიათებელია სამკუთხოვანი, ოდნავ ზეაწვდილი ბრტყელი, დაჭდეული ან დაწერტილი ყური. თვით გობებს ირგვლივ ზოგჯერ რელიეფური სარტყელები შემოუყვებათ.

დოქები თუ ხელადები და მათი ნამტვრევები (წამოდებული გვაქვს მხოლოდ ტიპური ნატეხები). წარმოდგენილია 21 ერთეულით, რომელთა შორის ურვეია ერთი დიდიც, შესაძლოა კოკის ყელი. დოქ-ხელადებს შორის საკმაოდ ბევრი (14) მოყვითალოდაა გამომწვარი, რაც ჯამებზე არ ითქმობდა. ერთი მონაცრისფროდ გამომწვარიც არის, დანარჩენი — წითელი ან მოწითალოა, ამ ჭურჭლის შემკულობა ფრიად მარტივია: ყელს ირგვლივ ამოღარულ წრეთა ორი ან მეტი სარტყელი, ერთი ან ორი რელიეფური, ჭდეებიანი სარტყელი, თითო-ორი კდედამოკაწრული კლაკნილები და სხვ. ერთ

შემთხვევაში დოქი მოხატულია წითელი და შავი ზოლებით (სწორითა თუ კლაკნილით). ზოგს თიხისავე პატარა მეკეცი აქვთ დაძერწილი.

ქოთნები, ქვაბ-ქოთნები და კოჭბები წარმოდგენილია 7 ერთეულით, რომელთა შორის არის ერთი ქვაბ-ქოთნისებრი ჭურჭლის ქვედა ნაწილი თეთრი ფხვნილით (საჭიქურე ნედლეულით) სავსე, იგი შედიოდა იმ, გობისებრი და სხვ., ჭურჭლების გროვაში, XVIII თხრილში რომ აღმოჩნდა. ქოთნების მეტწილს კეცი ლეგა-მოწითალოდა აქვს გამოწწვარი. გარედან ქოთნები თითქმის შეუშკობელია და ეს ასეც უნდა იყოს: ისინი მუშა, ნამდვილ საოჯახო ჭურჭელს წარმოადგენენ.

არის თევზების მსგავსი ჭურჭლის ნატეხებიც (მაგ. № 1558) და თითქოს კეცისაც (მაგ. № 1522).

სასმისებად მიჩნეული რამდენიმე (8—9) ჭურჭლის განსაზღვრა პირობითია და იმას ემყარება, რომ მათი სწორი ფართო პირი და ძირისაკენ შევიწროებული ტანი აქვთ, ხოლო ზოგს კი ლულოვანი შვერილი აქვს დაძერწილი.

ჭრაქები წარმოდგენილია 2 მთელი და ორისაც ნატეხები. ყველა ერთი ტიპისაა: ძირბრტყელი, პირფართო, ყელდაბალი, მუცელმრგვალი და წინ გაშვერილი საპატრუქე ლულით აღჭურვილი. უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენ მიერ გათხრილი სახელოსნოს ნაწარმში მრავლადაა სულ სხვა ტიპის სამკუთხა-ნიჟარისებრი ჭრაქები და კი არა გვხვდება ამგვარი. ამიტომ ეს ოთხი ჭრაქიც ხელოსანთა მიერ საქმეში ნახპარად და არა მათ გასაყიდად გაკეთებულად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ სამ მათგანს ლულა შებოლილი აქვს. სამი წითლად ან მოწითალოდაა გამოწწვარი, მეოთხე—მოყვითალოდ. მთელი ჭრაქების სიძალღე უდრის 8 და 9 სმ, ლულის სიგრძე — 6,5 და 7 სმ, პირის დიამეტრი — 5,2 და 5,0 სმ, ლულისა — 1,8 და 2,0 სმ.

საყურადღებოა, რომ, საერთოდ, ამგვარი, ლულიანი ჭრაქები სომხეთში უფრო ჩანს გავრცელებული¹¹ და უფრო მრავალფეროვანიცაა, ვიდრე ჩვენში. ცალ-ცალკე შემორჩენილი 5 ყური, 6 ლულა და 3 ბრტყელი (ერთ შემთხვევაში თავწოპიანი) სარქველი ალბათ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფთაგან, რამდენსამე. ერთიც აგურისფრად გამომწვარი საცობია (№ 1515).

გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ჭ უ რ ჭ ე ლ თ ა ნატეხებში (12 ც.) არაფერია საყურადღებო, გარდა მარტივი რელიეფური სამკაულის ნაშთებისა. ზოგი მათგანი შებოლილია, ე. ი. საშხარეულოში უხმარიათ. ზოგი აქაც მოყვითალოდაა გამოწწვარი.

„სფეროკონუსები“ ისევე, როგორც წინა კამპანიითა დროს, ძალიან ცოტაა, სულ 3 ცალი გვაქვს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ისინიც სადმე ამ სახელოსნოში არა მზადდებოდა — მით უმეტეს, რომ მეორე კამპანიის დროს გადანაყარის გროვაში აღმოჩნდა მათი ნატეხები.

ერთი ამათგანი (№ 2385, სავ. წიგნ. № 1408, XIV თხრილში ნაპოვნი). ჩალისფერადაა გამოწწვარი. სქელია და მაგარი, ნატეხს შემორჩენილი აქვს შვეული ფართო ზოლი და უფრო მოკლე ზოლები, რომელთა შორის ამოტვიფრულია ფოთლები და პატარა ყვავილები თუ ვარდულები.

¹¹ იხ. მაგ., კ. ლ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, დამოწმ. ნაშრომი, სურ. 156.

შეორე (№ 2386, სავ. წიგნ. № 1409, XXII თხრილში ზღუდის ძირას ნაპოვნნი) მუქ ნაცრისფრადაა გამომწვარი, აგრეთვე სქელია და მაგარი, გვერდებზე დატვიფრული აქვს თევზიფხური ორნამენტი. საყურადღებოა, რომ ზედაპირზე თითქოს მოყვითალო ანგობიც ჰქონია წასმული, რაც საკმაოდ გაუგებარია, ვინაიდან სფეროკონუსებს, როგორც ცნობილია, არსად არა სჭიქავდნენ. ასე რომ, თუნდაც ანგობი ჰქონდეს წასმული, ეს სფეროკონუსი ნახევარფარეკატად ვერ ჩაითვლება და წუნდებულობის ან გატეხის გამო გადაგდებულ ნაწარმად — კი.

შესაშე (№ 3447) პატარა ნატეხია, მოყვითალოდ გამომწვარი, სქელი.

მოუჭიქავი სამშენებლო კერამიკა ჩვენ მიერ წამოღებულ მასალაში წარმოდგენილია სულ 3 ნიმუშით, თორემ თხრისას როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, უამრავი აგური, კრამიტი, კერამიკული ფილა და რამდენიმე მილის ნატეხი შეგვხვედრია, მაგრამ ისინი ველზედვე აიზომა. ჩაიხაზა და აღარ წამოგვიღია.

წამოღებული გვაქვს: წითლად გამომწვარი აგურის ნატეხი, რომელზედაც შემორჩენილა გამოწვამდე ზედ დაბიჯებული ცხოველის თათის აღნაბეჭდი; ლარისებური, წითლად გამომწვარი, შვერილიანი კრამიტის ნატეხი; წითლად გამომწვარი ფილის სამკუთხოვანი ნატეხი (სამკუთხედ აგურსაც კი ჰგავს), რომელსაც კიდეებზე ამოკაწრული აქვს ორი პარალელური ხაზი, ასეთივე ხაზებით იგი შუახეა გაყოფილი, ხოლო ამათ აქეთ-იქით ამოკაწრულია თითო ჯვარი, რომელთა ბოლოებთანაც წერტილებია დასმული.

წუნდებული კერამიკული ნაწარმი საანგარიშო კამპანიის დროს გაცილებით უფრო ნაკლები დაგვიგროვდა და ეს გასაგებიცაა: წინა კამპანიისაგან განსხვავებით, ახლა გადანაყარის გროვა აღარ გვითხრია, ხოლო ქურათა მახლობლად ამჯერადაც წუნდებული ნაწარმი იშვიათად გვხვდებოდა. მაგრამ... თხრილში ვიპოვნეთ ერთი ისეთი წუნდებული საგანი, რომლის მსგავსი წინა კამპანიების დროს არსად გვინახავს. ეს არის ზედმეტი სიმჭურვალისაგან გამლღვარი და ერთიშეორეს შედუღებული ნიჟარისებრი ჭრაქი, ჯამის ნაწილი და ქურაში ჩამოსაკიდი ორმაგი კაკვის ნატეხი¹². ამ შენადულმა საბოლოოდ დაადასტურა კაკვების ასეთი დანიშნულება და ჯამებისა და ჭრაქების კაკვით ჩამოსაკიდ ყურიან ჭურჭელთან ერთად ქურაში ერთად გამოწვის ფაქტი.

ქურის ნაწილებიდან საანგარიშო კამპანიისას მოკრებილი გვაქვს 9 ორმაგი კაკვი, ზოგი თითქმის სრული, ზოგი კი ნაკლული, ზოგზე ცისფერი ჭიქურის ნალენთებია. გვაქვს აგრეთვე გამოუწვავი სოლის 2 ნატეხი (№ 107 — სავ. წიგნ. № 1672, XVIII თხრილში, მე-6 ქურის მახლობლად ნაპოვნნი) და სოლისა და გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხი, ერთმანეთზე მიდუღებული, სადაც სოლს აქა-იქ ცისფერი ჭიქური აქვს დაღვენილი (№ 3343, სავ. წიგნ. № 1903, XXII თხრილში ნაპოვნნი, ქურისაგან მოშორებით). დასასრულ, აღსანიშნავია 6 პატარა კერამიკული სამფეხა, წითლად გამომწვარი. ისინი, როგორც კარგადაა ცნობილი, იხმარებოდნენ ქურაში გამოსაწვავად შელაგებული ჯამებისა და სხვათა ერთიმეორისაგან გასათიშავად.

¹² ეს საინტერესო მონაპოვარი გამოქვეყნებული გვაქვს წინასწარ, 1948, წლის ანგარიშში (იხ. ტაბ. IV, I, მარცხნივ).

ნედლეულის, გაძოსაყენებლად მომარაგებულისა და ვერგამოყენებულის ნიმუშები, როგორც ითქვა, სანგარიშო კამპანიისას მრავლად იქნა მოპოვებული. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა XVIII თხრილში გამოვლენილი გროვა, რომელშიც რამდენიმე მოზრდილი ჭურჭელი იყო, თეთრი ფხვნილით სავსე. ეს ნიმუშები ნოდრის სახითაა წარმოდგენილი ჩვენს კოლექციაში (№№ 1680, 1926). სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა მათი (ისევე, როგორც სხვა თხრილებიდან წამოღებული, ყვითელი და სხვა უჩვეულო ფერის მიწის ნიმუშების) ქიმიური და პეტროგრაფიული შესწავლა, რაც უთუოდ უნდ გაკეთდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ცისფერი ჭიქურის მოზრდილი ბურთულა.

მექურჭლეთა ხელსაწყოები საანგარიშო კამპანიაში საყურადღებო საგნებითაა წარმოდგენილი.

მათგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მშვენივრად გაკეთებული და ასევე დაცული ხელწისქვილი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, საჭიქურე ნედლეულის დასაფქველად იხმარებოდა (№ 1968, სავ. წიგნ. № 43, IX თხრილიდან).

არანაკლებ საინტერესოა სასწორი, რომლის რკინის უღლისაგან დაჟანგული ნატეხები და აგრეთვე სპილენძის ორივე ჯამი შემორჩენილა, ერთიმეორეში ჩადგმული და ჩაკრული (№ 3566, სავ. წიგნ. № 1700, XXII თხრილში ნაპოვნი), ბუნებრივი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს სასწორი საჭიქურე მასის ფაქიზ ინგრედიენტების გამოსაწონად იხმარებოდა ხოლმე ხელოსანთა მიერ.

არის აგრეთვე სხვა ხელწისქვილის ზედა ქვის ნატეხი (ნახევარი), რკინის ასტამისებრი საგანი, რკინის „მაჯაროს“ წვერის მსგავსი საგანი. სპილენძისა თუ ბრინჯაოს ქლიბისებრი საგანი, დამტვრეული და სხვ. მაგრამ მათი დანამდვილებით განსაზღვრა და მით უმეტეს მექურჭლეთა ხელსაწყოებად მიჩნევა ჭირს და ამიტომ აქ მათ შესახებ სიტყვას აღარ განვაგრცობთ.

მინის ნაწარმი. სამწუხაროდ, ვერც საანგარიშო კამპანიის დროს მოხერხდა უშუალოდ მიკვლევა საკუთრივ მინის სახელოსნოთა ნაშთებისა, მაგრამ მინის სხვადასხვაგვარი ჭურჭლისა და სამაჯურების ნამტვრევი კვლავ მრავლად მოიკრიბა (ძიუხედავად იმისა, რომ, გავიმეორებთ, გადანაყარის გროვას უკვე აღარა ვთხრიდით), ხოლო მათ შორის ზოგი წუნდებულად შეიძლება ჩაითვალოს. ისე რომ წინა კამპანიის შედეგად გამოტანილი შთაბეჭდილება, რომ სადღაც ახლოს მინის სახელოსნოებიც მდგარა და მაშასადამე საწარმოო კომპლექსთანა გვაქვს საქმეო, არა თუ არ შესუსტებულა, არამედ განმტკიცდა კიდევაც, მით უმეტეს, რომ ასეთი კომპლექსები ცნობილია შუა საუკუნეთა კიევში, კორინთაში და სხვ. ნაკლებ დამაჯერებელი გვეჩვენება ჩვენ მიერვე წინა ანგარიშში წამოყენებული ვარაუდი. ეს მინა საჭურჭლე მასალააო.

ზემოთაც ვამბობდით, გზადაგზა, და აქაც გავიმეორებთ, რომ ზოგიერთი საველე დაკვირვება უფლებას გვაძლევს, მინის სახელოსნო ვივარაუდოთ იმ ზედა ტერასაზე, რომელზედაც ახლა რუსული და აზერბაიჯანული სკოლების დიდრონი შენობებია აღმართული და რომლისკენაც თავის დროზე ჩვენ მიერ გათხრილი კერამიკული სახელოსნოდან აგურის კბით (იხ. ზემოთ) აღიოდნენ ხოლმე.

ჩვენი ექსპედიციის მიერ მოპოვებული მინის ნაწარმი შესწავლილი აქვს მეცნ. კანდ. ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე ს, ხოლო მის მიერ შერჩეული ნიმუშები

ქიმიურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მეცნ. კანდ. რ. ბახტაძეს, აქ მოკლედ გადმოვცემთ მათი კვლევის შედეგებს.

ნ. უგრელიძის ნაშრომის მიხედვით, თბილისის ექსპედიციის მიერ 1948 — 1949 წლებში სულ მოპოვებულია მინის სამაჯურთა 100-ოდე ნატეხი (99 №№), ხოლო საკუთრივ 1949 წელს, ე. ი. მესამე კამპანიისას, 46 ნატეხი (ამათი ჩანახატები და აღწერა-განაზომები ცალკე ბარათებზე ერთვის ჩვენ ანგარიშს¹³). მოპოვებულ სამაჯურთა შორის შეიძლება გამოიყოს 4 ტიპი:

სადა მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები. ეს ტიპი ყველაზე უფრო გავრცელებულია შუა-ფეოდალური დროის საქართველოს არქეოლოგიურ მასალებს შორის (დმანისი, რუსთავი, უჯარმა და სხვ.). 1949 წლის მონაპოვარში ეს ტიპი წარმოდგენილია 14 ნატეხით, რომელთა შორის 7 შავი მინისაა (ზოგი კარგი, კრიალა, ზოგი — უფრო მდარე, გაუმლღვარი ნაწილაკების ამონაბურცებით), 5 — სხვადასხვა ელფერის ლურჯი მინისა (მათ შორის ორი კარგი ხარისხისა), 1 — მუქი მწვანე მინისა, დიდი, 1 — მოყვითალო მინისა, არა თანაბარი სიმსხოსი, დაბრეცილი, ზედაპირდაღარული, „აშკარად წუნდებულ“. განსაკუთრებით საყურადღებოა ღია ცისფერი მინისებრი პასტის წვრილი (0,3 სმ) სამაჯურის ნატეხი (№ 2309), რომლის მსგავსი აქ მეტი არა ჩანს, ერთი ნაპოვნია დმანისში თხრისას 1938 წელს, ხოლო ერთიც — 1957 წელს, ნატბეურში თხრისას.

ცრუგრებილი, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები. სულ ექსპედიციის მიერ 17 ასეთი ნატეხია ნაპოვნი, მესამე კამპანიისას — 8, ამათგან 1 შავია, 1 ღია მწვანე, 2 ლურჯი და 3 ცისფერი. მინა სხვადასხვა ხარისხისაა, გამოფიტვის სიმღიერეც სხვადასხვაა. „გრებილობა“ ზოგს ხშირი, ფაქიზი და თანაბარი აქვს, ზოგს — მეჩხერი, მკრთალი და არათანაბარი.

გრებილი, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები. სულ 14 ასეთი ნატეხია, აქედან 1949 წელს — 5. ამათგან 3 შავია, 1 ღია მწვანე და 1 — ცისფერი. გრებილობა სხვადასხვაგვარია. განსაკუთრებით მოხდენილია ერთი (№ 2495), რომლის გრებილშიც სიმეტრიულად ენაცვლება ერთიმეორეს მსხვილი და წვრილი ზოლები.

წიბოიანი, სამკუთხაგანივკვეთიანი სამაჯურები. 1949 წელს ნაპოვნია 3 ფერადი ნატეხი ასეთი სამაჯურებისა: მწვანე, ლურჯი და ლამაზი მუქი ღვინისფერი. შიგნიდან ბრტყელია, გარედან მაღალი წიბო გარშემოუყვება.

სამაჯურთა ამ ოთხივე ტიპს მრავლად მოეძებნება ანალოგია, როგორც შუა ფეოდალური ხანის საქართველოს განათხარებში თუ შემთხვევით მონაპოვრებში (რუსთავი, დმანისი, უჯარმა, ნაჭივჭავები, გორი, გურჯაანი, წოფი), ისე საქართველოს გარეთ — განსაკუთრებით კი სადასა და ცრუგრებილ ტიპებს (ყირიმში, კიევიში, მოსკოვიში). ოღონდ ამ უკანასკნელ ადგილებში ისინი XII საუკუნით თარიღდებიან, ჩვენში კი ბევრად უფრო ადრეც გვხვდებიან: ასე, მაგ. ისინი ნაპოვნი არიან რუსთავში ამ ბოლო დროს აღმოჩენილ ქვისსამარხებში, რომლებიც, მარჯნისთავიან საკინძთა მიხედვით, ნამდვილად VIII—IX საუკუნეებზე უფრო ახალი ვერ იქნებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, სამაჯურთა ეს ტიპები ჩვენში დიდხანს განაგრძობს არსებობას, რაკი ნატბეურის მინის საწარმოში (რო-

¹³ კრებული განსაზღვრული მოცულობის გამო აღნიშნული ჩანახატებისა და აღწერილობათა დამატება ვერ მოხერხდა.

შელიც ნ. უგრელიძის მიერ ითხრება და XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის დაძვევითაა მის მიერ დათარიღებული) არა ერთი ნატეხია ნაპოვნი ცრუგრეხილი და გრეხილი სამაჯურებისა. ბევრია ისინი ორბეთის მინის საწარმოს ნაშთებს შორისაც (ნ. უგრელიძე). ამ ტიპის სამაჯურები დიდძალია აღმოჩენილი ორენ-ყალასა და დვინის ნაქალაქართა თხრისას.

მინის ჭურჭლის ნატეხები (და ერთი პაწია მთელი ჭურჭელი, 1948 წ.) სულ 160-ოდე აქვს მოპოვებული ექსპედიციას. აქედან 1949 წელს — 83 ნატეხი. ნ. უგრელიძეს საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ ყველა ეს თბილური ნაწარმია — მით უმეტეს, რომ მინა სავსებით ერთგვაროვანია და ასევე ერთგვაროვანი (და რიცხობრივ საკმაოდ შეზღუდული) არის თვით ჭურჭლის ფორმები. მიუხედავად ხაშტვრევისა, შესაძლო ხდება წარმოდგენა ვიქონიოთ ზოგიერთი იმდროინდელი საოჯახო მინის ჭურჭლის რაგვარობაზე.

მინის ხარისხის (და გამოფიტვის სიძლიერის), ფერისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით ნ. უგრელიძე ამ ჭურჭელს ორ ჯგუფად ჰყოფს: ა) კარგი ხარისხისას და კარგ ნახელავს; ბ) მდარე ხარისხისას და დაუდევრად ნახელავს. არის აშკარად წუნდებული ჭურჭელიც. რაც აგრეთვე აძლიერებს ჩვენს ვარაუდს ჩვენ მიერ მოპოვებული მინის ჭურჭლის იქვე წარმოების შესახებ. აქვე ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ არც ერთ შესწავლილ ჭურჭელს არავითარი კვალი ნახმარობისა არ ეტყობა. ესეც იმის მომასწავებელია, რომ ისინი მომხმარებლამდე არ მისულან, კეთებისასვე წახდენიათ თუ დამტვრევიათ ოსტატებს და იმიტომ გადაუყრიათ აქეთ-იქით — თუმცა, რა თქმა უნდა. ისიც შესაძლოა, რომ ბევრი მათგანი მართლაც საჭიჭურე ნედლეულად ექციათ მეზობელ სახელოსნოში.

სულ სამი ტიპის გამოიყოფა, დანიშნულება-მოყვანილობის მიხედვით.

სასმისები, რომლებშიც 5 ქვეტიპი გამოირჩევა:

1. პირფართო და პირმოკვეთილი სასმისები. წარმოდგენილი 12 ცალით, რომლებსაც შვეტი, მხოლოდ ძირთან მცირედ გამობერილი ტანი აქვთ და ბრტყელი ან მცირედ შედრეკილი ფსკერი, სიმაღლე — 11—13 სმ., პირის დიამეტრი — 11—12 სმ. ზოგის ტანი სადაა (7 ც., რომელთა შორის ერთი აშკარად წუნდებულია, — ისეა დაბრეცილი, რომ მას არავინ შეიძენდა), ზოგისა შემკულია რელიეფური ზოლებით — თარაზულით (2 ც.), შვეულით (1 ც.), ირიბითა (1 ც.) და ტალღისებრით (1 ც.), მინა თხელია, მოცისფრო, ან მომწვანო-მოცისფრო, მცირედ გამოფიტული.

ამგვარი ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია თხრისას რუსთავში (ნაქალაქარში). არ არის დმანისში.

2. მინის ძაფებით შემკული სასმისები. წარმოდგენილი 4 ცალით. ტან-პირის მოყვანილობით მცირედ განსხვავდებიან 1-ლი ქვეტიპისაგან, ოღონდ მეტადაა გაშობერილი. არსებითი განსხვავება ისაა, რომ პირს ქვემოთ თეთრი ან ფერადი (სახელდობრ, ლურჯი) ძაფები აქვს გარშემოხვეული.

ასეთი ჭურჭლის ნატეხები ნაპოვნია თხრისას დმანისში, რუსთავსა და ორბეთში.

3. პირგადმოკვეცილი სასმისები. წარმოდგენილი 4 ნატეხით, რომელთა ტანის შესახებ მხოლოდ პირველი ორი ქვეტიპის ანალოგიით შეგვიძლია მსჯელობა, რადგან არ შერჩენიათ.

4. ქუსლიანი და უფეხო სასმისები, მხოლოდ 3 ქუსლით წარმოდგენილი მათი ტანის შესახებაც ანალოგიების მიხედვითა ვიმსჯელოთ, რადგან, გარდა ბრტყელ და დართო ქუსლზე უშუალოდ ზედ დადგმული ტანის სულ ძვირე ნაწილებისა, არაფერი შემორჩენილა. ანალოგიას კი გვაწვდის რუსთავი, სადაც XI—XIII სს. სამარხში აღმოჩენილია ასეთივე ქუსლისა და კონუსური, ქვემოთ თანაზომიერად შევიწროებული და ზემოთ ფართოპირიანი ტანის მქონე სასმისი. თბილური სასმისები ფერადი მინის სადა ან ხვეული კოპებით ყოფილან, ჩანს, შემკული, როგორც ორი სავარაუდო ნატეხი გვიჩვენებს.

5. ქუსლიანი-ფეხიანი სასმისები მხოლოდ ერთი ნატეხითა გვაქვს წარმოდგენილი. მრგვალსა და ბრტყელ საკმაოდ მოხდენილ ქუსლზე შემდგარია მაღალი და წვრილი ფეხი, რომელსაც ორი მაღალი წიბო აუყვება. სასმისის ამგვარი ფეხი არც რუსთავისა და არც დმანისის განათხარ მინაში არა ჩანს.

მე-4 და მე-5 ქვეტიპში გაერთიანებული ქუსლიანი სასმისები სხვადასხვა ფერისა და ხარისხის — კარგი და მდარე მინისაგანაა გაკეთებული. ფერთა შორის ვხედავთ მომწვანო თეთრს, მუქ მწვანეს, მომწვანო-ყვითელს.

ეტყობა, ქუსლიანი და უფეხო სასმისები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა XI—XIII საუკუნეთა საქართველოში.

6. პატარა ძირშევიწროებული, ქუსლიანი სასმისები, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 8-10 სმ-სა. ყველა მოყვითალო-მომწვანო საკმაოდ მდარეხარისხოვანი მინისაგანაა გაკეთებული, ტლანქად. უმეტესობა დაბრეცილია (ისევ წუნი!). ქუსლის ზემოდან ხაზი შემოუყვება.

ერთი ასეთი ჭურჭელი, ოღონდ უკეთესად ნაკეთები, ცნობილია დმანისის განათხრიდან.

ბოთლისებრი ჭურჭელი, რომელთა ბოთლისებურობას უმთავრესად შედრეკილი ძირისა და ტანის მომრგვალებულობის მიხედვით ვასკვნი, რადგან ყელ-პირი იშვიათად თუ შემორჩენიათ. 1949 წლის მონაპოვარში წარმოდგენილია 22 ნატეხი. მინის მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1) მუქი მწვანე, კრიალა, შედარებით თხელი მინისა (0,2—0,3 სმ); 2) მომწვანო-ცისფერი, გამოფიტული და შედარებით სქელი მინისა (0,3-0,4 სმ).

ძირზე უკლებრივ ყველასა აქვს ფხიანი ნაწიბური, რაც ტექნიკის დახვეწილობის ნაკლებობას მოასწავებს.

ერთ-ერთის ტანი მინის საკმაოდ სქელი ძაფებითაა შემკული („ბადისებრი ორნამენტი“).

განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე ყელშემორჩენილი ჭურჭელი, რომელთაგან ყელის ძირს ირგვლივ ძაფები აქვს შემოკლავნილი. ეს ჭურჭელი ყელმოხდენილი და კარგი ნახელავია. ზოგი მათგანი ვერცხლის სურებსაც კი მოგვაგონებს და ეგებ მათი მიბაძვითაც კი იყოს გაკეთებული. ერთი ასეთივე ჭურჭელი ნაპოვნია დვინშიც და მასთან შედარებით თბილურთა დეკორი უფრო ღარიბად გამოიყურება, მაგრამ ფორმები კი დახვეწილი აქვთ.

სანელსაცხებლე-საწამლე ჭურჭელი (1948 წელს ჩვენ „საპარტიუპერიო ჭურჭლის სახით დასპეციალებულ“ ფორმაზე ვლაპარაკობდით). ესენი იყოფიან 2 ჯგუფად: 1) კალშისებრი და 2) პირმოკვეთილ-ქილისებრი. ამ უკანასკნელთა შორისაც ერთი (№ 3540, ყვითელი მინისა) აშკარად წუნდებულია. უნდა

აღინიშნოს, რომ ცოტა კია ამ ტიპის ჭურჭელი, მაგრამ რაც არის, არ ჩამოუვარდება VI—IX საუკუნეთა მცხეთურ ჭურჭელს, დეტალურად შესწავლილს ნ. უგრელიძის მიერ.

საერთოდ კი, ნ. უგრელიძის აზრით, თბილისის ექსპედიციის მიერ 1948—1949 წლებში გათხრილ სახელოსნოთა ნაშთებს შორის დაგროვილი მინის ნაწარმი ვერ ჩაითვლება მაღალხარისხოვნად და ასე ვთქვათ პირველ რანგის საწარმოს პროდუქციად. მისი სახით ჩვენ თბილისის ერთ-ერთი რიგითი სახელოსნო გვევლინება. ეს მით უმეტეს გვეცემა თვალში, რომ 1958 წელს მის მიერვე თეთრიწყაროს რაიონი, ორბეთთან წინასწარულად გათხრილ-შესწავლილი საქარმოს ნაშთები გაცილებით უფრო მაღალხარისხოვან ნიმუშებს იძლევიან.

ნ. უგრელიძის ეს შეფასება სავსებით გასაზიარებელია, მით უმეტეს, რომ ასეთივე დასკვნამდე მიდის, ჩვენი მონაპოვრის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგად რ. ბახტაძე, რომელმაც 4 სამაჯურისა და 6 ჭურჭლის ნატეხი გამოიკვლია.

აქვე მოვიტანთ რ. ბ ა ხ ტ ა ძ ი ს კვლევის ზოგიერთ შედეგს, ერთი შავი სამაჯურის მინაში ჩანს (1—54:514, ანალიზი № 2) ძალზე გაწეწილი ელიფსური ბუშტულები; გამავალ შუქში მინა მოყვითალო-მოყავისფროა. ბუშტულების მოყვანილობა — მიმართულების მიხედვით სამაჯური მზადდებოდა პლასტიკური მინის წკირის გრეხვითა და ოვალურად გამოყვანილის გაციებით. ფერი მას მიღებული ჰქვს რკინისა და მანგანუმის მინარევეებით. საერთო შემადგენლობა: SiO_2 — 58—98, CaO —_{8,27}, Mn_2O_3 —2,24, K_2O —1,5, Fe_2O_3 — Al_2O_3 —7,92, BaO << 5,0%, MgO —1,9%, Na_2O —15,0.

მეორე შავი სამაჯურის (1—54:1378, ანალიზი № 10) მინა გამავალ შუქში მოყავისფრო-ყვითელია და სავსეა ჰაერის ჩანართებით, რომლებსაც წაგრძელებულ-ელიფსური, ნემსისებრი მოყვანილობა აქვთ, რაც იმას მოასწავებს, რომ სამაჯური გაწეწვით დაუმზადებიათ, ოღონდ თან უგრეხიათ. შემადგენლობა: SiO_2 —58, 39, BaO — 1,90, Al_2O_3 — 2,00; Fe_2O_3 — 2,0, MgO —1,29, K_2O — 2,5, CaO — 9,99, Mn_2O_3 —3, 48, Na_2O — 18,0 ფერს რკინისა და მანგანუმის მინარევეები აძლევს.

ღია ლურჯი სამაჯურის (1—54:503 ანალიზი № 16) ზედაპირი სპილოსძვლისფერი ირიზაციის ფერით, რომელიც მკვრივი და უკვე აღარ მქერცლავი ქერქის (პოტინგის) სახით აკრავს ცისფერ მინას. გაზოვანი ჩანართები ძალიან ბევრია და გაწეწილი, თითქმის პარალელურ ხაზებად გასდევს.

საერთოდ, ამდენი გაზოვანი ჩანართების არსებობა მინის დნობის მდარე ხარისხის მანიშნებელია.

SiO_2 —60, 63, MgO —4,22, Al_2O_3 —3,00 CaO —5,6, BaO —1,99, K_2O —1, 5, Fe_2O_3 —1, 78, Mn_2O_3 —0,39, N_2O >> 15—(20), ფერი უნდა მიეწეროს კობალტისა და სპილენძის მცირე (თუნდაც მეთავე პროცენტებს) აღმოჩენილს სპექტრული ანალიზით.

მესამე შავი სამაჯურის მინა თითქმის გაუმკვირვალეა და ისეთივე ქერქი აკრავს. გამავალ სინათლეზე მინა მოყავისფრო — ყვითელია. შემადგენლობა: SiO_2 —66,34, MgO —5,70, BaO —5,0, CaO —6,64, Al_2O_3 —3,29, Na_2O —15,0, Fe_2O_3 —2,00, Mn_2O_3 —0,52, K_2O —2,0, B_2O_3 —2,0, ფერს აქაც მანგანუმისა და უფრო კი რკინის შცნაერთები აძლევენ.

პირველი ორი სამაჯურის მინა სილიციუმის შემცველ და $\text{Na}_2\text{O}-\text{CaO}$ SiO_2 -ანია, ხოლო დანარჩენისა შედარებით მეტს შეიცავს SiO_2 და Mg -სა და Na -ს უნაგებს და თან ნაკლებს Mn -ის უნაგს (რაც პირველ ორში 2,24 და 3,42 უდრის).

ჭურჭელი: „ა ბ ა ზ ა ნ ა“ (1—54:19, ანალ. № 8). გამავალ სინათლეზე მინა მომწვანო-მოცისფროა, ცუდად ნალღობი, უამრავ ბუშტულებს შეიცავს. ოდნავ წაგრძელებულს, ბოლოებში ძლიერ წაწვეტილს, რაც ეგებ იმას მოასწავებს, რომ ვერ მოასწრეს და გასაკეთებლად მეორედ გააცხელეს მიწა, შედარებით მცირე t° -ზე. შემადგენლობა: SiO_2 —59,37, CaO —9,12, Fe_2O_3 —4,33, MgO —0,4, BaO —0,68, Al_2O_3 —0,66, Na_2O >15, K_2O —3—6.

პირგად მოკეცილი კიქის ნატეხი (58—81, ანალ. № 9). გამავალ სინათლეში მინა მომწვანო-მოცისფროა. პირს გასწრივ გაწელილი. ელიფსური ბუშტულებია, ქვემოთკენ გაწელილობა კლებულობს. რამდენიმე ადგილას წვრილი ბუშტულების ტიხრებია, რაც შეიძლება ცხელი, ელასტიკური მინის ფენის ფენაზე დადების შედეგი იყოს. შემადგენლობა: SiO_2 —66,4, CaO —4,7, Al_2O_3 —1,61, Na_2O —21, 80, MgO —2,02, Mn_2O_3 —0,24, K_2O —1,5, Fe_2O_3 —0,67, BaO —0,48.

„ში ბ ა ქ ი ს“ ნატეხი (№ 1—54:69, ანალ. № 11) გამავალ სინათლეში მომწვანო-მოყვითალოა. სქელქერქიანი, დაუზიანებელი მინა ნათელი და გამჭვირვალეა. გასწრივი, ძლიერ წააგრძელებული ბუშტულების რაოდენობა საშუალოა. SiO_2 —60,65, CaO —8,88, Al_2O_3 —1,11, MgO —2,73. Mn_2O_3 —0,73, Fe_2O_3 —1,74, Na_2O —15,0, K_2O >2,0.

ჭურჭლის ძირი (№ 1—54:1110, ანალ. № 12) მუქი მწვანეა, „ბორჯომის ბოთლის“ ფერი. მინა საესეა ბუშტულებით, რომელთაც დეფორმაცია თითქმის არ ეტყობათ და ზოგი მქრქალი და გაუმჭვირვალეა (ალბათ იმიტომ, რომ ფსკერია სქელი). SiO_2 —57, 86, Fe_2O_3 —0,93 BaO —2, 13, Mn_2O_3 —0,04, Al_2O_3 —13, 68, MgO —2,6, CaO —6,41, K_2O ~2, 0. სიმწვანე რკინისა და მანგანუმის უნაგების შედეგია.

სანელსაცხებლე (№ 1:54:467, ანალ. № 13) მოყვითალო-მწვანეა. ბუშტუების სიმრავლე მოწმობს მინის ცუდად გამოდნობას, ბუშტულები ნემსისებრი და ყელის პარალელურად განლაგებულია. ერთგან გაწელილია მოყვითალო ზოლი, რაც სამვალენტნიანი რკინის ბრალი უნდა იყოს. ირიზაცია მცირეა, მკვრივი ქერქი (პოტინგი) ალაგ-ალაგ არის. SiO_2 —58, 84, CaO —9,16, Fe_2O_3 —0,96, K_2O —1,5, MgO —3,49, Mn_2O_3 —7,34, Na_2O —17,0, BaO —149, Al_2O_3 —2,0. მთავარი შემფერავი რკინაა, რომელიც აქ მეტია წინა ნიმუშებთან შედარებით, მაგრამ თუ აქ უფრო რბილი და მქრალი ფერია, ეს იმიტომ რომ აქ მანგანუმიც ბლომადაა, მაშ, აქ Mn განგებაა შეყვანილი, რათა უფრო ღია და ნათელი ფერი მიეღოთ, მისით რკინა დაეუანგათ.

კიქის ძირი (№ 1—54:84, ანალ. № 14) მომწვანო-ცისფერი, სქელი. აქა-იქ გამოფიტული აპკი. ბუშტულები ცოტაა (მხედვ. არეში 6—8), რაც მის კარგად გამოდნობილობას მოწმობს და გამოარჩევა სხვა იმდროინდელი მინის ნაწარმისაგან. SiO_2 —66,66, CaO —9,53, MgO —1,63, K_2O ~1,5, BaO —1,69, Mn_2O_3 —0,24, Na_2O —16,0, Fe_2O_3 —0,93, Al_2O_3 —0,67. ამათ გარდა სპე-

ქტრ. ანალიზმა გამოავლინა სპილენძი (პროცენტის მესამედები), რომელ იცუნდა იყოს კიდევაც მინის შემფერავი.

მინის წარმომქმნელ ნივთიერებათა ასეთი ოდენობა (92,19 და მანგანუმი — ცოტა) თბილისის მინის ნაწარმში მხოლოდ ორჯერაა აღნიშნული (ორივეჯერ ჭიქის ნატეხები) და ამით ისინი უახლოვდებიან ანტიკური მინის შემადგენლობას. რაკი ორივე ჭიქაა, ეგებ ჭიქის მინას განსაკუთრებული რეცეპტით ამზადებდნენ?

შემდეგ რ. ბახტაძე აღარებს სამაჯურთა და ჭურჭლის ნატეხების ქიმიურ შემადგენლობას და აღნიშნავს, რომ „აქ აღმოჩენილი ყველა მინა, ისევე როგორც ყველა სხვა ადრეული მინა, $\text{Na}_2\text{O}-\text{CaO}-\text{SiO}_2$ -იანია. SiO_2 —57, 86—66, 66, CaO —4,70—9,99, Na_2O —15—21,8, ე. ი. ძირითად მინის წარმომქმნელ ნივთიერებათა საშუალო ჯამი უდრის 88,10 %, ხოლო დანარჩენი მოდის მეორეხარისხოვან მინის წარმომქმნელებზე (Al_2O_3 , K_2O , MgO , BaO). ამათ გარდა, სპექტრულმა ანალიზმა აღმოაჩინა: Ti (მცათედი %), რომელიც განუყრელად სდევს თან საერთოდ ჩვენებურ მინას, Cu, რომელიც აგრეთვე მუდმივი კომპონენტია საქართველოში აღმოჩენილი თითქმის ყველა მინისა, მაგრამ აქ ტიტანზე ნაკლებია — უმთავრესად კვალი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომ იგი შეფერვის მიზნით მომეტებულია. Mn-ც მეტწილად განზრახ უნდა იყოს შეტანილი — რკინის ნაერთებით გამოწვეული შეფერილობის შესუსტებისა თუ გაუფერულების მიზნით, რადგან კვარცის ქვიშისა თუ სხვა ნედლეულთან ერთად მუდამ შეპარული რკინა უნებლიედ იპარება ხოლმე კაზმში და უსიამოვნო ფერს (მოლურჯოს ან მოყვითალო-მწვანეს) აძლევს მინას. მინის გაუფერულება წარმოცობის ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია და ახლა საამისოდ სელენსა და დარიშხანს ხმარობენ, ჩვენ მინებში კი ეს ელემენტები არაა და სამაგიეროდ არის მანგანუმი, ხშირად აშკარად განზრახ შეყვანილი. საამისოდ ჩვენ ძველ ხელოსნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ საქართველოში მრავლად არსებული მადანი—პირალუზიტი.

9) სხვადასხვა. მონაპოვრის ამ ჯგუფში ვხედავთ: რამდენიმე — ჩანს, შემთხვევით დაცვენილ — სამკაულს, რომელიც, მასალის მიხედვით, ვერ იქნებოდა ამ სახელოსნოთა ნაწარმი: ძვლის პატარა, ორნამენტური „კვირისტავი“ (ფაქტიურად ალბათ მძივი), ქვის კვირისტავი, მრგვალი გახვრეტილი ქვა, ძვლის 2 მძივი, სალათისფრად შეღებილი, წითელი მინის მოგრძო მძივი (ეს კი შეიძლებოდა მინის სახელოსნოში გაეკეთებინათ!), სპილენძის 2 ყუნწიან ბურთულა ღილს (ეს ტიპი დამახასიათებელია XI—XIII ს.ს. საქართველოსათვის), სპილენძის 2 ბეჭდის ნატეხებს (ერთი თვალი ამოვარდნილია), სპილენძის 5 რგოლს და სხვ. რკინის ლურსმებს (20-იოდ ცალსა თუ ნატეხს), რომელთა შორის გამოერევა დიდრონიც (11—11,5 სმ), ხის კონსტრუქციებთან დაკავშირებული; რკინისა და სხვა ლითონის ღეროვანსა და ფირფიტოვან ნატეხებს; წითლად გამომწვარი ჯამის ნატეხისაგან გაკეთებულ, ნამდვილ კვირისტავს და სხვ.

ცალკე აღსანიშნავია ერთი პატარა „ქანდაკება“, რომელიც მოწითალოდ გამომწვარი თიხისაა და გამოხატავს ცხვრის(?) თავს, რქებჩამოტეხილს.

აქაც გავახსენებთ მკითხველებს, თუ როგორ ვაშუქებდით ამ საკითხს მეორე კამპანიის ანგარიშში. ჩვენთვის არც მაშინ იყო და არც ახლაც საეჭვო, რომ სახელოსნოს ათეული წლები უმუშავნია და მერე კი უეცრად, მძვინვარე მტრის ხელით დაღუპულა—ისე, რომ მუშაობა შუა გზაზე შემწყდარა. მრავალი ნახევარფაბრიკატი ისევე ბოლომდე გაუკეთებელი და საკმაოდ ბევრი ნედლეული გამოუყენებელი დარჩენილა, ჩანგრეულ ჭურებს შიგ მზა ნაწარმი მოუყოლებიათ, თვით ხელოსნებიც კი უმსხვერპლიათ მტარვალებს. სახელოსნო ხანძარს დაუწვავს და დაუნგრევა. რაკი განათხარი მასალის დიდი უმეტესობა XII—XIII საუკუნეებს მიეკუთვნებოდა, ხოლო საკუთრივ ნუმისმატიკურ მონაპოვარში კი იმჟამად არაფერი გვქონდა XIII საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულზე (ჯელაღედინის დამლანაკრავი 2 ქართული მონეტა!) უფრო ახალი და, კერძოდ, სრულიად არ ვრია მონღოლთა მიერ მოჭრილი, თუ დამლანაკრავი ქართული ფული, ჩვენ მაინც XIII საუკუნის ფარგლებში შევაჩერეთ საძიებელი თარიღი და არ დავეთანხმეთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომელიც მან გამოთქვა აღნიშნული ანგარიშის მოხსენებად წაკითხვის შემდეგ გამართულ კამათში (1950 წლის 9 იანვარს, ისტორიის ინსტიტუტისა და არქეოლოგიის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე). იგი ამგვარად მსჯელობდა, ჩვენივე მასალების მიხედვით: რაკი სახელოსნოს ფარგლებში მოპოვებულ მონეტათაგან უძველესი ეკუთვნის XIII საუკუნის I მეოთხედის ბოლოს (VIII საუკუნის არაბული ფელსები და ბიზანტიური VIII—IX და XI ს-ნის მონეტები ამ შემთხვევაში არ იყო სათვალავში ჩასაგდები), ხოლო უახლესი—XIII ს-ნის I ნახევრის მიწურულს, სახელოსნოს განადგურების თარიღი ამას აქეთაა საძებარი და ეს ამბავი მართლაც უნდა დაუკავშირდეს მონღოლთა ლაშქრობას, ოღონდ არა პირველ შემოსევა-დამკვიდრებას, არამედ თემურლენგის სისხლისმღვრელ შემოსევებს, XIV საუკუნის მეორე ნახევარში და, კერძოდ, მის პირველ ლაშქრობას 1386 წელს, რომელსაც თან ახლდა ცხარე და სისხლისმღვრელი ბრძოლა თბილისისათვის, რომლის აღებასაც თვით თემური ხელმძღვანელობდა და ამ აღებას მტრის დიდი მძვინვარება მოჰყვა ქალაქში.

როგორც ჩანს, აკად. ნ. ბერძენიშვილი მართალი იყო. საქმე ისაა, რომ 1949 წელს მოპოვებული 21 მონეტიდან, ნუმისმატიკ. კაპანაძის განსაზღვრით, 6 კვლავ არაბული ფელსი გამოდგა, 1—კვლავ XI ს. ბიზანტიური ფული, 1—დემეტრე პირველის ფული (1125—1156), 4—თამარის ფული (1184—1213), 3—რუსუდანის ფული (1222—1245) და ორიც XIV საუკუნისა—ორივე ძალიან გადასული, მაგრამ დ. კაპანაძის განცხადებით, მაინც ნამდვილად ამდროინდელი: ა) ამ საუკუნისათვის ტიპური მონღოლური, სპილენძისა და ბ) ამ საუკუნის თბილური ვერცხლი. ეს ორივე აღმოჩენილია ზღუდისპირა თხრილებში, ზღუდის ძირასა და სახელოსნოს იატაკის, ქურათა შუაწელის დონეზე, ასე რომ, მათი დამათარილებელი მნიშვნელობა საეჭვო არ უნდა იყოს.

ამის გამო ჩვენ ვალდებულად მიგვაჩნია თავი, გადავსინჯოთ ჩვენი არდათანხმება ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებასთან და შესაძლოდ მივიჩნიოთ, სახელოსნოს დაღუპვის თარიღის XIV საუკუნეში გადმოტანა, ხოლო აქ კი ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ ამბის დაკავშირება მართლაც თემურლენგის ლაშქრობასთან. მაშინ კი გამოვიდოდა, რომ საწარმოს განუგრძია არსე-

ბობა და ნაყოფიერი მუშაობა მონღოლობით დამძიმებული თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე.

გამოვიდოდა ისიც, რომ მთელი ჩვენი ნაწარმი და კერძოდ, იმ ტიპის კერამიკა, რომლის ხნოვანებად დღემდე XI—XIII საუკუნეები ითვლებოდა (ზედა საზღვრად სწორედ მონღოლების შემოსევის დასაწყისია ხოლმე მიჩნეული), განაგრძობდა არსებობას XIV საუკუნის მეტი წილის განმავლობაშიც.

ეს კი ისეთი ბევრი რამის „გადამტრიალებელი“ დასკვნა იქნებოდა, რომ მას კვლავაც გულდასმით ჩაფიქრება, აწონ-დაწონა და ყოველმხრივ შემოწმება დასჭირდება.

26. XI. 1958.

Г. А. ЛОМТАТИДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ТБИЛИСИ ВЕСНОЙ 1949 Г.

Табл. XXIV — XXIX

Резюме

Работа является продолжением отчета Тбилисской археологической экспедиции, которая в 1948 году в старой части города начала раскопки средневековой керамической мастерской. Остатки мастерской были обнаружены в связи с земляными работами по разбивке нового парка им. Трехсот арагвинцев рядом с развалинами древней городской стены.

Раскопки были начаты в октябре 1948 года под руководством О. М. Джапаридзе, продолжены в ноябре-декабре того же года под руководством Г. А. Ломтатидзе и закончены в 1949 году.

В 1948 г. были раскрыты остатки мастерской в виде пяти гончарных печей, сохранившихся в различной степени. Около гончарных печей было обнаружено большое количество фрагментов керамических стержней, крюков, треножных подставок, множество полуфабрикатов, разбитых сосудов, разных гончарных приспособлений, неиспользованных химикатов и сырья, а также скопище производственных отбросов и т. д.

Общий вид раскопанных развалин, явные следы пожара, костяки умерщвленных людей (гончаров?) на территории мастерской и т. д. дают основание предположить, что мастерская была разрушена внезапно, в результате нашествия.

Отчеты о результатах работы Тбилисской археологической экспедиции за 1948 г. были опубликованы в 1955 году¹.

В 1949 году раскопки были продолжены вдоль древней городской стены². С Юго-Запада на Северо-Восток было заложено, по порядку,

¹ О. М. Джапаридзе, Отчет «Ганджискарской» археологической экспедиции за 1948 г. «Материалы по археологии Грузии и Кавказа», т. I, 1955, с. 89—98; Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Тбилиси зимой 1948 г., упом. сборник, 1955, с. 119—169, табл. I—IV, на груз. яз. с русск. резюме.

² Отчет работы археологической экспедиции за 1949 г. печатается впервые, хотя он был закончен еще в 1958 г., как на это указывает дата, проставленная самим автором на рукописи.

пять раскопов—XI, XXII, XVIII, XXIII и XIV (общая длина 30-м, глубина в среднем 3 м).

Из средневековых построек, пристроенных в древности к городской стене, до наших дней сохранились остатки пяти основных помещений, связанных с комплексом керамической мастерской. Внутренний фасад городской стены и остатки керамических мастерских, по данным археологии, являются, в основном, сооружениями одного времени. Раскопки 1949 г. значительно пополнили и обогатили материалы по изучению грузинской средневековой керамической промышленности. В отчетном году экспедиция выявила дополнительно две обжигательные печи № 6 и № 7. По данным археологии, они изготовляли исключительно глазурованную посуду.

Раскопки 1949 года заслуживают особого внимания и потому, что на территории мастерских была обнаружена в значительном количестве совершенно целая глазурованная художественная керамика: вазы, полихромные миски с изображениями птиц, растительных и геометрических мотивов и т. д. Вообще раскопки дали весьма многообразную и многочисленную керамику. На вышеупомянутом участке были обнаружены также многочисленные образцы строительной керамики, монохромной и полихромной глазурованной посуды. Были выявлены в большом количестве приспособления для керамической промышленности — керамические стержни, крючки, треножки, множество керамического брака, сосуды с остатками сырья для глазури и т. д.

Кроме керамики, на территории мастерской были обнаружены разнообразные обломки стеклянной посуды, браслетов и т. д.

Раскопки отчетного года еще раз доказали, что мастерская работала в течение десятка лет и была разрушена в результате вражеского нашествия.

Автор разделяет мнение акад. Н. А. Бердзенишвили о том, что керамическая мастерская могла быть разрушена в XIV веке в результате нашествия монголов. Об этом свидетельствуют монеты, найденные на территории мастерской. Из 21 монеты (находки 1949 г.) — грузинские датируются XII и XIII вв. (царицы Тамар и Русудан) и 2 монеты монгольские XIV в. Именно они и дают основание полагать, что мастерская была разрушена в XIV веке.

III ხელოვნური ნაწარმი

მ. ჩხატარაშვილი

მინის ნაწარმი ლამაზი გორიდან

ტაბ. XXX—XXXII

ბოლნისის რაიონი ისტორიული ქვემო ქართლის ერთ-ერთი უმადგენელი ნაწილია. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სადღეისოდ გამოვლენილმა მატერიალური კულტურის ძეგლებმა¹ თვალნათლივ ცხადყვეს, რომ „ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა)“².

ბოლნისის რაიონში მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად მინის ნაწარმიცაა წარმოდგენილი. ამ მხარის უძველესი მინის ჭურჭელი, რომელიც გვიანანტიკურ ხანას განეკუთვნება, მომდინარეობს მდნეულის ტერიტორიიდან. ესენია სანელსაცხებლები. ერთი—I—II, ხოლო მეორე—III—IV საუკუნეებისა³. ერთი ადრეფეოდალური ხანის სანელსაცხებლე გვაქვს რკინისწყლის შახტის უბნიდან⁴; ამავე ხანისაა ყურებიანი მინის ლამპრის ნატეხი ბოლნისის სიონიდან⁵. ისპიანის ნასახლარიდან გვაქვს აგრეთვე პატარა ყურიანი მინის ჭურჭლის ნატეხი, რომელიც დარბაზის შენობის სხვა მასალებთან ერთად XI—XIII სს-ითაა დათარიღებული⁶. ორი მინის სამაჯურის ნატეხი გვხვდება სოფ. თალას განათხარში (IX—XIII სს.)⁷, ხოლო ერთი—სოფ. გონბათის განათხარში (XI—XIII სს.)⁸. სოფ. არახლოში, ეკლესიის სამაროვნის XII—XIII სს.

¹ М. И. Синауридзе. Результаты археологического изучения Болнисского района. Тб., 1977, с. 5—8; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979, გვ. 3—6. ლიტერატურა იხილეთ აღნიშნულ ნაშრომებში.

² დ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, სიგ., I თბ., 1960, გვ. 21.

³ М. И. Синауридзе, დასახ. ნაშრ., გვ. 18, ტაბ. V.

⁴ И. А. Гзелишвили, Железоплавильное производство в древней Грузии, Тб., 1964, с. 120, таб. XIV, 3.

⁵ სსმ, ივ. № 2548, В. მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978, გვ. 31.

⁶ გ. ნასიძე, რუსთაველის ხანის გლეხის სახლ-კარის განათხარი ქვემო არაქცი, დსაძ. I, თბ., 1969, გვ. 78.

⁷ И. А. Гзелишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 119, ტაბ. XIII, 4, 5.

⁸ იქვე, გვ. 118, ტაბ. X, 4.

ქვაყუთებიდან წარმოდგენილია მინის შიშვები და სამაჯურები⁹. მინის სამაჯურებია აგრეთვე ძველი ბოგვის ქურასახელოსნოდან¹⁰ და ახლო-მახლო სოფლებიდან¹¹, ხოლო დარკილისას ნასახლარიდან—სამაჯურისა და მინის ქურჭლის 3 პატარა ნატეხი¹², მადნეულის 1966 წლის განათხარიდანაა XII—XIII სს მინის სასმისის ძირ-ქუსლი¹³.

როგორც დავინახეთ, ბოლნისის რაიონში, საკმაოდ ბევრი ადგილიდანაა წარმოდგენილი გვიანანტიკური თუ ადრე და შუაფეოდალური ხანის მინის ნაწარმი, ოღონდ თითო-ორი ნიმუშით.

ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მინის ნაწარმის კოლექციას ლამაზი გორიდან.

1959 წელს ბოლნისის სიონიდან ჩრდილო-დასავლეთით 800 მ დაშორებით, ლამაზ გორაზე აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის სამონასტრო კომპლექსი¹⁴. როგორც ჯ. ამირანაშვილი აღნიშნავს, სამონასტრო ანსამბლიდან მომდინარე მასალის შესწავლამ გამოავლინა ბოლნისის ქვეყნის ისტორიული წარსულის ზოგიერთი საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეფეოდალური ხანის საქართველოს კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის, ეპიგრაფიკისა და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიისათვის¹⁵.

ლამაზ გორაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს შორის ერთ—ერთი საინტერესო და საყურადღებოა მინის ნაწარმი¹⁶. ჯ. ამირანაშვილს თავის წიგნში კომპლექსებთან ერთად მინის ნაწარმის ნიმუშებიც აქვს გამოქვეყნებული და ზოგადად დათარიღებული—V—IX და X—XIII სს. შედარებით, ვრცლად კი მხოლოდ VI—VIII სს ფაცეტებთან ქურჭელზე მსჯელობს¹⁷.

ლამაზ გორაზე სულ წარმოდგენილია მინის ნაწარმის 42 ნიმუში. აქედან 2 ნატეხი სამაჯურისაა¹⁸, დანარჩენი — ქურჭლის. გვაქვს აგრეთვე რამდენიმე ნატეხი მინის წიდის, ხოლო ერთი — მინის ნადულის.

მინის ქურჭელს განვიხილავთ ქრონოლოგიურ ჯგუფებად, რომლებშიც მასალა დანიშნულებისა და დამზადების ტექნიკის მიხედვითაა დალაგებული. გამოყოფილია ტიპები და ქვეტიპები მოყვანილობისა და შემკულობის მიხედვით. ფართოდაა მოტანილი ანალოგიები. არის ცდა ადგილობრივი და შემოტანილი მასალის გამოყოფისა. რვა ნიმუში ქიმიურ-ფიზიკური კვლევის მეთოდების გამოყენებითაცაა შესწავლილი.

⁹ М. И. Синауридзе, დასახ. ნაშრ., გვ. 37, ტაბ. X.

¹⁰ ს. წ. № 24

¹¹ ს. წ. №№ ს. 519—57; ს.—355—57.

¹² ს. წ. №№ 100, 109, 161.

¹³ ს. წ. № კ—614—66.

¹⁴ ბოლნისის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ი. გძელიშვილი, საველე სამუშაოებს ლამაზ გორაზე კი აღ. ბოხოჩაძე, იხ. ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიგიური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. II. ლამაზ გორაზე მოპოვებული მასალები დასამუშავებლად გადაეცა ჯ. ამირანაშვილს, რომელმაც გამოაქვეყნა აქ აღნიშნული ნაშრომი.

¹⁵ ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

¹⁶ ჯ. ამირანაშვილმა ლამაზ გორაზე მოპოვებული მინის ნაწარმი მთლიანად გადმოგვცა შესასწავლად, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

¹⁷ ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54—55, ტაბ. XV, № 231.

¹⁸ ს. წ. № 364. 477. ორივე პატარა, მთლიანად გამოფიტული ნატეხია, უფრო შუაფეოდალური ხანისა. მათზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

ლამაზი გორის მინის ნაწარმს შორის ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო — ადრე და "შუაფეოდალური ხანა. ორივე ჯგუფში მინის ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) სუფრის ჭურჭელი — სასმისები; 2) ლამპარი.

აღრეფეოდალური ხანის მინის პურპული

1. სუფრის ჭურჭელი — სასმისები

ლამაზი გორის მასალებში აღრეფეოდალური ხანის სასმისთა 6 ტიპია წარმოდგენილი. დამზადების ტექნიკის მიხედვით ისინი იყოფა ყალიბში ჩამოსხმულად, თავისუფლად გამობერილად და ყალიბში გამობერილად.

ყ ა ლ ი ბ შ ი ჩ ა მ ო ს ხ მ უ ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი

I ტიპი — სასმისი, ფართო, გადამრგვალებული პირით; ტანის ქვედა ნაწილი ნახევარსფერულია. ძირი წარმოადგენს მრგვალ ფოსოს. მთელი ზედაპირი შემკული აქვს მრგვალი, ოვალური, რომბისებური ან ხუთკუთხოვანი ფაცეტებით. მინა შიმშვანოა, სქელკედლიანი, ბუშტულებიანი, გამოფიტული. ს. — 7 სმ. კ. დმ — 7,5 სმ, ძ. დმ — 2 სმ.

ლამაზი გორიდან ამგვარი სასმისის 8 ნატეხი გვაქვს (ტაბ. XXX, 1—4)¹⁹. ამ სასმისებს ანალოგიები ეძებნებათ, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერჯერობით ჩვენში ისინი მხოლოდ კულტურულ ფენებში გვხვდება, მეზობელ ქვეყნებში კი — სამარხებშიც.

საქართველოში ფაცეტებიანი სასმისები აღმოჩენილია რუსთავეში — 16 ნატეხი, თარიღდება VI—VIII სს²⁰; თბილისში — 2 ნატეხი, თარიღდება VI—VIII სს²¹, ურბნისში — 62, თარიღდება VI ს. I მესამედი — VIII ს. I მესამედი²²; მცხეთაში — II, თარიღდება VI—VIII ს. შუა ხანებით²³; კარსანში — I²⁴; თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ხოპისში — I ნატეხი, განსაზღვრულია როგორც V—VII სს. დამახასიათებელი მინის ნაწარმი²⁵; ძველ ანაგაში — 2, დათარიღებული აღრეფეოდალური ხანით. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ამგვარი ჭურჭლების ზედა ქრონოლოგიური საზღვარი VI—VII სს. არ სცილდება²⁶.

¹⁹ ს. წ. №№ 231, 296, 286, 435, 276.

²⁰ მ. ჩხატარაშვილი, ფოსოებით შემკული მინის ჭურჭელი კუხეთის რუსთავეს განათხარიდან, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 267—277.

²¹ მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი..., გვ. 13—14.

²² ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 104, 118, სურ. 53.

²³ ა. ბოხოჩაძე, მცხეთა აღრეფეოდალურ ხანაში. II, 1965, ხელნაწერი; მ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

²⁴ გ. ლემელიანი, მინისსაბერი წარმოების ნაშთები კარსანში, მცხეთის მახლობლად, სმპ, ტ. VI, № 9, თბ., 1945, გვ. 746—747, სურ. 3, ა.

²⁵ ნ. თუშიშვილი, ჯ. ამირანაშვილი და სხვ. ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, თბ., 1974, გვ. 62.

²⁶ მ. სინაურიძე, ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, სსმპ, XXV—B, თბ., 1968, გვ. 75—76, 84; მისივე, სასანურ ირანთან საქართველოს დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზის საკითხი, სსმპ, XXVIII B, თბ., 1969, გვ. 52.

აზერბაიჯანში ფაცეტებიანი სასმისები აღმოჩენილია კაბალაში, დათარიღებულია VII—VIII სს²⁷, შემახასთან—VI—VII სს და ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული²⁸, ტოპრაგ-გალაში—V—VII სს მინის საწარმოში, რის გამოც თვლიან, რომ ა/კავკასიის ამგვარი ჭურჭლების წარმოების ცენტრი V—VIII სს. ამ მხარის შუა ნაწილში ყოფილა²⁹.

მსგავსი ფაცეტებიანი სასმისები აღმოჩენილია სომხეთში (დვინი, აცავანი) დათარიღებულია V—VIII³⁰ და VI—IX სს³¹. დვინის სასმისების ნაწილს ადგილობრივ ნაწარმად თვლიან, ნაწილს კი ირანულად, შემოტანილს VI—VII სს³².

ფაცეტებიანი სასმისი ჩრდ. კავკასიის ჩმის კატაკომბიდან დათარიღებულია VI—VIII სს³³, ერთი სასმისი კი მომდინარეობს ბალთას კატაკომბიდან³⁴.

ანალოგიური სასმისებია ირანში და მესოპოტამიაში³⁵. გვიანსასანური ხანის (VI—VII სს) ზოგიერთი ფაცეტებიანი ჭურჭელი³⁶ ძალზე ემსგავსება საქართველოს და საერთოდ, ა/კავკასიაში მოპოვებულ ამგვარ ჭურჭელს როგორც ფორმით, ისე შემკულობით; ზოგიერთი ფორმით მსგავსი ჭურჭელი კი დვას მაღალ ფეხზე (დათარიღებულია V—VI სს)³⁷, ან დაბალ, მრგვალ ქუსლზე. ამ უკანასკნელთან შედარებისას განსხვავებაა შემკულობაშიც, მას ფოსფორის შუაში ბურცობები აქვს, დათარიღებულია VII—VIII სს³⁸. მეორე ასეთივე ფიალა დათარიღებულია VI—VII სს³⁹.

²⁷ Ф. Л. Османов Стекланные изделия из городища Кабалы (по материалам раскопок 1959—60 гг). МКАз, V, Баку, 1964, с. 158, таб. I, 18.

²⁸ А. Б. Нуриев, Археологические раскопки на могильнике Шехергах в 1970 году, Тезисы докладов посвящ. итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР, Тб., 1971, с. 228—229; его же, Стекланная чаша, обнаруженная в Хыныслах, Доклады АН Аз ССР, № 4, Баку, 1962, с. 89—91.

²⁹ А. Б. Нуриев, О углубленных стеклянных бокалах, обнаруженных на территории Азербайджана, Материалы первой научной конференции аспирантов Института истории АН АЗ ССР, Баку, 1965, с. 11—13.

³⁰ А. А. Калантарян, К вопросу о раннесредневековой стратиграфии города Двина, Вестник общ. наук АН Арм. ССР, Ереван, 1969, № 5 (312), с. 67, таб. 7; Его же, Материальная культура Двина IV—VIII вв., АПА, 5, Ереван, 1970, с. 50, 57, таб. XXXIII, I—6, XX XV—1.

³¹ Р. М. Джанполадян, Резное стекло из Двина, СА, № 1, М., 1968, с. 269, рис. 1—3; его же, Средневековое стекло Двина IX—XIII вв; АПА, 7, Ереван, 1974 (შემდეგში, Дვინ). с. 31—31.

³² А. А. Калантарян, Материальная..., с. 41; Р. М. Джанполадян, Двин, с. 32, рис. 1, 2.

³³ МАК, т. VIII, с. 113—114, 124, таб. СХХIХ, 4. სიმ. ივ. № 18932.

³⁴ სიმ, ივ. № 16164.

³⁵ R. Pinder—Wilson, Cut-glass Wessels from Persia and Mesopotamia, The British Museum Quarterly, vol. XVII, № 1, 2; Autumn, 1963, გვ. 33—39.

³⁶ JGS, v. V. 1963 გვ. 145 სურ. 19. R. Ghirshman, Iran, parthians and sassanians, Paris, 1962, გვ. 238—239, ტაბ. 2926. Древнее искусство Персии, Выставка, Токио, 1962, рис. 19

³⁷ JGS, v. V, 1963, გვ. 145. სურ. 20.

³⁸ SPA, VI, ტაბ. 144C, A. B.

³⁹ 7000 Jahre Kunst in Iran, Ausstellung, Eseen, 1962, (Katalog), Essen, 1962 Kat. № 444.

ცნობილია ფაცეტებიანი ბიზანტიური მინაც. წმ. მარკოზის განძში მისი საუკეთესო ნიმუშებია წარმოდგენილი⁴⁰. ბიზანტიელი ოსტატები ისევე იყვნენ დახელოვნებული ამგვარი მინის ჭურჭლის კეთებაში, როგორც ირანელები.

ამგვარად, საქართველოს სხვა პუნქტებიდან და მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან მოტანილი ანალოგიების მიხედვით ლამაზ გორაზე აღმოჩენილი ფაცეტებიანი ფიალები VI—VIII სს. თარიღდება. ამ თარიღს მხარს უჭერს აღმოჩენის ვითარებაც.

ფაცეტებით შემკული ჭურჭელი ყოველთვის მკვლევართა ინტერესს იწვევდა. ამგვარი ჭურჭლები არსებობენ ხანგრძლივ და დიდია მათი გავრცელების არეც. იგი უკვე ცნობილია ახ. წ. I საუკუნეებიდან, ხოლო ფართოდ ვრცელდება III ს-დან—სირია. წინა აზია, ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები, დას. და აღ. ევროპა, სკანდინავია; V ს-დან გვხვდება ჩერნიახოვის კულტურის ძეგლებშიც⁴¹. იგი წარმოდგენილია ჩრდილო შავიზღვისპირა ნაქალაქარებიდან⁴².

ფაცეტებიანი ჭურჭელი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება VI—VIII სს. როგორც დავინახეთ, ამ ხანაში იგი ა/კავკასიაშიც კარგადაა წარმოდგენილი. ზოგიერთ ქვეყანაში ამგვარად შემკული ჭურჭელი შუაფეოდალურ ხანაშიც არსებობს. გვიანანტიკურისა და შემდგომი ხანის ფაცეტებიანი ჭურჭლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მინით, მოყვანილობით, ორნამენტით. ნაწილობრივი მსგავსებაა მხოლოდ მხატვრულად დამუშავების ტექნიკაში.

პირველ ხანებში ჭურჭლებზე — უმეტესად ნახევარსფერულ ფიალებზე მხოლოდ ჩანაღარებია; შემდეგ ორნამენტი რთულდება — ჩანაღარებთან ერთად გვხვდება მომცრო ზომის, სხვადასხვა ფორმის ფაცეტები, უფრო გააზრებული გეომეტრიული ფიგურები და წარწერებიც⁴³. შემდეგ და შემდეგ იცვლება ჭურჭელთა ფორმებიც და შემკულობაც.

V—VIII სს-ში თითქმის ყველგან ძირითადად გვხვდება ღრმა ფიალები, რომლებიც მთლიანადაა შემკული სხვადასხვა მოყვანილობის დიდი ფაცეტებით, ზოგჯერ ფაცეტებს შუაში ბურცობები აქვს. შემდეგ, მაგ., ირანში, ადრესელჯუკური პერიოდიდან (IX—X სს.) ძირითადად გვხვდება სფერულტანიანი და მაღალყელიანი ბოთლები, რომელთა ტანი შემკულია მრგვალი ან ბურცობებიანი ფაცეტებით, ყელი კი დაკუთხულია⁴⁴. წმ. მარკოზის განძიდან ცნობილია ფაცეტებიანი მინის ლამპარიც, რომელიც XI ს. ს. ბიზანტიურ ნაკეთობას წარმოადგენს⁴⁵.

⁴⁰ A. P a s i n i, II. Tesoro di San Marco, Venice, 1885—6, ტაბ. XLIV. ვე თ ი თ ე ბ თ SPA-ს მიხედვით. ტ. III, გვ. 2596. T. Philippe, Le monde Byzantin dans l'histoire de la verrerie (Ve—XVI^e siecle), Bologna, 1970, გვ. 131—137, სურ. 74, 75.

⁴¹ М. А. Т и х о н о в а, Из материалов дубосарского отряда Молдавской экспедиции, КСИМК, 57, М., 1955, с. 95—96.

⁴² Н. П. С о р о к и н а, Стекло из раскопок Пантикапея 1945—1959 гг. МИА, 103, М., 1962, с. 231—234; е е ж е, Стеклянные сосуды из Танаиса, с. 202—239; Е. М. А л е к с е е в а, Т. М. А р с е н ь е в а, Стеклоделие Танаиса, СА, 1, М., 1966, с. 176, 182.

⁴³ Н. П. С о р о к и н а, დასახ. ნაშ., გვ. 232; е е ж е, Стеклянный сосуд из Нижнего Поднепровья КСИА, 89, М., 1962, с. 106.

⁴⁴ SPA, VI, ტაბ. 1439, B; 1443, B, C, E, F.

⁴⁵ T. Philippe, დასახ. ნაშრ. გვ. 134—135, 137—141. სურ. 74. A. Grabar, Opere Bizanti ne, Il Tesoro di San Marco, v. II, Il Tesoro e il Museo, Firenze, 1971, გვ. 75, ტაბ. LXIII.

ფაცეტებიანი ჭურჭლების დამზადების ტექნიკის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა III ს-ის 40-ან წლებში განადგურებული ტანაისის მინის საწარმოს გათხრებს, სადაც აღმოჩნდა ორნამენტიანი თიხის ფორმები, რომლებშიც ამზადებდნენ ფაცეტებიან ჭურჭლებს⁴⁶. შესაძლოა ზოგიერთ ცალზე ფაცეტები სიმკვრივისათვის გაშლიფვითაც მუშავდებოდა უკვე ცივ მდგომარეობაში⁴⁷ დამატებით, ცივ მდგომარეობაში დამუშავების კვალი—ხეხვა, კარგად ეტყობა VI—VIII სს. ფიალების დიდი ზომის ფაცეტებს, ხოლო მათი ზედაპირის სხვა ადგილები—გლუვი და პრიალაა. ასეთი ზედაპირი აქვს ხოლმე ყალიბში დამზადებულ ჭურჭელს.

საქართველოში VI—VIII სს. ფაცეტებიან ჭურჭლებთან შედარებით გვიანტიკური ხანის ასეთივე ჭურჭელი იშვიათად გვხვდება. სადღეისოდ, 6 პუნქტში (მცხეთა, ზემო ავკალა, ურბნისი, კლდეეთი, ზღუდერი, ძალისა) ათიოდე ჭურჭელია აღმოჩენილი, როგორც კულტურულ ფენებში, ისე სამარხებში⁴⁸.

საქართველოში აღმოჩენილი გვიანტიკური ხანის მინის ჭურჭელი იმპორტულად მიგვაჩნია. საიდანაა თითოეული მთვანი შემოტანილი, ჯერჯერობით, დანაშდვილებით ვერ ვიტყვით, ვფიქრობთ, რომ უფრო მახლობელი აღმოსავლეთის საწარმოო ცენტრებიდან უნდა მომდინარეობდეს, შესაძლოა სირიიდან⁴⁹.

რაც შეეხება ადრეფეოდალური ხანის ფაცეტებიან ჭურჭლებს, სადღეისოდ ვიცით, რომ გამოთქმულია მოსაზრება ა/კავკასიაში მათი დამზადების ერთი საერთო ან რამდენიმე ცენტრის არსებობის შესახებ⁵⁰. საქართველოში ასეთ ცენტრებად მიჩნეული იყო რუსთავი, ურბნისი და მცხეთა⁵¹. მათი მრავალრიცხოვნება (100 ნატეხი) და აღმოჩენის ადგილების სიმრავლე კი გვაფიქრებინებს, რომ იგი ფრიად გავრცელებული სასმისი ყოფილა ჩვენში იმ დროის ყოფაში. ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ ცენტრებში გამოიყოფა შემოტანილი ნიმუშებიც⁵².

რაც შეეხება ლამაზი გორის ნიმუშებს, ვფიქრობთ, საქართველოს რომელიმე პუნქტის, უფრო კი ურბნისის მინის წარმოებას უნდა ეკუთვნოდეს.

მცხეთა—რუსთავი—ურბნისი—ლამაზი გორიდან მომდინარე ფაცეტებიანი სასმისების ნიმუშების ქიმიურ-რაოდენობრივმა და ნახევრადრაოდენობრივმა სპექტრულმა ანალიზებმა გვიჩვენა, რომ ისინი ძირითად შემადგენელ კომპონენტებს თითქმის ერთნაირი რაოდენობით შეიცავენ. ეს კი ცხადყოფს,

⁴⁶ Е. М. Алексеева, Т. М. Арсеньева, დასახ. ნაშრ., გვ. 176—188.

⁴⁷ იქვე გვ. 176—178 და სხვ. შდრ. Т. Vovra, Das Glas und die Tahrtausende, Prag, 1954, გვ. 46—47.

⁴⁸ მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი..., გვ. 17; აქვე იხ. ლიტერატურა.

⁴⁹ მ. ჩხატარაშვილი, მცხეთაში სვეტიცხოვლის მიდამოებში აღმოჩენილი მინის ნაწარმი, თბ., 1978, ხელნაწერი, გვ. 9 (ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქივში). ზღუდრის ფიალის შესახებ იხ. М. Сагинашвили, Стекло в позднеантичной Иберии, Автореферат, Тб., 1972. с. 10.

⁵⁰ А. Б. Нуриев, О углубленных..., с. II—13, Р. М. Жанполадян, Резное стекло— с. 269, е-ж е, Двин, с. В2; А. А. Калантарян, Материальная..., с. 57.

⁵¹ მ. ჩხატარაშვილი, ფოსფობით შემკული..., გვ. 277; მისივე, მინის ჭურჭელი, გვ. 17, 18, შდრ. ლ. ქილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122; თ. გამსახურდია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (IV—V სს), სინ, II, თბ., 1973, გვ. 126.

⁵² მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი, გვ. 18.

რომ ისინი დამზადებულია ერთნაირი შედგენილობის ან ერთი და იგივე ადგილმდებარეობის ნედლეულისაგან⁵³, რაც მხარს უნდა უჭერდეს ჩვენში მრავალრიცხოვანი ფაცეტებიანი სასმისების ადგილობრივ წარმოებას.

II ტიპი — სასმისი, რომელიც მოყვანილობით და მინით ფაცეტებიანის მსგავსია, ოღონდ არ არის შემკული, გლუვზედაპირიანია. ლამაზი გორიდან ამგვარი სასმისის ორი ნატეხია (ტაბ. XXX, 5, 6)⁵⁴. ამ სასმისებს სხვა ქვეყნებში ანალოგიები არ ეძებნებათ. ფიალისებრი, გლუვზედაპირიანი სასმისები, ისევე როგორც ფაცეტებიანი, VI—VIII სს. თარიღდება. ისინი ქართული მინის ჭურჭლის თავისებურებადაა ჩათვლილი⁵⁵.

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ გ ა მ ო ბ ე რ ი ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი

III ტიპი — სასმისი ფართო, ოდნავ შესქელებული პირით, ტანი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება; დგას კონუსურად შედრეკილ ან ბრტყელქუსლიან სხვადასხვა სიმაღლის ფეხზე. ეს სასმისები არსებობენ ხანგრძლივ — IV—IX სს. და დიდია მათი გავრცელების არეც⁵⁶.

საქართველოში ამგვარი სასმისები ადრეფეოდალური ხანის მთელ მანძილზე გვხვდება. ფეხთა მოყვანილობის მიხედვით იგი რამდენიმე ქვეტიპად იყოფა: 1. ფეხდაბალი, კონუსურად შედრეკილქუსლიანი, ძირითადად განეკუთვნება VI—VIII სს; 2. ფეხმაღალი, მცირედ შედრეკილ ან ბრტყელქუსლიანი—VIII—X სს; 3. დამუხლულფეხიანი—VI—IX სს⁵⁷.

სწორედ ამ მე-3 ქვეტიპს განეკუთვნება ლამაზ გორაზე აღმოჩენილი ფეხი 3 მუხლითა და ქუსლის ნაწილითურთ⁵⁸. მინა ზურმუხტისფერია, კრიალა, მცირედ გამოფიტული (ტაბ. XXXI, 6). ზუსტად ანალოგიური ფეხი გვაქვს რუსთავის ნაქალაქარიდან⁵⁹ და მინით ასევე მსგავსი, ოღონდ ორჯერ უფრო დიდი—ურბნისიდან⁶⁰. ანალოგიური დამუხლულფეხიანი სასმისის 2 ნატეხი გვაქვს თბილისის კერამიკული სახელოსნოდან⁶¹; აგრეთვე დვინიდან⁶², ტამანიდან,⁶³ სარდისიდან, VI—VII სს. ბიზანტიური მინის სახელოსნოს ნაწარმს შორის⁶⁴, მსგავსი ლურჯი მინის სასმისი აღმოჩენილია იერუსალიმში, VI-ს. II ნახევრის

⁵³ ა. გ ე გ ე ნ ა ვ ა. ს. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში აღმოჩენილი შუა საუკუნეთა მინის ჭურჭლის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა, სას, II, თბ., 1978, ცხრ. 1, 2, გვ. 35, 40.

⁵⁴ ს. წ. №№ 437, 292.

⁵⁵ მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მინის ჭურჭელი..., გვ. 18—19.

⁵⁶ Н. П. Сорокина, Позднеантичное и раннесредневековое стекло с Таманского городища, «Керамика и стекло древней Тмутаракани», М., 1963 (შემდეგში, Тамань), გვ. 152, სურ. 9.

⁵⁷ მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, სახ. ნაშრ., გვ. 21—24, ტაბ. IV, 1—5 (ტ.პიV).

⁵⁸ ს. წ. № 232, ლეროს დმ—1,5 სმ. შემორჩენილი ს.—2,7 სმ.

⁵⁹ მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 23, ტაბ. IV, 4, 5.

⁶⁰ სსმ, ინვ. № 1—57; 1488; ლეროს დმ—2,5 სმ.

⁶¹ სსმ, ინვ. №№ 1—54: 3375, 1—54: 55: ძ. დმ 5,7 სმ; ფეხის ს. 3,9 სმ.

⁶² სსმ, ინვ. 2449: 95.

⁶³ Н. П. Сорокина, Тамань, с. 153. рис. 5₁₃, 7₂₂.

⁶⁴ A. Saldern, Glass from Sardis, AIA, v., 66, 1962, № 1, გვ. 10, ტაბ. 919.

ქართული მონასტრის თხრისას⁶⁵. ეს ტიპი ფეხიანი სასპისების არსებობის დასაწყისში ძალზე იშვიათადაა წარმოდგენილი, არსებობის მთელ VI—VIII სს. და გვხვდება IX—X სს⁶⁶.

ლამაზ გორაზე იგი აღმოჩნდა VI—VIII სს. ფაცეტებიან სასპისებთან ერთად, შესაბამისად მასაც VI—VIII სს. ვათარილებთ.

როგორც რუსთავსა, თბილისსა და ურბნისში, ასევე ლამაზ გორაზე აღმოჩენილი დამუხლული ღეროს ნატეხები მინით, ფერით, აშკარად გამოირჩევა აქაური სხვა ნიმუშებისაგან. აღნიშნული ფერები დამახასიათებელია მახლობელი აღმოსავლეთის საწარმოო ცენტრებისათვის. ვფიქრობთ, ეს სასპისებიც რომელიმე ამ საწარმოო ცენტრიდან უნდა იყოს შემოტანილი.

IV ტიპი—დაბალი ცილინდრული სასპისები, შემკულია ფერადი მინის ძაფებით. პირი ფართოა, კედლები—სწორი, ძირი—შედრეკილი ან ქუსლიანი. ლამაზი გორიდან წარმოდგენილია ლურჯი⁶⁷ და ღვინისფერი⁶⁸ ძაფებით შემკული სასპისების ნატეხები (ტაბ. XXXI, 1, 2).

ფერადი ძაფებით შემკული სასპისების ნატეხები გვაქვს რუსთავიდან⁶⁹, თბილისიდან⁷⁰, დმანისიდან⁷¹, VIII—IX სს. ორბეთის მინის სახელოსნოდან⁷². ძაფების განლაგებით ლამაზი გორის ნიმუშები ძალზე ემსგავსებიან ორბეთულს.

საქართველოს გარეთ ანალოგიურია IX ს. ღვინური სასპისები⁷³; ძველი განჯის⁷⁴ და ორენყალის⁷⁵, აგრეთვე ტამანის ნაქალაქარის VI—VIII სს. დათარიღებული ფენიდან მომდინარე სასპისები⁷⁶.

ორბეთული ანალოგიების მიხედვით სასპისთა ამ ტიპს VIII—IX სს. ვათარილებთ.

V ტიპი — სასპისი ფართო პირით, ცილინდრული ტანი ქვემოთკენ მცირედ ვიწროვდება. ძირი შედრეკილია. სასპისს ქვემო ნაწილში ორმწკრივად გარშემოუყვება ერთმანეთზე ზურგით მიდებული ფრჩხილისებრი ხორკლები. შემკულობა მიიღება გაცხელებული მინის მაშებით ამოწევის შედეგად.

ამგვარი სასპისის კედლის ერთი ნატეხი⁷⁷ გვაქვს ლამაზი გორიდან. იგი მომწვანო-მოცისფრო მინისაგანაა დამზადებული (ტაბ. XXXI, 3), ზუსტად ანალოგიური სასპისთა ნატეხები გვაქვს თბილისიდან (კერამიკული სახელოსნო, ერეკლეს მოედანი)⁷⁸. ანალოგიური სასპისები აღმოჩენილია ორენყალაში⁷⁹, შერგახის

⁶⁵ ვ. კ. ო რ ბ ო, სიიარ ელ-ლანამის (მწყემსთა მინდვრის) გათხრები და შემოგარენის მონასტრები, იერუსალიმი, 1955, იხ. ვ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974, გვ. 85—87, სურ. 40.

⁶⁶ A. S a l d e r n, დასახ. ნაშრ., გვ. 10; Н. П. С о р о к и н а, Тамань, с. 153.

⁶⁷ ს. წ. № 473; მინა—უფერული, თხელკედლიანი, გამოფიტული.

⁶⁸ ს. წ. № 237; მინა—მომწვანო, შედარებით სქელკედლიანი, კრიალა.

⁶⁹ რაესწ, №№3646. 04—75—2282.

⁷⁰ სსმ, იხვ. №№1—54/2466, 85; თბიემ, № 7—801-56.

⁷¹ სსმ, იხვ. №№ 81—65/2120, 1731.

⁷² ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, ტაბ. 18.

⁷³ Р. М. Д ж а н п о л а д я н, Двин, с. 38, 59—60; №№ 23—27.

⁷⁴ ასიმ, იხვ. №№ 2977, 2916, 2524, 2418.

⁷⁵ იიაფ, იხვ. №№ 113, 259.

⁷⁶ Н. П. Сорокина, Тамань, с. 140—142; рис. 113.

⁷⁷ ს. წ. № 566.

⁷⁸ სსმ, იხვ. № 1—54: 1818; თბიემ, №№ შ—56/950, 801, 1110; 1321; ბ—57—1807.

⁷⁹ იიაფ, იხვ. №№ 622, 256.

(შემახასთან) სამაროვანზე, VI—VIII სს. ქვევრსამარხებში⁸⁰ და დვინში, თარიღდება IX ს⁸¹.

ხორკლებიანი მინის ჭურჭლები ცნობილია მცხეთიდან (სამთავროს სამაროვანი)⁸² და ურბნისიდან⁸³. ამ V და VI—VIII სს. სხვადასხვა ფორმის ჭურჭლებზე მაღალი, ეკლისებრი ღორკლები ასიმეტრიულადაა განლაგებული; ხოლო ლამაზ გორაზე, თბილისში, დვინში და ორენყალაში აღმოჩენილ ფიალისებრ სასმისებზე დაბალი, ერთმანეთზე ზურგით მიდებელი ფრჩხილისებრი ხორკლები სიმეტრიულად, ორმწკრივად (შესაძლოა მეტად) არის განლაგებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში აღმოჩენილი სასმისები ყველაფრით ზუსტად ერთნაირია; დვინისა და ორენყალის ნიმუშებისაგან კი ისინი განსხვავდებიან მინით, კარგი და ფაქიზი ნახელავით.

ამგვარად შემკული ჭურჭლები — ძირითადად ფართო პირ-ყელიანი, სფეროსებრი ფლაკონები, უმეტესად სირიული წარმოშობისა, ცნობილია როგორც გვიანხანტიკურ, ისე ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში — II—V სს⁸⁴.

ლამაზ გორაზე აღნიშნული ნატეხი მომდინარეობს VI სენაკიდან, სადაც VII—IX სს. არაბული ფელსიცაა აღმოჩენილი⁸⁵. ხორკლებით შემკულ სასმისს ლამაზი გორიდან თანმხლები და ანალოგიური მასალების, თვით სასმისის ფორმისა თუ ხორკლების მოყვანილობისა და განლაგების მიხედვით VII—IX სს. ვათარიღებთ. წარმომავლობის შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, ვფიქრობთ, რომ ისიც სირიულია.

ყ ა ლ ი ბ შ ი გ ა მ ო ბ ე რ ი ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი

VI ტიპი — სასმისი, პირი სწორი, შესქელებული, ფართო ცილინდრული ტანი ქვემოთკენ მცირედ ვიწროვდება. ძირი — შედრეკილი. სასმისი მთლიანად შემკულია ირიბტალღური ორნამენტით.

ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსიდან ამგვარი სასმისის 6 ნატეხია⁸⁵ (ტაბ. XXXI, 4, 5), მინა მომწვანო-მოცისფროა, ბუშტულებიანი, გამოფიტული.

⁸⁰ А. Б. Нуриев, О кувшинных поребениях Шершаха, МК Аз, VII, Баку, 1973, с. 231—232, таб. III, 2, 3.

⁸¹ Р. М. Джаниполadian, Новые данные о стеклоделне Двина, КСИА, 120, М., 1969, с. 27, рис. 6; е е-ж е, Д в и н, с. 63—64; № 69, სსიპ, ინვ. №№ 2326—143; 1617—44; 2305—117.

⁸² ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 37—38, 62—64, 69—70; სურ. 24, 31.

⁸³ სსიპ, ინვ. №№ 1—59: 2072, 1—57/1401, 1483.

⁸⁴ Б. Н. Аракелян, Г. А. Тирациан, Ж. Д. Хачатрян, Стекло древней Армении (I—IV вв). АПА, Ереван, 1969, с. 50, №№ 90—92.

(აქვე იხ. ლიტერატურა); Antike Gläser, Staatliche Kunstsammlungen Kassel, 1967, kat. №№ 149, 150, Gläser der Antike, Sammlung Erwin Oppenländer, Ausstellung, Hamburg-Köln, 1974—1975, kat. №№ 690, 694, 713, 714.

⁸⁵ გ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

⁸⁶ ს. წ. №№ 294, 404, 576, 603, 578.

ანალოგიური სასმისები აღმოჩენილია რუსთავეში⁸⁷, თბილისში⁸⁸, ორბეთის სახელოსნოში⁸⁹, დარიალის ხეობაში, ყაზბეგთან გათხრილ IX ს. სამარხში,⁹⁰ ჩრდ. კავკასიაში (თხაბა—ერდი⁹¹, ბალთასა და ჩმის კატაკომბები⁹²), აზერბაიჯანში—მინგეჩაურის ზედა ფენაში⁹³ და ორენყალაში, დათარიღებულია VIII—X სს⁹⁴; სომხეთში—დვინში, დათარიღებულია IX ს⁹⁵.

საქართველოში აღმოჩენილი ღრმა ცილინდრული ტალღურზედაპირიანი სასმისები IX—X სს. არის დათარიღებული და მიჩნეულია ადგილობრივ ნაწარმად⁹⁶.

IX—X სს. უნდა დათარიღდეს ლამაზ გორიდან მომდინარე ამგვარი სასმისებიც, რასაც მხარს უჭერს მათი აღმოჩენის ვითარებაც.

2. ლამპარი

საქართველოში ადრეფეოდალური ხანის მთელ მანძილზე მინის ლამპრების ორი ტიპი გვხვდება: ბუდეში ჩასადგმელი, ფეხიანი და ჩამოსაკიდებელი, ყურთან ლამპრები⁹⁷. ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსის მასალებში ორივე ტიპია წარმოდგენილი.

I ტიპის 1-ლი ქვეტიპი — ბურთულა დაბოლოებული სხვადასხვა სიმაღლის ფეხიანი ლამპრები, რომლებიც ბუდეში უნდა ჩაიდგას (მე-2 ქვეტიპს დამუხლული ფეხი აქვს). ლამაზი გორიდან 1-ლი ქვეტიპის მხოლოდ ერთი ძირის ნატეხია ფეხის ნაწილითურთ (ტაბ. XXXI, 7), მინა ოდნავ მომწვანოა, წვრილბუშტულებიანი, გამოფიტული სხვა პუნქტების ნიმუშებთან შედარებით თხელკედლიანი და პატარაა⁹⁸.

⁸⁷ რმმ, ინვ. №№ 910, 1560, რაესწ, №№ 1093, 5050, 4215, 1137, 1690.

⁸⁸ სსმ, ინვ. №№ 1—54/2467, 2211, 626, 3602, 3025, 566; თბიეშ, №№ შ—1110—56, ბ—815—57, ბ—1235—57. ბ—1827—57.

⁸⁹ ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინა ძველ... გვ. 8—9; მ ი ს ა ვ ე, ორბეთის მინის საწარმოს თხრის შედეგები, სას, თბ., 1962, გვ. 57.

⁹⁰ ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე, ა. კ ა ხ ი ძ ე. ბ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, 1966 წელს დარიალის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, სას, თბ., 1967, გვ. 77.

⁹¹ Г. Г а м б а ш и д з е, Из раскопок Тхаба-Ерди, «Декоративное искусство СССР», № 7, (152), М., 1970, გვ. 50.

⁹² МАК, VIII, с. 136, таб. СХIV, 4.

⁹³ ასიმ, ინვ. № 232.

⁹⁴ В. П. Ф о м е н к о, Стекланные изделия VIII—X вв городища Оран-Кала, Изв. АН Аз ССР, № 7, Баку, 1962, с. 32, таб. 12, 3,6.

⁹⁵ Р. М. Д ж а н п о л а д я н, Новые данные..., с. 28—29; рис. 6; е е-ж е, Двин, с. 32, №№ 62—68; А. А. К а л а н т а р я н, Раскопки центрального квартала гор. Двина (1964—1965 гг), Историко-Филологический журнал, № 1 (36) Ереван, 1967, с. 221, таб. 11, 4, 7, 8.

⁹⁶ მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მინის ჭურჭელი..., გვ. 27, 28.

⁹⁷ მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მინის ჭურჭელი IX—X სს. აღმოსავლეთ საქართველოში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1973, გვ. 33.

⁹⁸ ს.წ. № 566. შემორჩენილი ს.—1,5 სმ. ძ. დმ. 3 სმ. კედლის სისქე,—1,5 მმ.

ამგვარი ლამპრები გვაქვს დმანისიდან⁹⁹, რუსთავიდან¹⁰⁰, უჯარმიდან¹⁰¹, თბილისიდან¹⁰², მცხეთიდან¹⁰³, ურბნისიდან¹⁰⁴, იყალთოდან¹⁰⁵.

VI—VII სს. ამგვარი მინის ლამპრები ფართოდაა გავრცელებული ბიზანტიაში, მახლობელ აღმოსავლეთში, სირიაში, პალესტინაში და მესოპოტამიაში,¹⁰⁶ სარდისში¹⁰⁷, IX ს. ნიჟუში გვაქვს სამარიდან¹⁰⁸, VI—X სს—ირანიდან¹⁰⁹, უფეზო, ერთბურთულიანი ლამპრის ნატეხი აღმოჩნდა კორინთოში¹¹⁰. ჭალის ნიმუშები ფეხიანი მინის ლამპრებით დაცულია ნიუ-იორკში—კორნინგის მინის მუზეუმში¹¹¹ და ბალტიმორში — უოლტერის ხელოვნების გალერეა. ეს უკანასკნელი VI—VIII სს-ითაა დათარიღებული და შესაძლებლადაა მიჩნეული მისი სირიული წარმოშობა¹¹².

საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი ტიპის ლამპრები ზოგადად VI—X სს. თარიღდება, მაგრამ შეიძლება ეს თარიღი დაზუსტდეს აღმოჩენის ადგილებისა და ანალოგიების მიხედვით. რაც შეეხება ლამაზი გორიდან მოპოვებულ ნიმუშს, იგი აღმოჩენის ვითარებით (VI სენაკი) და თანმხლები მასალებით (VII—IX სს. არაბული ფელსი, ხორკლებიანი მინის სასმისი და სხვ.) VII—IX სს. უნდა მივაკუთვნოთ.

II ტიპი—ყურიანი ლამპრები. ღრმა ფიალისებრი, ტანი, ძირისკენ მცირედ ვიწროვდება, ძირი შედრეკილია. ფართო, განივრად გადმოკეცილ პირთან მიღობილია მრგვალვანივკვეთიანი პატარა ყურები.

ლამაზ გორაზე ამგვარი ლამპრის 5 ნატეხია¹¹³. ეს არის გადმოკეცილი პირები და ყურები (ტაბ. XXXI, 8—12). მინა მომწვანო-მოცისფრო, მომწვანო-მოლურჯო ან ოდნავ მოყვითალოა. ყურის სიმაღლე 3 ან 4 სმ-ია.

ამგვარი ლამპრები მეტ-ნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი თბილისში¹¹⁴, დმანისში¹¹⁵, რუსთავში¹¹⁶, მცხეთაში¹¹⁷, ორბეთის მინის სახელოსნოში.

⁹⁹ სსმ, ინვ. №№ დმ—37:2716, 81—65:1491, 2—63: 711.

¹⁰⁰ რმმ, ინვ. №№ 866, 487.

¹⁰¹ სსმ, ინვ. № 2—57: 632.

¹⁰² თბიემ, № შ—1154—56.

¹⁰³ მმმ, ინვ. №№ 3896, 1925, 2328, 2732.

¹⁰⁴ სსმ, ინვ. № 1—58:1850.

¹⁰⁵ თსიემ, ინვ. №№ 900, ა. დ.

¹⁰⁶ T. Philippe, დასახ. ნაშრ. გვ. 64, 67; სურ. 31₄₋₅, 39₁₁₋₁₂, 40, 21₂₃, 42

¹⁰⁷ A. Saldern, დასახ. ნაშრ. გვ. II, ტაბ. 10₁₈.

¹⁰⁸ T. Philippe, დასახ. ნაშრ., სურ. 40₂₉

¹⁰⁹ C. L a m m: Glass from Iran in the National Museum Stockholm, Stockholm London. 1935, ტაბ. 40 G, 14, M; 15H.

¹¹⁰ G. D a v i d s o n. A Mediaval Glass-factory of Corinth, AIA, XLIV, №3, 1940, გვ. 316, სურ. 19, № 48.

¹¹¹ T. P h i l i p p e, დასახ. ნაშრ., სურ. 43.

¹¹² JGS, vol., 9, 1967, გვ. 133—143, № 12.

¹¹³ ს. წ. №№ 603, 404, 362, 284, 237.

¹¹⁴ თბიემ. №№ ბ—57/10, 11, 1806, 1808, 1809.

¹¹⁵ სსმ, ინვ. №№ 81—65: 1466, დმ—37: 1157; ეს უკანასკნელი გამოქვეყნებული აქვს ლ. მუხელაშვილს; იხ. Л. М у с х е л и ш в и л и, Раскопки в Дманиси, СА, VI, М., 1940, с. 281.

¹¹⁶ რმმ, ინვ. №№ 782, 1721, 1696, 576, 487; რაესწ, №№ 5711, 6045, 1528, 996, 1703, 6508. 6245, 4959, 7043.

¹¹⁷ მმმ, ინვ. № 1917.

ყურებიანი მინის ლამპრები გვხვდება გერესაში¹¹⁸, სარდისის VI—VII სს მინის სახელოსნოში¹¹⁹, სომხეთში—დვინში, დათარიღებულია IX ს,¹²⁰ ჩრდ. კავკასიაში, ბალთას მე-9 კატაკომბურ სამარხში¹²¹, ტამანში და სარკელში—ბელაია ვეჟაში, რომელიც IX ს. I ნახევრით თარიღდება¹²², სამარაში¹²³, კორინთოში, დათარიღებულია IX—X სს.¹²⁴

ლამაზი გორიდან მომდინარე ლამპრები ანალოგიებით და აღმოჩენის ვითარებითაც ადრეფეოდალური ხანით (VI—X სს.) თარიღდება.

შუაფეოდალური ხანის მინის ჭურჭელი

შუაფეოდალური ხანის სასმისთა 5 ტიპიდან¹²⁵ ლამაზი გორის მასალებში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი — I ტიპი.

სასმისი ცილინდრული, სადა, პირი სწორი, მცირედ შესქელებული. ძირი—შედრეკილი; მინა მწვანეა, სქელკედლიანი, კრიალა, გამოუფიტავი. ლამაზ გორაზე შემორჩენილია ამგვარი სასმისის ძირის 4 ნატეხი (ტაბ. XXXII, 5, 6)¹²⁶.

ამ ტიპის სასმისები საქართველოს შუაფეოდალური ხანის ნაქალაქარებში ყველგან გვხვდება, მაგრამ დამახასიათებელია თბილისისათვის. იგი ზოგადად XI—XIII სს. თარიღდება. ლამაზი გორის ნიმუშებისათვის ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს მათი აღმოჩენის ვითარებაც.

ლამპარი

შუაფეოდალურ ხანაში არსებობას განაგრძობს პატარა ყურებიანი ჩამოსაკიდებელი ლამპრები. ადრეფეოდალური ხანის ნიმუშებს თუ შევადარებთ, შევნიშნავთ, რომ ესენი ძირითადად მწვანეა, ყურები კი უფრო დიდი ზომისაა და არცთუ ფაქიზი ნახელავი. ამასთან ერთად ყური ხშირად განსხვავებული ფერისაა.

ლამაზი გორიდან შუაფეოდალური ხანის მინის ლამპარი 5 ნატეხითაა წარმოდგენილი¹²⁷. არის გადმოკეცილი პირისა და ყურების ნატეხები. მინა მუქი მწვანე ან მომწვანო-მოყვითალოა (ტაბ. XXXII, 1—4).

ანალოგიური ლამპრები წარმოდგენილია თბილისიდან¹²⁸, რუსთავიდან¹²⁹ დმანისიდან¹³⁰, საქართველოს გარეთ ისინი წარმოდგენილია ორენყალიდან,¹³¹

¹¹⁸ T. Philippe, დასახ. ნაშრ., სურ. 41₄₀, 41.

¹¹⁹ A. Salderp, დასახ. ნაშრ., გვ. 11, ტაბ. 10₁₈.

¹²⁰ A. К а л а н т а р я н, Раскопки центрального..., с. 221, таб. II, 6; P. M. Джанполадян, Новые данные... с. 30, 31, таб. 7 I—II; e—ж е, Двин, с. 35, № 127, таб. V, II.

¹²¹ МАК, VIII. таб. СХIV, 9.

¹²² Н. П. С о р о к и н а, Тамань, с. 158.

¹²³ С. L a m m, Das Glas von Samarra, Berlin, 1928, გვ. 91, № 265.

¹²⁴ G. D a v i d s o n, დასახ. ნაშრ., სურ. 21.

¹²⁵ ვ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მინის ჭურჭელი..., გვ. 35—41.

¹²⁶ ს. წ. №№ 404, 448, 577, 603, ძირის დმ 4—6 სმ-ია.

¹²⁷ ს. წ. №№ 563, 436, 431, 446, 594.

¹²⁸ სსმ, ინვ. №№ 1—54/2499, 2291, 1993, 181; თბიგმ, №№ შ—56/855, 1154, 950, 801.

¹²⁹ რმმ, ინვ. №№ 1643, 2344; რაესწ., №№ 814, 727, 4026, 4142, 5008.

¹³⁰ სსმ, ინვ. №№ 6—61: 136, 80—65: 1514, 2—63: 598.

¹³¹ იიაფ, №№ 124, 504, 2938.

და მინგეჩაურის ზედა ფენიდან¹³². დვინის მასალების შესახებ აღნიშნავენ, რომ აქ მინის ლამპრები გვხვდება ცენტრალურ კვარტალშიც და ციტადელშიც, რაც მიუთითებს მათ ფართო გავრცელებას IX—XIII სს.¹³³.

ერთხელ კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის დასასრულისა და შუაფეოდალური ხანის ყურებიანი ლამპრები ერთმანეთისაგან განირჩევა მინითა და ნახელავით. მათი თარიღის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსის მასალებს. ისინი ძირითადად უნდა მივაკუთვნოთ იმ ფენას, რომელშიც აღმოჩნდა. ლამაზ გორაზე V ს. არსებულ ტაძარს, სამხრეთი ნაწილი VII—VIII სს. მიუშენეს; ჩრდილოეთი—IX—XI სს.; სამხრეთი მინაშენის აბსიდა კი—XII—XIII სს.¹³⁴. ასე რომ, ეს ტაძარი მთელ ამ პერიოდში მოქმედია. აქ გვაქვს როგორც ადრეფეოდალური, ისე შუაფეოდალური ხანის მინის ლამპრის ნატეხები. შუაფეოდალური ხანის ლამპრები ძირითადად აღმოჩენილია მინის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმემდე, ხოლო ადრეფეოდალურისა მის ქვემოთ, ისევე, როგორც საერთოდ მთელი აქაური არქეოლოგიური მასალა¹³⁵.

გვინდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ისევე როგორც ადრეფეოდალურ ხანაში, შუაფეოდალურშიც შესაძლებელია, რომ სასმისის ზოგიერთი ტიპი, განსაკუთრებით კი სადა ფიალები, ლამპრებადაც გამოეყენებინათ.

* * *

ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსის თხრისას აღმოჩენილი მინის ნაწარმის 42 ნატეხიდან უმეტესობა ადრეფეოდალურია და საკმაოდ მრავალფეროვანიც. შუაფეოდალურ ხანას სულ 10-ოდენ ნატეხი განეკუთვნება. ადრეფეოდალური ხანის მასალები ზოგადად VI-IX სს., ძირითადად კი ამ ხანის დასასრულით თარიღდება. აღმოჩენილია აგრეთვე მინის წიდა¹³⁶, მინის ნაღული (ტაბ. XXXII, 7)¹³⁷, ნაწარმი, რომელიც წუნს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც აღნიშნავენ, ლამაზი გორის სამონასტრო ანსამბლის ყოველდღიურზე უფრო რთული ხასიათის მოთხოვნილებებს, მათ შორის მინის ნაწარმზეც, თვით ქალაქ ბოლნისის სახელოსნოებიდან იკმაყოფილებდნენ¹³⁸.

ცნობილია, რომ ქართული მონასტრები არა მარტო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცოდნის შექმნის ცენტრი იყო, არამედ სათანადო ხელობის, ხელოსნობის

¹³² იიავ, № 230.

¹³³ P. M. Д ж а н п о л а д я н, Новые данные..., с. 31.

¹³⁴ ჯ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27.

¹³⁵ იქვე, გვ. 49.

¹³⁶ ს. წ. №№ 242, 567. წილების მიკროსკოპული ანალიზი ჩატარდა „საქსაშენმასალებს“ ინსტიტუტში, უფ. მეცნ. თანამშრომლის ლ. თედეიშვილის მიერ.

¹³⁷ ს. წ. № 568.

¹³⁸ ჯ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

შესწავლის მნიშვნელოვანი კერაც¹³⁹. იქ საერო შრომაც იყო გაჩაღებული. ქართულ მონასტრებში საქმიანობდნენ ხელოსანი ძმები — ხუროები, კალატოზები, ოქრომჭედლები, მწერალნი და მკაზმველნი, მჭედლები, ხარაზები და სხვ.¹⁴⁰

მინის წარმოების აშკარა ნაშთების აღმოჩენა ლამაზ გორაზე შემთხვევითი არ არის. იგი მონასტერში მინის წარმოებაზე უნდა მიუთითებდეს. როგორც აღნიშნავენ, ლამაზი გორის შენობათა ერთიანობა სამონასტრო ანსამბლის სახეს VIII—XI სს. ღებულობს¹⁴¹. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მინას ნაწარმის უმეტესობის თარიღს და წარმოების ნაშთების აღმოჩენის ვითარებას, რომ ადრეფეოდალური კერამიკის ერთ ნაწილს ადგილობრივ დამზადებულად თვლიან და რომ IX ს. ისევე, როგორც ყველგან, ბოლნისის ხეობაშიც დიდი აღმავლობითი პერიოდია¹⁴², ლამაზ გორაზე მინის წარმოება IX—XI სს. უნდა ვიგულისხმოთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც ბოლო ხანებში გაირკვა, მინის წარმოება საგულისხმებელია XII—XIII სს. გუდარეხის სამონასტრო კომპლექსშიც¹⁴³.

საქართველოს სხვა პუნქტებიდან მომდინარე მასალებთან ერთად ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსის მინის ნაწარმიდან შეირჩა და სამეცნიერო ტექნიკურ გაერთიანება „საქსაშენმასალების“ ფიზიკურ-ქიმიური კვლევებისა და ანალიზური ქიმიის ლაბორატორიებში ჩატარდა 8 ნიმუშის ანალიზი. აქედან 3 განეკუთვნება ადრეფეოდალური ხანის მინის ჭურჭელს, 3 — შუაფეოდალურისას, ხოლო 2 ნიმუში — წიღისაა.

ქიმიური და სპექტრული ანალიზებით მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ ყველა შესწავლილი ნიმუში ძირითადად წარმოადგენს ნატრიუმ-კალციუმ-სილიკატური სისტემის შინას— $\text{Na}_2\text{O}-\text{CaO}-\text{SiO}_2$ ¹⁴⁴.

ლამაზი გორის მინის კოლექციის სახით საქართველოში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მინის ნაწარმს მეტად საინტერესო და საყურადღებო ნიმუშები შეემატა. მათ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც საქართველოს ქალაქებს შორის, ისე სხვა ქვეყნებთან კულტურულ-ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობათა გარკვევაში.

ვფიქრობთ, ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსის თხრისას აღმოჩენილი მინის ნაწარმის შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს როგორც თვით ბოლნისის თუ ბოლნისის რაიონის მინის წარმოების ისტორიის, ასევე ზოგადად ქართული ხელოსნობის ერთ-ერთი უძველესი დარგის — მინის წარმოების ისტორიის შემუშავებაში.

¹³⁹ შ. მ. გ. ს. ი. ა., ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XI სს. ქართულ მონასტრებში, „მომომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 72.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 59—61; Л. Д. Г в р и т и ш в и л и, Церковно-монастырское хозяйство Грузии XI—XIII вв., Автореферат, Тб., 1973, с. 18—19.

¹⁴¹ გ. ა. მ. ი. რ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 60

¹⁴² იქვე, გვ. 49—51, 61—62; აქვე იხილეთ ლიტერატურა.

¹⁴³ მ. ჩ. ხ. ა. ტ. ა. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 62.

¹⁴⁴ დაწვრილებით იხ. ა. გ. ე. გ. ე. ნ. ა. ვ. ა., ს. პ. ა. პ. უ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., მ. ჩ. ხ. ა. ტ. ა. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 35—49.

СТЕКЛЯННЫЕ ИЗДЕЛИЯ ИЗ ЛАМАЗИ ГОРА

Таб. XXX — XXXII

Резюме

В болнисском районе достаточно с многих мест представлены стеклянные изделия позднеантичного и средневекового периода, однако, с небольшим количеством образцов. Ввиду этого, особое значение придается коллекции стеклянных изделий из Ламази Гора, где в 1959 г. был раскопан монастырский комплекс раннефеодального периода.

Из стеклянных изделий Ламази Гора выделены две хронологические группы — ранне- и среднефеодальный периоды. В обеих группах стеклянные изделия по своему назначению делятся по двум основным группам: 1) столовая посуда, 2) лампы.

И 9 типов сосудов для питья раннефеодального периода представлены 6. Первые два типа — литые в форме: со шлифованными фасетками (табл. XXX, 1—4) и гладкие чаши (табл. XXX, 5, 6) датируются VI—VIII вв. Возможно они происходят из Урбниси. III—V типы свободнодутые сосуды. III тип — стаканы с ножками (III подтип; табл. II, 6) датируются VI—VIII вв., видимо, импортные. IV тип — пиалы, украшенные цветными нитками (табл. XXXI, 1, 2) — VIII—IX вв. V тип — сосуды с вытянутыми бугорками (табл. XXXI, 3) датируются VII—IX вв. и предполагаем, что импортные. VI тип (табл. XXXI, 4, 5) выдутая в форме — IX—X вв.

Представлены 2 типа лампад. I тип — лампы с ножками (I подтип, табл. XXXI, 7) датируются VII—IX вв., а II тип — лампы с ушками (табл. XXXI, 8—12) — VI—X вв.

Из 5 типов сосудов для питья, среднефеодального периода представлен только один тип — цилиндрические, гладкие чаши (табл. XXXII, 5, 6) XI — XIII вв. Продолжают бытовать лампы с ушками (табл. XXXII, 1—4), отличающиеся от раннесредневековых образцов цветом стекла и качеством изготовления.

На Ламази Гора обнаружены явные остатки производства стекла (бракованные изделия, шлак, табл. XXXII, 7). Надо полагать, что производство стекла в монастырском комплексе относится IX—XI в.

В коллекции стеклянных изделий из Ламази Гора представлены весьма интересные образцы. Этим образцам придается определенное значение по установлению культурно-экономических и торговых связей как между городами Грузии, так и с другими странами. Их изучение внесет определенную лепту также в изучение истории производства стекла, как в самом Болнисском районе, так и в изучении производства стекла, вообще, в Грузии.

ნაზრომეზუი დასახილბულ ზემოკლებათა განმარტბა

- სას — საქართველოს არქეოლოგიის საკითხები.
სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები.
სიკკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.
სმამ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
ფსაქ — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები.
ასიმ — აზერბაიჯანის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
იიფ — ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ფონდი (ბაქო).
თბიემ — თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.
მმმ — მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
რაესწ — რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე წიგნი.
რმმ — რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
სიმ — სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (მოსკოვი).
სიმ — სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
სსმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.
ს. წ. — საველე წიგნი.
ს. — სიმალე.
АПА — Археологические памятники Армении.
КСИА — Краткие сообщения Института археологии АН СССР.
МАК — Материалы по археологии Кавказа.
МИА — Материалы и исследования по археологии СССР.
МКАЗ — Материальная культура Азербайджана.
СА — Советская археология.
AJA — American Journal of Archeology.
SPA — A Survey of Persian Art from prehistoric times to the present. Ed.
A. Pope, Ackermann. Vol. I—VI. London and New York, 1938—1939.
JGS — Journal of Glass Studies. The Corning Museum of Glass.
-

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I, სურ. 1—3. სტელის ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით, სამი წახნავი. XI—XII სს.
- ტაბ. II, სურ. 4. თევდოსი კალნაპეტისძის საღმრთოებლო წარწერა დმანისის სიონის დას. კარიბჭის ფასადზე, XIII საუკ.
- ტაბ. III, სურ. 5—6 წარწერა იმავე კარიბჭის ჩრდ. მხარეს, XIII ს.
- ტაბ. IV, სურ. 7. აფრიდონის წარწერა კარიბჭის სამხრ.-აღმ. სვეტის თაღზე, XIII სს.
სურ. 8. ორნაწილადი ქვა ვრცელი ასომთავრული წარწერით, ჩაშენებული დმანისის სიონის სამხრ. ფასადის წყობაში. წარწერა საგანგებოდ წაშლილია, XII—XIII სს.
- ტაბ. V, სურ. 9. ქვა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით, ჩაშენებული დმანისის სამრეკლოს დას. ფასადის წყობაში, XIII საუკ.
სურ. 10. ისახარის წარწერა წმ. მარინეს ეკლესიის სამხრ. ფასადზე, 1709 წ.
- ტაბ. VI—VIII, სურ. 11—16. საკურთხევლის თაღის ქვები წარწერით, XVII—XVIII სს.
- ტაბ. IX, სურ. 17. საფლავის ქვა პაპუა გიორგის ძე ორბელის, 1709 წ.
- ტაბ. X, სურ. 18—19. საფლავის ქვა დიმიტრი ზურაბის ძე ორბელიანის, 1718 წ.
- ტაბ. XI, სურ. 20. საფლავის ქვა მზექაბუჯ ყაფლანის-ძე ორბელიანის, 1731 წ.
სურ. 21. საფლავის ქვა არაგვის ერისთავის ბარძიმის ასულის თამარის, 1735 წ.
- ტაბ. XII, სურ. 22. საფლავის ქვა რამაზ მზექაბუჯის ძე ორბელიანის, 1742 წ.
სურ. 23. საფლავის ქვა ორბელ ყაფლანისშვილის, 1744 წ.
სურ. 24. საფლავის ქვა ზურაბ გიორგის ძე ორბელიანის, XVIII ს.
- ტაბ. XIII, სურ. 25. საფლავის ქვა „დიდი ორბელი“—..., 1749 წ.
სურ. 26. საფლავის ქვა „დიდისა ეკლესიისა დმანისისა“ ... „საქეთმშყრობელის“.
- ტაბ. XIV, სურ. 27—28. საფლავის ქვა სულხან ყაფლანიშვილის, XVIII ს.
- ტაბ. XV, სურ. 29—30. საფლავის ქვა თამაზ სარდლის (ორბელისშვილის) შვილიშვილის ფარსადანისა, XVIII ს. პირველი ნახევ.
- ტაბ. XVI, სურ. 31. საფლავის ქვა ლუარსაბის ასულის თამარის, XVIII ს. პირველი ნახევ.
სურ. 32. საფლავის ქვა ბარათაშვილი ანასი, XVIII ს.
- ტაბ. XVII, სურ. 33. საფლავის ქვის ორი ნატეხი წარწერის ფრაგმენტებით.
სურ. 34. საფლავის ქვა პაპუნას მეუღლის ლელასი, 1732.
- ტაბ. XVIII, სურ. 35—36. საფლავის ქვა სტილიზებული მცენარეული ორნამენტებით შემკული.
- ტაბ. XIX სურ. 37—38. საფლავის ქვები წნული და მცენარეული მოტივების არქით.
- ტაბ. XX, 1. ქინვალი, საკულტო ძეგლი, თიხის ნატეხი სპირალური ღარებით (საკურთხევლის ზონიდან).
2. საკულტო ძეგლი. თიხის ოთხყურა ჭურჭლის საკულტო ორმოდან.
- ტაბ. XXI. 1. ქინვალის სამაროვანი ახალე წელთაღ. I—VIII სს. საერთო ხედი სამხრეთიდან.
2. ბეჭდის თვალი ქინვალის სამაროვნიდან, წარწერით „ბაკურ“, III საუკ.
3. ირმის ბრინჯაოს ქანდაკება გვიანანტიკური ხანის სამარხიდან.
- ტაბ. XXII. 1. ქინვალის ნაქალაქარი, ცენტრალური უბნის საერთო ხედი, XII—XIV სს.
2. ქინვალის ციხის მარანი, XIII—XIV სს.
- ტაბ. XXIII. 1. ქინვალის ნაქალაქარის გარეუბანი. საცხოვრებელი კომპლექსები.
2. ნაქალაქარის ერთი მონაკვეთი (X უბანი).

¹ ფოტო I—XX—დე ა. პ ი ნ ა ე ვ ი ს, მ. კ ა ზ ლ ო ვ ს კ ი ს და ნ. ა რ ჩ ვ ა ძ ი ს ა.

- ტაბ. XXIV. 1. ძველი თბილისის ჯალაღენის ერთ-ერთი ნახევარცილინდრული ბურჯი.
2. თხრილი IX, ქართული აგურით ნაგები კიბე (გვ. 80).
- ტაბ. XXV. 1. X თხრილში გამოვლენილი ქურების № მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაშთები, საერთო სურათი (გვ. 82).
2. X თხრილი, ქურა № 2 (გვ. 82).
- ტაბ. XXVI. 1. XXI თხრილში გამოვლენილი ქურკლის ნატეხების გროვა (გვ. 84).
2. იმავე XXI თხრილში გამოვლენილი ქურკლის ნატეხების გროვა (გვ. 85).
- ტაბ. XXVII 1. ქალაქის ზღუდის უბნის გეგმა. მე-2 და მე-3 ბურჯები, კერამიკული სახელოსნოს ნაშთები. თხრილები XI, XXII, XVIII, XXIII და XIV. ნახაზის ქვედა ნაწილში მე-6 ქურის გეგმა და ქრილი (გვ. 86).
- ტაბ. XXVIII. 1. XVIII. თხრილში გამოვლენილი ქურა № 6 გათხრის პროცესში (გვ. 89).
2. იგივე ქურა პრეპარაციის შემდეგ. ჩანახატი (გვ. 89).
- ტაბ. XXIX. 1. XVIII თხრილში გამოვლენილი ქურკლების გროვა (გვ. 89).
2. XXIII თხრილი გათხრის პროცესში. მოჩანს აგურფენილი იატაკის ფრაგმენტი (გვ. 92). ყველა ნახაზი და ჩანახატი შესრულებულია ფანქრით, ველზე ექსპედიციის მხატვრის ნ. ვასილიევას მიერ. მათ საფუძველზე გამოცემისათვის ნახაზები და ნახატები ტუშით შეასრულა არქიტ. ც. გაბაშვილმა.
ნაშრომისათვის ილუსტრაციები შეარჩია, გამოსაცემად მოამზადა და აღწერილობა შეუდგინა შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ.
- ტაბ. XXX. VI—VIII ს. ფაცეტებიანი და გლუვი სასმისები, 1—6 №№ 221, 276, 286, 296, 435, 437.
- ტაბ. XXXI. 1—2. ფერადი ძაფებით შემკული სასმისები, XVIII—IX სს. №№ 473, 237;
3. ხორკლებიანი სასმისი, VII—IX სს.—№ 566;
4—5—ტალღურზედაპირიანი სასმისები, IX—X სს. №№ 576, 404;
6. დამუხლულფეხიანი სასმისი, VI—VIII სს. № 232.
7. ბურთულა დაბოლოებული ფეხიანი ლამპარი—VII—IX სს. № 566;
8. 12—ყურებიანი ლამპრები VI—X სს. №№ 404, 362, 237, 603, 284.
- ტაბ. XXXII. 1—4—ყურებიანი ლამპრები, XI—XIII სს. №№ 436, 563, 431, 594;
5—6—ცილინდრული, სადა სასმისები, XI—XIII სს. № 404, 603;
7. მინის ნადული.

¹ ტაბულები XXX—XXXII შეასრულა ნ. თოფურაძემ; ფოტო—ნ. არჩვაძისა.

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

- Табл. I, рис. 1—3. Фрагмент стелы с надписью древнегрузинским письмом «асомтаврули». XI—XII вв.
- Табл. II, рис. 4. Строительная надпись тевдосия Калнапелисдзе на фасаде зап. портика Дманисского сиона, XIII в.
- Табл. III, рис. 5—6. Вторая надпись на сев. части портика, XIII в.
- Табл. IV, рис. 7. Надпись Апридона на арке Юго-Вост. колонны портика, XIII в.
рис. 8. Камень с древнегрузинской пространной надписью, встроенный в кладку Южного фасада Дманисского сиона. Надпись умышленно основательно стерта. Читаются отдельные буквы, XII—XIII вв. (?)
- Табл. V, рис. 9. Камень с фрагментом древнегрузинского письма асомтаврули, встроенный в Зап. фасаде Дманисской колокольни, XIII в.
рис. 10. Надпись Исахар, на Южном фасаде церкви св. Марины, 1709 г.
- Табл. VI—VIII, рис. 11—16 Камни от арки алтарной преграды Дманисского сиона с грузинской надписью мхедрули, XVII—XVIII вв.
- Табл. IX, рис. 17. Надгробная плита Папуа Гиоргиевича Орбели, 1709 г.
- Табл. X, рис. 18—19. Надгробная плита Дмитрия Зурабовича Орбелиани, 1718 г.
- Табл. XI, рис. 20. Надгробная плита Мзечабука Каплановича Орбелиани, 1731 г.
рис. 21. Надгробная плита Тамар, дочери арагвского эристава Бардзима, 1735 г.
- Табл. XII, рис. 22. Надгробная плита Рамаза Мзечабуковича Орбелиани, 1742 г.
рис. 23. Надгробная плита Орбела Капланисшвили, 1744 г.
рис. 24. Надгробная плита Зураба Гиоргиевича Орбелиани, XVIII в.
- Табл. XIII, рис. 25. Надгробная плита «великого Орбели»..., 1749 г.
рис. 26. Надгробная плита «властителя», «Великой церкви Дманиси»...
- Табл. XIV, рис. 27—28. Надгробная плита Сулхана Капланисшвили, XVIII в.
- Табл. XV, рис. 29—30. Надгробная плита Парсадана внука Тамаза Орбелишвили, первая полов. XVIII в.
- Табл. XVI, рис. 31. Надгробная плита Тамар, дочери Луарсаба, первая полов. XVIII в.
рис. 32. Надгробная плита Анны Бараташвили, XVIII в.
- Табл. XVII, рис. 33. Два обломка надгробной плиты с фрагментами грузин. надписи.
рис. 34. Надгробная плита Лелы, супруги Папуны, 1732 г.
- Табл. XVIII, рис. 35—36. Надгробная плита, украшенная стилизованными растительными мотивами.
- Табл. XIX, рис. 37—38. Надгробные плиты с растительными и плетеными мотивами по контурам камня.
- Табл. XX. 1. Жинвали. Культовый памятник, глиняный предмет со спиралеобразным мотивом (с зоны алтаря).
2. Культовый памятник. Глиняный сосуд с четырьмя ушками из культовой ямы.
- Табл. XXI. 1 Жинвальский могильник I—VIII вв. н. э.; общий вид с юга.
2. Гемма с надписью «Бакур» из жинвальского могильника, III в.
3. Бронзовая статуэтка оленя из позднеантичного могильника

- Табл. XXII. 1. Жинвальское городище, общий вид центрального участка, XII—XIV вв.
2 Винный погреб Жинвальской крепости, XIII—XIV вв.
- Табл. XXIII. 1. Пригород Жинвальского городища, жилые комплексы.
2 Одна часть городища (X участок).


- табл. XXIV 1. Один из полуцилиндрических контрфорсов древней городской стены.
2. Раскоп IX, лестница, построенная т. н. грузинским кирпичом (стр. 80).
- Табл. XXV 1. Остатки керамических обжигательных печей №№ 2, 3, 4 и 5, выявленные в X раскопе. Общий вид (стр. 82).
2. Раскоп X, печь № 2 (стр. 82).
- Табл. XXVI. 1. Куча битой посуды, выявленная в XXI раскопе. (стр. 84).
2. Другая куча битой посуды, выявленная в том же раскопе (стр. 85).
- Табл. XXVII. 1. План участка городской стены. 2-й и 3-й контрфорсы. Остатки керамической мастерской. Раскопы XI, XXII, XVII, XXIII и XIV. В нижней части чертежа план и разрез печи № 6 (стр. 86).
- Табл. XXVIII. 1. Печь № 6 в процессе раскопок выявленная в XVIII раскопе (стр. 89).
2. То же после препарации. Рисунок (стр. 89).
- Табл. XXIX. 1. Куча битой посуды, выявленная в XVIII раскопе (стр. 89).
2. Раскоп XXIII в процессе раскопок. Фрагмент пола, устланного плоским кирпичом (стр. 92).

Все чертежи и зарисовки выполнены на поле карандашом. художником экспедиции Н. В. Васильевой. На их основании все чертежи и зарисовки для издания выполнены тушью архитект. Ц. Габашвили.

Для настоящего Отчета иллюстративный материал подобран, подготовлен для издания и составлена опись Отделом средневековой археологии.

- XXX. Пиалы VI—VIII вв., украшенные фасетками и гладкие: 1—6, №№ 221, 276, 286, 296, 435, 437.
- XXXI. 1—2. Пиалы украшенные „нитками“, VIII—IX вв.—№№ 473, 237.
3 Ссуды с вытянутыми бугорками, VII—IX вв. № 566.
4—5. Цилиндрические стаканы, украшенные целиком орнаментом в виде косых «каннелюр», IX—X вв.—№№ 576, 404.
6. Рюмка с ножкой, имеющая шаровидные утолщения, IV—VIII вв.—№ 232.
7. Лампада с ножкой, VII—IX вв.—№ 566.
8—12. Подвесные лампы с ручками, VI—X вв., №№ 404, 362, 237, 603, 284.
- XXXII. 1—4. Подвесные лампы с ручками, XI—XIII вв.—№№ 436, 563, 431, 594.
5—6. Стаканы цилиндрические, гладкие, XI—XIII вв. №№ 404, 603,
7. Производственные остатки стекла.

இவ்வுரை




3



2




1






5



6



7




8



9



10



11



12



13



14



15



16



X



18




19



20




21




22



23




24




25



26



27



28




30



29


XVI




31




32



33




34



35



36



37



38



1



2



1



2



3



1




2




1



2




1



2



1





2




4




2







1




2



2




1




2



3




4




5



6






1



2



3



4



5



6



7



10



8




11




9



12





1



2



5



3




6



7




4





1





2



1




2







1




2




2




1




2



3




4




5



6






1



2



3




4



5



6



7



10



8




11




9



12





1



2



5



3




6



7



4



British Museum
Natural History
London

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ვ. ვ. ჯ ა ლ ა რ ი ძ ე — ლ. ვ. მუსხელიშვილი	3
2. ვ. ბ ე რ ი ძ ე — ლევან მუსხელიშვილის წვლილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში	12

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი — В о с п о м и ნ ა н и я

3. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — მცირე მოგონება ლევან მუსხელიშვილზე	17
4. ც. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი — მოგონება	20

I. ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ე ბ ი — Г о р о д и щ а

5. ვ. მ. ჯ ა ლ ა რ ი ძ ე — ვზებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხისათვის ეგრისში (ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით)	24
V. M. Д ж а п а р и д з е — О торгово-экономических связях эгриси по данным раскопок Вардцихского городища. Резюме	42
6. ვ. ვ. ჯ ა ლ ა რ ი ძ ე — ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები	44
V. V. Д ж а п а р и д з е — Грузинские надписи городища Дманиси. Резюме	63
7. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი — ნაქალაქარი ეინვანი	66
P. M. Р а м и ш в и л и — Городище Жинвани. Резюме	74

II. წ ა რ მ ო ე ბ ის კ ე რ ე ბ ი — П р о и з в о д с т в е н н ы е о ч а г и

8. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე — არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1949 წ. გაზაფხულზე	76
G. A. Л о м т а т и д з е — Археологические раскопки в Тбилиси весной 1949 г. Резюме	121

III. ხ ე ლ ო ს ნ უ რ ი ნ ა წ ა რ მ ი — Р е м е с л е н н ы е и з д е л и я

9. მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი — მინის ნაწარმი ლამაზი გორიდან	123
M. N. Ч х а т а р а ш в и л и, Стекланные изделия из Ламазы гора. Резюме	137
10. ნაწარმებში დასახელებულ შემოკლებათა განმარტება	138
ტაბულების აღწერილობა	139
Описание таблиц	141
ტაბულება	143

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ
(на грузинском языке)